

114/3  
970



# მეოთხედი

114/  
3

9

1970

# გნეოთოკი



ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძურნალი

წელიწადი 46-ე

№ 9

სექტემბერი, 1970 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

11607

## შ ი ნ ა კ რ ს ი

გიორგი ლორთქიფანიძე — ახალგაზრდობას, ლექსი . . . . .	3
დავით კვიციანიძე — მშვიდობით, უსიძრო ტყეებში! რომანი. გაგრძელება . . . . .	4
საბინოვა ვარლამიშვილი — ლექსები . . . . .	15
ღვანეტიანი ზაქარია — ლექსები. შოთბრობა . . . . .	18
ქანო ჯანელიძე — ლექსები . . . . .	25
ქოველთვიური კაპიტალიზმი — ზეპირსაუბრობა, პიესა . . . . .	27
შოთა არაბული — არაბულიდან აღებული ტექსტები. შოთბრობა . . . . .	35
გიორგი ბარბაქაძე — ლექსები. ფრანგულიდან თარგმნილი გიორგი ბარბაქაძის . . . . .	49
ვილიამ შამსონი — მწერ ლირი. ინგლისურიდან თარგმნილი გიორგი ბარბაქაძის . . . . .	54
არსენ ზაქარიაშვილი — „მგელი“. შოთბრობა . . . . .	67
ქვიციანიძე გიორგი — ილიაობა, ბიოგრაფიული რომანი. გაგრძელება . . . . .	88

### 100 ვ. ი. ლენინი 100

მალაქიანი ითონიშვილი — ვ. ი. ლენინი ოჯახის შესახებ . . . . .	103
--	-----

### კრიტიკა და კუბლიცისტობა

ალექსანდრე კუთელია — ისტორიული მატერიალიზმის წინადადება ვიხარის . . . . .	111
აკაკი გარეჯანიძე — ზეპირსაუბრობის მეთოდი რუსთაველთან და მან- . . . . .	118
გიორგი მარკვილაძე — თანამედროვე ლირიკის ნოვატორული ხასიათის გამო . . . . .	134
მ. კაკიაშვილი — ლექსი „ალღობა მშობლი-მშობლი“-ს შესახებ . . . . .	146
ვლადიმერ ჯიხაძე — შეხვედრები გამოცემულ ადამიანებთან . . . . .	154



საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა



8. ლევინი — სარგო ზაქარიაძე



**ფაქტები, მოვლენები**

გრიგოლ შავიშვილი — სარგო ისინი ბათუმში . . . . . 175

**წიგნების მიმოხილვა**

ი. ზაბკალიძე — ერთი ნაწარმის ხალხი კონცეფციის გამო . . . . . 181

სოლომონ დამარსანაშვილი — საინტერესო საბავშვო მოთხრობები . . . . . 186

მისიელ ქავთარია — ძველი მართლმადიდებელი აბიგრაფიული ლიტერატურის ძეგლები . . . . . 195

**მთავარი რედაქტორი ელგუჯა მალრაძე**

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამიჯარაფაშვილი, გ. ლევინი, ბ. შლინტი, ა. სულაძე-რი, ა. ქუთათიანი, ი. ურციანი (პ/შვ. მდიანი), ს. შანშიაშვილი, დ. შინგალია, ვ. ფულუაძე, ი. ბილაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიშკაძე.

**ტექნიკური რ. ნაპეტიძე**

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

გადაეცა ანაწევობად 30/VII-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IX-70 წ., ანაწევობის ზომა 7<sup>1</sup>/<sub>4</sub> X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ფაზეური ნაბეჭდი ფურცელი 12. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8.

უკ 11606 ტირაჟი 11.700 შუკვ. № 2025.

ბალეფონები: რედაქციის — 93-55-11-3/შვ. მდიანის — 93-55-12, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

საქ. კა ცვ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ბარეგრძელ

ლეო პეტროვიჩი იბრაჰიმიძე,  
 შინა მუშაობის დირექტორი -  
 ჰარკოვსკი, ბრძანება.  
 1918, თბილისი 6 ნოემბერი.

ლ. 149 8 ს. 149  
 ბიბლიოთეკის მუშაობის  
 1) აქტიური მუშაობის  
 1918-1919 წლებში!

აქტიური მუშაობის, 1918,  
 9 მუშაობის. ბიბლიოთეკის  
 10 მუშაობის, 1918-1919  
 ბიბლიოთეკის მუშაობის!

გაბრიელ ბიბლიოთეკა



დავით კვიციანი

## მუვილობით, უსიარო ტყეაბო!

კ მ მ ა ნ ი

მეორე ნაწილი

დადგა ზამთარი, ნამდვილი ბელორუსიული ზამთარი. თოვლნარევი წვიმა აქამდეც ხშირად გვიწუხებდა სულს, დაუბერავდა ქარი, წამოუშენდა წვიმა, მერე ერთმანეთში აირეოდა თოვლ-წვიმა და მიწურებს გარდა ვეღარაფერი გვიფარავდა. დილით გაციებულნი ამოვქვრებოდით მიწურებიდან და თოვლით დაფარულ მიწაზე უმალ დაახნდებოდა ჩვენი ფეხის ნაკვალევი. მეორემესამე დღეს თოვლი ქრებოდა და ხანდახან მზეც კი ახერხებდა სქელი ღრუბლებიდან გამოქყეტას.

ახლა მოთოვა, დღე-ღამეში მუხლამდე დადო თოვლი და ივანე კრეზიჩინსკიმ თქვა, ეს კი ნამდვილი ზამთარიაო, ამ თოვლს მარტის ბოლომდე წამოდგომა არ უწერიაო.

სულერთიანად გადათეთრდა და დაიბარდნა ტყე. ღამით ყინავს და მიწურში აღწევს ყინვისაგან დამზრალი ნაძვის ტოტების ტკაცა-ტკუცი. დროდადრო ტყეს ჰილუვაეების გუნდი გადაუფრენს უსიამოვნო ჩხავილით, თორემ ისე საოცარი სიჩუმეა ტყეში.

ჩვენი რაზმის მეთაური ხალისიანი კავარძელეა. იხ. „მნათობი“, № 8.

ცია, ყოველ რთულ, მძიმე და თითქმის გამოუვალი მდგომარეობის დროსაც კი ახერხებს გახუმრებას და მე ვასკენი, რომ ის გულით ვაეკაცია. ვანსაცდელში ჩავარდნილი კაცი რომ ღიმილის უნარს არ ჰკარგავს, მიხარია. მე თვითონ არა ვარ ბედზე მომჩივანი და მოწუწუნე და როცა მსგავს თვისებებს ჩემს მეგობრებსაც ან ჩემზე უფროსებსაც ვამჩნევ, ძალა და მხნეობა მემატება. ასეთი ადამიანი თუ მიყვარს, კიდევ უფრო მეტად მინდა შევიყვარო, თუ არა და ვცდილობ დავუახლოვე, უფრო ღრმად ჩავწვდებ მის სულს, რაღაც ამოვიკითხო და შევიმატო.

თანდათან იმაშიაც ვრწმუნდები, რომ უფროსი ამხანაგის კარგი თუ ცუდი თვისებები გადამდებია.

ივანე ივანიჩი რომ გაიხუმრებს, ბიჭები ერთმანეთს გადახედავენ, თვალსაც ჩაუკრავენ და ზოგ-ზოგნი რაიმე სასაცილო ამბის მოყოლასაც ბედავენ. შიშა ლიზუნოვს ეს გვარიანად გამოსდის, თავის დროზე, ზუსტად და მოზომილად ჩაურთავს სიტყვას და რა გინდ მოშხამულ ხასიათზეც არ იყო, გაიჭულებს გაიცირო, ან გაიღიმო შინიც. აღიოშნა ტარანენკოსა და ვასოს ხუმრობა არ

ეხერხებათ, თუმცა ორივენი ცდილობენ და, მგონია, საგანგებოდაც ემზადებიან იმისათვის, რომ ერთხელ მაინც მიიქციონ ჩვენი ყურადღება, მაგრამ რაც ღმერთს თავიდანვე არ გაუშვებია შენთვის, იმას ტყეში იპოვინი? უკბილო ზუმრობას კი ისა სჯობს, ენა ჩაიგდო და სხვებს აცალო.

ერთხელ ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციიდან ვალოდია კორპუსევიჩა გიტარა მოიტანა. მოიტანა კი არა და მკლავზე გადაწვენილი ჩამოასვენა მიწურში. გზაშიც, ბანაკისკენ მომავალთ წვიმა წამოსწევიათ, ვალოდიას მოსახამი მოუხდია და გიტარა საგანგებოდ შეუფუტათ. მიწურში რომ ჩამოვიდა, მიეცვივდიოთ, გვეგონა თან დაჭრილი ამხანაგი მოჰყავდა, ჩვენს შემფოთებაზე ყურებიც არ გაუპარტყუნებია, თავი მძიმედ დაგვიკრა და გიტარა საწოლზე დაასვენა.

ოპერაციას წარმატებით ჩაველო, რაც მთავარია, ყველანი ცოცხლები და უვნებელნი იყვენენ. ყოველი საბრძოლო ოპერაცია ხომ სიკვდილთან თამაშია. წახვალ და მხოლოდ ღმერთმა იცის, ცოცხალი დაბრუნდები თუ არა. იქნებ ერთმა სულელურმა ტყვიამ გაგაციოს.

მე ამას ჩემთვის ვფიქრობ და ხმამალა არავის ვეუბნები. ვფიქრობ და მჯერა კიდევ, რომ საბრძოლო ოპერაციიდან დაბრუნება საიქიოდან დაბრუნებას უდრის. სხვებისა რა მოგახსენოთ, გაწუწულები, დაღლილ-დაჭანცულნი რომ ჩავალთ მიწურში, ზოგიერთი ფეხსაცმელსაც კი არ იხდის, ისე ამოთითხნილი მიეგდება თავის კუთხეში და ორ წუთში ხვრინვას ამოუშვებს. მე კი სწორედ საბრძოლო ოპერაციიდან მოსვლის შემდეგ ვიწყებ ფიქრს. ფიქრისა და განსჯის დრო სწორედ მაშინ არის, თორემ ცხარე ბრძოლის დროს წამის დაკარგვაც დანაშაულია.

არის წუთი, როცა შექმნილი ვითარება გაიძულებს რაიმე გადაწყვიტო რაიმე გზას დაადგე. მაშინ გაქვს გაფიქრების უფლება. კაცმა შენი ფიქრი არასოდეს

დეს სხვას არ უნდა მოახვიო თავს. ფიქრი საკუთრივ შენია, შენი მფრადლე განძია. ფიქრისათვის ჯერ არავინ დაგეგმავიათ, მოდექი და იფიქრე რამდენიც გინდა, ვინ არის ხელის შემშლელი?

ჰოდა, მეც ასე ვიქცევი. სხვები რომ გაიშლართებიან და სტვენა-ხროტინს ამოუშვებენ, ჩემს თავში მაშინ დატრიალდება ჯოჯოხეთი. ათასი საფიქრალი და თავსატეხი ერთბაშად მომაწყდება და, თუ ბიჭი ხარ, გაუძელი. ჯერ იმის განსჯას ვიწყებ, თუ რამდენად გონივრულად, მიზანდასახულად და, რაც მთავარია, ნიჭიერად იყო დაგეგმილი საბრძოლო ოპერაცია. ვწვალობ, ვხიბრაქობ, ლობე-ყორეს ვედები, ვეძებ ნაკლს, თვალისა და ბეწვის ამოღებას ვცდილობ. მერე თვით ბრძოლის პროცესი გადაიშლება თვალწინ. თითოეულ მებრძოლს ვხედავ, ვხედავ მამაცს, გაბედულს, უტეხს, ვხედავ შემერთალსაც და მშინშარასაც ვამჩნევ, მაგრამ, რაც თავი და თავია, მეთაურის თვალები არ მშორდება. მეთაურის თვალებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ბევრი კი არა, ყველაფერი მის თვალებსა და გულზეა დამოკიდებული. ასე ვებრძვი და ვეკამათები ფიქრში ყველას, ხანდახან წუნს ვერაგის ვდებ და მიხარია. ეს უფრო მაშინ, როცა ოპერაცია უმსხვერპლოდ მთავრდება.

გამარჯვებულებს რომ არ სჯიან, ეს დიდხანია ვიცი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მე ჩემი აზრი მაქვს. ბევრჯერ გამარჯვებულებსაც დამძიმებული აქვთ სინდისი, ბევრი კარგი ვაჟაკის ცოდვა აწევს მათ მხრებსა და სულს. ჰო და, გამარჯვებას, რა გინდ ბრწყინვალე არ იყოს იგი, თუ დედულულ მძათა ჩრდილი ახლავს, რაღაა ეს ბრწყინვალეა?

ვიცი ამაზე მეტყვიოთ, გამარჯვება უმსხვერპლოდ არ მოდისო. კი, ბატონო, გეთანხმებით, მსხვერპლი ზოგჯერ აუცილებელია, ხომ უნდა მოკვდეს ვინმე, შეეწიროს ვინმე! ოცდაორი წლის სიცოცხლე უნდა დამიწდეს (თუ მიწა ეღირსა), მაგრამ თუ ბრძოლის მოგება

უფრო მცირე მსხვერპლით შეიძლება, თუ ცოტა თავის განძრევას საჭირო და წინასწარ დაფიქრება? კეთილ ინებე და დაფიქრდი. თავიც გაანძრე და ტვინიც შეაწუხე. და თუ ტვინის მაგიერ გოგრაში თივა არ გიყრია, ეცადე მეგობრის სიცოცხლე გადაარჩინო. ამას უფრო ჩვენზე, პარტიზანებზე ვამბობ. აქ საშუალებაც არის, დროც, რომ უფრო გონიერნი და წინდახედულნი ვიყვნეთ.

ამას წინათ მეორე რაზმის მეთაურს ვიქტორ გრომოვის ერთ-ერთი საპოლიციო გარნიზონის განადგურება დაველა. მეთაურის ბრძანება რომ მოისმინა, ვიქტორი მყისვე გაიჯგემა, სიტყვაც კი არ შეუბრუნებია, „არის გავანადგურო პოლიციო“, ფეხი ფეხს მიარტყა და მიწურიდან დამდურღულივით ამოვარდა. იმ დროს მეც იქ ვიყავი და ყველაზე მეტად ერთი რამ გამიკვირდა. გრომოვი სამოქალაქო პირია. ომამდე სენოს რაიალმასკოშში რომელიღაც განყოფილების გამგე ყოფილა. მე არ ვიცი საიდან გაჩნდა იგი რაზმში, ან რა დამსახურება მიუძღვის, თუმცა მამაც მეთაურად ითვლება და რატომღაც ადამ სტელმახის სხვაზე უფრო ხშირად მას გზავნის საბრძოლო ოპერაციაზე. ბრძანების თუ დავალების მიღებისას ასეთი პასუხი უფრო სამხედრო პირებს შეჰფერით და არ მომწონს გრომოვის გადამეტებული თავის გამოდება.

ივანე კრეზიენისკის დავალებას რომ მისცემენ, დაფიქრდება, ცალ თვალს მოჰუტავს, ერთ რომელიღაც წერტილს ამოიჩემებს და მიაშტერდება, მერე დაიწყებს მსჯელობას, ასე ან ისე ხომ არ აჯობებდაო, თქვენ როგორ მიჩვენეთ. რჩევა-დარიგებას რომ არ თაკილობს კაცი, კარგია, მით უმეტეს საბრძოლო ოპერაციის მომზადებისას. რალაც-რალაცებს დაახუსტებენ, იკამათებენ, შეთანხმდებიან და როცა მიწურიდან ამოსვლას დააპირებს, იგი გრომოვივით არ ყვირის, „არის გავანადგურო პოლიციო“.

— წავალ, ადამ კონსტანტინოვიჩ,

ჩემს ბიჭებსაც მოვეთათბირებ, ცოტას წავიმუშავებთ, მზვერველებსაც გავგზავნი, ყველაფერს დაეხმარებენ და მთავრებსაც გასენებთ. — დაახლოებით ასე მთავრდება სტელმახისა და კრეზიენისკის პირველი საუბარი. მერე მე მეძახის, ცალკე გამიხმობს, დავალებას მაინობს და მთხოვს ორ-სამ დღეში მოშიტანე საჭირო ცნობებიო. ხანდახან ორი-სამი დღე კი არა, მთელი კვირა დავძვრებით იმ ობიექტის ირგვლივ, რომელზეც ივანეში უნდა მივიტანოთ, მაგრამ ივანე კრეზიენისკის ერთხელაც არ წამოსცდება საყვედური, პირიქით, დავკამშივდება. შესაძლოა ასეც სჯობდესო, რაც უფრო მეტი გვეცოდინება მტერზე, მის განლაგებაზე, მით უფრო მეტია წარმატების იმედით. ის ობიექტი ვერსად გავეჭვებავო, ჩვენი ლუქმა არისო.


იქნებ ჭერჭერობით ბედი გვწყალობს, ღმერთი მოწყალე თვალთ გვიყურებს და, საჭიროების შემთხვევაში, თავისი უძლეველი კალთით გვიფარავს, არ ვიცი, მაგრამ ერთი კი ცნაღია: აქამდე ბევრი საბრძოლო ოპერაცია ჩავატარეთ, შედეგებიც საგულისხმოა, მსხვერპლი კი არა...

ამას წინათ ოთხი მებრძოლი დაგვიქრეს, დღესაც წვანან და მათ შეძლებისდაგვარად მეურნალობს პეტრე ტიხონოვი.

დაქრა სიკვდილი ხომ არ არის? გრომოვის რაზმმა კი ერთ-ერთ საბრძოლო ოპერაციაზე თოთხმეტი კაცი დაკარგა, თოთხმეტი...

მართალია მტრის ცოცხალი ძალითა და ტექნიკით დატვირთული ათამდე ავტომანქანა გაანადგურეს, ნადავლიც საკმაოდ წამოიღეს, მაგრამ თოთხმეტიდან ბანაკში მხოლოდ სამი ცხელიკარი მოიტანეს. თერთმეტი ვაჟკაცი და ორშავიტებსკის გზატკეცილზე დარჩა უპატრონოდ. ნადავლს დახარბდნენ და ძმათა ცხედრები კი მიავიწყდათ.

თუ ბანაკამდე მათი მოტანა არ შეიძლებოდა, იქვე მაინც დაემარხათ, გაეპატიოსნებინათ.



არ ვარცა.

არ ვარცა, თუმცა ამ ოპერაციის შედეგებით გრომოვის რაზმიდან ათი მებრძოლი წარადგინეს ჯილდოზე. ეს რომ გავიგეთ, ბევრ ჩვენგანს ჩაგვეცივნა რაც ადამ კონსტანტინოვიჩს არ გამოპარვია, მაგრამ მაშინ არაფერი უთქვამს. მე კი გავიფიქრე, წარადგინოს, წარადგინოს, თორემ ხვალვე მიიღებენ ჯილდოებს-მეთქი! გვიან სტელმახმა ყველას გასაგონად, რაღაც ოდნავ პათეტიკურად. რაც მისთვის მისი ხასიათისთვის უცხო იყო, თქვა:

— სულ მალე დადგება დრო, დიდ მიწასთან გვექნება ყოველდღიური კავშირი და უმალესი საბჭოს პრეზიდიუმიდან ბრძანებულებებს ჩვენი ბიჭების დაჯილდოების შესახებ ჩვენივე ყურით მოვისმენთ.

ღმერთმაც ქნას.

გრომოვმა თავისი მებრძოლების ესოდენ დიდი დაფასება ხელზე დაიხვია, საგანგებო მიტინგი გამართა და დაჯილდოებულთ ისე გულშეხურვალედ მიულოცა, ოითქოს იმ წუთში აბნევედა მკერდზე ორდენებს.

ორდენი, რა თქმა უნდა, დიდი რამ არის. ორდენი დაფასებაა, შენი თავგანწირვის, სიმამაცის შემჩნევა და აღნიშვნაა, მაგრამ ორდენი და მედალი არ არის მთავარი.

იმ თოთხმეტი ჭაბუკის სიცოცხლე ათ ორდენზე გაცილებით მეტი ღირს...

...ვალოდია კორპუსევა გიტარას მოსასხამი შემოხსნა, სიმებს თითები ჩამოჰკრა და შემოგვხვდა. სიმებმა გაიხმიანეს, ეს გახმიანება სრულებით არ იყო მელოდირი, ეს სიმების უბრალო გაჟღერება გახლდათ და სხვა არაფერი, მაგრამ ამ გაჟღერებასაც ჰქონია ძალა. ყველამ ერთბაშად წამოყო თავი, ზოგი თურმე უკვე თვლემდა კიდევ, მაგრამ ძილი უცებ მიავიწყდათ, თვლებში ხელებს ისვამდნენ და პირდადებულნი მისჩერებოდნენ კორპუსევის, რა მოხდაო.

კრეზიენისკიმაც კეთილად გაიღიმა, ვალოდისა საქციელი მოუწონა, თუმცა

ცოტა უსაყვედურა კიდევ, ვაი თუ ვინმეს სამშითოვო გიტარააო. **მარკინეშვილი** ვალოდამ თავი იმართლდებოდა. **სიმეონი** ყველანი დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ვალოდისა გიტარის დაკვრა შეეძლო, აბა რატომ უნდა შეეწუხებინა თავი გიტარის თრევით?

ზოგი წამოწოლილი, ზოგი წამოჭდარი შევცქერით კორპუსევის და ველით აი, წამოჭდება ვალოდია, ამ მშვენიერ ინსტრუმენტს ხელში აიღებს, რა გინდ აწყობილ არ იყოს გიტარა, მაინც ხელახლა ააწყობს, ნახეთ რა ოსტატი ვარო, ერთხანს აწვალებს სიმებს და მერე გარეკავს.

შევცქერით და მოუთმენლად ველით სიმღერას, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, იგი გიტარის ხელში აღებას არ აპირებს.

კორპუსევა ფეხსაცმელი გაიძრო, საწოლზე ჩამოჯდა და თქვა:

— ჰე, რომელმა იცით დაკვრა, აიღეთ და დააგრიალეთ, რა თქმა უნდა, თუ მეთაური არ იქნება წინააღმდეგი. ყველამ ივანე კრეზიენისკის შევხედეთ. მან თანხმობის ნიშნად თავი დაგვიქნია და თან დაუმატა:

— დაუჯარიო, ბიჭებო, ცოტა წავილილინოთ. ახლა ერთმანეთს შევაჩეროთ. ადვილი გამოსაცნობი იყო, რომ გიტარის დაკვრა ბევრ ჩვენგანს შეეძლო, მაგრამ არცერთს არ გვიდოდა გაგვემზილა. პირველობა ასეთ საქმეში ძნელია. რა იცი როგორი ოსტატია შენი ამხანაგი და ხომ შეიძლება შერცხვე.

მე დედაჩემისგან მაქვს ნასწავლი გიტარის დაკვრა. ოჯახში სწორედ დედაჩემის მშითვის გიტარა გვექონდა. კარგი ინსტრუმენტი იყო, ლამაზი და ქლერადი. დედამ გიტარის დაკვრა სამივე შვილს გვასწავლა. ტრაბახად არ ჩამომართვით და მე ჩემს დამაზღვე მალე შევეთვისე გიტარას. მერე და მერე მე თვითონ ვაწყობდი გიტარაზე ახალ-ახალ სიმღერებს, რითაც დედა მეტად კმაყოფილი იყო. ხანდახან შემოგვისვამდა სამივე შვილს, თვითონ აიღებდა

ხელში გიტარას, ფრთხილად ამოჰკრავდა სიმებს და..

„ მოიტაცეს თამარ ქალი აფხაზებმა დიელო და...“

დედას წკრიალა, მაგრამ რაღაც ნაღვლიანი ხმა ჰქონდა. მზიარულ სიმღერას რომ წამოიწყებდა, ნაღველო მინც გაერეოდა და მე ეს ძალიან მომწონდა. სმენა სამივე შვილისთვის გაიმეტა განგებამ და კარგა შეწყობილი სიმღერაც გამოგვიღოდა.

მამაჩემი ერთი კილომეტრით იყო დაშორებული სიმღერისაგან, მაგრამ გიტარა და ისიც ჩემი დაკრული, გავიყვებით უყვარდა, რომელიმე ნათესავთან სტუმრად რომ წავიდოდა მე აუცილებლად წამოიყვანდა, წინასწარ გაიგებდა იმ ოჯახში გიტარა იყო თუ არა. თუ იყო, ხომ კარგი, თუ არა და — თან ჩვენი მიმქონდა.

გიტარის სიმების ელრიალი რომ გავიგონე, მეც დაკვუსე თვალები და გულში რაღაც სიამის ნექტარი ჩამედვარა. კრეზოიენსკის სიტყვაზე მინდოდა გიტარა ხელში ამეღო, დამეკრა და შემღერა კიდეც. მაგრამ ბოლო წამში შევიკავე თავი. ჯერ სხვამ დაუქრას, გავიგორა ოსტატები არიან, რატომ მინც და მინც მე უნდა ვეცე ყველაზე აღრემეთქი, ვფიქრობ და თან ბიჭებს ვუცქერი. ეტყობათ ესენიც ჩემსავით ორკოფობენ.

ასეა, დაწყება ყველას გვიკირს.

ივანე კრეზოიენსკიმ გამოგვიყვანა გასაკვირიდან. ვალოდიას დაუძახა, აბა ერთი ეს გიტარა აქეთ მომაროდე, ვნახო რა მოგიტანიაო. ვალოდიამ გიტარა აიღო, ხელში შეატრიალა და მიაწოდა.

მეთაურს, ჩემდა გასაკვირად, გიტარა ხელახლა არ აუწყვია, რბილად ჩამოჰკრა სიმებს, ყური მიუგდო. მე უმალ მივხვდი, რომ გიტარა აშლილი არ იყო.

მელოდია გაიმართა, გასაგები გახდა და მეთაურმაც წაიღილინა:

სკორო ბუღუტ მუშინ პო რეცებუ დავატრამ პო დვესტი ნა კავდუთუ დამუ...

დიდებულად იმღერა, ძველი ლომიწისი იყო, სახუმაროც და ნაღვლიანიც, ჰქვენ ვერ აეყვით და არც თვითონ უთქვამს წამომეშველეთო. სიმღერა ჩათავდა და მას ჩვენსკენ გამომწვევად არ გამოუხედავს. ასე! — თქვა და უნდოდა გიტარა ვალოდიასათვის გადაეწოდებინა. მაგრამ აღარ მოვეშვიტ, ყველამ ერთად ვთხოვეთ კიდეც იმღერე რაიმეო. უარი არ უთქვამს, თქვენც ამყვითო, გვითხრა და დაიწყო.

აყვებით. მე ტექსტი არ ვიცოდი, მაგრამ სიმღერა არ გამოიფუტებია. მშვენივრად ვიმღერეთ, ოღონდ ერთი რომელიღაც გვიშლიდა და ამას უმალ მიხვდა მეთაური. თვითონ ვალოდია კორპუსევი ყოფილა.

— შენი სმენის პატრონს გიტარა რა ოხრად ვინდოდა? — ჩაგესლა მიშა ლიზუნოვმა.

— ისე სათუთოდ ჰქონდა შეხვეული, მეგონა მაგის დაკვრის შემდეგ ველარავინ გაბედავდა გიტარასთან მიკარებას, და აი... — თქვა ტარანეკომ.

— კაცს სიმღერა არ უნდა დაუშალოთ. — გვითხრა ვალოდიამ, — თუ ემღერება, იმღეროს, სცენაზე ხომ არა ვართ? — ეტყობა ნაწყენი იყო. ბიჭებმა აქეთ-იქიდან წაუქირჩიშალეს და თუმცა გაიცინეს, მაგრამ მაშინვე მიწვა და მერე ჩვენი ყაყანისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია. ვეცადეთ საუბარში ჩაგვეთრია, ბევრი ვუტრიალეთ, მაგრამ არ გამოგვეყვა. ამაზე მე ერთი ამბავი გამახსენდა, ბიჭებს ვთხოვე მოესმინათ.

ერთხელ ერთი მეგობრის ოჯახში ვიყავით სტუმრად. მაგიდას რომ იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდა. ოცამდე ახალგაზრდა ვიჭვით და ისეთ დროს ვატარებდით, უკეთესს კაციშვილი ვერ ინატრებდა. ვმღეროდით, ვცეკვავდით, ვერთობოდით. ყველაფერი გამოგვიღოდა, სიმღერის გარდა. ვიღაც გვიშლიდა მოხერხებულად გვამწარებდა, ვერას გზით ვერ გავიგეთ ვინ იყო. თვითეული ჩვენთაგანი სულ იმაზე ფიქრობდა, რომ ის

სისხლის გამწრობი აღმოეჩინა და პირი აეკრა, მაგრამ ამაოდ. ცოტა რომ შევთვერით, ეტყობა, ისიც გათამამდა და ხმას აუწია. მაშინვე ვეცით, ფეხზე წამოვადგეთ და ხელები გაუქავეთ.

— ბიჭო, სიმღერა არ იცი, სმენა არ გაქვს, მაგრამ ნამუსი მაინც არ უნდა გქონდეს?... — უთხრა ერთმა ამხანაგმა.

ეს ამბავი ვალოდია კორპუსშევისაც მოეწონა, წამოიწია და სხვებთან ერთად მანაც გაიცინა- თუმცა სიცილის შემდეგ მაინც ასეთი რამ თქვა:

— როცა იმღერებთ, მეც ავყვებით, თუ სიმღერას ამიკრძალავთ, მაგ გიტარას უკანვე წავიღებ, ან რომელიმე ნაძვს მივაფშენი.

...ჩვენი მეთაური უთუთუნოდ ვერა სძლებს. უპურობას შოთიმენს, უწყულობას აიტანს, მაგრამ თუთუნი რომ შემოაკლდება, აწრიალდება, ადგილს ვერ პოულობს და ბავშვივით ჭირვეული ხდება. როცა იგი ცხვირჩამოშვებულია და იღრინება, ვიცით თუთუნი აღარა აქვს და, თუ დახმარება არ შეგვიძლია, თუ ერთი გახვევა თუთუნის მიწოდების საშუალება არა გვაქვს, ვცდილობთ მისგან შორს დავიჭიროთ თავი. სულ უბრალოდ წაგეჩხებება, გაწყენინებს და რატომ უნდა ჩაგრჩეს გულში ხინჯი.

ალიოშა ტარანენკოს გარდა თუთუნს ყველა ვეწევით. ერთად ერთი ალიოშა ბედნიერი. ჩვენს გამწარებაზე იღიმება, თუმცა თუ სადმე მოიხელთა თუთუნი, ჩვენთვის მოაქვს. ხანდახან საათობით გვაწვალებს.

მეთაურს თუ რომელიმე ჩვენთაგანთან თუთუნი ეგულება, შუალამეც რომ იყოს, არ მოგერიდება, მიწურში ჩამოვა და გაგაღვიძებს.

— რა თქმა უნდა, ბოდის ვიხდი, ერთი გაწყობა კიდე უნდა მასესხო. — გეტყვის საკმაოდ მორიდებულად.

ორი დღეა მთელ რაზმში თუთუნის კამლი არავის დაუნახავს. ორი დღეა ჩვენ-ჩვენ მიწურებში ვართ გამომწყვდეულნი. დიდი თოვლი დადო და ტყე-

დან გასვლა თითქმის შეუძლებელია. მიწურიდან-მიწურამდე რისი ვიწროვანად ხით გავვალეთ თოვლიც (მაგრამ) მისსემდეგ არანაკლები ხუთი კილომეტრია. საცალფეხო ბილიკის გაყვანა რომ დავიწყოთ, როდის გავაღწევთ ტყიდან. არადა, სანამ უნდა ვეყაროთ მიწურებში. კარტოფილის მარაგი ჭერჭერობით გვაქვს, ეს ცოტა იმედი როდია, მაგრამ უსაქმოდ და უფრო უთუთუნოდ რა გაძლებს?

ახლა ჩვენს ორ რაზმს უკვე ორი მეთაური ჰყავს. ადამ სტელმახი, ცურანი და სხვები საერთო ხელმძღვანელობას უწევენ რაზმებს, რომლებიც ახლო-მახლო ტყეებში არიან განლაგებული. ვასილ ბოიკოს ჩვენ თვითონ ვუწოდებთ ბრიგადის მეთაური. იგი ვიტებსკის იატაკქვეშა საოლქო კომიტეტმა დანიშნა ამ პოსტზე. წოდებით პოლკოვნიკია. უსაშველოდ მაღალი კაცია, ჭალარაშერიული წვერი, რომ იტყვიან. მეგრადამდე სწვდება. მუდამ წესიერად აცვია, მუდამ ფხიზლობს, მუდამ მზად არის მიგილოს და პასუხი გაგცეს.

ადამ სტელმახმა სოფიევკოს ტყეებში მოასწრო ვადასვლა და ვასილ ბოიკოს ავტორიტეტიც უცებ ერთიორად გაიზარდა. ეტყობა დიდი ორგანიზატორული ნიჭით არის დაჯილდოებული. ბრძოლაში ერთად ჭერ არ ვყოფილვართ და მის სიმამაცესა და გამჭრიახობაზე ვერაფერს ვიტყვი.

დღეს დილით ბოიკომ გრომოვის ბიჭები გაგზავნა დახვერვაზე. დილაადრიან. გავიდნენ ბანაკიდან და კარგა შეღამებულში დაბრუნდნენ. მთელი დღე მიაპობდნენ თურმე თოვლს, შოსემდეც მიუღწევიათ.

ხვალ დილით მათ ნაკვალევს მხვერავეთა მეორე ჯგუფი უნდა გაჰყვეს. ასე გადაწყვიტა ვასილ ბოიკომ, ამ იმედით მივწეკით და წავიძინეთ.

დილით მიწურებიდან ამოვცვივდით და რას ვხედავთ: იმ ბიჭების ნაკვალევი თოვლს დაუფარავს. საგონებელში ჩავევრდით.

ბილიკის გაყვანა მაინც გადაწყდა. მოხარული კარტოფილი შევკამეთ და ბრიგადებად დავეყავით. პირველ ბრიგადას თვითონ ბოიკო ჩაუდგა სათავეში და პირველი ნიჩაბიც მან დაჰყრა. საქმეს ის ართულებდა, რომ ორ რაზმზე მხოლოდ სამი ნიჩაბი გვექონდა, მაგრამ მაინც ხალისიანად ვმუშაობდით და საქმეც კარგად წავიდა. ზოგან მკერდამდე ვეფლობოდით, ზოგან მუხლამდე და ზოგანაც სულ არ ჩანდა თოვლი.

საოცარია ტყე, საოცარია იგი წლის ყოველ დროს და, მით უმეტეს ახლა, ამ შუაგულ ზამთარში! სადაც მინდორში მეტრნახევარი თოვლი დევს, აქ კი ზოგიერთი ნაძვის ძირას თითქოს თოვლის ფანტელიც არ ჩამოვარდნილიყოს.

შოსემდე ბილიკის გაქრას მაინც ორი დღე მოუწოდით და რაზმებიც ამოძრავდნენ. ტყიდან პირველნი მკვერავები გავიდნენ. დაიგეგმა ჩასაფრება გზატყვილზე, განახლდა საბრძოლო ოპერაციები, გაჩნდა ცოტაოდენი თუთუნიც და ივანე კრეზიჩინსკიმაც სული მოითქვა, თუმცა კარტოფილიც თითქმის შემოგველია.

ერთ დღით ჩვენს მიწურში ლეონ ცურანი ჩამოვიდა. ლეონი ორ კვირაზე მეტია არ გამოჩენილა და მისი დანახვა ყველას გაგვეხარდა.

აღამ სტელმახსაც მოველოდით, მაგრამ იგი სოფოვეკოს ტყეებში, ორდოშევის ტბასთან დაბანაკებულ ამხანაგ რუმოს რაზმში დარჩენილიყო.

ლეონ ცურანი უფრო მეტს მოძრაობდა, ისევ დადიოდა სოფლიდან სოფელში და რაზმებში ახალ მებრძოლებს გზავნიდა. ხანდახან თვით ბოგუშევსკიმაც ახერხებდა შესვლას და აღამ სტელმახთან მეტად საჭირო ცნობები მიჰქონდა. ლეონის გამოჩენა თვითვე ჩვენთაგანს აღდგომის გათენებასავით გვიხაროდა, ვიცოდით რაიმე საყურადღებო, ჩვენთვის ხელმიუწვდენი ცნობით გაგვახარებდა.

ბოგუშევსკის იატაკქვეშა ორგანიზაციას ისევ პრაზონენკო და კაიდო უდგ-

ნენ სათავეში. ბოლო დროს პარტიზანულ რაზმებსა და იატაკქვეშა ორგანიზაციებს შორის საიმედო კავშირი დამყარდა, ერთად, შეთანხმებულად ვმოქმედებდით და შედეგებიც საგულისხმო იყო.

ლეონმა ყველას სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი, მოგვიკითხა და კრეზიჩინსკის გვერდით ჩამოჯდა. ლეონი მოწყენილი ჩანდა, ჩვენი მეთაური მას ხელებში შეჰყურებდა, იქნებ თუთუნის ამოიღოსო.

ცურანი ერთხანს ჩუმად იჯდა, მერე იკითხა, ხომ არაეინ დაგვეკლებიაო. ცოცხლები ვართო, ყველას მაგიერ უპასუხა ივანე ივანიჩმა.

— მე კი სამწუხარო ამბავი მოგიტანეთ, პავლე შოროპი დახვრიტეს. — ამოიოხრა ლეონმა და მე გადმომხედა. გული შემეკუმშა, უცებ მოწყვდი და მოვიტენთე, უკლი გამიშრა და ტირილი მომიწინდა.

თვალწინ დამიდგა ახოვანი, მკერდგანიერი ულამაზესი ვაჟკაცი, შავი წყლიან თვალები რომ ჰქონდა. მისი თვალები მუდამ რომ ციმციმებდნენ და ეძებდნენ რაღაცას.

თვალწინ დამიდგა კაცი, ვზისი წყალობითა და მფარველობითაც ვცოცხლობდი და ვვარსებობდი სოფელ ბუღაში, ვისი იმედითაც ვათევდი ღამეებს არაკაცის ოჯახში, ვისი სიტყვაც მიმაჩნდა კანონად და ვისი დახმარებითაც ვეძევი გერმანელ ქალთან.

იქნებ მეც ვიყავი მიზეზი მისი დაღუპვისა, იქნებ ჩემ გამოც გაუხვრიტეს ტყვიით გული ამ დიდებულ ადამიანს. ლეონ ცურანი მოწყენილია, დანა კბილს არ უხსნის და ალბათ ისიც ჩემსავით ფიქრობს და განიცდის შოროპის დაღუპვას. რა თქმა უნდა, სადაც, გულის კუნჭულში ისიც გრძნობს თავს დამნაშავედ, ისიც და თვით აღამ სტელმახიც. ვერ მოვუარეთ, ვერ დავიფარეთ, დროზე ვერ გვაკალეთ საფრთხეს. საფრთხის შენიშვნა კი ყველას შე-

გველო, ყველას და ყველაზე მეტად სტელმახს. ცურანს, სხვებს..

ასეა, სანამ კაცი ცოცხალია, უზარმაზარ საქმეს აკეთებს, ბეწვის ხიდზე გადის, გგონია არაფერი შეხვდება, გგონია ყველა ხიფათს გადაურჩება და, აი შედეგი!

მაშინ ბუდის მცხოვრებნი ტყვეობისაგან დაღიხნენით, გერმანელ ქალს კისერზე თოკი ჩამოეკციოთ და ამით ათჯერ უფრო გავზარდეთ ბოგუშევსკის კომენდანტის თუ თანაშემწის ეჭვი პავლე შოროპის მიმართ.

ამ ოპერაციის დამთავრების შემდეგ მე მადლობა გამომიცხადეს, სადღაც ჩაიწერა, შავით თეთრზე ჩაიწერა, რომ მე აზრიანად და გაბედულად ვიმოქმედე, უფრო მეტიც: მამაცურად გავართვი თავი დავალებას, ბუდელებიც გავათავისუფლე და გერმანელი ტყვეებიც მოვიყვანე.

მერე?

ყოველივე ამას არ სჯობდა პავლე შოროპი გადაგვეჩინა?

ცურანს შევეუბრებ და ვგრძნობ, მასაც აწუხებს სინდისის ქეჩნა, არც ის არის კარგ დღეში.

ასე: იწავლა კაცმა, თავი დაღუნა, დაგიჯერა, გერმანელთა სამსახურში შევიდა, ათასგზის დაიგრიხა მტრის წინაშე, რომ მისი ნდობა და ერთგულება დაემსახურებინა, რომ ამით თავისი ხალხისათვის მეტი გავეცეთებინა, ათას ზერელში ძვრებოდა, ერთი პატიოსანი კაცის სიცოცხლე რომ გადაეჩინა. ყოველდღე, ყოველ წუთს მოელოდა ამ უმძიმეს ტვირთისაგან გათავისუფლებას და ტყეში გასვლას.

დახვრიტეს.

სწორედ იქ, იმ სოფლის საბჭოს ეზოში, იმ ხალხის წინ დაახალეს ტყვია; რომელსაც იგი წლების მანძილზე ძმობდა და ემსახურებოდა, უზრდიდა შვილებს, ასწავლიდა მათ სამშობლოს სიყვარულსა და ერთგულებას.

დახვრიტეს.

ისევ გაიღვა ჩემს თვალწინ პავლეს

სახემ, ისევ აღსდგა მასთან შეხვედრის, მასთან საუბრის ყოველი წუთი გულში მეტიცა, ძალიან, ძალიან მეტიცა, გული.

მიწურში დიდხნით ჩამოვარდა სიჩუმე.

მე ამ სიჩუმეს ვერ გავუძელი, მიწურიდან ამოვედი და მთელი საათი ვიბორიალე თოვლში. მაშინ ერთმა აზრმა გამიელვა და ჩემი ფიქრი მთლიანად იმ აზრმა შთანთქა.

რალაც უნდა ჩავიწერო, სანამ ცხელია ეს ამბავი, სანამ მეგობრის ძახილი მესმის, სანამ რალაც მკვამს და მძიძგნის, რალაც უნდა ჩავინიშნო და თუ დამცალდა, თუ ეს დიდი ვასპირი გადავიტანე, იქნებ გამოვიყენო, იქნებ უფრო მეტი ვთქვა უფრო მეტი მოვუთხრო ჩემს ხალხს.

ახლა რეტლასხმული ვარ, ახლა ჩემი სული და სინდისი აფორიაქებულია და სანამ არ ჩაეწყნარებულვარ, სანამ ვისმესთან არ მიითათბირია, სანამ რკინა ცხელია, აგერ, ამ ნაძვის ძირას ჩავედები, ამოვიღებ პატარა წიგნაკს, რომელთანაც ვერაფერმა გამაშორა, რომელშიც ორად-ორი ლექსი მაქვს ჩაწერილი და ჩავინიშნავ პავლე შოროპის აპზავს.

ხანდახან ამ წიგნაკს ამოვიღებ, ნაძვს მოვეფარები და ჩუმად ვკითხულობ ჩემს ნაცოდვილარს, მომწონს კიდევ, მაგრამ ეს ცოტაა, ეს არ მყოფნის, მინდა სხვებმაც დამიდასტურონ, რომ ჩემი ლექსი რალაცას ნიშნავს.

მერედა ვინ არის ის ღვთიან-მადლიანი? ვის წავეუკითხო? ვის ესმის ჩემი ქართული?

— ვასო?

— ვასოსი მეშინია. ვასოს ლექსები არასდროს ჰყვარებია, მგონი სძულდა კიდევ. მახსოვს, მეთათ კლასში რომ ვიყავით, მიაკოვსკის ლექსი „თეოდორ ნეტეს — ზომალდს და ადამიანს“ მოგვეცეს საზეპიროდ. მე და ვასო გაკვეთილებს ერთად ვამზადებდით. ერთი სტროფიც კი ვერ დაიზეპირა. მე კი სულ

რალაც ნახევარ საათში ვისწავლე მთელი ლექსი.

არ მომწონს ეს ლექსი და ვერც ვისწავლიო, ბუზღუნებდა ვასო. მე აკაკის ზოგიერთი ლექსი მიყვარსო, ყველაფერი გასაგებად არის ნათქვამი და აღვილადაც ვიხსოვებო. ტრაბახობდა, თორემ ბოლომდე არც აკაკის ლექსი იცოდა. ვიწყებდით კამათს, მე ვარწმუნებდით, რომ მაიაკოვსკი უდიდესი პოეტია, რომ ყოველი მისი სტრიქონი ძალაა, მებია, გრიგალია და სხვა ათას რამეს ვეუბნებოდით.

მაგრამ შეაყარე ცერცვი კედელს! მაინც ვუჭირვებდი ვასოს საქმეს. საათობით შემეძლო ზეპირად მეკითხა სახელოვანი პოეტების ლექსები, ვაიძულებდი მოესმინა.

ქართველი პოეტების ლექსები რომ იცი ზეპირად, ეს არ მიკვირსო, მაგრამ პუშკინისა და ლერმონტოვის, ჰაინეს და ბაირონის ლექსები ქართულად რანაირად ისწავლეო, — უყვირდა. მოთმინების ფიალა რომ აევსებოდა, შემაჩერებდა და თავად სცქედა აკაკის ლექსს.

არ მომეკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს...

ამ ლექსის ეს ერთადერთი სტროფი იცოდა ზეპირად და ისიც თითქმის ყოველთვის ეშლებოდა.

ჰოდა, მოდი და ასეთ კაცს წაუკითხე საკუთარი ლექსი!

რა საეჭვოა, ცხვირს აგიბზუებს და რალაც გულსაჰეჰეს ვეტყვის. ისლა მრჩებოდა, თვითონ წამეკითხა ჩემი ლექსები, თვითონვე ვყოფილიყავი მსაჭულიცა და კრიტიკოსიც.

ახლაც ამოვიღე უბის წიგნაქი, ჩურჩულით წაეკითხე აქ, ტყეში დაწერილი პირველი ლექსი. ზოგან სტრიქონი გადაშლილია და ჩასწორებული. ეს მე განგებ გავაკეთე, რადგან ვფიქრობდი, ხელთნაწერში სტრიქონი აუცილებლად უნდა წაშალო და გაასწორო-მეთქი. ოდესმე ამ ხელთნაწერს ვინმე ნახავს და დარწმუნდება, რომ ავტორს ამ სტრიქონებზე უფიქრია, უტანჯია; წარმო-

მიდგენს ტყეში, ნაძვის ძირას ჩაცუქულს ან მიწურში ჩვენთვის მძაღლი მაგიდაზე დაყრდნობილს მღვრისკენა უწყრება ღმერთი არ შევებრალო-მეთქი.

ლექსი ხელმოვრედაც გადავიკითხე, თვითეულ სტრიქონს მტრულად ჩაუყვირდი და ერთხელ კიდევ დაერწმუნდი, რომ ეს ლექსი დასაკარგავი არ არის, ამ ლექსმა უნდა იცოცხლოს. ვფიქრობდი: ბოლოს და ბოლოს ბევრ პოეტს არ ჰქონია ასეთი შემთხვევა, ბევრს კი არა და იქნება ქვეყანაზე მე ვარ ერთადერთი პოეტი (უკვე პოეტი), რომელიც ტყეში, ბრძოლის წინ თუ ბრძოლის მერე წერს ლექსს. მართლაც იშვიათი შემთხვევაა. ამით მაინც ვიქნები სხვებისაგან გამორჩეული.

ტყე. ტყე და ისევ შრიალი მუხის, ფიქრები მწარე, ხან კიდევ ტყბილი. ეჰ, ვინ გაიგებს იმ დარღს და წუხილს, რომ არ მასვენებს ამ სისხამ დილით.


ავერ, გაშლილი ნაძვი ტოტებით, ფრთხილად, პო ფრთხილად მებუტბუტება. ხან ამ ნაძვის ტოტს ჩაეხუტები. ხან მისი ტოტი ჩამეხუტება.

ერთად ვიგონებთ ვუშინდელ ბრძოლას და გულის ნაღებს ვანდობ მე ამ ხეს. თან უცნაური ამიტანს თრთოლვა და ნაძვსაც, ნაძვსაც, თრთოლვა. შეარჩევს.

მასაც აჩნია მტრის ნატყვიარი, დაუბლუჩია ტოტები ტყვისა. კენესაღ ქვეული ნაძვის შრიალი, მე კი ეს კენესა არ შემიტყვიო...

შურისძიებით სავსეა გული, სანამ გაეღვენით მტერს სატიალეს. ტყე არის ჩვენთან მძაღლფეციული და უტყუარი მემართანე.

პირველი სტროფის პირველ სტრიქონში მუხა რომ ჩაეწერე, ცოტა არ იყოს, სინდისმა შემაწუხა. რა ხანია ამ ტყეში დაეწინწალებ და ჯერ აქ მუხა არ შემხვედრია, მაგრამ მუხის შერთმვა „წუხილთან“ ისე მომეწონა, რომ ამაზე



თვალეზი დავხუჭე. ბოლოს და ბოლოს, ტყე ტყეა და ვინ დავუკვდებო იმაში, რომ ამ უღრან, უსიერ ტყეებში მუხაც ხარობდეს, ნაძვიც, ფიჭვიც და არყის ხეც. ეს უტყუარ საბუთად მივიჩნიე და გული დავიმშვიდე, მაგრამ ტყეში რომ დავდიოდე, თვალებს სულ აქეთ-იქეთ ვაკვირებდი, იქნებ ერთი მუხა მაინც დავინახო-მეთქი.

რაოდენ დიდი იყო ჩემი სიხარული, როცა გვიან ზაფხულში ორდღიშვიის ტბასთან მუხების მთელი ოცეული აღმოვაჩინე. ისე გამიხარდა მათი დანახვა, თითქოს აჯამეთის ან საღორიის ტყეში ვყოფილიყავი. თვითუღს ცალკე მოვეფერე, მუცელზე ხელი მიეუტყაპუნე. ბიჭებმა ჩემი საქციელი თავისებურად გაიგეს, მე კი სიხარულით ფეხზე აღარ ვიდგეკი. ამიერიდან ჩემი სინდისის წინაშე მართალი ვიყავი.

ისე, ამ დაბურულ ტყეში ფოთლოვან ხეებს მართლაც იშვიათად შეხვდებით, თითქმის სულ ნაძვები და ფიჭვები და ეს ერთფეროვანს ხდის თავისთავად მაინც ლამაზ და დიდებულ ტყეს. ხანდახან მაღალ ნაძვებსა და ფიჭვებს შორის არყისხეც გამოჩნდება, თავისი ლამაზი ტანით. თითქოს ზღვის პირას პლაჟზე ათას მამაკაცს შორის ერთადერთი ტიტველი ქალი იდგეს.

ნაძვის ძირას ჩავეჭეკი, ზურგით ხეს მივეყრდენი და ჩავეწერე: „დღეს 1941 წლის 18 დეკემბერს იატაკქვეშა ორგანიზაციის ერთერთმა ხელმძღვანელმა ლეონ თედორესძე ცურანამ სამწუხარო ამბავი მოგვიტანა, გერმანელებს დაუხვრეტიათ პავლე შოროპი, ჩვენი ამხანაგი, სოფელ ბუღის ბურგომისტრი. სოფელ ბუღაში ყოფნისას, სადაც დავალებით ვიყავი შეგზავნილი. მან გამაძლებინა და გადამარჩინა. თვითონ შოროპიც ორგანიზაციის დავალებით მუშაობდა ბურგომისტრად“.

მიწურში რომ დავბრუნდი, ლეონი სულ სხვა ამბებს უყვებოდა ბიჭებს, რემოს რაზმში რადიომიმღები ჰქონდათ და, თუ რა მდგომარეობა იყო ამჟამად

ფრონტებზე, ყველას აინტერესებდა. ლეონს შეკითხვებს აყრიდნენ, კიდევ რა მოისმინეთო, არაფერი ვაპოვებო, თუ დაიძალეთ, შეისვენეთ და მეტე მოგვიყვითო.

პავლე შოროპი უკვე დაიწყობოდათ, მასზე მეტი სიტყვა იქ აღარ თქმულა.

ივანიჩი ლეონის გვერდით იჯდა და დროდადრო ოხრავდა. სათქმელი და მოსაყოლი რომ დაველია, ლეონმა წასვლა დააპირა, მაგრამ სიტყვა თუთუნზე ჩამოვარდა და ისიც ცოტახნით დარჩა.

— კარგია ახლა გაზეთის ნახევში ზორბად შეხვეული მახორკა, — ისე თქვა ვალოდია კორპუშევმა, გეგონებოდათ შემწვარ გოჭს ნატრულობსო.

— თუ ნატრიაა, უკეთესი რამე მაინც ინატრე, შე ოხერო. — უთხრა ვალოდიას ალიონა ტარანენკომ.

— მაინც რა? წაქის ფაფა თუ მოხრკული ღორის ქონი? შენ რა გესმის?

— ღორის ქონს ასე უბრალოდ ნუ ახსენებ. თუმცა მე პირადად ერთ გაწყობა მახორკაში ღორის ქონის ნაჭერს კი არა, მაკე ღორს მიეცემდი. — ლიზუნოვის ამ ხუმრობაზე არაყის გასცინებია. ლეონმა ჯიბიდან ქისა ამოიღო. კრეზიენსკის ქისის დანახვაზე თვალეზი მუშტისოდენა დაუხდა. ჯიბიდან გაზეთის ნახევი ამოაძრო და ლეონს მიუშვირა.

ლეონმა ქისა იმ ნახევზე დაუფერთხა. კრეზიენსკიმ თუთუნე შეახვია, ნახევებს ენა გაუგვა და იმ წამსვე ლიზუნოვმა კვეს-აბედი მიაშველა. მხოლოდ ერთხელ გაკრა და მოუკიდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მეთაურს რამდენიმე ნაფაზი მისთვისაც უნდა დაეტოვებინა.

ივან ივანიჩმა სამი ნაფაზით პაპიროსი შუამღე დაიყვანა, შვებით ამოისუნთქა და დარჩენილი მიშას გადასცა. ჩვენ ნერწყვი ჩავეყლაპეთ, მაგრამ მიშამ ინამუსა, მხოლოდ ერთხელ მოქაჩა და გადმოიმხედა. ვეცადე სულწასულობა არ გამომეჩინა, ყველანი მე მომჩერებოდნენ და მინდოდა რამენაირად შემეკავე-

ბინა თავი, მაგრამ თუთუნის სუნმა ისე შემიღიტინა ცხვირში, ტანში ჟრუნ-ტელმა დამიარა, შემეშინდა სხვას არ გადასცეს-მეთქი და მიშას ხელებში ვეცი.

ეურანის გარდა თითო ნაფაზი ყველამ დაეარტყით. ეურანი გვიცქეროდა და იღიმებოდა, მერე თქვა:

— ბოგუშევსკში ერთი საწყობია, შიგ გროდნოს თუთუნიც აქვთ, ვეცდები ყველაფერი დავაზუსტო და საწყობთან მისასვლელი გეგმა გამოგიგზავნოთ.

ერთბაშად აეხმაურდით და აეყაყანდით. ზოგი სთხოვს ლეონს, ზოგი ემუდარება, რაც შეიძლება დააჩქარეო, ხეალ თუ არა ზეგ მაინც შეგვატყობინე ამბავი და მერე ჩვენ ვიცოდეთო. ისე იხვეწებიან, თითქოს ის საწყობი სადმე ტყის მეორე მხარეს ყოფილიყოს.

...ეურანის გამოგზავნილი შეკავშირე მართლაც მესამე დღეს გამოცხადდა და, სხვა საჭირო ცნობებთან ერთად, შეპირებული გეგმაც მოგვიტანა. რვეულის ფურცელზე ნათლად და გასაგებად იყო დახაზული, საგუშაგოები, საწყობთან მისასვლელი გზა, პოლიციელის ბინა, რომელსაც საწყობი ებარა და სხვა მრავალი წვრილმანი.

შეგველიანდით. მეთაურს მე თვითონ ეთხოვე, ამ ოპერაციის ჩატარება მხვერავეებს მიანდე-მეთქი. მაშინვე დამეთანხმა. სხვა დროს კრეზიფინსკი ჩვე-

ულებრივ მშვიდად და ატრქარებლად ასწონ-დასწონიდა ყოველგვან ვასალ ბოიკოსაც შეუთანხმებდა, მაგრამ ახლა ყველაფერზე თანახმა ვახდა, თავად გვაჩქარებდა, ეშინოდა ბოიკოს არ გავგო და ოპერაცია არ აეკრძალა.

ვალოდია და მიშა სოფელში გაეგზავნე. ორი ზეწარი მაინც უნდა ეშოვნათ. ჩვენ ხომ შესანიღბავი ხალათები არ გავგაჩნდა. უამისოდ ასეთ ზამთარში ოპერაციაზე წასვლა უგუნურება იქნებოდა.

მიშა და ვალოდია იმ ღამესვე დაბრუნდნენ და თითქმის დაფლეთილი სამი ზეწარი მოიტანეს. მათი დაბეგვა არ გავგვირვებია. ექვსკაციან ჯგუფში სულ თუთუნის მწველები მიწოდდა შემეყვანა, ალიოშა ტარანენკოს ეტოვებდი, მაგრამ თავი კინალამ მოიკლა სადაც თქვენ, იქ მეცო. რა უნდა მექნა!

ოპერაციაზე წასვლამდე ვცდილობდი ბრიგადის მეთაურს მაინც და მაინც თვალში არ შევჩეხებოდი. კრეზიფინსკი მთხოვა ბოიკოსთვის ბოგუშევსკში წასვლა არ გამემზილა და, რა თავი მტკიოდა, ჩემთვის კრეზიფინსკის ბრძანებაც კმაროდა. ასე იყო თუ ისე, დეკემბრის ერთ ყინვიან ღამით მე, მიშა ლიზუნოვი, ვალოდია კორპუშევი, კოლია ბორინი, ალიოშა ტარანენკო და ვასო თორაძე, ზეწრებით „შენიღბულნი“ გზას გავუდღეჭით.

ქ უ თ ა ი ს ს

სიტყვა გულისა, შენი სადარი,  
დღემდე ვერ გითხარ, ამაღ ელონდები,  
კოლხეთის ბურჯი, ბაირახტარი,  
ფიქრში მიზიხარ და მაგონდები.

ქალაქთა შორის ხარ უძველესი,  
შენც თბილისივით ბევრჯერ გვემულო,  
გამოწრთობილო ცეცხლის დღეებში,  
ბევრჯერ ნანგრევო, კვლავ აგებულო!

გამკობს ბაგრატის ნებით ნაშენი  
ტაძარი დიდი და დიდებული,  
მტრებთან ბრძოლებში გმირობა შენი  
არს უკვდავებით გაბრწყინებული.

გმირული სული დღესაც გამშვენებს,  
არ დასტყობია შენს მკვას დაღლა,  
ძველ განძს იცავ და ახალს აშენებ,  
ძმობის ალაში გიჭირავს მალა.

შენი მშვენება სიამეს მაქსოვს  
გულში და იმ დროს ვიგონებ თრთოლვით,  
როცა პირველად გეწვიე, მასსოვს,  
იდგა სამთარი ყინვით და თოვლით,

გეწვიე მოყმე, გაუხარელი,  
ვისაც წამება სიყრმითვე მდევდა,  
მსურდა მეპოვა შენში მფარველი,  
ჩემი სამშობლოს მეორე დედაე!

და არც მოვტყუედი ჩემს გულისთქმაში,  
მიმიღე ძმურად ტლუ და ეული,  
ვიგრძენი შეება მე შენს წიაღში,  
დედური სითბო მზით მოფრქვეული.

ვიგონებ შენი ბალის სამზახებს  
და იმ წუთებით ვარ ბედნიერი,  
როცა პირველად შენს ბაღში ვნახე  
დიდი აკაკი, მეფურ იერით.

ეს იყო მეტად საზარი წელი,  
ომით შობილი საშინელების,  
როცა მეფობდა ირგელივ, შაგბნელი,  
ძალა ჯალათი, ჩაგრულ ერების,

ო, ქუთაისო, რა დამავიწყებს  
მე შენში განვლილ მღელვარე დღეებს,  
როს რისხვის ქართა გრიალი იწყებს,  
დასცეს თავზარი მტარვალთ ბუდეებს!

ბრძოლის ხმამ შესძრა ცა მეწამული,  
გამარჯვების მზემ იელვა როცა,  
განთავისუფლდა ჩემი მამული  
და აფრიალდა წითელი დროშა!

ისმოდა რისხვა მებრძოლთა ხმაში,  
ნადგურდებოდა მჩაგვრელთ ქვეყანა,  
ო, რა სიამე ვიგრძენი მაშინ  
დამავიწყდება ოდესმე განა?

მას შემდეგ ბევრი გავიდა ჟამი,  
გული სიბერის ნისლით აივსო,  
მაინც თან დამდევს ო, ქუთაისო,  
შენი ზღაპრული ზეცის კამკამი!

შენი აისის თვალი ცინცხალი,  
სამარადისოდ დაუვიწყარი,  
უნარნარევი ბუნება შენი,  
ო, დაილოცოს მისი გამწენი!

მარად „სავარდო და სამაისო“,  
რა მომზიბულელი ხარ, ქუთაისო!

## პრიადესო, უბრწყინებელსო!



რა სიმუშეა, ჩიტიც არ ფრინავს,  
 ზღვას არ აღელვებს ქარი გამჭოლი.  
 მთვარემ ნათელის ბადე გაფინა,  
 აალივლივა ზვირთები ბროლის!

ზღვა დუმს, ნელინელ ზვირთს აელვარებს,  
 ნაბირს ფურქვევა ქაფი-ჩქაფანი,  
 რა შეედრება ამ სინარნარეს,  
 მშებო, სამოთხე, სწორედ აქ არის!

ზღაპრულ სიტურფის თვალმარგალიტო,  
 ო, ლურჯო ზღვაო და მთვარის ეშხო,  
 სულის და გულის სიამევე დიდო,  
 უდიადესო, უბრწყინვალესო!

## თუ არ გავლევს სიბაბთლის გზა

ეკ, რა გამოლევს მგოსნის გულში ჯადოსნურ ქანგებს,  
 თუ გული მისი დიადია და სხივოსანი?  
 ჭეშმარიტ მგოსანს მღერის ენი მარადის ანთებს,  
 უსაზღვრო შვებას სიმღერებში კპოებს მგოსანი!

მგოსნისთვის მიწა და ცის სივრცე ლავეარდოსანი,  
 უნეტარესი საუნჯეა, ქანგთა მშობელი,  
 მგოსანს აღელვებს ჭირვარამი საწუთროსანი,  
 მის გულში ღვივის ბრძოლის ალი ჩაუქრობელი!

მგოსანის გული სარკე არის დღეთა დინების,  
 შიგ გამოსჭვივის მშობელ ქვეყნის კარგი და ავი.  
 ერის გმირობის, თუ სიცოცხლის აღორძინების,  
 მოჭირნახულე არის იგი და გამკითხავი.

არ შეუძლია მგოსანს გულქვა მოწამე დარჩეს  
 იქ, სადაც ერის იჭედება აწმყო, მყოზადი.  
 შერცხვენილ ყოფნას იგი ბრძოლით დაღუპვას არჩევს,  
 თუ გრძნობა ანთებს და მკერდს უცემს გული ფოლადის.

მაგრამ ნამდვილი მგოსანია, ვინც კი წერს ლექსებს,  
 განა ყალბ გულში დაიბუდებს ზეცის განგება?  
 რა მგოსანია, ვინც ზეციურ ცაცხლს ვერ აკვესებს  
 მოძმეთა გულში, მზის ტრფიალით არ იდაგება?



ჯობს გასკდევ გულო, შევიწიზლოს შენმა თაობამ,  
თუ შენს სიმღერას შევპარა სიყალბის სენი!  
გწამდეს, შენს სახელს დაერქმევა არარაობა,  
თუ არ გამღერებს სიმართლის მზე, ნათლის მომღენი!

### ჩემო ლუხინს გმიკვებს

პეი, ვაჟაკანო, უდრეკელნო  
გმირობა თქვენი  
სისხლი, დაღვრილი, ჯალათებთან  
ბრძოლებში, წინად,  
ვულკანად იქცა, უდაბური  
ცა გააბრწყინა,  
და მონობის ტასტს შეუნგრია  
დამპალი ბჭენი!


სიმართლისათვის წამებულნო,  
ქვედა თქვენს სმაში  
რისხვა წალხისა, ვით ზღვის გრგვინვა  
და ქრუანტელი.  
უძლველეობის, გამარჯვების  
რწმენა ნათელი,  
წინ მიგაფრენდათ ვით ფრთამალი,  
უდრეკი რაში!

### ჩემო ღვესაპო!

ჩემი სიცოცხლე მუდამ არის ჭიდილი ქართან,  
ისევ ქარს ვებრძვი, ვაკლახად არ ვემორჩილები.  
ყოფნის დღეები ჭკვიანურად რომ წარმემართა —  
მეყოლებოდა დღეს შეილები, შეილიშვილები.

აქ ჩემი სული სიმძიმით ნიადაგ თრთოდა,  
მაგრამ მაინც მზეს შეხაროდა ჩემი იერი.  
ჩემი დროც მოვა და რის გავალ ამ საწუთროდან,  
ვერ დანიტირებს ჩემი ღვიძლი და ნაშიერი.

ჩემო ღვესებო, ყოველივე თქვენ განცვალეთ,  
მე ახლაც უძღლებ თქვენს ქრუანტელს, მუხის დაცემას,  
მტანჯეთ, მაწვალეთ, მაგრამ მაინც თქვენ არ გამცვალეთ  
თქვენვე მარგუნეთ სიხარული და აღტაცება!



11.608



## დასაფლავება

### მ ო თ ხ რ ო ბ ა

ყოველი უცხო ადამიანის სიკვდილი საკუთარ სიკვდილთან გვაახლოებს.

ოთხშაბათს, ღამის თერთმეტ საათზე ხანშიშესული ქალი გარდაიცვალა...

მისი გარდაცვალება გარშემომყოფებისათვის მოულოდნელი არ ყოფილა. გარდაცვალებამდე დიდხანს ავადმყოფობდა. გაწამებული იყო, იტანჯებოდა თვითონაც და ბევრ საზრუნავს უჩენდა ახლობლებსაც. ავადმყოფობის სიკვდილს რამდენიმე კვირას ელოდებოდნენ. მართალია მისთვის ავი არავის უნდოდა, მაგრამ როცა ყველაფერი დასრულდა, შევებით ამოისუნთქეს.

შევებით ამოისუნთქეს იმიტომ, რომ გადარჩენის არავითარი იმედი არ იყო, ავადმყოფი არ განიკურნებოდა და ექიმები მხოლოდ ახანგრძლივებდნენ გარდაღუვალის დადგომას, მხოლოდ ამუხრუჭებდნენ ქალის ორგანიზმში დიდინის წინ დაწყებულ უხილავ, თანდათან მზარდ პროცესს, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ კვდებოდა ერთი უჭრედი, გვარდებოდა და სახეს იცვლიდა სხვები და ამგვარად ირღვეოდა ორგანიული წონასწორობა იმ მილიონი ნაწილაკებისა, რომელთა დროებითი ერთიანობა განსაზღვრულ ურთიერთობაში ცოცხალ ორგანიზმის ფიზიკურ არსებობას განაპირობებს.

ამგვარად ირღვეოდა ორგანიული წონასწორობა იმ მილიონი ნაწილაკებისა, რომელთა დროებითი ერთიანობა განსაზღვრულ ურთიერთობაში ცოცხალ ორგანიზმის ფიზიკურ არსებობას განაპირობებს.

როცა ქალმა დაასრულა თავისი არსებობა, ყველამ, ვინც კი მის გარშემო ტრიალებდა, იგრძნო უჩვეულო, თუმცა, ბოლომდე შეუცნობელი აღმავლობა, საქმიანობის დიდი სურვილი, რომ, რაც შეიძლებოდა ჩქარა, უკეთ და ღირსეულად განთავისუფლებულაყვენენ უკანასკნელი მოვალეობისაგან, იმ ქალის მიმართ, რომელიც რამდენიმე წუთის წინ მათთან ერთად სუნთქავდა, ჯერ კიდევ ფიქრობდა, გრძნობდა, რაღაცას და შესაძლებელია რაღაცის იმედიც კი ჰქონდა.

სერიოზული და ყურადღებიანი ახლობლები, რომლებიც კეთილი ტრადიციების მომხრეები იყვნენ, მაშინვე თადარიგს შეუდგნენ დაკრძალვასთან დაკავშირებულ ფუნქციური ცოცხლებისათვის საჭირო და სასარგებლო საქმიანობაა. ყველაფერი ის, რაც კეთდება იმ წამიდან, როცა ადამიანი სული დალია, იმ წამამდე, როცა მის საფლავს უკანასკნელი ბეჭედი მიწა მიიყარეს, წარმოადგენს ადამიანების საფუძვლებრივი სიბრძნის ნაყოფს, ეს ახლობლებს საშუა-

ლებას აძლევს, სწორედ იმ მიმე დღე-  
ეშში, როცა ჭრილობა ახალია და გუ-  
ლიც სისხლიდან იცლება, რაღაც სხვა  
საქმეებით გაერთონ და თუნდაც დროე-  
ბით მწუხარება შეიშინებულან.

ყოველი მხრით აფრინეს დებეშე-  
ბი, — მრავალრიცხოვან ნათესავებ-  
სა და მეგობრებს მომხდარი უბედურე-  
ბის შესახებ აუწყეს. გულშემატყეარი  
მეზობლის ქალები მოვიდნენ, რათა  
ჭირისუფალს მკვდრის დახანასა და  
ჩაცმამი დახმარებოდნენ. — სამგლოვი-  
არო კაბების შეკერვასაც შეუდგნენ.  
მიცვალბულისთვის უკვე არავითარი  
მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ცოცხლე-  
ბისთვის ჰქონდა მნიშვნელობა.

დილისათვის დებეშეში ადგილზე  
იყო და ადგილობრივმა საქმის მოყვა-  
რულმა დამტარებლებმა მაშინვე ჩა-  
მოარიგეს, აღრესატებმა წაიკითხეს და  
სასწრაფოდ შეატყობინეს მათ, ვისთვის-  
საც ამის ცოდნა საჭირო იყო.

ქალაქში, სადაც ქალი გარდაიცვალა,  
ათობით ადამიანი ეშხადებოდა გვამის  
დაკრძალვისათვის. სხვა ქალაქებსა და  
სოფლებში წყვეტდნენ არანაკლებ მნი-  
შვნელოვან საკითხს იმის გამო, თუ ვინ  
და როდის, რომელი მატარებლით ან  
ავტობუსით გაემგზავრებოდა დაკრძალ-  
ვაზე.

დაკრძალვის დღეს დილიდან დაიწყო  
ახლობლების ჩამოსვლა.

ბევრი მათგანი ერთი მატარებლით ჩა-  
მოვიდა, მაგრამ ერთმანეთს მხოლოდ  
ჩამოსვლისას შეხვდნენ.

მოულოდნელი შეხვედრით გამოწ-  
ვეულ სიხარულს ხმამაღლა გამოხატა-  
დნენ და თავაზიანად უკანტურებდნენ  
ერთმანეთს თავებს.

შეხვედრა მოულოდნელი იყო იმი-  
ტომ, რომ ჩვეულებრივ დროსა და  
ჩვეულებრივ პირობებში ეს ადამიანები  
არასოდეს სტუმრობდნენ ერთმანეთს  
და ერთმანეთიც ცუდად ახსოვდათ.

ყველამ ერთი ადამიანის გარშემო  
მოიყარა თავი. ეს იყო ხმელ-ხმელი,  
არც თუ მაღალი მოხუცი პენსიონე-  
რი, რომელიც ოჯახური ტრადიციე-

ბის მფარველად იყო აღიარებული, გვა-  
რის ერთგული ისტორიკოსი და მკვლევარი,  
მკაცრი კანონებისა და წესების მფარველი  
ბის კაცი იყო.

ჩვეულებრივ დროს იგი არავის არ  
ახსოვდა, რადგან საზოგადოებაში არა-  
სოდეს მაღალი ადგილი არ ეჭირა და  
არც შეძლებული ადამიანი გახლდათ.  
როგორც კი საქმე ოჯახურ ზემოებზე  
მიდგებოდა, ამ კაცს მხოლოდ მაშინ გა-  
იხსენებდნენ. ჭირისა და ლხინის სუფ-  
რაზე მისი შემცველი არავინ იყო. და  
აი, გამოცხადდა იგი, სიტყვათწმინდა, თა-  
ვანთან და მკაცრი, მართალია, მგზავ-  
რობა მისთვის ზედმეტად სამძიმო იყო.  
წამითაც არ დაფიქრებულა ჩამოსული-  
ყო ისეთი ქალის დასაფლავებაზე, რო-  
მელიც სიცოცხლეში რამდენჯერმე ენა-  
ხა და რომლისთვისაც სულ ორი-სამი  
ფრაზა თუ ჰქონდა ნათქვამი.

მის გარდა იქ იყო მაღალი, ბრვე, მსხვი-  
ლი კაცი. ორმოცდაათი წლის იქნებო-  
და, მდიდრულად, მაგრამ უგემოვნოდ  
ჩაცმული, ხშირი, ძლიერი შეჭალა-  
რავებული თმა და მაძლარი, უსიცოცხ-  
ლო, ლაქაქა სახე ჰქონდა.

თავისი ოჯახიდან მხოლოდ მან მია-  
ღწია მნიშვნელოვან გარეგნულ წარმა-  
ტებებს, საკმაოდ მაღალ თანამდებობა-  
ზე მუშაობდა, ჰქონდა დიდი, სხვადა-  
სხვა ძვირფასი ნივთებით უთავბოლოდ  
გაწყობილი ბინა. პრიალა საწოლებით,  
მაგილებით და კარადეებით; უზარმაზარი  
წიგნის კარადა იმ ოთახში ედგა, რომე-  
ლიც სასაღილოდ იყო წოდებული; შუ-  
შის მიღმა გაუთავებელ მწკრივებად ეწ-  
ყო მწერლების რჩეულ თხზულებათა  
კრებულები, რომლებსაც იგი ხელმო-  
წერით იღებდა და არც თვითონ და არც  
ოჯახის რომელიმე წევრი არ კითხუ-  
ლობდა.

ამ კაცმა განსვენებულის მხოლოდ სა-  
ხელი იცოდა, თვალითაც არასოდეს  
უნახავს. ერთხელ, დიდი ხნის წინ, რო-  
დესაც განსვენებულს მისი დახმარება  
სჭირდებოდა და შეეძლო კიდევ დახმა-  
რებოდა, თუმცა სხვისთვისაც და მის-

თვისაც ეს დახმარება შემაწუხებელი იყო, მან არ გაუწია სამსახური.

ეს ადამიანი, რომელიც მატერიალურად უზრუნველყოფილი და ფიზიკურად ჯანმრთელი იყო, ძალიან მოწყვნილად გრძნობდა თავს და ყოველგვარი მივლინების, სამსახუროებრივი დავალების მოგონება უყვარდა, დადიოდა აგარაკებზე, მკურნალობდა არასრულულ ავადმყოფობებს, რაშიც, სხვათაშორის, თვითონაც დარწმუნებული იყო.

დასაფლავებებზე დასწრება უხაროდა, — ორი-სამი დღით გაურბოდა გულისამრევ სამსახურებრივ მოვალეობებს, ოჯახურ ვალდებულებებს, რომ დაესვენა თავისი არც თუ ისე ახალგაზრდა, უღამაზო, ავადმყოფი ფეთხუმი ცოლისაგან, რომელიც მან ოდესღაც დიდი სიყვარულის გამო შეირთო. მაშინ ქალი ახალგაზრდა, მომხიბლავი და ჯანმრთელი იყო, დამყოლი ხასიათიც ჰქონდა, ხოლო ზოგიერთი დაუდევრობა უხედებოდა კიდევ, როგორღაც ავსებდა ამ ნაზ და მხიარულ არსებას.

აქ იყო აგრეთვე ერთი მსუქანი, დონდლო მამაკაცი; იგი ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა, ძვირფასი, მაგრამ გაცვეთილი კოსტუმში ეცვა, კეთილი, ეშმაკური გამოხედვა ჰქონდა, გაუპარსავი იყო და საკუთარ კოსტუმზე უფრო მეტად დაჰმუჭვნილი სახე ჰქონდა. იგი მიცვალებულის ყვავიჩხვიკის მამიდა იყო. მიცვალებულს არც იცნობდა, არც ის იცოდა, ვინ იყვნენ მიცვალებულის ნათესავები. ეს იყო საკმაოდ განათლებული არცთუ სულელი ადამიანი, მაგრამ თავში რაღაცა აკლდა, ლაქლაქი უყვარდა და ლოთობდა, გზიდან დიდიხანია აცდენილი იყო. აურაცხელ თავსატეხს ურჩენდა თავის ახლობლებს. იგი აქ სადღაც, ახლოს თავის საქმეებზე იმყოფებოდა. ამ საქმის თავი და ბოლო კი ის იყო, რომ როგორმე ფული ეშოვნა და ხელახლა დაეწყო მორიგი ლოთობა. ამ დროს ყური მოჰკრა, ესა და ეს ქალი გარდაიცვალაო, გაახსენდა ნათესავად რომ ეკუთვნოდა, დასაფლავება-

ზე მოძუნძულდა, იმ იმედით, აქ ერთი გემოზე კიდევ დაეღევ და განმოქცობოდა.

ჩამოვიდა ახალგაზრდა მსახიობი ქალი, ძალიან ლამაზი და, როგორც ამბობდნენ, ძალიან ნიჭიერი. იგი მიცვალებულის ახლო ნათესავი იყო, მაგრამ იშვიათად ნახულობდნენ ერთმანეთს, განაწყენებულიც კი იყო მიცვალებულის ოჯახზე. მსახიობ ქალს ნამდვილად ეწყინა ქალის სიკვდილი და როგორც კი მისი გარდაცვალება შეიტყო, გამგზავრება გადასწყვიტა.

ამ ქალს ტირილი უყვარდა და შეეძლო კიდევ.

მსახიობი არამარტო პროფესიით, მოწოდებითაც შთამბეჭდავი და ემოციური ბუნებისა იყო. იგი გარეგან შთაბეჭდილებებს თითქოს მშრალი ღრუბელივით ისრუტავდა, უნარი შესწევდა ხელოვნურად შექმნილი განწყობილება სხვისთვის გადაედო და, ამგვარად, შეიძლება ითქვას, იგი გულწრფელი იყო. თავისი არაგულწრფელობით.

აქ იყო კიდევ ერთი კეთილი სახის, მოხუცი ქალბატონი, არც თუ ისე ახლობელი, მაგრამ ნამდვილად ნათესავი მიცვალებულისა. იგი ხელმოშვირნი, გულწათხრობილი და მგრძნობიარე იყო, უყვარდა ნაცნობების ოჯახურ საქმეებზე ლაპარაკი, თვალთ ზომავდა მათ მატერიალურ მდგომარეობას, იცოდა ვის რამდენი ვალი ჰქონდა, ან რა ნაკლი გააჩნდა. იგი გულმოდგინედ ესწრებოდა ყველა დასაფლავებას და ტიროდა, საერთო მწუხარებას იზიარებდა და თვითონვე სჯეროდა, რომ ეცოდებოდა ის, ვისაც დასტიროდა.

აქვე იყო ორმოცდაათი წლის, გამხდარი, ღვარძლიანი შესახედობის, წვერმოშვებული მამაკაცი, რომელმაც ისარგებლა შემთხვევით და, როგორც კი ქალის გარდაცვალების ამბავი შეიტყო, იმ დღიდან წვერი მოუშვა.

მას მწუხარება და ცრემლის ღვრა ერთგვარ სიამოვნებას ჰკვრიდა, თითქოს ირგვლივ მყოფთ ეუბნებოდა: „ჰო, მოკვდა, კარგადაც ქნა! თქვენც მოკვდე-

ბით. ყველა მოკვდება ხოდა, ძალიან კარგიც!

მისგან სრულიად განსხვავდებოდა ერთი ახალგაზრდა, ელვგანტურად ჩაცმული, ლოყებულადაა, საშუალო ტანის მამაკაცი, რომელიც გარდაცვლილის ახლო ნათესავი იყო, თუმცა მას მხოლოდ ერთხელ ენახა სიცოცხლეში, არც ავადმყოფობის დროს მიუჩნევია საჭიროდ მისი ნახვა, თუმცა საშუალება კი ჰქონდა და იცოდა კიდევ: ქალს განუტურნელი სენი სჭირდა.

ოგი მეცნიერ-მუშაკი გახლდათ — ფილოლოგი და ლიტერატურის ისტორიკოსი, სწორედ იმეამად ერთ პატარა, საინტერესო მეცნიერულ შრომას წერდა, რომელსაც დიდი ინტერესით ელოდებოდა ყველა, ვინც კი ეს იცოდა.

ეს იყო ესთეტი და შთაბეჭდილებათა კოლექტიონერი, რომელიც რაღაცნაირი სპორტული ახარტით, თუმცა გარეგნულად თავდაპირველად, ცდილობდა, რაც ხელმისაწვდომი იყო, ყველაფერი ენახა და განეცადა.

ამ კაცს მიაჩნდა, რომ ყოველგვარ პირობითობაზე მაღლა იდგა, მაგრამ ამავე დროს, მიზანშეწონილად ჩასთვალა „უკანასკნელი ვალი მოეხადა“ (სწორედ ეს სიტყვები თქვა მან). გარდაცვლილის წინაშე და თავშეკავებულ, ნაღვლიან სახეს ინარჩუნებდა. ნათესავებიდან იგი იყო ერთადერთი კაცი, პენსიონერის გარდა, რომელსაც მარცხენა ხელზე სამგლოვიარო ბაბთა შეეხნია, რადგან ეგონა, აუცილებელი იყო ამ ფორმალობის დაცვა.

რამდენიმე ხანს შეიცადეს, მოკლე მგზავრობის შესახებ შთაბეჭდილებები ერთმანეთს გაუზიარეს და, როცა დაწვრილებით შეიტყვეს გარდაცვლილის უკანასკნელი დღეების ამბავი, გზას გაუღდნენ.

გაზაფხულის წვიმას ახლახან გადაედო და ისედაც სუფთა და კოპწია ქალაქი უფრო სუფთა მოსჩანდა, ასფალტი ისე პრიალებდა, თითქოს ქონწამული იყო, ქვაფენილის პირას პატარა,

ნსიარული ნაკადულები ეღვრებოდა.

კვირა დილა იდგა, არავინ ადრე ადგომაზე არ ფიქრობდა და ქუჩაში გამვლელებიც ცოტა იყო. ვინც ქუჩაში შემოხვდებოდათ, რამდენადმე მოწყალებულად გამოხედვდა ჰქონდათ, ისეთი გამოხედვა, როგორსაც იღებენ ქალაქის მაცხოვრებლები, როცა მათ ვინმე გვერდით ჩაუვლის. მათი თვალები თითქოს გუბუნება — ჩვენ მზად ვართ დაგვხმართ, მაგრამ დიდხანს ნუ გავგაჩივრებთ. ჩვენ ჩვენი საქმეები გვაქვს და თქვენი გულისათვის ვერ მოვცდებით!

მიცვალეხულის სახლთან, ქვაფენილზე ჭკუფე-ჭკუფად იდგნენ ადამიანები, ჭიშკარში შედიოდნენ და გამოდიოდნენ, მეტწილად ქალები.

ჩამოსულები ეზოში შევიდნენ და კიბეებზე ასვლა დაიწყეს, ლაპარაკი შესწყვიტეს, ხოლო დერეფანში, რომლის კარები ღია იყო, მამაკაცებმა ქულები მოიხადეს. გარდაცვლილს ამ სახლში ერთი ოთახი ექონა, მაგრამ ამ ამბავთან დაკავშირებით სხვა ორი ოთახიც ბაზისიდან გაეთავისუფლებინათ. მოხუცმა პენსიონერმა მოიგონა, მრავალი წლის წინ, ამ ქალის ქორწილის დღეს, ამ ერთ ოთახში როგორ ვერ ეტეოდნენ და რატომ მაშინ აზრად არ მომივიდა, რომ ოთახები ეთხოვებინათ, ქორწილიც უკეთესად ჩატარდებოდა და მეც წითელი ღვინით საკუე ჭიქას არ გადავაპირქვავებდი მეზობლად მძღოში ქალის კაბაზეო.

ქალი კუბოში დაპატარავებული, თანაც დამშვიდებული სახით იწვა, ხოლო მელანივით შავი ჩრდილი, მკვეთრად გავლებული ხაზივით ჩაწოლილიყო სამუდამოდ დაბუქულ ქეთეთოებში. ცოცხალი ყვავილები ირგვლივ ნაღვლისმომგვრელ, მოტბო სურნელებას აფრქვევდნენ.

კუბოსთან ახლობლები და ნათესავები ისხდნენ, ქალები შავებში. კაცები მუქ კოსტუმებში, წვერმოშვებულები. თვალები დასწითლებოდათ — ზო-

გეორგის ცრემლებისაგან, ზოგს კი დაღლილობისაგან.

როცა შემოსულები დაინახეს, ქალები ხმაშლიდა ატირდნენ. შეიძლება ეს ცარიელ ფორმალბად მოგჩვენებოდათ, მაგრამ ასე როდი იყო. უბრალოდ, როცა ნათესაების დიდი ჯგუფი მოვიდა, ყოველ მათგანს ახალი მოგონებები, გრძნობები და აზრები გაუჩნდა, რადგან ასეთ დროს შეუძლებელია იფიქრო სხვა რაიმეზე, თუ არა გარდაცვლილზე.

მათ შეეხმინა ჩამოსული მსახიობი ქალი. როცა მსახიობი ქალი კუბოს დაემხო და მშვენიერი თმები გაიშალა, ისე გულწრფელად, ამაღლებულად და მხურვალედ ატირდა, რომ ფილოლოგმა უნებურად ინანა, რომ იმწყუთს აქ არ იმყოფებოდა მისი ნიჭიერი ახალგაზრდა მეგობარი მხატვარი, რომელიც ალბათ მომავალი სურათისათვის ჩანახატის გაკეთებას მოასწრებდა. მაგრამ იგი მაშინვე გონს მოეგო და თავიდან მოიცილა ფუჭი და უადგილო ფიქრები.

ვიღერ ქალები ტიროდნენ, მამაკაცები მდუმარე ხელისჩამორთმევით დაკმაყოფილდნენ და კედელთან მიდგნენ.

ფილოლოგი იდგა და ცდილობდა თვალყური ედევნებინა, დატირებისათვის, მაგრამ ქალების მოთქმა ყურადღებას ართმევდა. როცა ეინმე ახალი ადამიანი შემოდიოდა, გოდება და კივილი ძლიერდებოდა, და, როგორც ფილოლოგმა შენიშნა, ყოველ განსაზღვრულ დროს ზნე-ჩვეულებების ძირითად სიმძიმეს ერთი რომელიმე ქალთაგანი თაობდა. როცა მოტირალი ქალი იღლებოდა და ხმა უსუსტდებოდა, მეორე ქალი ენაცვლებოდა და ასე გრძელდებოდა დატირება.

მდგომარეობის ტრაგიკულობის მიუხედავად, ამ წეს-ჩვეულებაში იყო რაღაც არაბუნებრივი და თუმცა ამან პირველ წუთებში გამაღიზიანებელი შთაბეჭდილება მოახდინა ფილოლოგზე, მაგრამ გავიდა რამდენიმე ხანი და, მისდა სამწუხაროდ, აღმოაჩინა, რომ საუბროს განწყობილება მასაც გადაეღო.

აქ დაინახა ათასწლოვანი ტროფიკა, ხალხის უდრეკი სიამაფე, რომელმაც იცავდა თავის ხელშეუვალ უფლებებს, ეცოცხლათ და მომკვდარიყვნენ თავისებურად.

მაგრამ იმაში, რაც ხდებოდა, მანაც იყო რაღაც უცნაური, რაღაც დაუმთავრებელი, სიცარიელე, რომელიც შეუვსებელი რჩებოდა.

გამოსვენების დროც მოახლოვდა, ხალხმა უფრო იმატა. სახლის წინ, ქვაფენილზე და ტროტუარზე, უამრავი ხალხი იდგა. გვერდებჩამოხსნილი, შავხვერდშემოვლებული და რატომღაც წითლად გაწყობილი სატვიტო მანქანა უკვე მზად იდგა. სხვა მანქანა უკვე გვირგვინებით გაევსოთ. ხალხი ისევ და ისევ უწყვეტ ნაქადად მოედინებოდა, თავებს ხრიდნენ და კუბოს ჩაუვლიდნენ.

შემდეგ ხალხის ნაკადი შეთხვლდა, ბოლოს სულ შეწყდა. გადამწყვეტი წუთი დადგა.

მოხუცმა პენსიონერმა განკარგულება გასცა, ქალები და უცხო პირები ოთახიდან გაეიდნენო. კარები მკიდროდ იყო მიხურული და კუბოსთან ნდუმარედ რამდენიმე მამაკაცი დახრილიყო. ამ კაცებს უნდა გამოეტანათ სახლიდან კუბო და უკანასკნელ გზაზე გაცილებინათ.

მოხუცმა ნიშანი მისცა და ექვსმა წყვილმა ძლიერმა ხელმა ერთდროულად აიტაცა კუბო პაერში. კუბო ოთახში სამჭერ შემოატარეს და კარებს სამჭერ მიარტყეს. კარები გაიღო და ქალმა უკანასკნელად გადაუარა საკუთარი სახლის ზღურბლს.

და ფილოლოგმა კვლავ რაღაც დაუქმყოფილებლობის, რაღაც უსრულლობის გრძნობა განიცადა, რომელიც ხანდახან მცოდნე, მაგრამ უნიჭო მხატვარის ტილოს ნახვისას გუფლებათ, ტილოსთან, რომელზედაც ყველაფერი სწორადაა, მაგრამ რაღაც მთავარი, ის რაც სურათის სულად იწოდება — არაა.

პროცესია აუჩქარებელი ნაბიჯით და-

იმის, ისეთი ნაბიჯით როცა, ცოცხლებს სურთ აჩვენონ, რომ მათ სრულებითაც არ ეჩქარებათ ამ დამამძიმებელი და უსიამოვნო საქმის დასრულება.

მზრებზე დადგმული კუბო დიდებულად და აღუშფოთველად, ნავივით მიორინებდა ხალხის თავზე.

კუბოს ერთთავად შეივებში ჩაცმული ნათესავი ქალები მიყვებოდნენ, რომლებიც სხვა ქალებს ეპირათ ხელით. ნათესავი მამაკაცები და ოჯახის მეგობრები მათ უკან მიდიოდნენ.

აქ ყველაფერი დინჯი და დარბაისლური იყო. ჩურჩულით ყვებოდნენ ეპიზოდებს გარდაცვლილის ცხოვრებიდან, იგონებდნენ მის ნამდვილ და მოგონილ ღირსებებს, ასახელებდნენ და ხსნიდნენ მისი ავადმყოფობის სხვადასხვა მიზეზებს.

შემდეგ მოდიოდა ქრელი საზოგადოება და აქ უფრო ხმამაღლა უცხო თემაზე ბაასობდნენ. ზოგიერთი პაპიროსს ეწეოდა კიდევ.

ყველაზე ბოლოს მოდიოდნენ ისინი, რომლებიც გზიდან გადახვევასა და წასვლაზე ფიქრობდნენ.

ახალგაზრდილ საფლავთან კუბო სახელდახელოდ გაწყობილ ფიცრებზე დადგეს. მტანჯველი ღუმელი ჩამოვარდა, რომელშიც რაღაც არსებობითი არ ემართა, ისეთი რამ, რაც მიმდინარე ამბავს დამამშვიდებელ, შემარბევებელ აზრს მისცემდა.

ქალები გვერდზე გაიყვანეს და სახე-რავი დაჭედეს, შემდეგ თოკებით კუბო სამარეში ჩაუშვეს. ყველაფერი ეს აუცილებელი და გარდაუვალი რამ იყო, მაგრამ ამ საქმიანობაში იყო რაღაც დამამკირებელი.

ბოლოს ყველაფერი დასრულდა და ხალხმა დაშლა იწყა. ახლა უკვე შეიძლება აჩქარება და ყველანი ჩქარობდნენ.

ზოგი სახლში დაბრუნებას ჩქარობდა, ზოგიერთებს რაღაც საქმეები რჩებოდათ დაუმთავრებელი, ზოგიერთები კი გარდაცვლილის სახლისაკენ მიემარ-

თებოდნენ, სადაც ქელები უნდა დაეკრათ თულიყო.

როცა უკან ბრუნდებოდნენ, ფაბრიკის ახლოს ჩაიარეს, აქეთობისას კი ეს შენობა არავის არ შეუნიშნავს. ფაბრიკა ხმაურობდა და ღრჭიალებდა, ხოლო მიწები კრატერივით აფრქვევდნენ კვამლს, შესასვლელში ადამიანები გარბი-გამორბოდნენ.

სახლში, საიდანაც ორი საათის უკან ქალი გაასვენეს, უკვე ყველაფერი გადასხვაფერებულიყო. კედლის გასწვრივ გრძელი მაგიდები ჩაემწყრივებიათ. მაგიდაზე იდგა ყოველივე ის რაც ახლა უნდა ექამათ და დაეღიათ.

სტუმრებმა დასხდომა დაიწყეს და თუმცა ყველანი ცდილობდნენ ჩუმად ემოქმედათ, მაინც რიგიანი ხმაური იდგა, რადგან მოსულები ლაპარაკობდნენ ხმამაღლა და მხნედ, მოშიებულები გამოცოცხლებულიყვნენ იმის იმედით, რომ ამ შიმშილს ახლა დაიოკებდნენ.

მოხუცი-პენსიონერი, რომლის ირგვლივ პატარა ჯგუფს მოეყარა თავი, გულმოდგინე მსმენელებს უყვებოდა წარსულში როგორ ასაფლავებდნენ მიცვალებულს.

მსუქანი კაცი წყრომას გამოსთქვამდა, ჭირისუფალმა რატომ დაიგვიანათ, ურომლისოდაც ქამის დაწყება ეუბნებულეობოდა. ცალი თვლით კი გრაფინებს ათვალეებდა, სურდა ფერთა და გამჭირვალეებით ღვინის ხარისხი გაეგო.

ახალგაზრდა მსახიობ ქალს, ერთ-ერთ ოთახში სარკეზე შავი სამგლოვიარო ნაქერი ჩამოეხსნა და მშვენიერ თმებს ისწორებდა, პროფესიული ჩვევებით მან რამდენჯერმე მკვეთრად შეიცვალა სახის გამოშვებულება — მწუხარე სახე მხიარულით, მხიარული შეშინებულით, შეშინებული განცვიფრებულით. ეს ვარჯიში იყო, რომელსაც იგი, ერთი გამოცდილი რეჟისორის რჩევით უკანასკნელ დროს დღეში რამდენჯერმე იმეორებდა.

ახლა უკვე აღარავინ აღარ ტიროდა. მეზობლის პატარა ოთახში, რამდენიმე ქალით გარშემორტყმული ჩუმად

იჭდა გარდაცვლილის დედა — გამბდარი, წელში მოხრილი ქალი, რომელსაც მტაცებელი ფრინველის მკვეთრი პროფილი ჰქონდა, სანთლის ფერი გადაკვეროდა სახეზე, და შავი თვალები უკიაფებდა, რითაც შეიძლებოდა დაესკენათ, რაოდენ ლამაზი იყო ეს ქალი ოდესღაც. ეს თვალები, რომლებიც გარშემომყოფთ ვერ ამჩნევდა ერთ წერტილს იყო მიშტერებული.

მეორე ოთახში კი მეგობრის მკერდზე მიყრდნობილი, ობლად დარჩენილი გარდაცვლილის ქალიშვილი ტიროდა, იგი თავშეკავებულად და მღუმარედ იცრემლებოდა, რადგან კეშმარიტი ნადველი შეუძლებელია სიტყვებით გამო-

ხატო, დროდადრო ქალიშვილს ბაგეს მხოლოდ ერთი სიტყვა <sup>ერთადერთი</sup> სიტყვა „დედა“, მოწყდებოდა, ეს წმინდათაწმინდა სიტყვა.

ხოლო ძველ სასაფლაოზე, ყვითელ მიწაში, მიწის წვეენისაგან უკვე იელინებოდა მუხის ხის გამძლე ყუთი. ამ ყუთის დანიშნულება ის იყო, რომ რაც შეიძლება გაეხანგრძლივებია აუცილებელი პროცესი ბუნებრივ სამყოფელში დაბრუნებული მილიონობით განცალკევებული ნაწილაკებისა, რითაც უნდა დასრულებულიყო კიდევ ის გაუგებარი, მწარე და მტანჯველი ტკივილი, რომელსაც მდაბიურად ადამიანის ცხოვრება უწოდება.



## თეთრი ღვინო

სამამულო ომში დაღუპულ  
გ. ღუნღუას ხსოვნას

მე ვსედავ შენი ჩუმი საფლავი,  
როგორ თანდათან იწვევა დაბლა,  
მაგრამ დედაშენს მოაქვს ქვიშა  
შავი თავსაფრით  
და საფლავს ისევ უბრუნდება ძველი  
სიმაღლე.

ახლა აგვისტოს თვეა და არ წვიმს  
და გაგჩენია ნაპარალი მკერდზე,  
ახლა აგვისტოს თვეა და ნაძვი  
შენს სასთუმალთან უწვიმოდ ვერ ძლებს.

მზე უკანასკნელ სიმღერას მღერის,  
სოფელში ისევ დარდობენ შენზე,  
და მოლაღურებს სიცილი შენი,  
როგორც ვეწნები ჰკიდიათ ფრთებზე.

მოწყურებული მოდის ნახირი  
და მოაქვს სევდა გადამხმარ ველთა  
და დედას ესმის შენი ძახილი:  
„დედა, ჭიშკარი გამიღე, დედა!“

დამწიფებულან თეთრი ღვინოები,  
ღვინოებიც სახლობს მარადი სევდა.

## მოვიდა ღამე

მოვიდა ღამე,  
მხრებზე ფრთხილად დამადო ხელი  
და შუბლშეკრული მისმენდა დიდხანს,  
მე კი ვმღეროდი გადარჩენის ღამაზე  
სიმღერას  
და დაწყვეტამდე დაჭიმული იყო სიმები.

მოვიდა ღამე,  
უცნაური ფრთებით, სიჩუმით,  
მოვიდა ღამე,

და როგორც თასი ავსებული, შვეწოდა  
მთვარე,

ასე შემოდის სულში ნათება,  
ასე სიმწიფე ამშვენებს თაველს.

ასე მღერიან ძეწნები ქარში  
და ამ სიმღერას ჰქვიან სიკეთე,  
ღამე კი ისევ,  
ძველებურად ჩემს ახლოს დადის  
და არწივივით მალალ მთებში  
ბუდეს იკეთებს...

ადევნებია მთვარე თეთრ ქალებს  
 და მდინარეში ორეულს ეძებს,  
 ხან მთელი ღამე თოვლისფერ ალგებს  
 ავგაროზივით ჰკიდია ყელზე.

ხან დაფრინდება მოცისფრო ტბასთან  
 და, როგორც გედი, მოცურავს შენსკენ,  
 ხან მონასტერში შევა და ნათლავს

მკრთალი სინათლით ფერმიხდილ  
 ფრესკებს.

ო, საოცარი ბედი მაქვს მართლაც!  
 მეც გავევებოდი, მთვარეო, შენს გზებს  
 და სვეტიცხოვლის უწმინდეს კართან  
 ჩავეღვრებოდი ლურჯ თმებში ძეწნებს.

## ს ა ქ ა რ თ ვ ე რ მ

რა ზღაპარი უთქვამთ იფნებს,  
 რას მღერიან მთები?  
 ან სიონი საით მიჰფრენს  
 მოშრიალე ფრთებით?


მღერი, მზის და ღმერთის შვილო,  
 ჩანგად ხმარობ ლიახვს,  
 ვარსკვლავები მტკვარს და რიონს  
 ნეტავ საით მიაქვთ?

მიაქვს ქარს და მიაქვს ნიავს  
 ზახსოვარი ხმები.

დგები მთებზე ყოველ დილა  
 ამირანის მხრებით.

რას ჩურჩულებს სიო წყნარი,  
 თქვენ რას დარდობთ, მთებო,  
 რას იმღერის ნეტავ ქნარი,  
 რას შრიალებთ, ფრთებო?

რა ზღაპარი უთქვამთ იფნებს,  
 რას მღერიან მთები?  
 ან სიონი საით მიჰფრენს  
 ლაყვარდოვან ფრთებით?



## გვაჯვარეღინვა

პიესა \* სურათად

მუკმეღნი პირენი

ბორის — მეშა  
ოლია — და მისი  
დედა

მორვენება  
შალინი — თაბრეანტი  
მეშეხი

სურათი პირველი

(მართალი თიხი — პეტროგრადი. მოქმედება სწარმოებს 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დღეებში. დაჭრილ ბორისს თავს ადვას ოლია, შორი-ახლოს ზის მოხეცი დედა).  
დედა — (კითხვით) ა?  
ოლია — მკონი, სძინავს.  
დედა — ცუდააა?  
ოლია — სძინავს და...  
დედა — ამ დილას აღონისას ვლოცვლობდი. შერე უცხად გამახსენდა, რომ მხურვალე ლოცვას ჩემი ბედი არასოდეს არ შეუცვლია და გული ამიდუღდა.  
ოლია — ღამით საშინლად ვრძნობდა ტკივილებს. თითონ არ ამხელდა. მე ვამჩნევდი.  
დედა — ეხლა?..  
ოლია — მოქანცა...  
დედა — მოშორდი. მიძინებულ ავადმყოფს მაგრე ძლიერ არ უნდა დააკერდე. თორემ იგრძნობს და შეწუხდება... მოაშორე თვალები, თორემ გაიღვიძებს.  
ოლია — ხანდისხან ნახევრად ახელს თვალებს, მე მინდა შეეხედო თვალებში, მაგრამ უცხად ხუშავს უცხად...

დედა — დავაღლოთ.  
(ოლია იქვე წდება. დუმლია).  
დედა — ოლია!  
ოლია — რაა?  
დედა — ერთხელ თურმე სახლინის ტაივებში დასტვებს ბორისი. კატორღიდან მოიბარებოდა და მძიმედ დასტვებს...  
ოლია — ჰო, გამიგონია...  
დედა — უმატრონოდ ეგდო ძალღვიფრო.  
ოლია — ვიცი.  
დედა — ემჩნეოდა ნატყვიარი, მე დავაკვირდი და გული ამიდუღდა!  
ოლია — მაშინ უფრო წანმართელი იყო. ეხლა კი დაუსრულელებელი სიცივით, სიმშლით და ბორკილას თრევით მოტეხილია. ომხი ტრილობა აქვს, ოთხივე საშიში. (ისევ ადგება).  
დედა — ვერ გადაიტანს?  
ოლია — საზე თანდათან უღერძდება.  
დედა — ახი რამდენი მტანჯა ბორისმა, რამდენი მტანჯა! (ისმის ავადმყოფის ხშირი სუნთქვა და შემდეგ სუსტი გმინვა).  
დედა — იღვიძებს... გამოიღვიძა...  
ბორისი — დედა!

ოლია — ა?

დედა — შენ ეხლა მესამეჯერ იღვიძებ. აღბათ, კიდევ წყალს ითხოვ, მაგრამ, რომ არ შეიძლება!

ბორისი — ახ, ეცი... (ღმობლია) თქვენ არ გეძინათ?

ოლია — რა გეიშავს.

ბორისი — ეხლა მესიზმრა, თითქო დევით მივდიოდი ჭრჩაში, მაგრამ ვხვრდი და მწყუროდა... ჩია კაცები კი ერთმანეთს კოცინდნენ და ულოკავდნენ თავისუფლებას.

ოლია — დამშვიდდი! ცოტა ხნის შემდეგ მოვლენ ეპიშები, შენი ამხანაგებები მოვლენ, ბორის!

ბორისი — ჭრჩაში რა ამხანაგია?

ოლია — შენი ამხანაგების ხელშია ჭრჩა.

ბორისი — (წამოიწევა ლოკინზე) ჩვენ გავიმარჯვეთ.

ოლია — ახ, დაწინარდი! ნუ იმბრევი, პო, თქვენი გაიმარჯვეთ.

ბორისი — ჩვენ მრავალ წელს ვიტანეთ, ჩვენ ათასჯერ დავმარცხდით, მაგრამ ერთხელ გავიმარჯვეთ.

ოლია — პო!

ბორისი — ჩვენ ყვაილებივით ვქმნებოდით სახალისზე, პო, შე მაშინ უვაილი ვიყავი! ჭალათები გვემდინენ... (ცოტა შეჭრდება) ჩვენს დამცირებას ციშობის ცივი ქარი დასციროდა (მლოერად) და ციშობის სუსხიან ქარზე უფრო ცივი აღამიანების გული კი ნეტარებდნენ.

დედა — ეგრე იყო!

ბორისი — და როდესაც ოთხ კედელში საამურ სიზმარს ვხედავდით და შევირბეოდით, ჩვენს ხორციში ჩამედარი ბორკელი აწერიალდებოდა... მაგრამ არ დაეწუნარდით, რადგან ჩვენი ფეხი უმშვენიერესი იყო. გული კი წმინდა და საშინლად მოწყურებულა.

ოლია — ბორის! შენ მთლად კანკალებ და უარესად ვალურჯდ, ამას გარდა, გეტყობა, სიცხე გაქვს. როგორმე დამშვიდდი.

ბორისი — აა! შენ რა იცი, შე რა ტანჯვა გამოვიარე. როდესაც უკანასკნელად გამოვიპარე კატორიდან. სანამ დამიპერდნენ, ექსყვერ შეგხვდა.

ოლია — როდის?

ბორისი — შე ვიციან, შენ კი ვერა. შე მინდოდა მოსულა, მაგრამ შემრცხვა. შენ წინათ ისე პატარა დავტოვე, ისე მიყვარდ... როდესაც პეტროგრადს ჩამოვალწიე, პირველად შენ გიკითხე, საყვარელი დაი, მაგრამ ვავიგე, მივხვდი, რომ შენ უკვე სამარცხინო...

დედა — (გააწყვეტინებს) ბორის!

ოლია — (შეუბნება) რას ამბობ?

ბორისი — შემდეგ რამდენი დამე გავათენე ნადველ-წუხილში... ვერ ვიბრუნდი, გამოვდიოდით იმ ქუჩაზე და ვიცდიდით... დაგინახავდი... შემდეგ შეუბნებელი წყვილი ჩემს მუშა აშ-

ხანაგებთან და მთელ დამეს მამყინს მწყედი. ოლია — კმარა.

ბორისი — გახსოვს ის დრო, როდესაც ჩვენ კავკასიაში ვცხოვრობდით... ახ, იქ-ური ქართული ამხანაგები... შემდეგ თითქმის ყველა ენაზე ციშობის.

ოლია — შე მახსოვს ისინი.

ბორისი — (შეცვლილი კილოთი) გახსოვს მაშინ ჩვენსას რომ ერთი ქალი დადიოდა? მას დედაზეთი თავის სასძლოს ეძახდა.

ოლია — შენი საცოლე?

ბორისი — გახსოვს?

ოლია — (იგონებს) ელენე!

დედა — შენ რომ დავივიტეს, მერე არ მინახავს. არც შენ გინახავს?

ბორისი — არა.

ოლია — (ნადღეიანი ღიმილით) მახსოვს...

ბორისი — მოკვდა!

ოლია — როდის?

ბორისი — ოპ! რა კარგია, თქვენთან რომ ვარ! თქვენ გახსოვთ ჩემი შორეული წარსული. მე მთელი გულით ვლამარაკობ. და როდესაც ვლამარაკობ, გული მრთელდება. აა! თან და თან მოვდივარ გონს, ისევე გეჩვევით და გამოჩნეულ ნეტარებას ვგრძნობ. (ქუჩიდან ისმის ხმები). კარები გააღეთ. მინდა გავიგო, რა ხდება ქუჩაში.

ოლია — სიცოცხეა.

ბორისი — უკვე დაღამდა?

ოლია — დაღამდა.

ბორისი — არა უშავს, უყვითსია, მე მაინც საშინლად მცხელა.

ოლია — კარგი.

ბორისი — სულს მოვიტყეამ... (ოლია აღებს კარს. ისმის მარსელიება და ყოველი მზრიდან მზიარული ხმები — „თავისუფლებას“)

ბორისი — კარგია!

ოლია — (ღმობლია) ასე სკობს!

ბორისი — ასეთივე ხმებით გამომიყვანეს გუშინ დილას ცახიდან. ჭრჩაში მომხსნეს ბორკილი. აღტაცებული ხალხი ღმობლით და სიცოლით ამხებრევიდა მონობის ამ ნაშთებს. მე მებღოლით ათას კაცს, გაბრეებული ზედნიერებით. სტადასტვა ქუჩებიდან მომდინარე ხალხსაღმე შემთხვევით ერთდებოდა და გრგვინავდა ზღვასავით. ათასი ხმითი წამოვიდა ჩვენი გულის ვასაპობად, მაგრამ როდესაც დაინახეს, რა აღტაცებული იყავით, როდესაც წაიკითხეს ჩვენს სახეზე მშვენიერი ფიქრები, ხელი აუკანკალდათ, ძირს დაუშვეს ხიშტები და... ჩვენს ნებას დემორჩილენ.

ოლია — ვიცი... დაწინარდი. ძლიერ ქმენ.

ბორისი — ჩვენ ვუცქერდით იმ სასახლეს, საიდანაც მრავალი წლის განმავლობაში ბრძანება მოისმოდა და... თავისუფლებამ იქ ისე ხმა მალა იგრიალა, თითქოს კედლები შეძრა. შე ავიღე წითელი დროშა, ავედი მალა სასახლის



გუმბათზე და იქ ვადმოკვდი, ცხებებში დასუ-  
სტებელი ჩემი სხეული აღტაცებს მიყავდა ამ  
სიბაღებზე... და როდესაც იქ წითელი დროშა  
აფრიალდა, ის ისეთი ლამაზი და ღიადი მომეჩ-  
ვენი, ვიფიქრე, რაც უნდა მშვენიერა ყვავილუ-  
ბი აშლებოდეს სამოთხეში, ამის აჩრდილიც არ  
ქნებოდა. ერთ მიწურუბულ ქუჩაში მიმალულმა  
ქალთებმა თავისი სიბრუნებიდან ხალხს ტყვეობ-  
ფრქვევი დაუშინეს, იქ მე მომხვდა ტყვეობა,  
მაგრამ არ მახსოვს, როდის დავეცი, ის ქუჩა  
აქედით... მე ვნებარებდი... სისხლიდან დაეც-  
ლილვარ, არა?

ოლია — მე სანიტარია რაზმს ვახლდი, რა-  
დესაც აფრეთ, ვიღაცა მოვარდა და თქვა შენი  
სახელი და გვარა, მაშინ მეც გული წამოვიღე...  
ბორისი — შენ წუხდი?

ოლია — მე სუსტი ვარ.  
ბორისი — აჟ...

ოლია — კარი დაგებრო?

ბორისი — რასაკვირველია, მხოლოდ... ისე  
რბილად მიხტრე, როგორც საზოგადოდ ოჯახში  
ზურავენ ზოლზე კარს.

ოლია — აჟ...  
ბორისი — ცხებში რაღაც სულ სხვანაირად  
ზურავენ კარებს. გულზე მოქმედობს.

ოლია — 33!  
ბორისი — ეს სახლი ვისია?

ოლია — (შემკრთალი) ეს სახლი... ეს... ეს!..  
ბორისი — ოლია, მე ყველაფერს ვაპატიებ.  
მსაქელი კი არა — დამნაშავე ვარ.

დედა — უპატრონოდ დაგვტოვე.  
ბორისი — მესმის... განა...

დედა — უღუკმაპუროდ. შენ იცი, რა ბნე-  
ლია... ლეკმაპურო! (ოლია თვალით ამწვიღებს  
დედას).

ბორისი — ოლია, მე ვერ გაცხოვრებ ასე მკ-  
რთულ ოთახში, მაგრამ სინდისს დაგიბრუნებ.  
ჩვენ ვადავალთ სადმე პატარა სახლში, ღარიბ  
ოთახში. (უცხად უწყდება ზმა) გესმის...

ოლია — მესმის.  
ბორისი — მასაც ესმის?

დედა — მე ყველაფერს, ყოველ შენ სიტყვას  
უფრო ვეგაღებ.

ბორისი — (სუსტად) თქვენ დაიღალეთ,  
არა?

დედა — არა.  
ბორისი — რატომ არა? მე რომ დავიღალე!

დედა — ძლიერ?

ოლია — შენთვის ღამარაყი აკრძალულია.  
ბორისი — თქვენც თუ მოისვენებთ... მაშინ  
არ ვილაპარაკებ. მთელი ღამე გაათენეთ და  
დღესაც სულ თავს დამკვირეთ.

ოლია — (ღიმილით) სამაგიეროდ, ბოლოს შენ  
მოგვეცი.

ბორისი — პო.

ოლია — (წუნარად) მოისვენე.  
ბორისი — და... (მისავათდება).

დედა — საშინლად გამოიყურება.  
ოლია — სუ... (დუმლია). **ერკინულში**  
ბორისი — დედა. **ზნაჯნაბადინში**

დედა — ჩვენ აქ ვართ.  
ბორისი — ღამას დღეწიეთ. (ოლია დაუ-  
წევს) ვგრე. არ გაგახსენდათ. (ღიმილით) მაწე-  
ხებდა სინათლე.

დედა — აწი არ შეგაწუხებს. (დუმლით).  
ბორისი — მე პირველად თქვენთან ვახსენე  
მისი სახელი.

ოლია — აჟ.  
ბორისი — ვახსოვს შენ ელუნე?

ოლია — კი.  
ბორისი — ის გულკეთილი იყო არა?

ოლია — კი...  
ბორისი — ის მტრედევით მშვიდი იყო. სა-  
ჭაროველს ზეცის ღერი თვალში ჰქონდა

ოლია — პო...  
ბორისი — ზემო გულიც მტრედევით ფარო-  
ხალობს (დუმლია).

ოლია — (დედას) ცოტა ხნით მიწვექ შეორე  
ოთახში.

დედა — არა... მე უდაც ვარ, მე აქ უნდა მოე-  
კვდე, მის ახლოს.

ოლია — რატომ?  
დედა — (ტირილით) სუსტადა.

ოლია — (აქვრდება ავადმყოფს) მიწყინარა.  
დედა — (წერვულად მშვიდდება) განა არ არის  
ღმერთი? (დუმლია).

ოლია — აწი მოვა ბედნიერი დღეები...  
დედა — ბედნიერი?

ოლია — ჩვენც ვიცხოვრებთ...  
დედა — აჟ

ოლია — ჩვენც ვიცხოვრებთ.  
დედა — მე სამოცდაათი წელიწადი ვიცხოვ-  
რე.

ოლია — ვიცი.  
დედა — ოცი წელიწადი ჩემი პირველი ყმაწ-  
ვილობისა გაეატარე სოფლად, ბატონის მძიმე  
სამსახურში, ჩაგვრასა და შეურაცხურობაში. შე-  
მდეგი წლები — ღოთი ქმრის წიხლებს ქვეშ,  
ქალაქში... ბოლოს, გავყავ კეთილს, მაგრამ ავად-  
ყოფ კაცს, სამუშაოზე დამავებულს. მოსაგ-  
ლელს, რომლისგანაც თქვენ დამრჩით... შერე  
კიდევ მეტი სიმწარე ვნახე უსახსრობით.

ბორისი — შენ ჩივი, დედა... ძილში ჩამწედა.  
ოლია — აწი მოვა ბედნიერება.

დედა — აჟ...  
ბორისი — (გამოცოცხლებდა) პო, დედა! ედ-  
თიღმა გაიმარჯვა, ძმობა-ერთობა დამყარდება,  
წვეთი სისხლი არ დაიღვრება. აწი კაცი კაცისა-  
გან არ დაიღვრება, გესმით, კაცის ხელდიან არა-  
ვინ არასოდეს არ დაისყვება.

ოლია — ახლა მყვარა შენი.  
ბორისი — მამისაგან გამოვინია, რომ მისი  
დედა ქართველი ქალი იყო, და ასე უთქვამს,  
რომ თვითმპყრობელობამ მის სამშობლოს ყვე-



ლა უფლებები ჩამოართვა, აწი კი ყველა ერთ და პართიუნება მიიღებს თავისუფლებას და ღირსებას.

ოლია — ჰო, ქერაში ადამიანთა ხმაზე მიხედვით, იგრძნობ, რომ იმედი ზადგა ყველას გულში.

ბორისი — კარგია... მე მისთვის ვიღწოდო... სულ... ცხოვრება იწყება... ჰო... სანატრელია... (თელემს).

ოლია — (ჩაფიქრებული) აწი შოვა ზედნიერად ღეუები...

დედა — ა!

ოლია — ზედნიერი დღეები!

დედა — ზედნიერი?

ოლია — დადგება.

დედა — მაშ, ჩვეუც ვიფიქროთ ცხოვრებაზე.

ოლია — გიგვირს?

დედა — მტრედო... ჩემო... (ცრემლი ეჩრება).

ოლია — დაღლილი ხარ?

დედა — კარგია... (მიღის შეორე ოთახში). (დღმილა, ოლია შიშორებით დაქდება, ავადმყოფი ქშენს და იღვიძებს).

ბორისი — აი, მე საშინლად მოვიქანცე, მაგრამ ზედნიერი ვარ. ამ დახტრულ ოთახში სიყვარულია! ის ნეტავ ვინ არის? (დღმილა)

ოლია, ვარეთ ზნელა?

ოლია — ზნელა...

ბორისი — სითბოა?

ოლია — არა...

ბორისი — შენ პატარა თვლები გაქვს!

ოლია — ა!

ბორისი — ღმერთმანი.

ოლია — ხომ კარგადა ხარ?

ბორისი — კი.

ოლია — დაძინე! საცაა გათენდება.

ბორისი — და ამ დღიდან ყველა იცხოვრებს სიყვარულით. უშიშრად.

ოლია — ცა ღურჭდება.

ბორისი — დარი იქნება?

ოლია — ჰო.

ბორისი — შიანი?

ოლია — ჰო.

ბორისი — ის კაცი ვინ არის?

ოლია — ა!

ბორისი — თუ რამეს გობოეს, შეეწიე.

ოლია — შემომხედე.

ბორისი — კმ! (ჩათელემს. ოლია ერთ ხანს დასტკერის, მერე მოშორებით დაქდება. ნელა გაღასწევს თავს .ეძინება).

სურათი მორა

ბორისს ეჩვენება: ფერადი დიდი ოთახი შეშაბანდით. შეშაბანდის იქეთ, მარცხნივ მოსჩანს მთები კაშკაშებით, მარჯვნივ — ძველი, შავი საბრუსლო დამტრეტილი კარები.

ბორისი — (ნელ-ნელა თავს წამოწევს ღოვინიდან) ჩვენ გავიშორდეთ, გავიხარეთ... ზეიმი მიწდოდა, მაგრამ ნეტარებით დავიდალი... ღოვინში ჩაეწევი. არ შემიძლია დიდი სიხარული — ნაღვეს ვარ შეჩვეული. (კედელზე გამოჩნდება მკრთალი ფიგურა, ის ნელნელა ერკევა და უახლოვდება ავადმყოფს). მე ვიცი, ვინცა ხარ, მაგრამ შეუცხოვები. (ქალის ფიგურაა) მე მეონია, შენ ძლიერ ღამიხი ხარ (ფიგურა იღიმება და მშვენიერებას ამტლავნებს) ნუთუ შენ ისევე ისეთი ხარ... ყველაზე მშვენიერი, მომიხსლოვდი.

ქალი — გერიღები.

ბორისი — რისთვის?

ქალი — (ზღაპრულად მშვენიერი). მეშინია, შენს ახლო არ დაეკარგო სიღამაზე.

ბორისი — შენ ხომ ჩემი სალოცავი სახელი არ დაეკარგავს, რა გჭკია?

ქალი — ეღნე.

ბორისი — (უცხად, დაფიქრებით) როდის მოდი? ა?..

ქალი — (ღმილით) მე სულ ნავით მოვეშურებოდი. ჩემი პატარა ნავი ღამის ბინდში იმალებოდა და ვარსკვლავებს ვხედავდი...

ბორისი — როგორ?

ქალი — თუთარ ნაეზე გავაფინე წითელი იალქანი.

ბორისი — მადლობა ღმერთს, რომ მოაღწივდება მშვიდი იყო?

ქალი — ჩვენს ბედად.

ბორისი — ახლო მოიწი.

ქალი — (სიცილით) მე სამოთხეში ვიყავ.

ბორისი — მაშ ეს მოთხარი, ანგელოსები ადამიანებზე საყვარელი არიან?

ქალი — ჭა ეოქვა, მე იქაც სულ ადამიანებისავე ვიყურებოდი.

ბორისი — რისთვის?

ქალი — ანგელოზებმა არ იციან, რა არის ტანჯვა!

ბორისი — რა მოიტანე?

ქალი — ყვავილი.

ბორისი — ეს ყვავილი შენ საქართველოდან მოიტანე?

ქალი — რას ამბობ?

ბორისი — სად აღმოცენდა?

ქალი — ჩემს გულზე.

ბორისი — შენს საფლავეზე?


ქალი — ა?

ბორისი — შენ ვანა მკვდარი არ იყავ?

ქალი — არა, არა.

ბორისი — შენ მშვენიერი ხარ!

ქალი — (სიცილით) მე წყაროს პირად ვიყავ დაყრდნობილი და სულ წყალს ვსვამდი.



ბორისი — რატომ არ მომიტანე წვალი?  
 ისე მწყურია...  
 ქალი — მე ვტიროდი წვაროს პირად, ჩემს  
 ლერწ თვალთაგან ცრემლები ცვიოდა.  
 ბორისი — ახლო მოიწი.  
 ქალი — მე მივალ...  
 ბორისი — მე მოკვებდები?  
 ქალი — მე მივინობ? დამაყვირდი  
 ბორისი — ეხლა...  
 ქალი — შენ გიხარია?  
 ბორისი — ძლიერ.  
 ქალი — მე გუშინ მახეიმა ხალხმა.  
 ბორისი — მაშინ ჩვენ გავიმარჯვეთ.  
 ქალი — და დღეს მიმღეროიან.  
 ბორისი — შენ მშვენიერი ხარ.  
 ქალი — (ნაღვლიანად) მე როდესაც ვანთა-  
 დზე პირსაბანად გამოვდივარ, ნაღველი ცრემ-  
 ლებით მივსებს პეშეს.  
 ბორისი — კეთილი ხარ, მახსოვს.  
 ქალი — კეთილი.  
 ბორისი — რა ნათელი ვაღვებ... მზე ამო-  
 დის?  
 ქალი — სიმართლე.  
 ბორისი — ხედავ, სატუსალოს დაღწილ კა-  
 რებს?  
 ქალი — მე ხედავ კოშკს, სადაც ჩვენ ერთ-  
 მანეთს სიყვარული შევფიცეთ.  
 ბორისი — მე იქ ექვებდი მამანემის დედის  
 მოვარებებს და შენ შეგყვარე. მე თვალს ვერ  
 გაშორებ.  
 ქალი — ცას შეხედე.

ბორისი — შენი თვალები ორი პატარა ცაა,  
 ორი უფსკერო ცა.  
 ქალი — მე შენთვის ვლოცავ...  
 თვალები პატარა დეპრესიით შეპყურებენ ცას...  
 ბორისი — ჩემი ბედნიერება დიდია ფრიალ...  
 ქალი — შენ ჯარედინად დაიკრიფე ხელები  
 და თავი გადაჰკიდე.  
 ბორისი — სული მოვიტყვა?  
 ქალი — მძინარე ბავშვივით.  
 ბორისი — მე თვალს ვერ ვხეუბა.  
 ქალი — დახუჭავ.  
 ბორისი — შენ?  
 ქალი — ვიმღერებ.  
 ბორისი — წყნარად?  
 ქალი — ძლიერ.  
 ბორისი — შენ რბილი წარბები გაქვს და  
 ურბილესი ღმერთი.  
 ქალი — მაქვს...  
 ბორისი — საიდან?.. ღმერთმან.  
 ქალი — ჩემი ღიმილი სიყვარულმა აქცია სი-  
 ლამაზედ.  
 ბორისი — ჩემი სული ნათლდება, გულზე კი  
 ცეცხლი შეკიდება.  
 ქალი — მოგხედავ.  
 ბორისი — შენ მაძლევ სიამეს, ხოლო მე...  
 ქალი — ჩემი ამბორი საიდუმლო იქნება.  
 ბორისი — წაიღე ჩემი სიხარული... ჰა, წაი-  
 ლე ჩემი დიდი სიხარული... ვერ ვხიდე... დამშ-  
 ვილე ჩემი მღვლეარე გული. (ნელ-ნელა ბინდ-  
 დება ოთახში და ჰქრება მოჩვევება, ავადმყოფი  
 ნერვულად თრთის და სამუდამოდ წყნარდება).

სურათი მისამდე

იგივე ოთახი, რაც პირველ სურათში.  
 ოლია — (იღვებებს და დასცქერის მამს, ნელა  
 მიდის სანთელთან და ანთებს, დიდხანს დაკუ-  
 რებს მიცვალებულს, მერე ნერვულად ავლებს  
 სახეზე ხელს. სასოწარკვეთით იჩოქებს, დუშე-  
 ლია, ბარბაცით მიდის დედის ოთახთან და ე-  
 რდნობა კარებს) დედა... (დუშილია) დედა!  
 დედას ხმა — მე მღვინავს.  
 ოლია — დედა.  
 დედა — (შემოდის კარებში) ა...  
 ოლია — (მოწყვეტილად აქვითინდება და და-  
 ცხრება).  
 დედა — (ისევ შებრუნდება ოთახში, მავრამ  
 იმ წამსვე გამოდის. წრიალებს, მიყურდნობა კუ-  
 თხეში, სადაც ხატი ასვენია. ანთებს წმინდა სან-  
 თელს და აქანკალეებულ ხელებს ჯვარედინად  
 აკრებს). იყავ... ნება... შენ... (თავდაუქერლად)  
 ო, ღმერთო, რისთვის? რისთვის?  
 ოლია — (დაეყრდნობა ლოგინს და დასცქე-  
 რის მამს) როგორ ჩამჭრალა.  
 დედა — მისი დღეები სულ მკრთალი იყო.  
 (დუშილია).

ოლია — მე შეშინა...  
 დედა — მე ბედნიერ დღეებზე ვფიქრობდი...  
 ისე, ჩემთვის... (დუშილია).  
 ოლია — ჩენია... (იღებს იქვე უვაილებს და  
 სახეზე აფრქვევს).  
 დედა — ბორისი.  
 ოლია — მე კი მეგონა...  
 (კარებთან ისმის ზახის ხმა. ვიღაცა კარებზე  
 ურტყამს ხელს).  
 დედა — მოვიდნენ...  
 ოლია — (ნელა ადებს კარს. შემოდის ორი  
 ამხანაგი).  
 პირველი ამხანაგი — ექიმო... (უცებ  
 შეხედავს მიცვალებულს, მეორე ამხანაგი ვა-  
 დის). გარდაიცვალა?! (შემოდიან ამხანაგები,  
 თავდახრილი, დაღონებული).  
 მეორე ამხანაგი — ასე უნდა მომხდარი-  
 ყო ჩვენს შევარდენს არც ჰქონდა სხვაფერ წა-  
 რმოღვენილი... სანატრელი სიკვდილია. თავი-  
 სუფლებსისათვის იბრძოდა და გამარჯვების სი-  
 მღერამი სული დალია... მას ორი ბინა ჰქონდა  
 ამ ქვეყანაზე: ტრიბუნა და ციხე.



დედა — ეგრე იყო!  
პირველი ამხანაგა — ეს წინადა ნეშტი  
ხეივან და მწუხარებით უნდა გავატაროთ ქუ-  
ჩაში და იქ დავასვენოთ, სადაც უკანასკნელი  
დღის გმირები ასვენია. (ხმები: უსათროდ! შე-  
მოაქვთ საყავი).

დედა — მიგვათ შეილა... განა...  
მეორე ამხანაგა — ასეთ შეილებს ერთ  
დანიშნულ დღეს დავასაფლავებთ.  
დედა — მაინც წაიყვანათ? შეილია, მიყვარს...  
მეორე ამხანაგა — (ცრემლი ვერება)  
ჰი!

დედა — მიყვარს... მე... (მიცვალებულს საყა-  
ვეზე დებენ და ვაჟავთ, უძლურ დედას თით-  
ქოს წინააღმდეგობა უნდა. დედაილა).

ოლია — (გააღებს ფანჯარას. ისმის აუარებუ-  
ლი ხალხის ხმა. მწყობრი გუგუნია: „თქვენ  
მსხვერპლი ვახდით“) მას უმღერაინა...

დედა — ჩემი გული კი — დღეს.  
ოლია — სიყავით.

დედა — და — შერე, სად?  
ოლია — (იქცობება იატაკზე) სისხლი აწვე-  
თია...

დედა — ცუდად ასწიეს.  
ოლია — (მიდის ლოგინთან და ეყრდნობა)  
გამოსამშვიდობებლად შეგვეყარა ბედმა ისე  
თბილად, ისეთი აღურსით...

დედა — (ის თითქმის ბევრად მოხტედა ამ  
რამდენიმე წუთში. კანკალით მიდის შეილის  
ლოგინთან და ბალიშს ასწორებს) თბილია. (ცხ-  
ვევა ბალიშს, წრიალებს, მიდის კარებთან). განა  
მე დედა არა ვარ? განა მე გული არ მწყდება  
ჩემს შეილზე?.. ჩემი შეილი სხვაზე ნაკლები  
იყო? მართალია, მწყველიდ... ბევრი მაწამა  
თავის უცნაურობით. მაგრამ თეთრონ უფრო  
იტანებოდა... ძალღვივთ აწვალებდნენ და მხო-  
ლოდ ახლა მიჰყავთ პატრით. ჩაღებს კარებს და  
იხედება კარში) მეც შევხედავ, როგორ ადიდუ-  
ბენ ჩემ შეილს. (მიდის).

დედას ხმა — ისე წამებით იცოცხლა, მისი  
ახალგაზრდა გული სულ კანკალებდა. ისე ვაა-  
ტარა თავისი სიყრამე, სულ მწყველიდ... რა-  
ტომ? განა მე დედა არ ვიყავ მისი? (დუმილია).  
განა ის სხვებზე უკეთესი არ იყო? განა მე გუ-  
ლი არ მწყდება მასზე...

კაცი ხმა — მე გულითადად მონაწილე  
ვარ თქვენი ღრმა მწუხარების (ამ ხმის გაგონე-  
ბაზე ოლია შეერთება და დედაც) გულწრფე-  
ლად მწუხვარ... და ვეცდები დავაიმედოთ. (ის  
კაცი შემოდის სახლში).

ოლია — (მკაცრად) თავადო შალია!  
შალინი — მე მოვისწრათი გამოგვიცხადოთ  
თანაგრძნობა.

ოლია — დიხ!

შალინი — ვაჭიორებელი თაბულაო!

ოლია — მე თაბულაო არა ვარ.

შალინი — ვიცი, კარგი აღამიანა ხარ...

ოლია — კარგი?

შალინი — განა არ ვთავაზებ შენს სულს?

ოლია — როდის აქვთ, აქვთ...  
შალინი — მე, უკვე თქვენი კი არა, — მო-  
ქალაქე ვარ.

ოლია — ვინდებთ თამაში.

შალინი — ბოლოს და ბოლოს, ვერ გამი-  
გია... ჩემს კითხვას თქვენი პასუხი სულ არ ესა-  
ბამება. თქვენ ვაფიქრებთ ზრდილობის...  
ჰო... არაფერია. (ღიმილით) მესმის თქვენი  
მძიმე მღვთმობა.

ოლია — (აღვირვება) რა მოღიზარე სახე  
ვაქვით!

შალინი — ღმერთო ჩემო!

ოლია — თქვენ დღეს, ალბათ, გულში არ გე-  
ცინებთ, მაგრამ ზრდილობისათვის იღიმე-  
ბით.

შალინი — რატომ, ჩვენ შეძლებულვართ,  
მზარი დავეჭირებ დაბალ ხალხს, და რვეორღ-  
ეთა გამარჯვებით დავვირგვინდა. ამ რვეორღ-  
ეთაში ჩვენც გვიღვებს წილი.

ოლია — ეს არ ვიცი, რა წილი გიღვებთ. მაგ-  
დენი არ მესმის... თქვენ ხალხი არ გიყვართ,  
ამრბილად უყურებთ, ვიცი, სანდო არა ხართ.  
შალინი — აი, როდესაც დამშვიდდები, და-  
მიყრებ.

ოლია — მე ვაჯიგა, ამისგან ვაჯიგა.

შალინი — რა ვაჯიგა?

ოლია — შენს ქარხანაში მუშაობდა და თან  
მოღვაწეობდა.

შალინი — ეს ხომ იცოდა.

ოლია — ის პირადად შენ დავიღუბავეს. შენ  
მოგხვრებებია, თავი ვერ გამოგხსნა სასტიკი გა-  
ნანენისაგან. სასამართლოში კი პლატესავით  
განზე იღებ, მე თვალა მომკარ, მოგეწონა, მნა-  
ზე გაქორცვული და მომინოვე.

შალინი — რაც დედა-თქვენმა მთხოვა, მო-  
გვიცით...

ოლია — (აღუღვებელი) მიბრძანდი!

შალინი — ოლია!

ოლია — მიბრძანდი... მე ჩემი ტანჯვა მეყო-  
ფა...

შალინი — განა არ მესმის თქვენი ტანჯვა?

ოლია — კი! კი!

შალინი — არ დამიბრძიებია პატრისცემა?

ოლია — პატრისცემა.

შალინი — მე არ მოვალ თქვენთან, სანამ არ  
დამშვიდდებით.

ოლია — დიხ. (დუმილია).

შალინი — მე შეტად გრძობიერი კაცი ვარ...  
პავშვივით ჩველი გული მაქვს... აი, (იღებს უბი-  
დან პორტმანს) ოღონდ შენ დაწყნარდი და მე  
ყოველთვის...

ოლია — (მღვლევარებით) ნუ თუ კიდევ თქვენ  
იქნებით ძლიერნი ამა ქვეყნისა. (შემოდის დე-  
და) ნუ თუ ისევ შენი წყველი ქისაა ყველაფ-  
რის შემძლებელი? შენ ამ ქისით მოდიოდი და

რიბთა უბანში და არათმედი უმანკოს ნამუსს, მშრომელს — ჯანს. შენ იდექ მალა, ათასი სული და გული შემოგვარებდა. შენ კი უსულ-ველი იყავ... და ახლა, ამ სხვა დღესაც, მოდიხარ ჩემთან, როგორც გვიგე, ჩემი ძმის დამღუპველი, ჭა წილს იღებ მის გამარჯვებამში... პო, თავისუფლების ზეიმში ისევე გამარჯვებულად მოგაქვს თავი... და ახლა, ამ წვეულ პორტმანს შლი უარესი დაცინებით, — ჩემგან ძმის სისხლის გამოსასყიდად, (დემილია).

დედა — ჩემი შვილი სანთელივით დადნო ცხოვრებამ, მას სიმწრისგან ეწვევლიდი, თუმცა ზოგჯერ ჩემად ვლოცავდი. ღმერთს ვსთხოვდი ქვედა მონსტრული ახლა ხალხი ვგრავინავდა, რომ ის თავისუფლებას შეეწირა... ასეა, განა ის სხვებზე ნაკლები იყო? ხალხი ამასაც იმხდა, გამარჯვებულია, თუ ბოროტმა ვაიმარჯვა, ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ ისე გზაჯვარედინზე? შალინი — ახლა ასეთი ლამაზაქის ფასი ვრონია.

ოლია — კმარა, დავბოროტე ჩვენს ქორთან! დედა — მე არ ვიყოდი, თუ შენი ხელით დაიღუბა ბორონი... მახსოვს კი, შევერთი, როდესაც შენ იმდენი ფული შემაძლიე, მე და ოლიამ უბილო, მშვიდი ღამეები გავატარეთ და ერთმანეთის შეხედვის გვეშინოდა.

ოლია — ძალა გამოგველია. დედა — შენ ზანდაზან გაიმეტებდი ჩვენთვის ღმირს... მე კი შეიცნებოდა: მე ჩემს შვილს ეწვევლიდი, რომ ჩემი სიუცხლე ვამწარა... ის კი პორცილებში ქრებოდა და უღონდებოდა გული... თურმე შენ ზააგდე იმ სატანველში და შემდეგ, ქრისტიანულად რომ ეთქვათ, ოჯახიც წაუწყვიდე, შებღალე, შებღალე-მეოქი

ოლია, — არათუ ვგარი არ დავაწერია, ერთსე-ლაე მათან ვკლესიაში არ შესულხარ და ერთად არ ვალენიათ. მე განა გეფი არ ვიწიკი-ლებს, როდესაც ყველა ამას ვეფინებ, ვეწიკი-ნია, შენგან ვანწიროლ ბოროტს უგალორენ „მსხვერპლი ვახლიო“... ესლა მოგვეშოდი. — ზეზარები!

შალინი — მე ვაბობ, ეს ტყუილია, სულ ტყუილია. — სიკვდილის წინ რასაც ის ბოჯავდა დამტკიცება უნდა... (აბირებს წასვლას).

დედა — დამტკიცებაო. — ნუთუ ჩვენთვის არასოდეს არ იქნება სიმართლე! (უცხათ. შეშკართალი) აა! სისხლს ფეხი არ დაადგა! (წამოუდგება) მაქ აწუთია... — ხალხი იბახის, მისი სისხლი წმინდაო.

(შალინი მიღის, ვარებს შავრად ვაიხურავს. დემილია).

დედა — (ქანკალით მიღის ოლიასთან, ჩახედავს ნაღვლიან თვალებში და ჩაიკიცება) ხალხი ზეიმით ჰქვებს და ნუთუ ჩვენ გზაჯვარედინზე ვრჩებით. მე სიკვდილის მეტი არაფერი არ მინდა, ოლიონდ. შენ არ ვეღობსება ცხოვრებმა?... ოლია — დედა!

დედა — ამაზე უფრო მეწვის გული ვაიმარჯვაო რომ ყვირიან. ამის თქმა უდღისთვის, როცა შევედი შელს დამყურებს, უღმერთობაა.

ოლია — შართალი ხარ, დედა. ახლა მთელ მის ცხოვრებას ვებღავე. ის გამარჯვების დღეს მოკვდა, შავრამ რომ ეცოცხლა, ისეთი უანჯაზო იყო, ეგებ ისე დაეჩაგრათ... ფანჯრიდან დაეინახე მისი ძველი მტრები, რომელნიც ეხლა, თავის გამოსახენად ყვაილელების ვირვენიით ჩთავენ მის გვამს.

(ფ ა რ ჯ ა)

ერთმოქმედებიანი დრამა „გზაჯვარედინზე“ ჩვენი გამოჩენილი მწერლის — პოლიკარბე კაკაბაძის პირველი დრამატურგიული ნაწარმოებია. იგი დაიწერა 1917 წლის გაზაფხულზე, თებერვლის რევოლუციით შექმნილ განწყობილებათა ატმოსფეროში. საქართველოში ეს პიესა დღემდე არც გამოქვეყნებულა და არც სცენაზე დადგმულა.

ფართო მკითხველმა საზოგადოებრიობამ ამ დრამატული ნაწარმოების არსებობა ვაიგო მისი დამწერელის ორმოცი წლის გასული შემდეგ. ცნობილია რუსმა მკვლევარმა, კრიტიკოსმა და თეატრმკოდნემ ალ. ფერანსკიმ ქართული თეატრლის „საბჭოთა ხელოვნების“ 1957 წლის მე-10 ნომერში დაბეჭდა სტატია სათაურით „საბჭოთა თეატრის პირველი წლები“. ამ ნარკვევში ავტორს მიმოიხილული და მოკლედი გარჩეული აქვს ის ახალი პიესები, რომელთა დადგმით ფეხი აიღვა საბჭოთა თეატრმა და დაიწყო მისი ისტორია, ამ პიესებს შორის, მკვლევარს, უწინარეს ყოვლისა, დანახულვებელი აქვს პ. კაკაბაძის „გზაჯვარედინზე“.

სანამ ალ. ფერანსკი ამ ერთაქტიანი პიესის დადგმის ისტორიას წეებებოდეს, მოკლედ ვამოკვეთელი აქვს მისი შინაარსი.

ახალგაზრდა დრამატურგს პ. კაკაბაძეს აღმოაჩნდა იმდენი ვამწრიახობა, რომ შესძლო განეკურტა რევოლუციის განვითარების პერიოდიები და მწვავე კოლიზიები. ცხოვრებამ ცხადყო, თუ რა დიდი ენება მიავყენს მუშათა კლასის საქმეს, საბჭოთა სახელმწიფოს, სოციალისტურ მშენებლობას შენაღებულმა ცრუ რევოლუციონერებმა, ბურჟუაზიის აგენტებმა. რომლებიც თავის დროზე ახილა და ვანაადგრა საბჭოთა ხალხსა ლენინის პარტიის მეთაურობით.

პიესის მთავარი გმირის და, ოლია, ასე მიმართავს პეტერბურველ მეწარმეს შალინს: „აი ვნ-  
ლა, ამ სხვა დღესაც მოდიხარ ჩემთან, ჩემი ძმის დამღუპველი, და წილს იღებ მის გამარჯვება-  
ში“, „ახლა — ამბობს პიესის დასასრულს იგივე პერსონაჟი, — ჩემი ძმის მთელ ცხოვრებას  
ვხედავ, ის გამარჯვების დღეს მოკვდა. შვრამ რომ ეცოცხლა, ისეთი უნაგარა იყო, ეგებ ისვე  
დაეჩაგრათ (რევოლუციასთან მოტყმასნებულ ურცხვ ადამიანებს), ფანჯრიდან დაეინახე ჩემი  
ძმის ძველი მტრები, რომლებიც ახლა თავის გამოსახედალ უვავილების გვირგვინით ამკობენ მის  
გვამს“.

როგორც ალ. ფევრალსკი შენიშნავს, პ. კაკაბაძის ამ ერთმომქმედებიანი პიესის დადგმა  
1917-1918 წლებში თბილისში შეუძლებელი აღმოჩნდა, სხვათა შორის იმიტომაც, რომ მაშინ  
ძალაუფლება ხელში ჰქონდა ამიერკავკასიის კომისარიატს. რომელშიაც მხოლოდ და მხოლოდ  
ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები შედიოდნენ. იგივე მკვლევარი გვაუწყებს, რომ  
თავის დროზე პ. კაკაბაძის ამ პიესის დადგმით დაინტერესებულა ცნობილი რევისორი ალ. წუ-  
წუნავა, რომელსაც პიესის ერთი ცალი 1917 წლის სექტემბერში თან წაუღია როსტოვში. იმავე  
წლის დასასრულს ალ. წუწუნავა საშუალო ვადასულა ბაქოში, სადაც, თბილისთან შედარებით,  
სულ სხვა პოლიტიკური ვითარება იყო. 1918 წლის დამდეგიდან ბაქო მთელ ამიერკავკასიაში  
საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენი იყო.

ბაქოს რაიონის მუშების და ჯარსკაცების დეპუტატთა საბჭოების გაზეთის 1918 წლის  
10(23) თებერვლის ნომერში (№ 32) შემდეგი ცნობა იყო გამოქვეყნებული: „შაბათს, 10 თებერ-  
ვალს სომხური კაცობიერე საზოგადოების შენობაში (ვიშნაზის ქ. № 95) ქართველთა შორის  
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დრამატული სექცია ღვაშს შორის სპექტაკლს.  
ნაჩვენები იქნება სამი ერთმომქმედებიანი პიესა: „გზაჯვარდინზე“ — ქართულ სცენაზე ჯერ არ  
დადგმული პ. კაკაბაძის დრამა ჩვენი რევოლუციური პერიოდიდან; ცნობილი დრამატურგის  
დ. კლდიაშვილის ორიგინალური კომედია „დარისპანის ვასკირი“ და დავით მესხის „ოთხი  
იმერელი“. მეორე დღეს იგივე გაზეთი იწყებებოდა, ამ თებერვალს წარმოგვნილი სპექტაკლი  
დადგა ალ. წუწუნავამ... სპექტაკლში მონაწილეობდნენ ქართველი მსახიობებმა და სცენის მოყ-  
ვარებმა.“

პ. კაკაბაძის იგივე პიესა აღიწომა ჯაფარიძის ხელისუფლებით, ალ. წუწუნავას რეჟისორო-  
ბით რუსულ ენაზე დაიდგა ბაქოს საზოგადოებრივი სპექტაკლთა შენობაში. შესრულებულნი  
იყვნენ როგორც პროფესიული მსახიობები, ისე სცენის მოყვარენი. სპექტაკლმა წარმატებით  
ჩააიარა. მსახიობ ფომინევის გადმოცემით (ფომინევი რუსულ სცენაზე პ. კაკაბაძის ამ პიესის  
დადგმის ინიციატორი და ბორისის — მთავარი როლის შემსრულებელი იყო), სპექტაკლს და-  
ესწრნენ ბაქოს საბჭოთა მთავრობის წევრები ალ. ჯაფარიძე, მ. ბასინი და ი. ფილოტოვი, რო-  
ნელთაც სპექტაკლისათვის კარგი შეფასება მიუციათ.

ამრიგად, — დაასვენის ალ. ფევრალსკი — პ. კაკაბაძის ერთმომქმედებიანი დრამა „გზაჯვარ-  
დინზე“ არის რევოლუციის თემაზე დაწერილი პიესა, რომელიც პირველად ბაქოს საბჭოთა  
თეატრის სცენაზე დაიდგა. მხოლოდ ამის შემდეგ პეტროგრადში ოქტომბრის დღი სოციალის-  
ტური რევოლუციის წლისთავის პირველ დღეებში საბჭოთა თეატრის სცენაზე განხორციელდა  
ელ. მაიაკოვსკის „მისტერია-ბოფ“ და ა. ვ. ლენინარსკის მცირე ფორმის ორი დრამატული ნა-  
წარმოები.

შოთა აბაბული

## არაგვისპირული კაფია

მოთხრობა

ქუჩაში გამოსულმა ღრმად ჩაისუნთქა დილის გრილი ჰაერი.

ესიამოვნა, შესანიშნავი დილა იყო.

ქუჩის მეორე მხარეს ლურჯი ვოლგა შეინიშნა.

გუნება უცბად შეეცვალა; მიხვდა, მანქანა მას უცდიდა.

ამ დილით თბილისში წასვლა არც უფიქრია. იგი უხალისოდ ჩაჯდა მანქანაში.

სანამ მანქანის კარს დახურავდა, ურთულ კიდეე გახედა საავადმყოფოს თეთრად შეღებილ შენობას: ალაცაფთან მდგომმა თეთრხალათიანმა ქალმა ხელი დაუქნია გამოსამშვიდობებლად. ვაჟმაც ასწია ხელი.

გრძელ, ლეინჯიან თითებში ნახევრად მოწეული სიგარეტი ეჭირა.

კრამიტის სახურავების იქით სვეტიცხოვლის ლავვარდში დაკიდებული გუმბათი მოჩანდა: დილის მზის პირველი სხივები ოქროსფრად აელვარებდა ცისკენ გასაფრენად გამზადებულ ჯვარს. მანქანის კარი დახურა.

ვოლგა ნელა დაიძრა ადგილიდან.

— თითქოს არც გაგეხარდა ჩემი მოსვლა. — თქვა საჭესთან მჯდომმა ქალმა, ისე, რომ არც შეუხედავს ვაჟისათვის. ვაჟმა არაფერი უპასუხა.

მანქანის სარკეში თავის ფერმკრთალ

სახეს აკვირდებოდა: მარჯვენა წარბის თავზე იმდენი ახალი ნაჭრილობევი ეტყობოდა. საყელოგაღდილ, შავ ხალათზე და ბრუნენტის სამგზავრო შარვალზედაც დაიხედა.

დაუდევრად მოკეჭული პიჯაკი ილიაში ეჭირა.

ქალმა აღმაცერი მხერა შეაელო ვაჟს ნაჭრილობევი წარბის თავზე.

— ჰმ... არაგვზე ბანაობის დროსო... — ჩაილაპარაკა ქალმა თავისთვის, ოდნავ ირონიით, — შენგან კაცი სიმართლეს როდი გაიგებს, სად დადიხარ და რას აკეთებ...

ვაჟს ახლაც არაფერი უთქვამს.

მხოლოდ თავისთვის გაიფიქრა, რა თამამად მელაპარაკებო.

— დაყრუდები? — იკითხა ქალმა და მოხედა. ვაჟმა შეხედა, მერე წინ გაიხედა და ხელით ანიშნა, იქით გაუხვიეთ.

ქალმა მანქანის სვლა მკვეთრად შეანელა.

— რატომ აჩერებ? — ამოიღო ხმა ვაჟმა და სიგარეტის ნამწვი გზაზე გადაისროლა.

— თბილისში არ მივდივართ? იქეთ რა გვინდა?!

-- იცი, რა, — ვაჟმა ნაიარევი შუბ-

ლი მოძრისა, — თუ დრო გაქვს, იმ ადგილებს ნახვა მინდოდა...

— უცნაური ხარ, კახა! — წამოიძახა ქალმა უცმაყოფილოდ, — სიკვდილს ბეწვეზე გადაურჩა იქ და ახლა ისევ არგვზე...

— ვაჟმა გაიცინა.

— იქ სიკვდილიც კარგია, ნანა.

— დედაშენს რას ეტყვი? ერთ კვირაზე მეტია, სახლში არ ყოფილხარ, გადაირევა ქალი!

— ჰგონია, მივლინებაში ვარ.

კახამ პიჯაკის ჯიბეში სიგარეტი მოძებნა და მერე პიჯაკი მუხლებზე დაიდო.

— მაინც რამ მოგაფიქრებინა ამ დილით თბილისიდან წამოსვლა, ან როგორ მომავენი? — იკითხა და პაპიროსს მოუქიდა.

— მოგაგენი კი არა... ვერ გამიგია, რას დახეტიალობ იმ მთაში და კლდეში, ვინ გაიძულებს, ან რა სიამოვნებას ნახულობ?!..

ვაჟმა ღრმა ნაფაზი დაარტყა და ლურჯი ბოლი წვრილ ნაკადად გამოუშვა.

— რომ ვითხრა, მაინც ვერ გაიგებ.

— კარგი რა, — გაცხარდა ქალი, — მომვლა მაგ შენმა „ვერ გაიგებმა“!

— მაშ ასე, გიპასუხებ, — კახა, ქალისკენ შებრუნდა, — მგონია, რომ არის რაღაც ძალი, ენერგია, რომლითაც მე მხოლოდ იმ მთა-კლდეში ხეტიალით ვიმუშტები და ურომლისოდაც სიცოცხლე გამიჭირდებოდა.

ქალმა დამცინავად გადმოზიგა ქვედა ბაგე და უსახელო თითით სახეზე ჩამოშლილი სპილენძისფერი თმები გადაისწორა.

— აი, ხომ ვითხარი, ვერ გაიგებ-მეთქი.

ნანამ დაკვირვებით შეხედა ვაჟს...

— შენ თბილისში არ უნდა დაბადებულიყავი.

— აბა სად მიჩვევით?

— სადა და არხოტში ან შატალში...

— მერე?

— მერე ყოფილიყავი იქ და გეხეტოდა იმ კიბეებში ჯიხვივით...

— აბა, კაცო, ბედი არ გინდა? — გაიცინა კახამ.

— მაინც რა ეშვავად ავითყდა იმ გაციოფებულ არაგვში ბანაობა?

— რა ვიცი, ისე, მომეპროიანასავით...

— ჰმ, მოგეპროიანასავით, სული რომ კინალამ გაგაფთხოვინასავით?

— კინალამ, აბა!

ვაჟი საზურგეზე მიესვენა და თვალეზი დახუჭა.

მანქანა რბილად მისრიალებდა.

მთები ნელნელა მოიწვედნენ წინ და იზრდებოდნენ.

— მომივიღე სიგარეტს, — სთხოვა ნანამ და სარკე გაისწორა, — რას ვგავარ, ამ დილით პირიც ვერ დავიბანე წესიერად...

კახამ სიგარეტი ამოიღო, მოუქიდა და ქალს გამომუშტულ ტუჩებში ჩაუდო.

— გხატავს! — თქვა მერე და გვერდზე გაიხედა.

— აღარ მჭირდება დახატვა, განა ვერ ამჩნევ?

— წარმოიდგინე, ვერ ვამჩნევ! — თქვა ვაჟმა და ყალბი დაკვირვებით შეხედა ქალს.

ნანამ სასაცილოდ მოიჟყანა სახე და გზაზე არხვინად გადაძველ ძროხას საყვირი აუზმიანა.

ძროხამ მშვიდი, დიდრონი თვალეზით მოხედა მანქანას, უცმაყოფილების ნიშნად კუდი თემოზე შემოიტყაპუნა და გზიდან ზანტად გადავიდა.

მანქანამ სიჩქარეს უმატა.

გზის ბიდანზე ჩარიცხული ბუნჩები ქარის მოტაცებულებივით დაწალიკებულები გარბოდნენ უკან.

— გამოტეხილად უნდა ვითხრა, ასე მხიარული არასოდეს მინახავხარ, — თქვა ნანამ.

— მართლა? — ცალყბად იკითხა კახამ.

— შენი უემურობა ალბათ არაგვმა წაგართვა.

— ვითომ?

— თუმცა... არ გათეთრდების ყორანი...

— აი, ეგა თქვი შენ!

ვოლგამ ეინვალთან ბარისახოს გზაზე გადაუხვია და უკან რძისფერი კორიანტელის კვალი გაიყოლა.

არაგვს რომ დაემგზავრნენ, ქალმა დამცინავი ღიმილით მოხედა ვაჟს.

— წინ იყურე, — თქვა კახამ ისე, რომ ქალისთვის არც შეუხედავს, — შენც არ „იბანაო“, ამ გზაზე შენი პირველი ნათლობაა...

— იქნებ დაგავიწყდა ცურვა ვისგან ისწავლე? — უთხრა სიცილით ნანამ, — ისე კი შენ სად არ მონათლავ კაცს!...

ვოლგა ახლა არაგვისპირზე მისრიალებდა.

გაშლილ ქალებს რომ გაათავებდა, სიჩქარეს უკლებდა და ხოქოსავით მიძვრებოდა გზაზე გადმოყვლუქნავებულ ხეთა ჩრდილებში.

— რა მანქანით „ჩამოგასვებებს“ მცხეთაში?

— გუშინ არ ვითხარო?

— ეგ არ ვითქვამს, — გაჭიუტდა ნანა.

— მორჩი წამებას, რა!

— კიდევ შორსაა შენი საბანაო ალიგოლი? — არ ეშვებოდა ქალი, რამდენიმე წუთს ხმა არცერთს არ ამოუღია.

— შატილი შორსაა აქედან? — იკითხა ნანამ.

— უკვე შატილში ვართ! მოისვენე? — კახა ქალისაკენ შემობრუნდა.

ნანამ დამცინავად ჩაიჭიჩქილა.

— შენ სწორი ხარ, ყველგან შატილი და დოზანაა...

— ერთი დოზანა მოგიხდებოდა მაგენაზე შენ, — ჩაიტანა კახამ.

— გმადლობთ! ასეთი ლაპარაკიც ალბათ აქ გასწავლეს.

ვაჟს ხმა აღარ ამოუღია.

ის ახლა სალდაც გაღმა, ქვიშიან გორაზე შემორჩენილ უსახელო ციხის ნანგრევებს შეჰყურებდა.

ნანგრევების თავზე მხარკვეროანი არწივი ბოინობდა.

ალბათ ახლა არწივები ბუდობენ ასეთ ნანგრევებში, ფიჭობდა კახა; ყველგან ისინი არტყამენ კამარას, სალდაც ხრიოც მთაზე დარჩენილი ნაციხვარებია, ან

თავზე დაბოინობენ, ან დასკნულდებიან ხავსიან ქონგურებზე, დაიკაცავენ ფრთებს და გორიზი მბრძანებლის თვალით გადაჰყურებენ ქვეყანას.

მანაც რამდენი არწივია!

თუმცა ციხე-კოშკებიც ბლომადაა; მაგრამ დაბზარულ-ჩამოშლილი...

— ასეთ ტალახიან მდინარეში შტერი თუ შევა საბანაოდ, — გამოიყვანა ფიჭვებიდან ქალის სიტყვებმა კახა.

არაგვი მართლაც კუპრივით შავი მოდიოდა. გაშმაგებული ხრავდა ნაპირებს, რასაც მოიხელოებდა: ხეს, ბუჩქს, შლამს და მიწას, ყველაფერს ნთქავდა და მიბლარდა ახალი მსხვერპლის საძებნელად.

კახა არაგვის აობრებულ ტალღებს აკვირდებოდა, მოუსვენრობა დაეტყო.

გზაწერილი ბუჩქნარით დაფარულ ფერდობზე გადიოდა. გზის ბიდანზე კირით დათეთრებული მარგილები ჩაჯარებულნიყვნენ, მარგილებს ქვემოთ კი, ფხაწალი კლდის კალაპოტში, არაგვი მიიწურებოდა.

ზემოთ ხეობა იშლებოდა.

არაგვის ნაპირზე მწვანედ აბიზინებული ქალები და ღეკით გადაპენტილი გორაკები მოჩანდა.

ქალაზე ცხვრის ფარა გაფენილიყო.

— ეგერ, იმ ქვასთან გააჩერე, — თქვა კახამ, — მუხლებზე ნადები პიჯაი საზურგეზე შემოდო.

მანქანიდან გადმოვიდნენ.

ქალს სწორი, მიმზიდველად ჩამოქნილი ტანი ჰქონდა. ხავსისფერი თხელი შარვალი მკიდროდ შემოტმანოდა სავესე თეძოებსა და მალალ ფეხებზე.

შეყვითლებული თმები ლამაზი სახის ნახევარს უფარავდა, ამიტომაც წამალუწუმ ისწორებდა, უკან იყრიდა.

მთებიდან მონაბერი ნიავი მეგზურივით ასდევნებოდა არაგვს. მდინარის ომახიან მოძახილს თავის ჰკუთხე ათამაშებდა: ხან გაღმა გაჰქონდა და ხან გამოღმა, ხან მალალი ქედებისაკენ აიტაცებდა, გადაატარებდა ხევიდან ხეზე, გორიდან გორზე, მერე სალდაც, ღრან-

ტეებში ჩამალავდა, ჩაჩუმებდა და წამით თავადაც გაინაბებოდა.

კახა მდინარესთან მივიდა და ლოდზე ჩამოჯდა. ნანა მიჰყვა და როდესაც მიუახლოვდა, ვაჟის ყურთან დაიხარა:

— ახლა არ თქვა, რომ ამ ჯოჯობეთურ ღრანტეებში უსვამდი მკლაურს...

— მაინც არ დაიჯერებ, — თქვა კახამ, თან არაგვიდან თავამოყრილ ლოდებს აკვირდებოდა, რაღაცას იხსენიებდა.

— ეგ ზღაპარი იცი ვის მოუყევი? — უთხრა ნანამ სიცილით, მერე მდინარის ნაპირთან კენჭები წამოყრიდა და თითო ცალობით დაუწყო არაგვს ვაჭაგრება.

— მგონი იმ მწვანე, ხავსმოდებულ ლოდს შევახეთქე წარბი, — თქვა კახამ და ხელი გაიშვირა.

ნანას უკანასკნელი კენჭი უნდა ესროლა არაგვში, მაგრამ ვაჟის სიტყვებმა ხელი ჰაერში გაუშეშა, თითქოს იმ კენჭის სროლით მშვინებარე მხეცს გამოაღვიძებდა, ისეთი თვალით გახედა ლოდს, მერე ვაჟისაკენ მიიხედა.

— რას ამბობ, კახა?

— აგერ ქვემოთ, ციცაბო ნაპირები რომ ჩათავდება, ხედავ? მდინარე ცოტას მდორდება, იქ მოვახერხებ ნაპირზე გამოფორთხება, ჩემ ბედზე, შემთხვევით გამოვლილი მანქანაც გამოჩნდა და...

ქალს მუხლები ჩაეკეცა და სველ სილაზე დაუფიქრებლად ჩაჭდა.

ის ერთხანს არაგვს მიმტერებოდა, მერე ვაჟისაკენ შემობრუნდა, შეხვეულ თითზე და ნაიარევე შებღზე შეავლო თვალი, თითქოს ახლა შენიშნა პირველად:

— შენგან არაფერი არაა ვასაკვირი...

„ფათურაყების მამიებლის“ დამატება დააიწყდა, გაიფიქრა კახამ.

ქალმა გაიღიმა და თავი კახას მუხლს მიაყრდნო:

— იცი რა გამახსენდა ახლა?

— არ ვიცი.

— ამ არაგვს რომ ვუყურებ, იმიტომ გამახსენდა.

— მაინც, რა გაგახსენდა?

— გახსოვს, ერთხელ შატალოზე რომ ვიყავით და შენ ზოთპარკში შესვლა დაიჩინე?

— საეუთარ ადგილს ეძებო, რომ მკითხე, მაშინ?...  
ნანას გაეცინა.

— ლომების გალიასთან გაჩერდი და კარგახანს შეპყრებდი ლომს თვალუმში.

— შეეყურებდი, მერე?

— ჰოდა, მაშინ ასე სთქვი: შეხედეთ, ლომი რა შორს — ცის დასალიერს გაპყურებს, თითქოს უსასრულობას და მარადისობას აწვდეს მწერას, აქ კი, მიწაზე, მის ირგვლივ რა ხდება, აინუნ-შიაც არ ავდებს...

— აუჰ, რა დიდი რამე გაგახსენებია! — გაიციინა კახამ.

— მაშინ შენს მორიგ სისულელედ და უცნაურობად ჩავთვალე ეს სიტყვები...

— ახლა რა, სიბრძნედ გეჩვენება?

— როგორ გითხრა... — ნანამ არაგვს გადახედა, — რატომღაც მგონია, ახლა ამ კლდეთა ბორკილებში გამომწყვდეულ არაგვზედაც დაახლოებით ასეთ რაღაცას ფიქრობ...

კახამ ჩაიციინა და ადგა.

გზის მეორე მხარეს არყიანებში ერთი ნაბდის გამლა ჩაყვავილებული მწვანე ბორკვი მოჩანდა.

— „როგორ იქნება არ განისვენო!“ — წამოიძახა კახამ და ქალი არყიანებისაკენ მიახედა.

— მივიღეთ, — თქვა ნანამ, დაწინაურდა და მანქანიდან რაღაც ფუთა გადმოიღო.

კახამ გაკვირვებით შეხედა, ფუთა ახლა შენიშნა.

— რაღაცეები წამოვიყოლე, დღეს თუ არ გამოგწერდნენ...

— ჩათვალე, რომ არ გამოვეუწერივარ, — სთქვა კახამ.

— იცი რა, პური არ წამოიღია, ხილია და ერთი ბოთლი კონიაკი...

კახას არაფერი უთქვამს, მწვანე ბა-  
ლახებზე გაიშხლართა და სახე ჭერ კი-  
დევ ნამიან სამყურებში ჩამალა.

— არც ჭიქა გვაქვს, — დალონდა  
ნანა.

კახა კვლავ სამყურებს ეფერებოდა  
ბაგეებით და ღრმად ისუნთქავდა მი-  
წის სურნელს.

ნანამ „ვარციხე“ გაუშვირა კახას.

— ნახე, როგორი ვარ შენთვის!

კახამ წამოიწია.

— ჩემთვის? — იკითხა მან გამკი-  
ლავად.

ქალმა დაბნეულად შეხედა.

— იცი რა, — კახამ ეშმაკურად გა-  
აწვრილა ხმაც და თვალეზაც, — აქეთ  
უნდა მოგყავდეს შენი ძმაცაკები, თე-  
მო, გივი, ხომ ხედავ, აქ რა შესანიშნავი  
ადგილებია!...

ნანას იერი უცხად შეეცვალა, ხელი  
მოუდღუნდა და ბალახებში ჩაიმაღა ბოთ-  
ლიანად.

ოდნავი სიფითრეც შეეპარა ქალის  
ბაგეებს. მაგრამ ეს იყო წუთიერი მოვ-  
ლენა: ნანამ უცხად ისევ ჩვეულებრივი  
გამომეტყველება მიიღო, კახას გამომწ-  
ვევად გახედა და ამაყად თქვა:

— შენ მართალი ხარ, იცი, გავითვა-  
ლისწინებ ამას შემდეგისათვის...

კახამ უკმაყოფილოდ მოწყვიტა თავ-  
სივლიას ღერი და კბილით გაკვნითა.

ქალს არ გამოაპრეია ეს და ეს ი-  
ამოვნა.

— მიკვირს, დღეს როგორ მოიცალე  
ჩემთვის? — იკითხა კახამ.

ქალი ახლა ბუერის ფოთოლზე მო-  
ფუსფუსე ჭიამიას დაჰყურებდა: თეთრ-  
წინწკლებიანი, წითელი ფერის, ნამცეცა  
წერი ფოთლის კიდეს მიადგებოდა,  
პაწაწა ფრთებს ასაფრენად გაშლიდა,  
მაგრამ ისევ ვადიფიქრებდა. ახლა მე-  
ორე ნაპირისაკენ მიემართებოდა, აქაც  
არ აწყობდა რატომღაც აფრენა და ასე  
დაბორიალობდა იქეთ-აქეთ.

— არ სურს აფრენა, თუ ხელს უშ-  
ლის რაღაც? — თქვა ოდნავ გასაგონი  
ზმით ნანამ, — შენთვის კი, — გახედა  
მან კახას, — როგორ ვითხრა... მცხე-

თაში ნათესავთან მინდობდა მსმისკლს  
და ამიტომ შენთვისაც მოვიტყუე...

კახა მიხედა, რომ ქალმა აშკარად  
იცრუა, თანაც ასე მშვიდად ლაპარა-  
კობდა ამ მოგონილ სიტყვებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო  
ხანებში კახა ამ ქალზე არ იყო მაინც-  
დამაინც კარგი აზრისა, არც მისი მე-  
გობარი ქალ-ვაყები ეხატებოდნენ  
გულზე, მაინც რაღაც შეუძნობ სიამეს  
განცადევინებდა ეს წუთები ახლა,  
რატომღაც ფიქრობდა, რომ ამ წუთებ-  
ში, ან იქნება საერთოდაც, ყველაფერს  
აპატიებდა, თუ კი რამე ჰქონდა საპატი-  
ებელი ქალს. უკვირდა, რომ ასე ძალიან  
კმაყოფილი იყო რაღაცით...

— მომეცე, ბოთლო, გაცხანი, —  
თქვა კახამ.

ქალმა თვალეზში შეხედა, კარგახანს  
უყურა, მერე კონიაკიან ბოთლს და-  
ხედა, მერე ისევ კახას.

ვაყის თვალეზი უცნაურად აღგზნე-  
ბულნი მისჩერებოდნენ ქალს.

ასეთი გამოხედვა პირველად შენიშნა  
ამ კაცის თვალეზში ნანამ, ბოთლი ხელ-  
უკლმა გაიქნია და არაგვისაკენ გა-  
საგნა!

ქალის ასეთი მოქმედება ახლა კი ვე-  
ლარაფრით ვერ ახსნა კახამ.

ნანა მშვიდად ადგა და მანქანისაკენ  
გაემართა.

მანქანის კარი გამოაღო, საჭესთან  
მოხდენილად მოკალათდა და კახას მო-  
ხედა, გელოდებოდა.

როდესაც ვაყი გვერდით მიუჭდა, ნა-  
ნამ წყნარად იკითხა:

— ცოტაც ხომ არ გავიაროთ ზემოთ?

— როგორც გენებოს, ჩემთვის სულ-  
ერთია...

— ჩემთვის არაა სულერთი! — თქვა  
ქალმა ყელგადადებებით და მანქანის ძრა-  
ვა ჩართო.

გზა ახლა უფრო ღორღიანი იყო,  
მანქანა ფრთხილად მიზაყუნობდა გო-  
რახ-მარახში.

ნანა გარეგნულად არაფერს იმჩნევ-

! კახანა — ვადისროლა (ჩვესტრელი).

და, მაგრამ ბოლმა ახრჩობდა კახას ლეარძლიანი „ჩრევის“ გამო: „აქეთ უნდა მოგყავდეს შენი ძმაცაკებო“... ქალი კარგად მიხვდა, კახა სადაც ურტყამდა, მაგრამ ჭერჭერობით ნაადრევად ჩათვალა საჭირო პასუხის გაცემა, თუმცა ეს კაცი მის ნაცნობ მამაცაკთა შორის ყველაზე მეტად აინტერესებდა და იტაცებდა. მიუხედავად იმისა, რომ კახას მისი ნაცნობ-მეგობრები გულცივ და უქმურ ბიჭად თვლიდნენ, ნანა მის გვერდით როცა იყო, რაღაც შეუცნობ სიტბოს და სიამეს გრძნობდა.

ვაგი ფიქრობდა:

რატომ იყო ეს ქალი მისთვის ყოველთვის გამოცანა, ან თვითონ რატომ არ ცდილობდა მის ამოხსნას. სურვილი კი ხშირად დაბადებია ქალის სულში ჩახედვისა.

საერთოდ ქალიშვილებთან მეგობრობას რატომღაც ვერ ახერხებდა, გრძნობდა რომ თვითონ იყო უგერგილო ამ საქმეში, თითქოს აკლდა რაღაც მაგრამ ამ ნაკლის გამოსასწორებლად თავი არასოდეს აუტყევივია. პირველივე საუბრიდან ქალიშვილები — „უცნაურ“ და „ენამწარე ტიპს“ მიაკერებდნენ და მერე აღარ ეკარებოდნენ.

ნანა კი, პირიქით, მის „ენამწარეობაში“ და უხეშობაშიც რაღაც სასიამოვნოს პოულობდა, ან თვითონ უჩვენებდა ორივეს მეგალითს.

ასეთ დამოკიდებულებაში იყვნენ ინსტიტუტში სტუდენტობის დროს და ახლაც დაძაბული და რაღაც არაბუნებრივი იყო მათი ურთიერთობა.

ამიტომაც არ ეხამუშა ამ დილით სავადმყოფოდან გამოსულს, როცა ნანას მანქანას მოჰკრა თვალი.

\* \* \*

მანქანამ არაგვი წარგულ გორის ცხვირის შემოუარა და სწორ გზაზე გავიდა.

პატარა აღმართი რომ ათათვეს და გაივაცეს, ქალ-ვაჟმა ერთდროულად შენიშნა შუა გზაზე ჩაცუცქული ორი კა-

ცი. მერე მესამეც შემოემართა. მოვიდა ტყიდან ჩამოშობულ ბილიკზე ჩამოვიდა. მას იღლიაში თოვლივით თეთრი, ქორთა ბატკანი ამოეჩარა. ახალმოსულმაც იმ ორთან ჩაიმუხლა.

მანქანამ სელას უკლო და სიგნალი მისცა.

მოსაუბრებებმა მანქანის სიგნალი ან ვერ გაიგონეს არაგვის მშუილიში, ან გაიგონეს და ყურადღება არ მიაქციეს.

როცა მანქანა ცხრა-ათი ნაბიჯით იყო დაშორებული, გზაში მყოფებს ნანამ კიდევ მისცა წყვეტილი სიგნალი.

მოსაუბრებებმა მოიხედეს, მაგრამ არ განძრეულან. მანქანისაკენ ზურგით მყოფმა დეკვაცმა ნიჩაბივით ფართო ხელი გადმოსწია უკან და ისე ჩაიქნია, თითქოს ეუბნებოდა: მოიცა და, თუ ძმა ხარ, ხელს ნუ გვიშლი, ეს გზა არაად გაგქცევა, მერეც გაივილი.

ნანამ მანქანა გააჩერა.

ნანა და კახა ინტერესით უყურებდნენ საუბარში გართულებს.

ერთერთ მათგანს ზურგზე მუცელ-გამოპერილი ტიკჭორა მოეგდო.

— აი, პირველი სიურპრიზი, — სთქვა ღიმილით ნანამ, — ამ დალოცვილებს რაფა ამ შუა გზაში მოეპრიანათ ჩაჯდომა, ამდენი ველ-მინდორია, ამათ კი ამ მტვერში არხეინად ჩაუმუხლავთ და, მგონი, დღეს ადგომსაც არ აპირებენ.

ქალს სიტყვა დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ მათკენ ზურგით მყოფი წამოიშარათა და მშვიდად შემობრუნდა მანქანისაკენ.

სხვებაც ადგნენ და ყველანი მანქანისკენ წამოვიდნენ. ოდნავ ფეხარეულები.

წამოდადრებულ ლოყებსა და დაელმებულ თვალეზზე ეტყობოდათ, რომ საკმარისად ნასვამები იყვნენ.

— აჰ, სადღაც, ახლოს სოფელი უნდა იყოს, — თქვა კახამ და ტყიანი გორაკისაკენ გაიხედა.

წინ მიმავალმა გოლიათმა მანქანაში მსხდომთ აღმაცერად გაუბღვირა, მერე ულუაშეშში ჩაიღიმილა და ქალ-ვაჟს ხელით ანიშნა, მანქანიდან ჩამოდიოთ.

— მიდი, გაიარე, — უთხრა ჩემად კახამ ნანას, — ყურს ნუ უფდებ, მთვრალეები არიან, ზომ ზედავ?

— თუ კი გვეპატივებიან! — თქვა ნანამ და ეშმაკურად ჩაიციან.

კახამ კიდევ შეათვალიერა მანქანის წინ მდგომები, რომლებიც გულუბრყვილო ღიმილით შეპყურებდნენ, ქალს უცმაყოფილოდ გადახედა და მანქანიდან გადმოვიდა.

ნანამ მანქანა გვერდზე გადააყენა და თავდაცვლილად დამხედურებისაკენ გაემართა.

ახოვანი მთიელი უსიტყვოდ წავიდა არაგვის ნაპირისაკენ, თან ხელით დანარჩენებს ანიშნა მომყვითო.

მათ პატარა ქალა გაიარეს და ზედ არაგვის კიდეზე, ბებერი პანტის ქვეშ შევიდნენ.

უკან მიმავალმა კახამ არაგვის ნაპირს თვალი ჩააყოლა და ნაბიჯი შეუწეღდა, ერთხანს თვალგამტერებული რაღაცას ჩაპყურებდა ქვემოთ. როდესაც ნანამ წაუჭიკაფა, სად იხედები, მასპინძლებს მიპყევიო, კახა მაშინ გამოერკვა.

ბერე ყველანი მწყემსურ სუფრას შემოუსხდნენ.

ქორთა ბატყანი კი იქვე ბალახს წიწკნიდა ყელზე თოვშებმული. თოყის ბოლო ახალგაზრდას ეჭირა ხელში, თან თვალი ნანასაკენ გაურბოდა.

— აბა, ახლა კი გავიცნოთ ერთიმეორე, — თქვა ორმოცდაათს მიღწეულმა გოლიათმა და კახას შეხედა, — მე ყრუ ნიკოს მიძობიან, ფშაველი ვარ, კაწალბეველი, ეს კი, — გვერდზე მჭდომ ბეჭგანიერ ვაჟაკს გადახვია ხელი ყრუ ნიკომ, — ჩემი ძმობილი მგელიკაა, გუდანელი, ეს ჩემი ძმისწული ბეწინტურაა, — მიხედა მან ახალგაზრდას.

— ძალიან სასიამოვნოა! — თქვა ნანამ ღიმილით.

— თქვენი სახელებიც გვითხარით, ძმისწულო, — ისევ კახას უყურებდა ყრუ ნიკო.

— მაგას კახა ჰქვია, მე კი ნინო, — დაასწრო ნანამ კახას პასუხი, თან თავისი სახელი ნინოდ გადააყეთა, აქაოდა არაგ-

ველებს ნინო უფრო მოეწონებოდა, ვიდრე ნანაო.

ყრუ ნიკომ უცმაყოფილო იერით გახედა „ენაგრძელ დიაცს“ და მგელიკას მიუბრუნდა:

— ძმობილო, სანამ ჩვენი ამ ალაგზე მოსვლის მიზეზს ვეტყოდეთ ამათ, ამ ჩემ ძმისწულს ერთი ყანწი უნდა გადავახუხოთ.

ხვესურმა ტიკპორის სირა ყანწში ჩალო და ეპიბატური აჩუხჩუხდა.

როგორც იქნა აივსო ეს ვეება საარყე ყანწი.

კახა მიხვდა, რომ ყანწის დაცლაზე უარის თქმა უადგილო და ზედმეტი იქნებოდა, სასმისს მაინც გამოაცლევინებდნენ.

— ეგ რომ დალიო, მოგიღებს ბოლოს, — თქვა ჩემად ნანამ.

კახამ მასპინძლები ადღეგრძელა-ყანწი გამოსცალა როგორც იყო და მგელიკას დაუბრუნდა.

— დედა ვაცხოწე ვაჟისა, ძმისწულო, — წამოიძახა ალტაცებულმა ნიკომ, — გადამაც ვგრე უნდა, აი!...

— ვიფიქრე, ეპიბატურს დაგვიწუნებდა ქალაქელი, — ჩაილაპარაკა მგელიკამ და ყველის ნახეტი მიაწოდა კახას.

სტუმარსაც რომ დაალევიან, ყველანი უცხად გაახიარულდნენ, ნაძალადევად შეკავებულ სიმთვრალე გამოუცხადდით არაგველებს, ბეწინტური ყრუ ნიკოს მიეჭაღლა და წაუმღერა.

ბეწინტური — ბიძაჲ, სტუმარს ვასმიოთ,

ტიკიდან სანამ გადმოვააა...

ნიკო — რამდენ ერთს უნდა ვასმიოთ,

ეს წაეა, ახლა სხვა მოვააა...

ნიკოს პასუხზე ყველას გულიანად გაეცინა.

— ძმისწულო, არ გეწყინოს, — უთხრა ნიკომ კახას, — კაფია ჩვენი გართობაა, უკაფიოდ რა მაღლი ექნებოდა ჩვენს პურის ჭამას...

— როგორ გეკადრებთ! — უპასუხა

უკვე მუცელშებურებულმა კახამ, — პირიქით, მიხარია...

მგელიცა თვალბში შეპყურებდა ნიკოს, რაღაცის თქმას აპირებდა.

— ახლა კი საქმესაც მივხედოთ, — თქვა ნიკომ და ბატყანს გადახედა.

ბეწინტური ფეხზე წამოდგა და ბატყანი ახლოს მოათრია.

— ძმისწულო, — მიუბრუნდა კახას ყრუ ნიკო, — საკლავი სულის ასახსნელად უნდა დავკლათ ამ არავგზე.

კახამ ვერაფერი გაიგო, გარდა იმისა, რომ ბატყანს დაკვლას უპირებდნენ.

ნანა შემკრთალი თვალებით მიაჩერდა ბეწინტურის მუხლებზე მჭიმულ აფართქმულ კოორფა ბატყანს.

ყრუ ნიკო მიხედა, რომ კახამ ვერ გაიგო.

— ჩვენთან წესია, ადამიანი სადაც დაიღუპება, სულს დაღუპს, იმ ადგილზე საკლავს ვკლავთ და მიცვალებულის სულს უფალს ვავედრებთ.

— ამ ადგილზე დაიღუპა ვინმე? — წამოიძახა გაოცებულმა კახამ.

— ნუ ხმამაღლობ, ვაჟო, — თქვა ნიკომ მშვიდად, — მართლა ყურთმძიმე კი არა ვარ...

კახას შერცხვა: სახელის მიხედვით ნიკო მართლაც ყრუ ეგონა.

— მაშ ყრუ ნიკოს რათ გეძახიან? — იკითხა ნანამ თავხედურად, თან კახას გასამართლებლად.

— რაც არ ესიამოვნება, არც გაიგონებს ხოლმე, ჩემი ძმობილი, — თქვა მგელიკამ, — ყრუ ნიკოც იმად შეარქვეს ფშავლებმა.

ქალ-ვაჟს გულიანად გაეცინათ.

— ძმისწულო, შენ იცი თუ არა, რომ არსებობს კარგი სიკვდილი? — შეხედა თვალბში ნიკომ კახას.

— სიკვდილის სიკეთე წარმოუდგენელია! — თქვა დაბნეულმა კახამ.

— არც ჩვენი ლუკას ნათქვამი გაგივონია?

კახა კითხვადქცეული მიიჩერდა ფშაველს.

— ეგ რომელი? — იკითხა მგელიკამ

და პაპიროსი ერთი მოქაჩვით ნახურამდე მიიყვანა.

— რომელი და...

„ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიციცხლე შვენობს შენითაო!“

— მე გამიგონია და წამიკითხავს კიდევ, დიდებული ნათქვამიცაა! — დაასწრო პასუხი ნანამ სხეებს.

რამდენადაც ქალს უგულისყუროდ ექცეოდა ნიკო, ალბათ უფრო მისი ჩაცმულობის გამო, იმდენად ნანა უფრო ჭიუტობდა და კახას არ აცლიდა სათქმელს.

— ბარაქალა, ქალშავაგ, — თქვა ნიკომ, — ჯობია ქალმა იკითხოს და ისმინოს, ვიდრე ილაპარაკოს, — დაუმატა მერე ბურტყუნით.

ნანამ სიცილი შეიკავა.

ნიკო წამოდგა და ბეწინტურს ხელით ანიშნა, ბატყანი აქეთ მოიყვანეო.

მერე არაგვს გადაადგა და რაღაცის ბუტბუტს მოყვა.

არაგვის ხმაურში ნიკოს სიტყვები და ლოცვა არავის ესმოდა.

შემკრთალმა ნანამ თვალბზე ხელეზი აიფარა, როცა ყრუ ნიკომ ბატყანს ყელში დანა გაუყარა.

შემდეგ ბეწინტურმა სისხლგამდინარი ბატყანი არაგვზე რამდენჯერმე გადააქნია და აღსფერი სისხლი ტალღებს გადააწინწკლა.

— აარბენინე ახლა ეგ საკლავი სახლში, — უთხრა ყრუ ნიკომ ბეწინტურს, თან სისხლიანი დანა ბალახებს გააწმინდა, — დედაკაცს უთხარი მწყემსური ყაურმა მოგვიხარშოს და ჩამოგვიტანოს.

ახალგაზრდა ფშაველმა თავმოჭრილი ბატყანი მსუბუქად მოიგდო ზურგზე, ერთივ გაჩედა ბატყანის ბეღით დანადვლიანებულ ნანას, გაუღიმა და იმავე ბილიკს აპყვა ძუნძულით, რომლითაც წელან ტყიდან ჩამოვიდა.

ნიკომ საქმე რომ მოათავა, ისევ სუფრასთან მოიკალათა.

მგელიკამ ყანწი ეპიბატურით აავსო და ნიკოს მიაწოდა.

— აი, ახლა მისმინე, ძმისწულო, —

კახას მხარზე ხელი დაადო ნიკომ, — მე გეტყვი, რომ არსებობს კარგი სიკვდილიც, უფრო სხვანაირად რომ ვთქვათ, კარგი მოკვდომა, სიცოცხლის დათმობა...

ფშაველი წუთით ჩაფიქრდა და განაგრძო:

— ზოგი ამქვეყნად ძალღმამღურად რაიმე დანაშაულისათვის სასჯელით კვდება, ზოგს დღე-წერა მოუვა და წაიყვანს ამ სოფლიდანა, ზოგი კი თავისი ნებით გასწირავს სიცოცხლეს რაიმე საკარგეში საქმისათვის... სწორედ ასეთი სიკვდილი აძლევს შნოსა და ლაზარს ამ წუთისოფელსა და კაცთა კაცობას. ღმერთმა ნუ გასწიროს ჩვენი მიწა-წყალი უკარგემოდ, თუ გაჭირდეს, რომ თავის გამეტება არ შეეძლოს...!

— დაძვირდა ეგეთები, კაწალხეველო, დაძვირდა!... — ჩაუბრუნა ნაღვლიანად მგელიკამ.

— მაცალე, ძმობილო, — თქვა ნიკომ, — აი, დღეს ჩვენა, არც გვარი ვიცით იმ კაცისა და არც სახელი, არც ფერი და არც წერი... ვინ იყო, რა იყო, ან საიდან იყო. ქრისტიანი და ქართველი რომ იყო, ეს კი ცხადია...

ყანწმა თავისი გაიტანა, კახა გვარიანად შეაყიენა არაყმა, მაგრამ ფშაველის ბოლო სიტყვებმა ვაეს უცბად სუნთქვა შეუკრა.

მან ინსტინქტით რალაც იგრძნო, მაგრამ დაჭერება ვერ გახედა.

— მე შეილებში მერჩევა უნცროსი ქალი, — განაგრძო ნიკომ, — ცხრაათი წლისა არაა...

კახას გულისცემამ უმატა, ვერც კი შენიშნა, როდის მოვიდა და მათ შემოუერთდა ბენინტური.

— მერე? — ჰკითხა მან ნიკოს დაგუდული ხმით.

— მერე ისა, რომ ამ დაუნდობელმა არაგვმა დაუპირა მოტაცება...

კახა შეტოვდა, მაგრამ თავი შეიკავა, რომ არ ეყვირა რალაც, გულადმა ბალახებზე გადაწვა, თვალები დახუჭა და გაიჩინდა.

ყველანი კახას მიაჩერდნენ გაკვირვებულნი.

მას ყველაფერი ნათლად წარმოუდგახსენებდა თვალწინ: შესანიშნავი საღამო, ქვეითად რომ მოუყვებოდა არაგვის ნაპირებს სწორედ ამ ადგილებში, ცოტა ქვემოთ. ყვავილუბისი კრეფით არაჯის კიდზე მომავალი გოგონა, ღირგამოთხრილი ბორცვის არაგვი ჩაშვება და გოგონას გულის წამლები წივილი. კახა უცბად გადაეშვა არაგვში, ცურვით წამოეწია წყალწაღებულს და ნაპირზე შემოაფლო. სწორედ ამ დროს მოახვედრა წყალმა ლოდი ბარძაყზე და აბორგებულმა ტალღებმა გაიტაცეს ქვემოთკენ, სადაც უკვე სამართებულოვით ფხა-აღესილი ბასრი კლდის ნაპირები არტახებივით ეკვროდა მდინარეს ორივე მხრიდან...

— ცუდად ხომ არა გრძნობ თავსა, ვაეო? — იკითხა ნიკომ, კახას მოქმედებით გაშტერებულმა.

კახა გამოერკვა, წამოჯდა. ნანა დაბნეული და გაბრაზებული შეხყურებდა ვაეს, რა უცნაურად იქცევი, ხომ არ დათვერიო.

— არა, ეს ისე... მგონი თავბრუ დამეხვა, — იცრუა კახამ და შებლი მოინსრისა.

— იქნება სასამელი მოგერიო, ვაეო? — სთქვა მგელიკამ.

კახას გაეცინა და ნიკოს შეხედა:

— შეიძლება ეგ ყანწიც მე დაელოო? ნიკომ თითქოს ვერაფერი გაიგო, ბენინტური და მგელიკა ამრეზილები მიამტერდნენ კახას.

„თასის ჩამოყრა“ სამარცხეინოდ ითვლება არაგველებში.

ფშაველმა გაუწოდა ყანწი და კახამაც გამოართვა.

— იცით რა, ამ ყანწით... — კახას გული ყელში მოეხვინა, ენა დაემა, არ იცოდა რა ეთქვა, ვინ ედღეგრძელებინა, სიტყვით თავისი განცდის გამოთქმა ვერ შეძლო, ესლა წამოიძახა:

— აი ამ... ამ არაგვს გაუმარჯოს, არაგვიანსა!... — ფშაველ-ხევისურებმა ერთი-

მეორეს გადახედეს, არ ეკაშნიკათ „ქალაქელის“ სიტყვები.

— მხოლოდ ამ ბატონის სისხლი კი არამი იყოს არაგვისთვინა, მხოლოდ ის შეიწირა არაგვმა...

ნიკო გაფითრდა, ბეწინტურმა ცალმუხლზე წამოიწია და მუშტები მოკუმშა.

— კახა, რა გემართება?! — წამოიძახა ნანამ და მკლავზე მოქაჩა ვაეი.

— შენ რეებს არახუნებ?! — შეუბღვირა კახას მგელიკამ და არაყიანი ტიკპორა გვერდზე გადადო.

კახამ, თითქოს გამოეღვიძაო, თავი აწია და მისკენ მიშტერებულ საცრისხელა სამ წყვილ, ამღვრეულ და ავად-აეღვებულ თვალს წააწყდა.

ის უცხად დარწმუნდა, რომ ამ უზომოდ გაღვნილ მეცხვარეებს ვერაფრით ვერ დააჯერებდა თავის ნამოქმედარს.

საკუთარი გულის ბაგაბუგი ესმოდა კახას.

— უმაწვილო, — ამოიხიზინა ყრუ ნიკომ და არაგვს აღმაცურად გადაუბღვირა, — ამ წყალტუალს ჩემი ღვიძლი შეიღის სიცოცხლე ვინც ბრჭყალებიდან გამოსტაცა და საკუთარი გასწორა, იმის მოსაგონარ სუფრას რად მისვრი ლაფით?!.

არაგვს გაუმარჯოსო, ხალხო, არაგვისო, რომელმაც ძოღანის კაყუშის სიცოცხლე შეიწირა...

— კახა! ეს ხომ... შენ. ეს იყო, ეს! — წამოიძახა ნანამ და ხელები კახასკენ გაიშვირა.

— გაჩუმდი! — იყვირა კახამ, — სისულელეს ნუ ლაპარაკობ!.. და ჭიხვის ყანწი მოიყუდა.

ბეწინტური ადგილიდან წამოხტა, კახას ნახევრად დაცლილი ყანწი ხელიდან გამოსტაცა და ნარჩენი სახეში შეასხა.

— ნაბიჭვარო, პატივს გცემთ და კიდევ მასხარად გვიგდებ ხო?! ამ შენს კახას გინდა თავი მოაწონო, არა?!

უკანასკნელმა სიტყვებმა კახა უცხად გამოიყვანა მოთმინებიდან, წამოვარდა

და მოკლედ გაქნეული ხელუკვებში ჩაარტყა ბეწინტურს. *შინჯლიწითქა*  
ბეწინტური გუდასავით გაგორდა სამყურებზე.

ახლა მგელიკა გადაუხტა კახას.

კახამ უკან დაიხია, მგელიკას დათვით ტორები აიცილინა და მთელი ძალით ამოარტყა მუშტი ნიკაშში.

მგელიკა ზედ სუფრაზე გაიშხლართა ბეჭებით და „მკვდარბიციცაულოო“, — ამოილულლულა.

ნიკო აქამდე არ განძრეულა.

როდესაც დაინახა, რომ მისი ძმობილიც, ეს ხარებით კისერა ვაეყაცი, მის მუხლებთან ფართხალოზდა, წამოიშართა და წამოიგდა.

— ძაღლის ლეკვო, ამას რას სჩადი?! — ამოიბუხუნა მან და ტორტმანით კახასკენ წავიდა, ამასობაში ბეწინტურს უკვე მოესწრო ფეხზე წამოღვგომა, მაგრამ კახამ მაინც მოასწრო ნიკოსთვისაც ეთხლინა ერთი, თუმცა ამ დეეკაცს ადგილიდან ფეხიცი ვერ მოაუვლევინა.

სწორედ ამ დროს, როცა კახა ბეწინტურისაკენ შებრუნდა, მას ყრუ ნიკოს გაშლილი მარჯვენა ეძგერა სიფათში და თვალეები დაუბნელდა.

წუთიც და ხელგაყავებული და გაკოქილი კახა მუხლებქვეშ ამოიდგეს მწყემსებმა.

მის ყურს ნანამ ქვითინი და მუდარა მისწვდა.

— აპატიეთ, ნუ მოკლავთ, სიმთვრალით მოუვიდა, გვედრებით აპატიეთ!... — ქვითინებდა ნანა.

— ეს რა გვიყო ამ შობელძაღლმა, ამანა, კაცო! — იღრინებოდა მგელიკა, რომელსაც ცალი ხელით კახას მარჯვენა ეჭირა, მეორით ნიკას ისრესდა.

მეცხვარეები გამოლენჩებულნი დაკუურებდნენ ქვეშამოდებულ კახას, აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ნაბულრაველი ხარებივით ქშინავდნენ და წარამარა იფურთხებოდნენ.

— მამაძაღლო, ითხოვე ახლა პატივება, — თქვა ბოლოს ნიკომ, სული რომ

მოითქვა, — თორემ, ამ არაგვის ზომ ხედავ?

ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ კახას ჭერ კიდევ აზრებიც ვერ მოეკრიბა, ტყვილისაგან დაღმეჭილი ღრმად სუნთქავდა და ცდილობდა გულადმა გადატარებულყო.

გადააბრუნეს.

მან შეხედა ამ წვერგაუბარსაც, ხელბდაკოყრილ, დუქმომდგარ მეცხვარეებს და გუმანით მიხვდა, რომ ისინი მაინც უყვარდა, სწორედ ასეთები, როგორებიც იყვნენ, და სწორედ ამისათვის უყვარდა, რისთვისაც ახლა მას აწამებდნენ და მკერდზე მუხლებს აჭერდნენ, ხელებს უგრეხდნენ, მაგრამ კახა დათმობაზე კი მაინც არ წავიდოდა! სწორედ ამ ხალხის სიყვარული უბიძგებდა პირველ რიგში მას, რომ დათმობაზე არ წასულიყო...

— მოიხადე ბოდიში, შე ქალაქუნაე! — დასჩხავლა ახლა ბეწინტურმა და ცხვირთან მუშტი მოუღერა.

კახამ თავი წამოსწია და შიგ თვალუბში შეაფურთხა ბეწინტურს.

— ვახშე, ამის... — შეიგინა ბეწინტურმა, — რა უყოს კაცმა, მიმიშვი, დავკლა ღორივითა!..

— კმარა, მოათრიეთ არაგვთან! — თქვა ყრუ ნიკომ და არაგვისაკენ წაქაჩა, — ეს ძაღლიშვილი ძაღლურად უნდა მოკვდეს.

— ძაღლიშვილები და ლაჩრები თქვენა ხართ, თქვენს! სამი ერთზე მოდიხართ... — თქვა კახამ მშვიდად და ნიკოს თვალი თვალში გაუყარა.

— ვალოკოთ არაგვის ქეიშა ამ შობელძაღლსა! — დაიძახა მგელიკამ და მდინარისაკენ წაათრია.

კახას მდინარის გრილი სუნი ეცა და ტანში გააჩრქოლა.

მან ქვევით გახედვა სცადა და ნანას მოჰკრა თვალი, ქალს კოფთა გაეძრო და ახლა ტუფლებს იხდიდა, ხან მდინარეს უყურებდა, ხან მოჩხუბრებს, ელოდა, როდის გადააგდებდნენ კახას მდინარეში გაცოფებული მთვრალი არაგველები.

ვაეი მიხვდა ქალის განზრახვას და გულზე რაღაცამ საშინლად მიუჭიქუნა ის იყო უნდა ეთქვა საზიზღარი სიტყვა „მაპატიეთო“, რომ ფშველებმა და ხევსურმა თითქმის ერთდროულად გაუშვეს ხელი და მოშორდნენ.

ნანა შლევანივით მივარდა და თავისუფლად მჯდომ კახას მოეხვია აქვითინებული.

— რატომ აღარ გადაგაგდეს, რატომ? საოცარია!.. ჩუჩჩულებდა ის და კახას ეხვეოდა.

— მგელიკავ, თითო რა გადაგვეკრა ახლა მე და შენ, არას დავაშავებდით, არა?...

მგელიკამ უღვამებში ჩაივინა, თან ისევ თავს აქნევდა გაკვირვებული, საკუთარი მარცხის სირცხვილი ვერ მოენელებინა ჭერ კიდევ.

ბეწინტურმა ტიკპორა და ყანწი მოიტანა, ყიპიტაური დაასხა და ბიძას მიწყოდა.

როგორც იქნა, ნანა დამშვიდდა და ტუფლებისა და კოფთის მოსატანად წავიდა.

— შენს გაზრდასა, — უთხრა ნიკომ შერბილებული ხმით კახას, — ახლა მაინც გვაცალე და თითო ყანწი მე და ჩემ ძმა-ძმისწულსაც დაგვაღვეინე, კაცო, ყელი ამომშრა კაცსა!..

კახამ თავი მორცხვად დახარა, თუმცა ვერ გაერკვია, საერთოდ ვინ იყო ყოველივე ამში დამნაშავე...

\* \* \*

ბილიკზე ცხრა-ათი წლის ბიჭუნა გამოჩნდა. მას ერწი ეჭირა ხელში და ფრთხილად მოაბიჯებდა ბარდნარებში.

როცა მოვიდა, ბიჭმა სხაპასხუპით მიჰყარა ყრუ ნიკოს:

— ნიკო ბიძავ, მარო ძალომა, რომა, ყველის წურვას მოვრჩები და მე და ნათელაც ჩამოვალთო.

მან ერწი ბალახებზე დადგა და უკანვე გაიქცა.

ნიკომ სადაისოდ გადახრილ მზეს ახედა და ხელი რატომღაც ჩაიჭინა.

ზემოთ, მთის ფერდობზე შეფენილ ფარიდან ცხვრის ბლავილი მიწაწედა მის ყურს, ახლა იქით გაიხედა.

— ხე-ხე, დალოცვილო, — თქვა, მერე იქ მყოფთ მიუბრუნდა:

— აბა, ვაჟებო, თითოც გადავხუხოთ და მერე ამ ყაურმას წავეუკიოთხოთ.

— ამ „კახის“ ჭერია, — მიაშვირა მგელიკამ მუგუზალივით შავი ცერი კახაზე და ნიკოს დაცლილი ყანწი ჩამოართვა.

ნანამ სახელოზე მოქაჩა კახა, აღარ დალიო ეგ მართლა ეპიბატურიო.

ვაჟმა ისეთი თვალებით შეხედა ნანას, რომ აგრძნობინა, აღარა მაქვს ამათი შარის თავი, ისევე დალევა მიჩქევნიო და გაუღიმა.

გადამთვრალმა მგელიკამ საქუც ყანწი კახას მიაწოდა, თან ნიკოს იდაყვით წაექექა, ბანი მითხარო.

მგელიკა: — სტუმარს ეტყობა, ემევა ჩვენი ყრუ ნიკოს მარჯვენაააა, ნიკო: — არა ყოფილა ბეჩავე,

ხმლონ წვერ თვედაც გვაჩვენააა, ბეწინტურმა მუცელზე ხელი მოისვა და წაეხმარა მოკაფიავეს.

ბეწინტური: — არ ჰყვარებია დათმობა,

არც სხვისთვის ვალის შარჩენააა, თუმცა აქ მოსვლას ერჩივნა, ქალაქ ქალებში დარჩენააა — წაკბინა ბოლოს...

კახას კაფია გულთ ახარებდა.

ნანა ისეთი თვალებით უყურებდა ვაჟს, ბეწინტურმა მგელიკას რაღაც წასჩურჩულა და ჩაიჭირქილა.

მგელიკამ ხელი ჩაიქნია, მოგცილიო, და ყაურმიანი ქვაბი ახლოს მოსწია.

კახამ ქალს შეხედა, შეხედა და მის თვალებში ნათლად ამოიკითხა, რომ ნანა კარგად მიხვედრილიყო კახას არაგვში „ბანაობის“ მიზეზს.

კახამ იგრძნო, რომ ეს ქალი ახლა საკუთარ სიცოცხლეს ერჩივნა.

ამ დროს ნიკომ ანიშნა კახას, დალიეო.

სალამოხანს არაგვი თითქოს უფრო მოდიდდა, ხმაურსაც უმატა და თავის

ციციველა შხეფებს მოქიფებებს ესროდა, როგორც გაბრაზებულ ქალს, დორბლებს ყრიდა. *მეზღოიქოთქა*

კახა ახლა არაგვს მიაჩერდა.

დაფიქრდა: ღირდა კი იმ „კარგი სიკვდილის“ ილუზიის წართმევა არაგველებისათვის. მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ვაჟაცობა და თავგანწირვა დემტყიციებინა მათთვის? ვრძნობდა, ძალზე დიდს რაღაცას წართმევდა მათ, რაც აღამიანის სიცოცხლს შეწირვის შემდეგ უფრო ამაღლებულად ეჩვენებოდათ ცოცხლათ და მართლაც, ეს მსხვერპლი შარავენდელით მოსაეს წუთისოფელს.

— ცოტახნის წინ მე... სიტყვა შეგაწყვეტინეთ, — შეხედა მან ნიკოს, — ყანწიც გამოგართეთ...

— არაფერია, — უთხრა ნიკომ, — ხდება სიმთვრალეში.

— იქნებ სიმთვრალის ბრალიც არ იყოს, — თქვა კახამ, — მაგრამ რაც იყო, იყო... კარგად არ გამომივიდა... ჰოდა იმ საღლეგრძელს გაუმარჯოს, რაც თქვენ უნდა გეტყვათ იმ ყანწით. მოსაგონარი იყოს იმ ბატკან-შეწირული ყმისა... — დაამთავრა კახამ, ნანას გადახედა და ყანწი გამოცალა.

ნანას სიხარულის ცრემლები მოადგა თვალებზე, რაც არაგველებმა თავისებურად გაიგეს და ესიაშოვნათ.

ესიაშოვნათ კახას სიტყვებიც და გულში ყველაფერი ამატიეს მას.

მწყემსურ სუფრაზე სიაშოვნო განწყობილება გამეფდა. არაგველები აღარ იბღვირებოდნენ, პირიქით, ხარხარებდნენ და ეპიბატურისაგან გამოთაყვანებულ თავებს აკანტურებდნენ.

კაფია კაფიას მისდევდა და ღლეც მიიწურა.

მთის ფერდობზე შეფენილი ფარა თანდათან ზემოთ მიიწევდა და უხედვარისაკენ მიეფარებოდა.

— ბეწინტურავ, ვაჟო, — შეეხმიანა ყრუ ნიკო ძმისწულს, — ი ფარას პატრონი სჭირდება ახლა, ნამეტანი შაიმაღლა, ნადირი არსად გადაეყაროს...

— ერთი, მაგისი პატრონის ღედაც

ვატირე, — ჩაილაპარაკა უგემურად ბეწინტურმა, — ნადირი გადაეყრება და რა მე დამეწერება, გერშა! მივეუყრი კანტორას...

ნიკომ წარბები შეიკრა და გორიზად გადახედა ძმისწულს.

— აბა რა, — თქვა ბეწინტურმა, — აქაც თავმჯდომარე ხომ არ მიზის, რომ მიბრძანოს: იქ წადი, აქ წამოდი, ის გააკეთე, ეს გააკეთე, მორეკე და ათასი ჯანდაბაა!

ყრუ ნიკომ გვერდზე გადააფურთხა და ძმისწული ღონიერი ხელით შეანჯღრია.

— მისმინე, შე ყურუმსალო! — მეორე ხელით მგელიკას წაუჯიკავა, შენც გესმოდესო. — რას მიქვია თავმჯდომარე და ბრიგადირი, ან ვის რა დაეწერება? ჩემ საქმესთან რად უნდა მჭირდებოდეს სხვისგან ყურზე ხელის წაფლება და სახედარივით მიყვან-მოყვანა. ამ ხალხისა გამკვირებია, კაცო, ეგერ საქონელი, ეგერ ფერმა. შენი გავრდილ-გამრავლებული ცხვარია, მიდი და უპატრონე, მოუარე და იქონიებ კიდეცა, კაცო, აბა დაფიქრდი, შენი, ჩემი და მგელიკას ხელში გავრდილი რამდენი ათასი ბატკანი და ცხვარია იმ მთაზე შეფენილი!

ნანამ კახას წაჩურჩულა, მანქანას მოვებრუნებო, მერე მასპინძლებს ბოდიში მოუხადა და მანქანისაკენ წავიდა.

— კახავ, ძმისწულო, — გადახვია ხელი ნიკომ კახას, როცა ქალი წაივიდა, — ეფიქრობ, ვერც ჩვენ გამოგვივიდა კაცური კაცობა, ცოტას წაგზაგრეთ სიმთვრალითა, ძალიან დაგვიჩოლფოტე და ვედარ მოვითმინეთ... ემაგ შენი წაწლის ბრალია, კაცო, — მანქანისაკენ მიმავალ ნანასაკენ გადაიქნია თავი ნიკომ, — რად უნდოდა ტყუილის თქმა და ჩვენი გაბრიყვება: შენ იყავიო, რო გითხრა, სთქვიო, რომ შენ იყავიო... დიაცს ყოველთვის ენა უსწრებს, არაა გასაკვირი.

— ნიკომ არაგვს გადახედა ამღვრეული თვალებით.

— ამ გაცოფებულ მდინარეში წაივსებალი როგორ გადაურჩებოდა იმ მაღლიანი დედის ძუძუთ გავრდილი, ვინც იყო, აბა შეხედე, იმ მორევეებსა და ჩანჩქერიანებს, იქ წყალმა აღამიანი მიაგდოს და ცოცხალი გაუშვას, სად გაგონილა?!

ნიკომ ოდნავ იყუჩა.

— ჩასველებულ-ჩაღაბორწაკებულ მოვარდა შინ ამ ერთი კვირის წინ ჩემი ნათო ტირილითა, — განაგრძობდა ნიკო, — ბექობი ჩაინგრა, მორევეში ჩაევარდი და იქვე მიმავალმა კაცმა გამომიყვანაო, თავად ის კი წყალმა წაიღო და ჩანჩქერებში ჩაავდო.

მთელი სოფელი არაგვე გამოიკრიფა. თან ჩამოლამდა კიდეც, აღმა ვირბინეთ, დაღმა ვირბინეთ, მაგრამ რა დაგვიარავს, რას იპოვი?

მეორე დღეს რაიონშიც შევატყობინეთ, მაგრამ...

ნიკომ ნალვლიანად ჩაიქნია ხელი.

— აცხონოს!. — სთქვა მერე და ყანვიდან ოდნავ მოსვა.

ეტყობოდა, ამ ახოვანი ტანის კაცსაც ერეოდა სასმელო.

კახა წამოღდა:

— მგონი ჩვენი ნამეტანი გავვიგრძელდა სტუმრობა, — თქვა მან სერიოზულ კილოზე.

ნანამ მანქანა შემოებრუნებინა.

მზე უკვე გადაიწვერა და მთებმა ჩრდილები არაგვში ჩაიკიდეს.

მოქეიფეები წამოიშალნენ და მანქანისაკენ გაემართნენ, წინ ნანა და კახა მიდიოდნენ, უკან არაგველები მიბანცალებდნენ.

მგელიკას ყანწი და ტიკორა მოჰქონდა.

მან ნიკოს წაუშხრისულა და წაუშლერა:

მგელიკა: — რაც ვასვით, ამოვაშხამეთ

ვაი, თუ გავციცინოსაა...

ნიკო: — რა ექნათ, სიმთვრალის ბრალია,

ლომიც დაუთვრავ ღვინოსაა...  
ამ დროს ნანას კახამ თავისი პიჯაგი  
მოახურა.

ბეწინტური: — თბილად, ჩააცვას ნი-  
ნოსა,

გზაში არ გაუყინოსაა.

კახას და ნანას გულიანად გაეცი-  
ნათ ახალგაზრდა ფშაელის ქათინაურ-  
კაფიაზე.

ამასობაში მანქანასთან მივიდნენ.

საქესთან მე დაეჯდებიო, უთხრა კა-  
ხამ ქალს.

ნანამ უკმაყოფილოდ შეხედა ვაჟს,  
მაგრამ კარგად რომ დააკვირდა, დამ-  
შვიდდა, — ვაჟს სიმთვრალისა აღარა-  
ფერი ეტყობოდა.

ნანამ მეცხუარეებს თავაზიანად ჩამო-  
ართვა ხელი და მანქანაში ჩაჯდა.

კახამაც დააპირა გამომშვიდობება.

მგელიკამ ყანწი აავსო, ყრუ ნიკოს  
მხარი კიდეც წაპკრა. *უარყოფითი*  
მგელიკა: — საგზაოდ *მგზავს*  
ერთიც ვახუნოთ კახოსაა.

ნიკო: — და ისაც ეუთხრათ ძმის-  
წულსა, გაისად კიდეც გენახოსაა...

კახას გაეღიმა, მივიდა და ნიკოს ხე-  
ლი გაუწოდა.

ფშაველმა უშველებელი ხელები გა-  
შალა და მკერდზე მიიკრა კახა.

მერე ბეწინტური და მგელიკა გამო-  
ემშვიდობნენ.

ყანწის დაღვევაზე რომ უარი უთხრა  
კახამ, არაგველები ერთიმეორეს მიუბ-  
რუნდნენ და გაიმართა დაეა, ვის უნდა  
დაეღია ყანწი.

ამასობაში კახამ დრო იხელთა, მან-  
ქანაში ჩაჯდა, ძრავა ჩართო და ეოლგა  
ნელი სვლით წავიდა წინ.



## ს ა ნ ბ ა რ შ ი

მოვრბივარ შენსკენ და მეჩვენება რომ შენც მორბიხარ ჩემს  
შესახვედრად  
რა ძალა არის ცეცხლს რომ გვიკიდებს და რომ გვაძულებს ჩვენ  
ერთმანეთთან  
ნაგრამ უეცრად ჩვენს წინ ჯებირი აღიმართება და ვერ ვხვდავთ  
მერე ერთმანეთს  
ის არის თითქოს ცარციის კედელი  
ცვივა და ცვივა დამსკდარი გაჯი  
აქ მიწა ისე სწორად უჭრიათ აქ ნიჩბით ისე უმუშავიათ თითქოს  
იდგნენ და სჭრიდნენ სტეარინს  
სანგარს არ შერჩა არცერთი ქიმი მოუგლევია იგი ჩვენი მაზარის  
კალთებს  
ო ამ საღამოს ჩემი სული ცარიელია თითქოს გაირღვა ჩემს წინ  
ქვესკნელი  
სადაც ეცემა ეცემა ისე რომ ამ დაცემას არა აქვს ბოლო  
და არც გარშემო არაფერია მოკიდო ხელი და მოგჭიდო  
იქ რაც ცოცხლობს და იქ რაც ეცემა არის უსახო არის მახინჯი  
იგი ჩემს სულში წუხილს აღვიძებს და მე არ ვიცი  
საიდან და როგორ მოვიდა  
ის მე მგონია შობა ცხოვრებამ ან არის რაღაც მსგავსი ცხოვრების  
იგი მომავლის მომავალია გაურანდავი დაუნერგავი  
და ჯერ არ არის ჰუმანური ამაღლებული  
და ჩემი სულის უსასრულო სიცარიელეს მზე არ ანათებს რომ იმისმა  
სხივმა იელვოს  
მაგრამ დღეს არის მხოლოდ ასე და ამ საღამოს მხოლოდ დღეს არის  
და არა მუდამ  
მხოლოდ დღეს არის საბედნიეროდ  
ო სხვა დღეებში მე ვფიქრობ შენზე  
შენ ანუგეშებ ჩემს მარტოობას და ეღობები ათითას საშინელებას  
მე წარმოვიდგენ შენს სილამაზეს

გიორგი აპოლინაკმა უარი თქვა ლექსის პუნქტუაციაზე, რადგან, მისი აზრით, „ნამდვილი პუნქტუაცია რიტმი და ლექსის პაუზაა“.



ამ მოფუსფუსე ქვეყანაზე რომ ავამაღლო  
 მაგრამ უცრად მომეჩვენება რომ ყოველივე არის ამაო  
 და მე არ ვიცი არაფერი შენს სილამაზეს ვერც გრძნობით ჩაეწედს  
 ვერც სიტყვით ჩაეწვდი  
 და მე ამიტომ ამ ქვეყანაზე მშვენიერებას ამაოდ ველტვი  
 არსებობ ჩემო საყვარელო  
 თუ აღგზნებულმა ჩემმა გონებამ გამოვიგონა  
 რომ მარტოობა შეაესო ჩემი  
 იქნებ ბურძენთა ღვთაება ხარ შენ რომელიმე რომ შექმნეს სულის  
 დასამშვიდებლად  
 მე შენ მიყვარხარ ჩემო ღვთაება მე შენ მიყვარხარ მიყვარხარ  
 თუგინდ ჩემი ოცნების იყო ნაყოფი

## ღ ა ნ დ ი

თქვენ ახლა ისევ მოხვედით ჩემთან  
 ვინც გვერდით მყავდა ბრძოლის ველზე და ვინც დაეცა  
 იმ მეგობრების მოგონებები  
 ო ზეთისხილის ხეებო ეამის  
 მოგონებებო შერწყმულნო და შეერთებულნო  
 ბეწვის მრავალი ნაჭრით კერავენ და ბოლოს მაინც ერთია  
 მანტო  
 ანდა ათასი იჭრება ომში და იბეჭდება მერე გაზეთში  
 მხოლოდ პატარა ინფორმაცია  
 ო მოჩვენებავე შეუხებელო  
 და ჩემს ცვალებად ორეულად გადაქცეულო +  
 ო ინდივულო ჩასაფრებულო რომ ეფარები მარადიანობას  
 შენ ახლა ჩემსკენ მოცოცავე ლანდო  
 მაგრამ თქვენ უკვე არ გესმით ჩემი  
 და არც ის იცით რომ მე თქვენს შემდეგ საოცარი ლექსები  
 ვწერე  
 მაშინ როდესაც მე მესმის თქვენი მე მესმის თქვენი და  
 ისევ გხედავთ  
 ო ბედობალო  
 ურიცხვო ლანდო დე მზე იყოს თქვენი მფარველი  
 რადგან გიყვარვართ და არასდროს არ მიმატოვებთ  
 და რომ სულ მუდამ იცეკვებთ მზეში ისე რომ მტვერი  
 არ აეარდება  
 მზე წერს და ლანდი მზის მელანია  
 სტრიქონებია ჩემი სინათლის  
 კიდობანია სინანულისა  
 დამცირებული არის უფალი

ლილილი

ოცი წლის კაცო  
ვისაც მრავალჯერ უკვე გინახავს შემზარავი და საშინელი  
მითხარ რას ფიჭრობ როცა იგონებ  
შენი ბავშვობის ადამიანებს  
შენ  
იცი რაა  
ვერაგობა და მამაცობა

შენ  
თუმცა  
ბევრ  
ჯერ  
შეკ  
ჟუ  
რებ  
დი  
სიკვ  
დილს  
თვა  
ლებ  
ში  
მაგ  
რამ  
არ  
იცი  
ო არ  
იცი  
რაა  
ცხოვ  
რე  
ბა

შეუბოვრობა შენი გადავც  
იმათ შენს შემდეგ რომლებიც  
მოვლენ

ოცი წლის კაცო  
ხარ მხიარული და გასფრილია სისხლით შენი მეხსიერება  
და შენი სულიც სიხარულით  
არის წითელი

რადგან იწოდდი იმათ სიცოცხლეს შენს წინ უსულოდ ვინც ვცემოდა  
რაც გადასწყვიტე იმას ვერვინ შეგაცვლევინებს  
ასლა 17 საათია შენც შესძლებ  
სიკვდილს

თუ ვერ მოკვდები უფროსები როგორც კვდებიან  
ვით ღეთისმოსავემა ისე მაინც დაღიე სული  
რადგან სიკვდილი უკეთ იცი ვიდრე სიცოცხლე  
ო სიტკბოებაე გარდასულ დღეთა  
ო უხსოვართა დღეთა ტაატო

## გვერდნაგვირული გზაჲი და შარკაჲანი

გვერდნაგვირული  
გზაჲი აკოლინარი

გვერდნაგვირული ლანდები მათი აყვავებული ტურები მათი  
შია მარია

ანი მარი

იეტა ლორი

ო სად ხართ სად ხართ ქალიშვილებო

ტირის ლოცულობს

შადრფენის გვერდით

და გაშმაგებით ფართხალებს მტრედი

მოგონებათა მერგო ტყვეობა

სად ხართ წასულნი ომში მეომრად

ხსოვნა შეხვედრით აღის ჰაერში

და ჩაძინებულ ზვირთებში ქრება

ვინც იმზირება ჩემსკენ კავშირით

სად არის ბრაკი და მაქს ტაკობი

მე დღეს იმათთან ვლაპარაკობდი

სად არის ბიი ანდა დალიში

ან რეინალი და ის ხალისი

ანდა სად არის მზერა დერენის

მაღე გაქრება მტყუნეარება მათი ხსენების

ეკლესიაში როგორც ქრება ხმა ნაბიჯების

ან ომში წასულს თავისი ნებით

რა უყვეს კრემნიცს რა იქნენ სხვები

სავსება სული დაფიწყება მათი ადრეა

ჩემი ცრემლები სცვივა შადრფენს

ომში წასულნი ჩრდილოეთში იბრძვიან ახლა

ღამე ეშვება ზღვაო გნახე სისხლით ღელავდი

ვნახე ბალები სადაც იცლებს სისხლით ომების ხე ოლქანდრი

1909

ემოსა კაბა

ინსფერი აღმოსავლური

და კიდევ მხარზე დამაგრებული

ამოქარგული ოქროს ძაფით

ეცვა ტუნიკა

და როცა იგი კისკისებდა და იცინოდა

ისე ცეკვავდნენ მისი თვალები როგორც ზეცაში ანგელოსები

ის საფრანგეთის დროშის ფერებს იმეორებდა

თვალები ლურჯი კბილები თეთრი და სისხლისფერი ჰქონდა

ტურები

ის საფრანგეთის დროშის ფერებს იმეორებდა

ღრმად ამოჭრილი ჰქონდა დეკოლტე  
 ეკეთა თმაზე სამკაული ვით რეკამიეს  
 და იყო თეთრი და ღვთაებრივი გაშიშვლებული მისი  
 მკლავები

ნეტავ საათი შუაღამის დაჰკრავს ოდესმე

ქალს იისფერი ემოსა კაბა  
 და ოქროს ძაფით მოქარგული ეცვა ტუნიკა  
 ღრმად ამოჭრილი ჰქონდა დეკოლტე  
 არხევდა ზანტად  
 ოქროს სალტით შგერულ კულულებს  
 და უბდებოდა სეირნობისას აბზინდიანი ფეხსაცმელი პატარა  
 ფეხებს

ო იგი ისე ლამაზი იყო  
 რომ მის სიყვარულს ვერ გაგებდავდი

ნე მყვარებია უზარმაზარი კვარტალების მკაცრი ქალები  
 იქ თვალს ახელდნენ ყოველ დღე მრავლად ახალშობილნი  
 და იმათ ტვინი  
 უგიზგიზებდათ როგორც კოცონი სისხლი უდუღდათ ძარღვებში  
 რკინის  
 მე მანქანების გაწაფული მიყვარდა ტომი  
 მშვენიერება და ბრწყინვალება მხოლოდდამხოლოდ ქაფია  
 მათი

ო ის ქალი კი ლამაზი იყო  
 ისე ლამაზი რომ მაშინებდა

ფრანგულიდან თარგმნა გივი ხაბეაძემ



შილაშ შექსიერი

## მეფე ლირი

აქტი II

- სცენა 1. შილა ეზო ვრახის გლოსტერის ციხე-დარბაზში. სხვადასხვა მხრიდან შემოდიან ეღმუნდი და კარენი.
- ეღმუნდი — გწყალობდეს ღმერთი, კარენ.  
კარენი — გწყალობდეთ ღმერთი, სერ. ეს-ესაა ვეახელ მამათქვენს და მოვახსენე, რომ კორნუოლას პერცოვი და მეუღლე მისი, რიგან, ჩვენსას ამირებენ წვევას ამაღამ.
- ეღმუნდი — რა უნდა იყოს შაგის მიზეზი?  
კარენი — ვერას მოგახსენებთ. ახალი ხომ არაფერი შეგიტყვიათ ამ დღეებში? ერთ საქმეზე დადის ერთ ხმები, თუმც, იღუმალ ზურჩულებენ მხოლოდ გამხელას უფროხიან.  
ეღმუნდი — რაო, მოთხარი, რა ამბავია?  
კარენი — მაშ, არ ეწყობით, რომ კორნუოლისა და ოლბენის პერცოვებს შორის ომია მოსალოდნელი?  
ეღმუნდი — პირველად შესმის.  
კარენი — მაშ, გაიგებთ, თავის ღროზე, ნახვამდის, სერ.  
ეღმუნდი — პერცოვი შოდის? კეთილი და პატროსანი!  
ეღმუნდი — ეგ მხოლოდ არგებს ჩემს ვანზრახვას, წინ წასწევს საქმეს. მამამ მღვეარი გაუყენა ძმას ჩემსას, ეღგარს; აწ ერთი საქმე დამჩენია სავიზობროტო, — მას მოვაგვარებ. ამოქმედდი, პე ბედისწერავე! ძმამ, მომხედვე! ერთი წუთით შეჩერდი, ძმამ!  
(შემოდის ეღგარი)  
ეღგარი — დაგდევს იცოდე მამაჩემი! ო, გაიქციე, უკვე აცნობეს, სადაც გქონდა თავშესაფარი, შენთვის ეს ღამე უაღრესად ხელსაყრელია: ხომ არა ვითქვამს კორნუოლის პერცოვას სამტროდ? ამ შეღამით მოელიან მას და რიგანს ჩვენსას სასწრაფოდ. — ხომ არ ვითქვამს მასზე რაიმე, მის მზადებაზე ოლბენის მოაგროს წინააღმდეგ? კარგად დაფიქრდი.  
ეღმუნდი — ერთი სიტყვაც არ დამცდენია.  
ეღგარი — პა, მამაჩემო. მოდი, მისდა თვალსახვევად მე ხმალს გავიძრობ, შემოვიტევე, შენც შეგებრძოლე, იმიშველ ხმალი, აი, ამ გზით მსურს გაგაპარო,

ვიღრე მოგვისწრება. — დაახე, — ჰეი, სინათლე!  
გაიქე, მამო! — ჩირალდნები, პა, ჩირალდნები!

(გადის ეღვარა)

მცირედი სისხლის დანახეზე ყველა ირწმუნებს  
ჩემს თავლაღებას: მე მინახავს, მემთვრალეები  
გასართობად რომ იწყულულებდნენ თავს უფრო მიიმედ.

(მკლავს იწყულულებს)

მამახემო! დაღექ, დაღექ, ჰეი, მიშველეთ!  
(შემოდის გლოსტერი ჩირალდნიანი მსახურებითურთ).

გ ლ ო ს ტ ე რ ი —

ჩაო, ეღმენდ, სად იმალება ეგ არამზადა?

ე ლ მ ე ნ დ ი —

ხმალამოწყდილი იღვა იგი ამ სიბნელეში,  
მავნე შელოცვებს ბუტბუტებდა, თითქოსდა მთვარეს  
ეჭრაბებოა, მწედ უხმობსო —

მაინე, სად არის?

გ ლ ო ს ტ ე რ ი —

სერ, სისხლი დამღის.

ე ლ მ ე ნ დ ი —

სოჭვი, სად არის ეგ არამზადა?

გ ლ ო ს ტ ე რ ი —

ამ ვხით იღტეოდა. თქმე სცდილობდა თავგამეტებით...

ე ლ მ ე ნ დ ი —

ჰეი მღევარი! — ევალს მიჰყევით (გადიან მსახურნი)

გ ლ ო ს ტ ე რ ი —

სოჭვი ჩას სცდილობდა?

ე ლ მ ე ნ დ ი —

ჩემს დამინებას, მკვლელობაში ჩათრევას თანაც,  
მე ვარწმუნებდი, რომ ღმერთების შურისასება  
მამრმკვლელს უწყება, როგორც ელვა ცთომოვლენილი,  
რომ მრავალეცად და თან მტკაცელ ვართ მიჯაჭვდენი  
შეილი მამაზე. ჩოს დარწმუნდა იგი თავლანათლოვ,  
ჩა მტკიცელ ვიღექ, ჩა უსახლეგრო ზიზღს მოვაგებდი  
მის მგლურ განზრახვას, გააფთრებით შემომიტია,  
ხმალი გადმოყრა უსაუტრვლოს, ანაზღუდლად  
მკლავში დამკოდა, მაშინ ვიპჩე მახვილი მეცა  
და მივეტიე გულოვანად, რადგან სიმართლე  
ჩემს მხარეს იყო; რა იბილა ეგ ყოველივე,  
აღბად დააფრახო ხმურმა და უცებ გაიქცა  
თავქედმოგლეჯით.

გ ლ ო ს ტ ე რ ი —

ვნახით ერთი, სად გავექცევა-  
ამ მიღამოში არ დაგვრჩება შეუპყრობელი  
და დაესქელი. აწ ჰერცოვი, პატრონი ჩემი,  
უნდა გვეწვიოს, ღირსეული ჩემი მეუფე:  
მისის საბელით განვაცხადებ დაუყოვნებლოვ,  
რომ შემპყრობელი ჩვენს მადლობას დაიშსახურებს  
თუ მოგვევარის ძელზე გასასმელად ემაგ კაცისმკვლელს.  
ეინე შეივრდომებს მას, მოყვება.

ე ლ მ ე ნ დ ი —

ჩოს ვარწმუნებდი, აიღე-თქო ზრახეზე ხელი  
და ვერას გაებდა, მაშინ ვიწყე მისი შერისხვა,  
გაგამელაფნებ-თქო, დავემეტრე, მან კი მომიგო:  
„შე არასმქონე ნაბუშარო! ნუთუ გგონია,  
თუ წაგვიყენეს ურთერთს პირში, შენში ჰპოვებენ  
სიჭველეს, ნდობას, ან ღიარებას იოტისოდენს  
და მით შენს სიტყვებს ირწმუნებენ? მე ჩოს უარვეყოფ  
მაგვეარ ვანზრახვას, დავეშვათ რომ მოიხსენიებ  
ხელწერას ჩემსას — წამსვე შენდა საწინააღმდეგოდ  
მოვპართავ იჭვებს, შეთქმულებას შენ მოვაწერენ;  
მაშინ მთლად უნდა გააერთო ქვეყანა მთელი,  
თუ ვერ მიგიხვდნენ, რომ შენ გაწყობს ჩემი დაღუპვა,  
მრავლისმეტყველი და ძალში საზაბიცა გაქვს  
ჩემს მოსაყლავად.

გ ლ ო ს ტ ე რ ი —

არამზადა წყალწაღებული.  
წერილს უარპყოფს? — აღარა ვრაცხ მაგას ჩემ შევილად.  
(საყვირი).

მთავრის საყვირი შემომესმა. რას გვამცნობს ნეტავი  
 ყველა ნავსადგურს გადავრჩავე, ვერსად წამიფა; პერკოვი მომცემს რწმუნებას და მავის სურათსაც  
 დავგზავნი ყველგან, შორს თუ ახლოს, მთელმა სამეფომ  
 დაამახსოვროს მისი სახე, ერთგული ძეო,  
 ყველა უფლებებს შენ მოგმადლებ ამიერიდან,  
 და ჩავაბარებ ჩემს სამკვიდროს.

შემოდინ კორნუოლი, რიგან და მხლებელნი.

კორნუოლი —

ჩემო ძვირფასო მეგობარო, მწუბრიანშვიდობის!  
 მოველ თუ არა, საყვირველი ამბები მამცენს.

რიგან —

თუ სიძარითლეა, ჭეპოვანი სასაქელის პოენა  
 ძნელია ფრიალ. შილორდ, როგორც ბრძანდებით თქვენა?

გლოსტერი —

მადამ, დარდისგან ლამისაა ვანაბოს გული.

რიგან —

მაშ, მამიჩემის ნათლულს სურდა თქვენი მოშობა?  
 თქვენი ელგარიი ეგ სახელი მამამ დაარქვა!

გლოსტერი —

ოჰ, ქალბატონო, სიარტებით ვერც გამიხებელია.

რიგან —

იმ თავაწყვეტილ რაინდებთან თუ მეგობრობდა,  
 ეინც მამიჩემის ტაძრულში ირიცხებიან?

გლოსტერი —

ვერ გეტყვით, მადამ. — რა საივე, ოჰ, რა საივე!  
 თქვენ სწორედ ბრძანეთ, ქალბატონო, მათთან მეგობრობდა.

ედმუნდი —

მაშ, არ მიაკებს, თუ ბოროტი ჰქონდა ზრახვები:  
 მოხუცი მამის მოსაყლავად წააქეზებდნენ,

რიგან —

რათა შემდგომში გაეფლანგათ ქონება მისი.  
 მე ამ საღამოს ჩემი დისგან მივიღე წიგნი,

სადაც შეუწყებს, რა ხალხია ეგ რაინდები,  
 ისე მფრთხილებს, თუ შეწყვიენ, დანადგელებით  
 წავალ სახლიდან.

5x

კორნუოლი —

მეც აგრეთვე, რიგან, გარწმუნებ.  
 ედმუნდ, მე მამცენს, მამისათვის ვაგწიყვიათ

ედმუნდი —

თავდადებული სამსახური.  
 სერ, აღვასრულე  
 მოვალეობა.

გლოსტერი —

ამან გასთქვა მისი ვანზრახვა.

კორნუოლი —

თუ შეიპყრობენ, ნუღარ ელით მისგან საივეს.  
 აწ მოავდარეთ უოველივე, როგორც გენებოთ,  
 გამოიყენეთ ძალი ჩემი. მისმინეთ, ედმუნდ,  
 თქვენმა სიქველემ ღირსეულმა და თავდადებად  
 წარმოგვიდგინა თქვენი თავი. აწ გრაცხათ ჩვენად.  
 თქვენებრ ერთგული კაცი გესურდა სწორედ დღეისთვის,  
 თქვენ ხართ პირველი შენაქენი.

ედმუნდი —

შილორდ, ერთგულად  
 გეშახტრებით.

გლოსტერი —

მის სახაველოდ მადლობას ვწირავთ.

კორნუოლი —

აწ უნდა გამცნოთ დაწვრილებით, თუ რად გეწყვიეთ.  
 ეგზომ უღროოდ შეგაუბნეთ ამ შეღამით  
 მოსათბობი გვაქვს საგულისხმო ამბები თქვენთვის,  
 გულისხმაყავით და თათბირი შემოგვაშველეთ:  
 წიგნი მოგაწერა მამაჩენმა, დამაც აგრეთვე,  
 არს სტეობა, გადაწვევით დაუყოვნებლივ  
 ეამცნოთ პასუხი, ვესურს ვაფრინოთ მალეშრბოლები  
 და გავატანოთ შეთვლილობა. ვთხოვთ დაურეთ  
 ჩვენო მხოვანო მეგობარო ეგ გულისწყრომა  
 და მოგვაწოდოთ რჩევა თქვენი უძვირფასესი  
 რათა მოვდარდეს საქმე ესე.

გლოსტერი —

შხადა ვარ, მადამ,  
 კეთილი იყოს შობრძანება თქვენი ამ სახლში.  
 (გადიან).

სცენა II

გლოსტერის ციხე-დარბაზის მისადგომები.

სხვადასხვა მხრიდან შემოდინ კენტი და ოსვალდი.

დილაშვიდობისა, მეგობარო. ამ სახლის წელი ხარ?

ოსვალდი —

კენტი —

სად დავებინავოთ ცხენები?

ოსვალდი —

კენტი —

ლავში.

ოსვალდი —

კენტი —

მითხარი თუ გიყვარდე.

ოსვალდი —

კენტი —

მე შენ არ მიყვარხარ.

ოსვალდი —

კენტი —

კარგი აბა, შენი ჯაფრი არა შაქვს.

ოსვალდი —

კენტი —

ერთი ლაპსბერის საჩიხეში თუ მიგიშვებდი, მაშინ გექნება

ჩემი ჯაფრი.

ოსვალდი —

კენტი —

რად მელამბარაკები ავრე, მშობილო, მიცნობ, გიცნობ?

ოსვალდი —

კენტი —

გიცნობ, მშობილო, გიცნობ!

ოსვალდი —

კენტი —

აბა ეინა ვარ?

ეინა ხარ და წუწი, არამზადა, ნასუფრალით გამოზრდილი, აი ეინა ხარ! უფერი, ყოყლოინა, ქვეშევნა, კარდაკარა, ფულის წუწი: გაბრანტული, შალისწინდებიანი არამზადა! ენატანა ნაბიჭვარა ხარ, ნიადვად სარკესთან ტრიალებ, ვასანული ვაქვს თავი! ერთი ზანდურის იმედათა ხარ ცხოვრებაში; მაქანელობასაც არ ითავილებ, ოლონდ ძალეშს საამოვნო. ავახაეის, შათხოურის, დედლის და ოლორასის ნარევი ხარ, აი ეინა ხარ! ძუნა ძალის დამშული ხარ, აი ეინა ხარ! აბა ერთი ასო მინეც უარსყავ ჩემი ნათქვამისა და ისე მოგაქციო, შენი ღრილი მამაღმერთს ესმოდეს.

ოსვალდი —

კენტი —

ეინა ხარ, კაცო, ასეთი სულთამხუთავი, არ მიცნობ, არ გიცნობ, რას მემართებინ?

ოსვალდი —

კენტი —

შე ნამუსგარეცხილო მონავ, მაშ არ მიცნობ ჰა? ორი დღის არ იყო, რომ აგაპლაკინე ეს ფეხები და გცემე მეფის თვალწინ? გაიძრე ხმალი შე შურტალო, შენა! ღამეა, მაგრამ მთვარე მინეც ანათებს. ერთი გადინო მთვარის წვენი! გაიძრე ხმალი შე სადალაქოს კირთხავ, შე კახის ნაშობო!

(ხმალს იშისვლებს)

ოსვალდი —

კენტი —

მომწყდით-მეთქი თავიდან! რა საჭმე შაქვს შენთან გაიძრე-მეთქი ხმალი, შე სულატარო, შენა! კარგად ვიცი, მეფის საწინააღმდეგო ბარათები რომ მოგაქვს, შენ იმ ამოცხათოყინას<sup>1)</sup> მხარე გიჭირავს, მაშამის ხელმწიფობას რომ ედავება: გაიძრე-მეთქი, შე წუწი, თორემ დაგამსტერებ ეხლავე. ჰა, გამიმავრდი!

ოსვალდი —

კენტი —

ქეი, მიშველეთ, მელავენ, მელავენ! დაძვარი, შე მონავ, დადექ, ლანარო, დადექ! შე გაბრანტული მონავ, დამარი!

ოსვალდი —

კენტი —

შემოდის ედმუნდი რაპირით ხელში.

ედმუნდი —

კენტი —

რა ამბავია! რა ხდება!

(აშველებს)

ედმუნდი —

კენტი —

მოდო, უმაწილო, მოდი თუ ვაგახარდება: შენც შევახურო ერთი, ვაგხატონო!

შემოდინ კორნუოლი, რიგან, გლოსტერი და მსახურნი.

ედმუნდი —

კენტი —

ჰა, იარალი! კენწლაობა! ამას რას ვხედე!

ედმუნდი —

კორნუოლი —

აბა, შეჩერდით, თორემ დავსვით ყველას სასტიკად ვინც ქვლავ აღმართავს შარჯვენას, მოკვლავ.

რა ამბავია?

<sup>1)</sup> კერძის სახელწოდებაა.

<sup>2)</sup> მორალიტეს თეატრის პერსონაჟი.



- რიგან — ჩვენი დისა და მეფის მიერ წარმოგზავნილი მალე მსრბოლნი.
- კორნუოლი — სთქვით, რად შედლობდიო?
- ოსვალდი — სული გულარ მომითქვამს მილოტდ.
- კენტი — რაღა გიყვარს, რა დიდი ვეგაკობაჲ შენ გამოიჩინე. შე ქალაქენაჲ, შე დონდლოჲ, ბუნებაჲ ეი უარს ამბობს შენზე. თერძის შეკერილა ხარ ალბათ.
- კორნუოლი — საკვირველი ეკაჲ უოფილხარ: როგორ, თერძის შეკერილი კაცი?
- კენტი — დიხს, თერძისა, სერ: ქვისმთელს რომ გაეთალა, ან მღებავს რომ დაეღდაბნა, ასეთი მახინჯი მაინც არ გამოვიდოდა, თუნდაც ორა საათი რომ დაეხარჯათ საქმეზე.
- კორნუოლი — შენ ის გვითხარ, რად შედლობდიო?
- ოსვალდი — ეს თავზედი ბებერი, რომლის თეთრი წვერიც ვიპატევე წელან...
- კენტი — აი, შე ლაწირაკო, შე ზოტაჲ, ანბანის გარეთ დარჩენილი ერთი მიწისმეით, მილოტდ, ერთი დენაჲთ ავანდასტაჲში ეგ სალახანა, ფესხადგელის კედლები შევსვარო შავის ნაწერით რომ, თეთრი წვერი ვიპატევეო, შე მახზაკუნაჲ შენა?!
- კორნუოლი — გარემში ეკყო! აღარავის ერიდები შე გამხეცებულო?
- კენტი — ბრანსაჲ თავისი უფლებები აქვს, სერ.
- კორნუოლი — რამ ვაგებარაზა?
- კენტი — რამ ვამბარაზა? მონას ხმალი არტყია წელზე და ტან სინდისის ნატამალიც არ შერჩენია. აი ასეთი პირმცინარი სალახანები წმინდათაწმინდა ძაღებს ღრღნიან ვირობების დაზად, რომელთა კვანძებს ვერ გახსნიდა სხვაგვარად ზელი. უოგელგვარ წადილს უნარულებენ თავის ბატონებს, მათს გულცივობას თოვლს მშატებენ, სახმელს ეი — ზეთსა, ხან კერის უკრავენ, ხან ლეწნიან, თანაც უკირავთ ნისკარტი ყველა ნიავჭარის მიმართულენით რათა გუნებას ბატონისას აუღონ ალღო. ძაღლების დაზად ადევნება იციან მხოლოდ. შე ბნედიანო, შეგვიპამოს კირმა ეგ სახე! მა, გეციენება თითქოს გიგი ვლამარაკობდე? ერთი სარემის მინდორზე თუ წავასწრე, ბატო, კამელოტამდე გადაგდენი ყოფინ-ყოფინით!
- კორნუოლი — ზომ არ შეშლილხარ, ბერიკაციო?
- ვლოსტერი — რად წაიხზუბეთ, ეგ გვითხარო.
- კენტი — ქვეყნად არაივს არ სძულს ისე მოპირდაპირე, როგორც შე მძულს ეგ არამზადა.
- კორნუოლი — რაო, რად უხზობ არამზადას, რა დავიშვავ?
- კენტი — სახე არ მომწონს მისი.
- კორნუოლი — იწებ, არც ზემი მოგწონს, არც ამისი და არც ამისი.
- კენტი — გულახდილობა მაქვს ხელობად, სერ. თავის დროზე ბევრჯობს უკეთეს სახეებსაც ეტპერტადი იწებ, ვიდრე ამჟამად თანადამწერეთ გამოათ მხრებზე.
- კორნუოლი — ამგვარი კაცი განირჩევა ერთი თვისენით: როგორც ეი ერთხელ მოუწონებს ვინმე სიტლანქეს, მერმე დაიწყებს უხეშობას, შეიძინს ზევეას არაბუნებრივს: აქაო და არ ძალმძის ლექნა, პირდაპირი გარ, გულმართალი — უბედობს ნიადაგ! თუ გაუვიდა, კარგი; ხელი თუ მოეცარა, გულმართალი ზომ მაინც ჰქვია. შე კარგად ვიციან მსგავს არამზადებს. ეგ თავისი გულახდილობით უფრო მეტს აღწევს, ხეაწებებითაც მეტს გამოგრჩება, ვიდრე მონურის ერთგულენით ოცი მსაუბრი, რომელნიც ღირსად ასრულებენ მოვალეობას.



- კ ე ნ ტ ი — სერ ქველის გულით, წრფელის გრძნობით, აღმართავ შხერას და თუ მომხედავს მოწყვალებით ეგ სილიადე, რომელს ედრების შარავანდით, წყალ-ჭაერობით. ახოლოს შებლო სხივმოსილი —
- კ ო რ ნ უ ო ლ ი — სთქეო, რას გულისხმობ?
- კ ე ნ ტ ი — ჩემივე საუბრის კილოს შეცელო მოვიდნომა, სერ, რომელაც თქვენ ვგზომ დამიწუნეთ. რა ვუყო, სერ, აბა ვარ მლიქნელი. ისე კი, ვინც თქვენ შეცდომაში შეგვიყვანათ პირდაპირი საუბრით. პირდაპირ არამზადა ყოფილა. მე კი არამზადობას ვერ ვიყისრებ, რამდენიც არ უნდა შემრისხოთ ურჩობისათვის.
- კ ო რ ნ უ ო ლ ი — რა აწყენინე მაინც ამ კაცს?
- ო ს ვ ა ლ დ ი — სერ, არაფერი.
- ერთხელ ხელმწიფეს, ამის პატრონს, ვაუგებობით შემოველახე. ისარგებლა ამით ამ კაცმა, და გადასწყვიტა მლიქნელობით ვაშებინა პატრონისათვის. მომეპარა და წამაქცია, შემდეგ წაქცეულს უხამსობა მკადრა ბეერი, რილით და კრძალვით ხელგზმერულს არ შემეშვა, ხოლო ხელმწიფემ დაუშაღლა ეგ მოქმედება; წელნაც სცადა უმსგავსობის განმეორება და თავს დამეხსა.
- კ ე ნ ტ ი — ამ ლაზარს რომ ყური დაუგდოთ, ააქსე მასთან ბამბულაა.
- კ ო რ ნ უ ო ლ ი — ხუნდები აქეთ!
- ოპ, შე ბებერო არამზადე, ურცხეო ბაქივ, მე შენ ვასწავლი —
- კ ე ნ ტ ი — ჩემი სწავლა გვიანდა არის,
- სერ, ნუ შემასხამთ ემაგ ხუნდებს, მეფეს ვმსახურებ, მან წარმოგზავნა, ხლება თქვენი მან დამავალა, ეგ იქნებოდა უდიდესი კადნიერება ხელმწიფის მიმართ, აქ ბოროტებს თუ შემასხამდით მის წარმოგზავნილს.
- კ ო რ ნ უ ო ლ ი — გამოიტანეთ ხუნდები-თქო! მე თუ კაცი ვარ ხუნდებში ჩავსვამ შეუღლემდე მაგ არამზადს!
- რ ი გ ა ნ — შეაღლემდეო? საღამომდე, მიღობდე, დღამდე!
- კ ე ნ ტ ი — მაღამ ძალიც რომ ვყოფილიყავ მაშითქვენისა აგრე არ უნდა მომპყრობოდით.
- რ ი გ ა ნ — მის არამზადს აგრე ვეპყრობი.
- კ ო რ ნ უ ო ლ ი — ეგ ალბათ იმ ზალზნი ტრიკლებს ეისთვისაც დაა გვაუწყებდა — ჰეი, ხუნდები! (გამოაქვთ ხუნდები).
- ვ ლ ო ს ტ ე რ ი — მეუფეე ჩემო, გვედრებით, ნუ იქმთ ამ საქმეს, თუ დაამავა, თეთი ხელმწიფე, პატრონი მისი აღავმავს მავას: ეგ სასწავლო შეგვირის მხოლოდ ხელიდან წასულ პეირისმოქმედს, მბარავს, ავაზავს, რომელსაც სხვა გზით ვერაოდეს გამოასწორებ. ხელმწიფე დიდად შემოგვეწყრება; ოდეს შეიტყობს რა უდიერად მოვეპყართ მის წარმოგზავნილს. კადნიერებად ჩამოგვართმევს.
- კ ო რ ნ უ ო ლ ი — მე ვაგებ პასუსს.
- რ ი გ ა ნ — განა ჩემი დამ არ მიიღებს კადნიერებად რომ მის აზნაურს ტუქსავენ და შეურაცყოფენ ერთგულებისთვის? ჩამოაცივთ ფეხზე ხუნდები. (ყენტს ხუნდებში ჩასამენ).
- ჭვირფასო მიღობდე, წამობრმანდით.

(გაღიან ყველანი გლოსტერისა და კენტის გარდა)



- გ ლ ო ს ტ ე რ ი — მე დიდად ვწუხვარ მეგობარო: მთავრის ნებაა, ჰვეფანამ იცის, მას ვერაფერ შეუდავება, ვერც შეაჯავებს. მე მაინც ვცდი, იქნებ მისმინოს.
- კ ე ნ ტ ი — სერ, ნუ იჭმთ მავას, ნამგზავრი ვარ და დაქანცული, გამოვიძინებ ერთი კარგად, დანარჩენ დროს კი სტეინით გავირობო თვეს. გავიყვან როგორმე ეამსა, ეგების კარგი ბედი მოჰყვეს ამ ახალ ქოშებს. ლამენებისა!
- გ ლ ო ს ტ ე რ ი — ვერ მოიჭყა პერცოვი კარგად. ხელშიფე აედ ჩამოგვართმევს ამგვარ საქციელს. (გადის).
- კ ე ნ ტ ი — ხელშიფეფ ჩემო, გამართლება ძველი თქმა ვგონებ ციური მადლი გაგიცვლია გაუძლის ზეატზე. ემა, მნათობო, მოეახლე ჩვენს დედამიწას, რომ მოსალბუნ შექთა ერთმამ შემადლებინოს ამა წერილის გადაკითხვა. განსაცდელის ეამს სცოდნია მხოლოდ სასწაულნი: კორდელიასგან არის წერილი. შეუტყვი საბედნიეროდ ჩემი ასეველ-დასავალი. სიანს მოიკალა მან სახელმწიფო საქმეთაგან და გადასწვიტა მუქათვის მოზღვა. დამაშვარლო ჩემო თვალებო, ისტუმრეთ რული, დაისვენეთ და ნულარ უპერტო ამ სამარცხვიო ყოფას შეტად. ლამენებისა ბედისწერავ, ერთიე მომხედე, შეატრიალე ჩარხი შენი!

## ს ც ე ნ ა I V

ტრიალი მინდობი შემოდის ედგარი.

- ე დ გ ა რ ი — მე გავიგონე, ვით შემრაცხს კანონგარეშე, ხის ფულუროში შეეხიზნე და დავიძალე, გადფერჩი მდევარს. შეკრულია ნავსადგურები, ყველგან დაგზავნეს მზირნი, ყველას თვალს ადევნებენ, რათა შეპურობა მოახერხონ როგორმე ჩემი. გადახვეწამდე თაე უნდა შემოვიზნახო, უნდა მივიღო სიბეჩაეის, ტანჯვის იერი, გამოვიცვალო საზე ჩემი, ეემსგავსო ლატაკს, ნახევრად — ბირუტყვს: შევისვარო ტალახით საზე, წელზე ძონძები შემოვიტრცა, თმა გავიჭეო, შიშველი ტანი შევეშვირო აედარს და ყინვას, ცით მოვლენილებს; დავემსგავსო ბედლამის გლახებს, სოფლად მინახავს, ვით ღაძრწიან და ღრიალბენ, ვით იწულულებენ უინეისაგან გათოშილ მკლავებს ეკლით, ღერსმებით, ასკილის ან ქაცვის ტოტებით, სისხლს დაიდენენ და ამგვარის საშინელებით ცდილობენ ხოლმე გამოსაძონ მციარე წყალობა სოფლებს, ფარებებს, წისქვილებს და შემოგარენებს. ხან ლოკულობენ, ხან ჰადაგად დაეარდებიან. „საბარლო ტომი! ტერლიგოდი!“ — ნიშნავს რაღაცას, ხოლო ედგარი აღარ ნიშნავს უკვე არაფერს.

## ს ც ე ნ ა I V

გლოსტერის ციხე-დარბაზი. კენტი გუნდებგაფრილი.

შემოდინა: ღირი, მასხარა და უზნაური.

- ღ ი რ ი — საკვირველია, რად წავიდნენ შინიდან ისე რომ დესპანაც არ დამიბრუნეს.

აზნაური —

როგორც შევიტყვე  
წარსული დამით არც ჰქონიათ თურმე განზრახვა  
აქეთ წამოსვლის.

კენტი —

სალამს ვიპლენით, პატრონო ჩემო.

ღირსი —

როგორ, გაითობა განვიზრახავს ემაგ სირცხვილით?

კენტი —

ო, არა, მილორდ.

მასხარა —

ჰაი, ჰაი, ეგ რა უბუნო წაღები ჩაუცვამს. მოგვხსენებთ, ცხენს თა-  
ვით აბაჟენ, ძალს კისრით. შაიშენს წელით, აღამიანს კი ფეხებით:  
როდესაც კაცი ნაშეტნავედ ბევრს აფხაქურებს ფეხებს, აი მაგვეარ  
ხის ქალამნებს ჩააცმევენ ზოლზე.

ღირსი —

ვის დაევიწყდა ვინაობა შენი, მოთხარი,  
მანდ ვინ ჩაგვედა?

კენტი —

თქვენმა ქალმა და სიძემ თქვენმა,  
აქ ბრძანდებოდნენ ორივენი.

ღირსი —

ეგ სიტყუა.

კენტი —

სწორს მოგახსენებთ.

ღირსი —

არა-მეთქი.

კენტი —

ჰო-მეთქი, ვამბობ.

ღირსი —

არა, არა, არ იქმდნენ მაგას, არა.

კენტი —

რამე ჰქმნეს-მეთქი.

ღირსი —

იუბიტერს ეფიცაეარ, არა.

კენტი —

მეც იღონონს გეფიცებით, ჰო.

ღირსი —

ვერ შემებედავდნენ, ვერ იქმოდნენ, არ უნდა ექნათ:  
მაგვარი საქმე შეკლულაბანზედ უარსისა,  
ეგზომ უხამსი ძალადობა. შეურაცხყოფამ  
მოკლედ მოთხარი, იმის ფასი რა ჩაიღინე,  
რომ დესპანს ჩვენიას შემოგბედეს, აგრე დაგსაქეს?

კენტი —

მილორდ, როდესაც ვიწვიე მათ სრა-სასახლეში  
და გადავივი წიგნი თქვენის უმადლესობის,  
სამოციქულო აღვასრულე მუხლმოდრეკილმა,  
უცებ მოიჭრა მალეშსრბოლი გონერილისგან,  
ოფლმორეული, ქუშმომდგარი, ძლივს-ღა სუნთქავდა,  
წერ მიეწაღა ქალბატონის მაგიერ ეველას,  
შემდეგ გადასცა წიგნი, სიტყუა გამაწყვეტინა,  
მათ წაიკითხეს, შინაარსი ენიშნათ აღბათ,  
ფოცხლად მოუხმეს ამალს და შესხდნენ ცხენებზე;  
მიბრძანეს ხლება და ლოდინი მცირეოდენი,  
ეოდრე დასწერდნენ პასუხს; ცივი მზერა შემავლეს.  
მერმე ის იყო შევეუარე აქ იმ მალეშსრბოლს, —  
რომელმაც კარზე ჩამიშალა მოციქულობა,  
სწორედ ეგ იყო, რომელაც თქვენს უმადლესობას  
შეეპაეტრა კადნიერად ორი ღლის წინად.  
კუთაზე შეტი ვაგაკობა მაქვს. ვიძრე ხმალი,  
მან დიაცურად დიაცივლა, შეჰყარა სახლი,  
თქვენმა ქალმა და თქვენმა სიძემ კი ამ საქმისთვის  
აი, ამგვარად მომაყივნეს.

მასხარა —

ზამთარი წერ არ გასულა, რაკი გარეული ბატები იმ მხარეს მიფრბო-  
ნავენ.

მამას მონებში გახვეულს  
შვილები არა სწყალობენ,  
თუ ოქრო გამოუჩინია  
ზულბულის ხმაზე გალობენ.  
ფორტუნა კახაა თარსი,  
გლახაკს არ გაუღებს კარსა.

გარწმუნება, იმდენი უსიამოვნება შეგხვდება შენი ქალების წყალო-  
ბით, მთელს წელიწადს ვერ ჩამოთვალო.

ერეკონული  
ზიზლირთიქა

- ღირი — პოი, რაჩივად მეკუმშება გული წყაულო!  
ბოღმა მომწეა, მომეფონე ნაღვლო ოდნაე!  
სად არის ჩემი ქალიშვილი, მამკნე საჩქაროდ.
- კენტი — სახლში ბრძანდება გრაფთონ ერთად.
- ღირი — ნე ვამომყვებით  
აქ შეიცადეთ.  
(გადის)
- ახნაური — სხვა რამ ბრალი ზომ არ მივიძღვის, სწორედ შიხხარაი.
- კენტი — სხვა არაფერი.
- მასხარა — რად წამოსულა ეგზომ მცორე ამალით მეფე?
- კენტი — იი, მაგ შეკითხვისთვის კი ალალი იქნებოდა შენი ჩასმა ხუნდებში.
- მასხარა — რათაო, მასხარაე?
- რათაო და ერთი ჭიანჭველას უნდა მიგაბაროთ შევირდად, ვასწავ-  
ლოს რომ წამთარში-შროშას ყაჩაღი არა აქვს. ვისაც ცხვირი აქვს  
და უნოსვა ვაჩნია, იმან მზერად უნდა ვასარჯოს, თუ ბრმა არ არის,  
ჩასაკვირველია. აბა, ოცში ერთ ცხვირს თუ ნახავ, მერალ სენა  
რომ ვერ ვგრძობდეს? გვერდზე ჩამოდებ, როცა დიდი ბორბალი  
მოკორავს შიიდან, ნუ აედევნები, თორემ კისერს მიგამტვრევს: აღ-  
მართ-აღმართ თუ მიგორავდეს, ზედ მოევიდა, მთაზე ადევნას. თუ  
ბრძენმა უკეთესი რჩევა მოგეცეს, ჩემი რჩევა უკან დამობრუნე. სუ-  
ღელის შოკეშული რჩევა მხოლოდ არამზადებმა უნდა შეასრულონ.  
ვინც სარფისათვის გამსახტრებს  
და მასწონს ქისა შენი,  
აედარში აღარ ექნება  
იმედი გამორჩენის,  
შლევა ვარ. — მამად მოგეგები  
როცა ვიმუხთლებს ბრძენი  
მზაკვარი ვარბის შლეგიეთო,  
შლეგს ერთგულება შეენის.
- კენტი — სად გისწავლია ეგ შაირი, პამპულაე?
- მასხარა — ხუნდებში მაინც არ მისწავლია, პამპულაე.  
შემოდინ ღირი და გლოსტერი.
- ღირი — მაშ, საუბარიც არ სურთ ჩემთან? ავად არიან?  
ღამით იმზავრეს? დაიქანცენ? მიწეზობაა.  
ეგ თვითნებობის ნიშანია, თავს მარიდებენ.  
წადი მომგვარე უკეთესი პასუხი.
- გლოსტერი — მილორდ,
- ღირი — მოგახსენებთ რა ფიცხია მთავარი ჩეენი,  
რა უჩაითად შემნახველი თავის სიტყვისა.
- გლოსტერი — პოი, წარწყმედა! შურისგება! სიყვდილი! გმობა!  
ღირი, ფიცხიო?! პაი, გლოსტერ, გლოსტერ, იყოლე  
ახლავ მომგვარე კორნოლი და ცოლი მისი.
- ღირი — ძვირფასო მილორდ, მოვახსენე მათ თქვენი ნება.
- ღირი — მოვახსენეო! კაცო, გესმის თუ არა ჩემი?
- ღირი — დიახ, მესმის პატრონო ჩემო.
- ღირი — კორნოლით მწურს საუბარი, საყვარელ მამას  
სურს ქალიშვილთან საუბარი, ურვას შიითხოვს.  
ფიცხი მთავარი! მაგ ცხელ მთავარს მოახსენებდე —  
თუმც, არა, არა, იქნებ მართლაც შეუძლოდ არის,  
სნეულება ზომ არაოდეს უწყევს ანგარიშს  
მოვალეობას, რომელსაც ჩვენ ჯანმრთელობის ქამს  
ვასრულებთ ხოლმე. ჩვენ ზომ ჩვენს თავს აღარ ვეუთენით.  
ოღეს ბუნება შეგვალონებს, მამან ზომ სულაც  
სხეულთან ერთად იგვეშება. მე მას შეეუენობ.  
წუთით გამისხლტა ნებისყოფის ჩემის სადავე,  
რაც სენისგან უგუნებოდ შექმნილი კაცი  
მართლად შევრაცხე- ვაი, ჩემს თავს რად უნდა იქნებ

(ენტს შეხუბრა)

ჩემი მსახური ბოკილებში? აადაე ვფიქრობ.  
პერცოვისა და მისი ცოლის აქეთ წამოვლა  
ხრიკია მხოლოდ. დამბრუნეთ ჩემი მსახური  
წა, შობსენე, ორივესთან მსურს საუბარი  
დაუყოვნებლივ: უბრძანე, რომ შემომგებონ  
და მომისმინონ, თორემ ისეთ დაფდაფებს ატეხ  
მავათ საწოლთან, რომ სიკვდილი მოვანატრებათ.  
ნეტავ თქვენს შორის ყოველივე მოგვარდებოდას.

გ ლ ო ს ტ ე რ ი —

(გადის)

ღ ი რ ი —  
მ ა ს ხ ა რ ა —

ო, გული ჩემო, რად ფართხალებ, იყუნე გული  
შეუყვირე ერთი მავას, ბიძია, შზარეული დედაყაყი რომ შეუყვი-  
რებდა ხოლმე თევზებს, ცოცხლად რომ ჩაზილავდა ცოშში; თავშა  
წოსს უტკაცუნებდა და უყვიროდა: „იუუნეთ, იყუნეთ, თქვე ცელ-  
ქებო!“ მის მძას კი იმდენად უყვარდა თავისი ცხენი, რომ ალიყად  
კარაქიან თივას აქმევდა.

შემოდიან: კორნუოლი, რიგან, გლოსტერი და მსახურნი.

ღ ი რ ი —  
კ ო რ ნ უ ო ლ ი —

დილამშვიდობის.  
სალამი, თქვენდა, ხელმწიფეო.

რ ი გ ა ნ —  
ღ ი რ ი —

მზარებს თქვენი კარვად ყოფნა, მეუფევე ჩემო.  
შე ვგონებ, უნდა გახარებდეს. ეგ რომ არ იყოს,  
გავყარებოდი დედაშენის საფლავს, რამეთუ  
შიგ ვიგულვებდი მოლაღატეს (ცენტისაღმი) ოჰ, შეგხსნეს  
ხუნდი?

არაფერია, სხვა დროს იყოს. რიგან, ძვირფასო,  
უღირსი და გყავს. რიგან, მისი უმადურობა  
სეავის ნისკარტით გულს მიღადრავს შეუბრალებლივ.

(გულზე ხელს აყიდებს)

რ ი გ ა ნ —

ოჰ, ლამპარაკი აღარ მალმიძს, არც დამიჭერებ  
რა უკეთური ვინმე არის შენი დაა, რიგან.  
სერ, გთხოვთ დამშვიდდეთ, გუჩვენება უფრო სარწმუნოდ  
ვერ აფასებდეთ ჭეროვანად თქვენ მის ღირსებებს,  
ვიღრე ჩემი დაა ღალატობდეს მოვალეობას.

ღ ი რ ი —  
რ ი გ ა ნ —

რაო, რაგორ სთქვი?  
ჩემს დაზე მე ვერც ვოფიქრებდი  
არ ასრულებდეს იგი თავის ვალდებულებას,  
თუმც შესაძლოა, მან ალაშა თქვენნი მზლებლნი  
თავხედობისთვის, მავრამ სწორედ მავ ნიადაგზე  
ვთელი მას უბრალოდ.

ღ ი რ ი —  
რ ი გ ა ნ —

წვეულები იყოს სამუდამოდ.  
სერ, თქვენ მოხუცდით.  
საწუთრო განელეთ, მოაწურავით უკვე სიკვდილი,  
ახლა გჭირდებათ პატრონობა, თქვენნი ქუცვანი  
კეთილგონიერ მეთვალურეს საჭიროებენ,  
რომელიც უკეთ განსწვრტეს თქვენსა მღვობაგობას,  
ვიღრე თქვენ თავით. ამიტომაც გთხოვთ, გვედრებთი,  
კვლავ მიუბრუნდეთ ჩვენი დის კარს, აუხსნათ ჩვენს დას,  
რომ დამავეთ მის წინაშე.

ღ ი რ ი —

შენდობა ვთხოვო?  
შეხე რარივად დამამშვენებს მე ეგ ამბავი.  
(ინიჭებს)

რ ი გ ა ნ —

ასეუო ჩემო, ვალიარებ, მოხუცდით უკვე,  
არად ვვარავივარ, მუხლმოყარილი გთხოვ, გვაყებო.  
ჩვენებ მიზომო ტალავარია, ლოგინი, პურა.  
სერ, არ გჭირდებათ ეგ ოინი, სულ არ გამშვენებთ.  
სჯობს მიუბრუნდეთ ისევე ჩემს დას.

ღ ი რ ი —

(დგება) არასდროს, რიგან.



- მან ტარებულ იდენობა გამინახევრა,  
მტრულად მიცქერდა, მისმა ენამ, გველის შაშარმა,  
აჱ, ეს ველი დამიწყულა შეუბრალებლივ:  
დაე, მაღლის ზეცის ყველა შერისივებამ  
უწიოს მაგის უმადურ თავს, ხოლო ძელებს მისას  
ძარნი შეუდგენ და დაბუთონ!
- სერ, ნელარ იტყვიო.  
პოი, ელეო, თვალისმოპრერ შექვა კვესებით  
დააბრალებდუ მაგ უკეთეს! დააქინებდეთ  
მშვენებას მისას კანკრობებში ჩამდგარო ნისლნო,  
დამდაბლებდეთ და დამცემდეთ მის მზაობრობას!  
პოი, ღმერთებო! ალბათ მაგას მეც მისურვებდით  
გულისწყრომის ეამს.
- არა, რიგან, შენ არ დაგწყველო,  
შენს სათნოიან ბუნებაში არ შეიმჩნევა  
გულარძნილობა. მზერა მისი უღმობელია,  
შენი კი — სათნო. შენ გჩვეოდა ოდნემე ვანა  
ჩემთვის ვუნების ჩამხამება უშვერის სიტყვიო,  
ჩემის ამაღის შემცილება, ჩემი დარდილეი,  
კარის ჩარახვა ჩემთვის ბოლოს; შენ უფრო უწვი  
ბუნების წესი, მოკრძალება მამაშვილური,  
ზრდილობის ფასი, დამოწმება მაღლიერების,  
ვიცი რომ გახსოვს, ნახევარი ჩემი სამეფო  
ვით დაგიმტკიცე.
- სერ, საქმეზე ვილაპარაკოთ.  
ჩემს საარწმუნო კაცს ვინ შეასხა ფეხზე ხუნდები?  
(საყვირი მოისმის)
- რა საუვირია?  
ჩვენი დაჰ უნდა გვეწვიოს,  
ამას გეწერს სწორედ.
- შემოდის ოსვალდი.  
მობრძანდა უკვე ქალბატონი?  
აი, ეს არის უბირი და თავხედი მონა  
მიწვიე რომ მოკვეცს ქალბატონის მხარდაკერითა.  
მომწყდი თვალთავანი!
- რას გვიბრძანებთ, უფალო ჩემო?  
ჩემი მსახური ვინ შებორკა? რიგან, მე ვგონებ,  
შენ არც გაუწყეს. ეს ვინ მოდის? პოი, ზეცანო,  
შემოდის გონეროილ.
- თუ ოდენ სწავლობთ ბერკაცსა, თუ ძალნი თქვენნი  
პჟარავენ მორჩილს, თუ თავთაც მსკითმონილნი ხართ,  
ძმინეთ ჩემი, ნება ჰყავით, შემომიდექით!  
არ გრცხვინის ვანა ამა თუთრის წვერის ყურება? —  
რიგან, ვანა ხელს გაუწოდებ მაგას დღეიდან?  
სერ, რა შეეცოდე, ხელი რომ არ გამომიწოდონ?  
რასაც ტეტერი და სიბერით გონდაკარგული  
შეცოდებად თვლის, ყოველივე შეცოდება?  
პოი, ფერდებო! რა მტკიცენი ყოფილხართ თურმე!  
ვით უძლებთ ამას?! ვინ შებორკა ჩემი მხლებელი?  
სერ, მე შევბორკე. ჩაიღინა მან უმსგავსობა  
და უარესიც ერგებოდა.
- თქვენ, თქვენ შებორკეთ?  
რაკი დასუსტდით, მამახემო, ვთხოვთ, ნელარ მძლავრობთ.  
გაბრუნდით უკან, სანამ უგ თვე მიიწურება,  
დაჰყავთ ხანი ჩემს დისთან და მუნ იყოლიეთ  
თქვენის ამაღის ნახევარი. მეწვიეთ შემდეგ:  
ამჟამად, რაკი ოჯახს მოვცდი, გამიჭირდება  
თქვენი მიღება და საჭირო სხვა თადარიგი.

ლირა —

მას მივუბრუნდე? დავითხოვო ერგასი კაცი?  
 ისევ სჯობია, უგულველყო საერთოდ ვერა,  
 კარში გავიდე, ღია ცის ქვეშ ვბოვო სამკვიდრო,  
 ვეამხანაგო შველს, ზარნაშოს, და შეკარვება  
 უკიდურესი ავიტანო. მას მივუბრუნდე?  
 ფრანგთა ხელმწიფეს ვეახლები უშაღ, განკარძალულს,  
 ჩვენი ქალი რომ წაიყვანა, ჩვენი უმზითვო,  
 შევტრომებას ვახოვ, მუხლმოდრეკით, ვით აზნაური,  
 გავხდები ფერხთა მისთა მტყერა. მას მივუბრუნდე?  
 იქნებ შირჩიოთ, მეეტლედ ან მონად გავუხდე  
 ამ ბიწწ ლაქიას?

(უთითებს ოსვალდზე)

გონერბილ —

მეუფეო, როგორც ვენებოთ.

ლირა —

ასელო ჩემო, გვედარები, ნუ გამაშთებ.  
 მე არ გაწუხებ შეილო ჩემო, იყავ მშვიდობით,  
 არც შევიყრებით, არც თუ ვნახავთ ერთიმეორეს,  
 მაგრამ ვაი, რომ ასეული ხარ, სისხლ-ზარცა ჩემი,  
 უფრო სნება ხარ ამ სხეულში ნაბუღებულა  
 რომელსაც არ მსურს ვრაცხდე ჩემად: შენ სიამიენე ხარ,  
 სახადის წყლული, ზირქოვანი ნაბრძელი მწვინე,  
 ჩემს გაბრწილ სისხლში. მაგრამ არ მსურს ყვედრება შენი  
 თავით გიწიოს მოყინებამ, მე მას არ ეუხზობ,  
 არც შევღადადებ მექათასთვის ელვათამყრობელს,  
 ზვესს ყოვლთა მსაფურს არ მივეთხრობ სიაცეს შენსას:  
 მოკალაობის ქამს დაფიჭრდი და გამოსწორდი:  
 მე დავთმობ ყოველს და შევიცდი აქ. რაიანესთან  
 ასი რაინდით.

რიგან —

არც შეგდენით, მამავ ბატონო,

მე არ ველოდი თქვენს წვევას და მზად არ ვახლავართ  
 თქვენს მისაღებად. უფრად იღეთ ჩემი ღის სიტყვა:  
ჰეგელი პოლიტიკური ეკონომიის, განსაკუთრებით კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მონაცემებს, თუმცა იდეალისტურ საფუძველზე, მისი თანადროული ბურჟუაზიული საზოგადოების ანალიზს დროსაც იყენებს. იგი ამის შედეგად ბურჟუაზიული საზოგადოების მატერიალურ და ეკონომიურ ურთიერთობათა საფუძვლებზეც კი მსჯელობს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა მისი მოძღვრება სამოქალაქო საზოგადოებაზე.

ჰეგელის აზრით, სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ოჯახიდან წარმოიშვება, მატერიალურ ურთიერთობათა ერთობლიობას წარმოადგენს. მისი ძირითადი პრინციპია ცალკეული პიროვნება მისი მრავალრიცხოვანი მოთხოვნილებებით. ამ თითოეული თავისთვის თვითშინაშია. საერთო საწყისები მხოლოდ საშუალებაა პიროვნების პირადი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ სხვა პიროვნებებთან თანურთიერთობის გარეშე და მათთან გარკვეული ურთიერთმოქმედობის დადგენილებად არცერთ პიროვნებას არ შეუძლია თავისი პირადი ინტერესების მიღწევა. „სამოქალაქო საზოგადოებაში, — სწერს ჰეგელი, — თითოეული თავისთვის მიზანია, ყველა დანარჩენი მისთვის ახარა. მაგრამ სხვებთან თანურთიერთობის გარეშე მას არ შეუძლია თავისი მიზნების მოკუთვლას მიიღწიოს; იმიტომ ეს სხვები საშუალებაა განსაკუთრებულის მიზნებისათვის“<sup>2</sup>.

ასეთი გაერმოება ჰეგელის ურთიერთობათა თეორია და მრავალსახეობის სისტემას. ჰეგელი უწინარეს ყოვლისა, ანალიზს უკეთებს აღამიანთა, როგორც მწარმოებელთა და მომხმარებელთა, ურთიერთობას. ამ ვლინდება სამოქალაქო საზოგადოების წევრთა სრული დამოკიდებულება ერთმანეთზე. თითოეული იკმაყოფილებს

თავის მრავალრიცხოვანი მოთხოვნილებებს იქნის სხვებისაგან დამოკიდებულების საშუალებებს. ამვე დროს იგი იძულებულია უწინარეს სამოქალაქოებანი სხვების დასაკმაყოფილებლად. ეს ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთუკმაყოფილებლობის ფორმაა სამოქალაქო საზოგადოებაში.

„იმის შედეგით, — ამბობს ჰეგელი, — რომ მე უნდა შევეთანხმო სხვებს, ამ ვლინდება საყოველთაოობის ფორმა. მე ვიძინ სხვებისაგან დაკმაყოფილების საშუალებებს და ამის გამო მე უნდა მივიღო მათი შეხედულება. მაგრამ ამასთანავე ერთად მე უნდა ვაწარმოო საშუალებანი სხვების დასაკმაყოფილებლად. ამრიგად, ერთი გადადის მეორეში და დაკმაყოფილებელი მასთან; ამრიგად, ყოველივე კერძო იქცევა საზოგადოებრივად!... შრომისა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ამ დამოკიდებულებაში და ურთიერთობაში სუბიექტური თავმოთქობა იქცევა ყველა სხვების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხელის შეწყობად, — გადადის როგორც დიალექტიკური მოძრაობა საყოველთაოის მიქრ განსაკუთრებულის გამეშვეურებულ მოძრაობაში, ასე რომ, როცა თითოეული თავისთვის იძინს, აწარმოებს და მოიხმარს, იგი ამასთანავე სწორედ ამით იძინს და აწარმოებს სხვების დასაკმაყოფილებლად“<sup>3</sup>.

ჩვენ ამ არ შეჩერდებით იმაზე, თუ როგორ მიდის ჰეგელი შრომის დანაწილების გზით ბურჟუაზიული საზოგადოების სამი ძირითადი წოდების დადგენაზე; ეს წოდებებია: მიწათმფლობელები, მიწვევლები და ვაჭრები. არ შევჩერდებით აგრეთვე ამ საქითაში ჰეგელის შეცდომაზე, რაც უწინარეს ყოვლისა იმაში გამოიხატა, რომ ამ წოდებებს იგი მარადიულ წოდებებად სთვლის და ოჯახის შემდეგ, სახელმწიფოს მეორე ბაზისად აცხადებს, ასეთი და მსგავსი შეცდომები ჰეგელს ბევრი აქვს და ეს გასაგებია თუ მხედველობაში მივიღებთ მისი სისტემის სოციალურ მიმართულებას. მაგრამ ჩვენ გვინტერესებს მეორე, ჰეგელის რეალისტური დებულებები. ამ მიზნისათვის მინაშენა-ლოვანია იმ გარემოების აღნიშვნა, რომ სამოქალაქო ბურჟუაზიული საზოგადოების მატერიალურ ურთიერთობათა ანალიზის დროს ჰეგელი იმდენად შორს მიდის, რომ თავისებურად აყენებს ამ საზოგადოების ძირითად წინააღმდეგობას წინააღმდეგობას სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის. სამოქალაქო საზოგადოება ე. ი. ბურჟუაზიული საზოგადოება თავისი შედეგრიზებული განვითარების დროს მდიდრდება, მაგრამ ეს არა თუ არ სძობს სიღარიბეს, არამედ პირიქით, მას წარმოშობს.

ჰეგელმა იგარწო სამოქალაქო ბურჟუაზიული

<sup>1</sup> Гегель. Феноменология духа. Соч., т. IV, М., 1959, стр. 168.

<sup>2</sup> Гегель. Философия права. Соч., т. VII, стр. 211.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 220.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 223.

სახოვადობების ამ წინააღმდეგობის მნიშვნელობა, ამნიშვნელოვანი საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ებრძოლები სიღარიბეს, აღედგება და აწილებს უმთავრესად თანამედროვე საზოგადოებას, — სწერს იგი<sup>1</sup>.

ლამარაკი არ უნდა, რომ ჰეგელის შესაძლებლობას აღმატებოდა ამ მნიშვნელოვანი საკითხის<sup>2</sup> გადჭრა. მას ამ საკითხისათვის არც კი მოუყვინძინია სერაოსულად ზელი. ამ საკითხის მეცნიერული გადაჭრა შეიძლებოდა პირველ რიგში ჰეგელის მთელი ფილოსოფიის, ბერეუ-ახველი აზრის ამ წვერვალის რადიკალურად დაძლევის საფუძველზე.

მაგალითისათვის შევეჩოთ კიდევ ერთ საკითხს. ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფიაში“ ჩვენ გვხვდება ასეთი მსჯელობა სახელმწიფოს შესახებ: „...ახლანდელი სახელმწიფო და ახლანდელი მთავრობა წარმოიშვება მამინ, როცა წოდებთა სხვაობა უკვე არსებობს, როცა სიმდიდრე და სიღარიბე მეტად იზრდება და როცა იქმნება ისეთი ურთიერთობანი, რომელთა პირობებშიც უდიდეს მასას უკვე აღარ შეუძლია დაკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი ისტ, როგორც იგი ამას მიჩვეული იყო“ (VIII, 821). ეს მსჯელობა თვისთავად მატერიალისტურად ედერს. მაგრამ ვანა ცნობილი არაა, რომ ჰეგელი ძალზე შორსაა სახელმწიფოს კლასობრივი არსების გაგებაში და აღიარებამდე? სახელმწიფო, ჰეგელის მიხედვით, კლასობრივი ორგანიზაცია როდია, არამედ ღვათაბრივი იღის ამქვეყნიური განსაზიერება.

რავინდ ღრმა და „მატერიალისტურიც“ უნდა იყოს ჰეგელის მსჯელობა ცალკეულ მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე, იგი გაღაბარებებით არ უნდა შევადგასობ. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ვარაუდები, რომ აღნიშნული ცალკეული რაციონალური დებულებები ჩამიხრულია ჰეგელის იდეალისტურ და კონსერვატიულ სისტემაში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ელემენტები და ჩანასახები ჰეგელის ფილოსოფიაში, ცხადი და ხელმეწიხები ხდება მის შემდეგ, რაც მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა მისი ფილოსოფიის მიღწევების მატერიალისტური წაკითხვა და კრიტიკული გაღამეწეება მოახდინეს.

მთლიანად აღებული ჰეგელის ისტორიის ფილოსოფია, რომელიც იდეალისტური ფილოსოფიის უმადლესი მიღწევა იყო, ძლიერ ცოტას აძლევდა მარქსს ისტორიის მატერიალისტურ არსის დასასაბუთებლად.

ვ. ა. ლენინი თავის კონსპექტში ჰეგელის

წიგნის შესახებ — „ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე“ — ჰეგელის ისტორიულ კონცეფციის და მისდამი მარქსისა და ენგელსის დამოკიდებულების ასე ახასიათებს: „საერთოდ, ისტორიის ფილოსოფია ძლიერ და ძლიერ ცოტას აძლევს, ეს გასაგებია, რადგან სწორედ აქ, სწორედ ამ დარგში, ამ მეცნიერებაში მარქსმა და ენგელსმა უდიდესი ნაბიჯი გადადგეს წინ. ამ ჰეგელი ყველაზე უფრო მოძველდა და ანტიკვირებულია“. იგი ფრხხილებში ათავსებს: „ყველაზე მნიშვნელოვანია Einleitung (შესავალი), სადაც ბევრი რამ საუცხოოა საკითხის და ენგელსის მიმართ“.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა პირველად შექმნეს ისტორია, როგორც მეცნიერება, გაავრცელეს მის შესწავლაზე მატერიალისტური დიალექტიკა.

ისტორიის მატერიალისტური ახსნა რევოლუცია იყო ისტორიულ მეცნიერებაში. იდეალიზმი გაძევებულ იქნა მათ მიერ თავისი უკანასკნელი ავთვისაფარიდან — ისტორიიდან. ისტორიის მატერიალისტური ახსნის შემდეგ თეთი მატერიალისტურმა თეორიამ ახალი ხასიათი მიიღო და მის წინაშე განვითარების უდიდესი პერსპექტივები გაღამადა. „...ხოლო მას შემდეგ, რაც ისტორიაც მატერიალისტურ განიღვას დაექვემდებარა, — წერდა ენგელსი, — აქაც განვითარების ახალი გზები გაიხსნა“<sup>2</sup>.

ისტორიის მატერიალისტური ახსნა აუცილებელი პირობა იყო მეცნიერული სოციალიზმის შექმნისათვის.

მათაღლა, ისტორიის მატერიალისტური ახსნის შემდეგ, რომელიც მარქსმა და ენგელსმა მოგვეყვს და ლენინმა ახალ ეპოქაში შემდგომ განავითარა, ჰეგელის ისტორიის ფილოსოფია ძალზე მოძველებულია, მაგრამ მისი შესწავლის გაერე არ შეიძლება სათანადოდ გავივით არსება და მნიშვნელობა იმ რევოლუციისა, რომელიც მარქსიზმის კლასიკოსებმა ისტორიის მეცნიერებაში მოახდინეს. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფიაში“ არსებულ — ისტორიული მატერიალიზმის ჩანასახებს<sup>3</sup>, რომელთა შორის ზოგიერთი უკვე აღნიშნულ, არ დაუკარგეს თავისი მნიშვნელობა თანამედროვე რეაქციული ბერეუ-ახველი ისტორიული კონცეფციების კრიტიკისათვის.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, ფილოსოფიური რეველუცი, თბზ., ტ. 38, გვ. 321.

<sup>2</sup> ფ. ენგელსი. ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ორ ტომად, ტ. II, გვ. 255-456.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 255.

აკაკი ბენაჩილი

## ზეცის მხატვრული მოდელი რუსთაველთან და დანტესთან

შესავალი

ჩვენი გამოკვლევის მიზანია: ვაჩვენოთ შინაგანი კავშირი ორ გრანდიოზულ ქმნილებას, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ და დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“ შორის, უმთავრესად ზეცის მხატვრული მოდელის ცხადყოფით, რომელიც მთელ რიგ ხანებში ერთნაირადაა წარმოდგენილი დასახელებულ პოემებში.

ცხადი ზღვბა, რომ რუსთაველისა და დანტესათვის ამ სფეროში ამოსავალია ბიზანტიური ლეთისმეტყველების მამამთავრის ესეველი — დიონისე არეოპაგელის (V ს.) ტრაქტატები, ხოლო ამ თეოლოგის დამოწმება ორი პოეტის მიერ უშუალოდ აახლოებს მათ ერთმანეთთან. თავისთავად ეს ფაქტი მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. რუსთაველი ვ. წ. „განვითარებული ფეოდალიზმის“ (11 ს. — 13 ს. I ნახევარი) შვილია, დანტე კი (1265—1321) იტალიური აღორძინების ზღერბლთან ღვას, მსოფლიო კულტურის ამ დიდი მონაკვეთის ფარგლებში საქართველოს, ბიზანტიისა და დასავლეთ-ევროპის სოცუმის ზედნაშენია ქრისტიანობა, რაგინდ ცალკეული სხვაობანი არ მოიპოვებოდეს სოციალ-პოლიტიკურ სტრუქტურებსა და რელიგიურ დოგმებს შორის დასახელებული ქვეყნების შერაიდანებზე. ქრისტილოგია კი ბიზანტიაში უკვე VII საუკუნიდან განმსჭვალა ესეველი-დიონისეს აზრებით, ხოლო საქართველი უშუალოდ იყო დაკავშირებული ბიზანტიასთან V—XV საუკუნეებში. იტალიურმა კათოლიციზმამც მთლიანად შეიწოვა ესეველი-დიონისე არეოპაგელის მოძღვრება.

არ უნდა დავეიწყოთ ისიც, რომ ქრისტიანული მსოფლგაგება სრულიად ხელს არ უშლიდა რუსთაველსა და დანტეს სიუჟარელის დიადი პიშინი ემღერათ. „ვეფხისტყაოსანს“ დაქანათის თამარ მეფის ღვთაებრივი სახე, ხოლო „კომედიის“ ავტორი თავის ზმანებაში პეტრიჩეს იდეალური სახის ხილვისავენ ისწრაფვის.

აღსანიშნავია შემდეგიც: საქართველოს ტერიტორიული და კულტურული მეზობლობა ჰქონდა აღმოსავლეთთან, უმთავრესად ირანთან. მაგრამ საერო ლიტერატურის განვითარება იქ ანტირელიგიური (ანტიმუსლიმური) ელფერიოთა აღბეჭდილი, უმთავრესად ჰედონიზმით გამსჭვალული მწერლობის საბით. სულ სხვა მდგომარეობაა XII ს-ის საქართველოში. ამ ეპოქის საერო ლიტერატურის წარმომადგენელნი — ჩახრუხაძე, შავთელი და განსაკუთრებით რუსთაველი მიმართავენ ბიბლიის (მევილი და ახალი აღთქმის წიგნებსა და მოცუქულთა ეპისტოლეებს) და იქედან მოქონდათ ამაღლებული სიუჟარელის არგუმენტები. ამასთან, თუ სპარსული მწერლობა არეკლავდა პარემის ატმოსფეროს, ქართული ლიტერატურაში ქალი სახელმწიფოებრივი იერარქიის მაღალ საფეხებზე წარმოიღვივებოდა „ღვთისმშობლის წილხდომილი“ და წმ. ნინოს ქვეყანაში: ამიტომ მოხდა აღნიშნულ ეპოქაში ქალისადმი პატივისცემის დასახელებულია ჯერ რელიგიურ-პოლიტიკურ ასპექტში (ნიკოლოზ გულაბერიძის „საკითხავი სუეტი-ცხოვლისა“, განსაკ. თავი: „ღირსებისა და პატივისათვის ქალისა“), შემდეგ კი პოეტურში (შავთელი, ჩახრუხაძე, რუსთაველი... ვაგისენოთ რუსთაველის სიტყვები: „თუშვა ქალი

შელწიფელ მართ ღმრთისა დანაბადია" და სხვ.). XII ს-ის ქართული სახელმწიფოებრივი პირობების შესაბამისად მოსათქმემა იდეამ ქალის ემანსიპაციისა, რაც იმდროინდელი მსოფლიოს მისწრაფებით ვერცხონარ ფაქტში, თამარის ვამეფებში გამოიხატა, ვეფხისტყაოსნის სახით მის მაღალ პოეტურ კანონზღაპრის შექმნაში. ანალოგიური ისტორიული ფაქტი უცნობა სენიორულ-ვასალური დასავლეთისათვის. ამიტომაც, რომ რუსთაველის ქმნილება ერთგვარი კონტრთეზაა, მაგალითად, ირანული ეპოსისა, სადაც ქალი — უღებლად — ერთდროულად კინის დაბალ საფეხებზეა წარმოდგენილი მამაკაცთან შედარებით და სადაც სასიყვარულო პერსონაჟები იშვიათად სცილდებიან ქალ-ვეთა თავდადასავლის სკანდალური ქრონიკის ფარგლებს (მაგ. „ეისრამინში“). ანალოგიური მხატვრული ფაქტებისაგან არც დასავლეთის კერძაზელი ლიტერატურაა დაზღვეული, რომელიც ფეოდალური ამორალიზმის ინდივიდუალურ ან ხშირად თანაგრძობითაც გამსჭვალულია თხრობის მაგალითებითაა მდიდარი (კერძაზელი ლირიკა, „ტრისტან და იზოლდას“ ეპოსი...).

დასავლეთში მხოლოდ დანტესთან ამაღლდა ქალი ღვთაებრივი სახეობამდე აბსოლუტური მხატვრული სრულყოფილობით. ამ მხრივ მის ბადალი არ მოეპოვება ევროპული პოეზიის ისტორიაში.

ორივე შემთხვევაში, რუსთაველთან და დანტესთან, ქრისტიანობის საწინააღმდეგო ამაში არაფერია. უნდა აღინიშნოს, რომ თვით იტალიური რენესანსის აღმოცენებისა და ვანიტაზების ყველა სტადიაზე ქრისტიანობა რჩება იმ ბაზისად, რომელზედაც ახალი კულტურა იქმნება და მას ხელი არ შეუშლია ამ კულტურის ყვავებისათვის. პაპისა და მისი კურთხის, აგრეთვე ბერების უალთანადობისა და ავსორციონის გამაწვანებელი კრიტიკა გვხვდება უაღრესად მორწმუნე-კათოლიკეებთან — დანტესთან, პეტრარკასთან და ბოკაჩოსთან. არც ერთი მათგანი არ ყოფილა ერეტისი და მათ უფრო — ათეისტი. მართლმორწმუნე კათოლიკე დანტეს რომ თავი დავანებოთ, მაგალითად ეზარა თუნდაც განთქმული „კანცონიერეს“ შემოქმედი, ავინიონის აბატი პეტრარკა, რომელიც ნეტარი ავეუსტინეს (IV-V ს-ის საზღვ.) მიმდევრად თვლიდა თავს (იხ. მისი ტრაქტატი „ქვეყნობებისადაც ზიზღის შესახებ“, რომელიც ნაკვები ავეუსტინეს „აღსარების“ იმ საკვირველ ფურცლებით, რომელნიც ამ თეოლოგის ღვთის მონიკას სცდებოდა ავეიწერს). პეტრარკასათვის, რომელიც ყველაზე დიდი სახელია იტალიური არტისანისული ლიტერატურისა,

ერეტისკობა ან ათეისტობა არავის დაუწამებია.

დასასრულ, რაც შეეხება ძველქართულ მხატვრულ ლიტერატურასთან რუსთაველის მიმართებას, შეიძლება იგი დახასიათდეს შემდეგი ზოგადი განცხადების ფარგლებში: „...ქართული საერთო მწერლობის ჩამოყალიბების პროცესში, რომელსაც XI საუკუნიდან ვამჩნევთ, ერთგვარ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მთელი წინანდელი ლიტერატურული მემკვიდრეობა, სახელდობრ ის სასულიერო მწერლობა, რომელიც XI საუკუნემდე ბატონობდა ჩვენი“ (ე. კიევილიძე, ეტიუდები... II, 1945, გვ. 3-5).

თუ როგორია რუსთაველის დამოკიდებულება საეკლესიო ბიზანტიურ-ქართულ თეოლოგიასთან, კერძოდ ფსევდო-დომინსე არქიმპევის ტრაქტატების გვერდში მცირისულლ თარგმანებთან, ეს საკითხი (სხვა სპეციალურ საკითხებთან ერთად) განვიხილოთ გვიან ჩვენი ნაშრომის პირველ ნაწილში „რუსთაველის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების ზოგიერთი საკითხი“ (იხ. ე. „ესკაიბი“, 1970, №18 7 და 8). მეორე თავი ეძღვნება თმას „დანტე და ფსევდო-დომინსე არქიმპევი“. მონოგრაფიის შესაბამის ნაწილი წარმოადგენს დამატებას: „დანტე და პრეისტორიული საქართველო“. (იხ. გვ. „ლიტერატურული საქართველო“, 1970, 22 მისი).

\*\*\*

საქიროდ ვთვლით ამ შესავალში რამდენიმე სიტყვა ვთქვათ აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობისა და პოეზიაში რელიგიური სურათის პერსონაჟთა ძიების საკითხების გამოც.

ჩვენ არ ვიცით, რამდენად დავუგებმარებოდა, კერძოდ ვეფხისტყაოსნის ამომწურავი გაგების მხრივ, მისი ავტორის ბიოგრაფიის თუნდაც ზოგადი მომენტების ცოდნა გენიალურ ქმნილებათა ავტორების ბიოგრაფია ხშირად ბუნდოვანებითაა მოცული (მაგ. შექსპირისა), ხოლო ზოგიერთთა — სრულიად არაფერი არ ვიცით (მაგ. პომეროსის). ამასთან წარსულის ბევრ გრანდიოზულ მხატვრულ ძეგლში პიროვნული ხშირად წაშლილია. ან: თუ ასეთ ძეგლთა ავტორების ბიოგრაფია ცნობილია, იგი დიდდ არ გვეხმარება თვითონ ძეგლთა გაგების მხრივ. მიველა აჩქაროს ბიოგრაფია ზედმიწევნითაა შესწავლილი, მაგრამ „პოეტას“ ან „პოსეს“ ვაგებისათვის მას ნაღლები მნიშვნელობა აქვს. სამაგვიროდ ბიბლიის ცოდნას დასაბუთებულ ნაწარმოებთა ინტერპრეტაციისათვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. იგივე ითქმის ლეონარდო და ვინჩის სურათებისა და ფრესკების (მაგ. „საიდუმლო სერობის“) ან ბახის „პასიონების“ შესახებ. გოთვე წინააღმდეგი იყო „ფიქსტივი“ ბიოგრაფიული ელემენტები ეძებნათ,

იგი არც ამ პოემიდან მწყობრი ფილოსოფიური კონცეპციის გამოყვანის მომხრე ვახლდეთ (იხ. მისი საუბრები ეკრანთან). გენოსის უჩინარი ღმერთით ქმნის თავის საშუაროს და ჩვენ არაფერი ვიცით თვითონ შემოქმედის ემოციების შესახებო, — წერდა ფლობერა.

მსოფლიო პოეზიაში შეიძლება დანტე იყოთ გამოსაჯლისი, რომლის ბიოგრაფია მართლაც გამსჭვალავს „ახალი ცხოვრებისა“ და „კომედის“ სულს.

რასაკვირველია, ბედნიერება იქნებოდა, რომ ჩვენ ხელთ გვექონდეს დოკუმენტი ბიოგრაფია რუსთაველისა, მაგრამ ასეთი დოკუმენტები თუ ტექსტები ჯერჯერობით არ ჩანან. „ისტორია კი შენდება მხოლოდ ტექსტების საფუძველზე, მათი შეცვლა არ შეიძლება პირადი შეხედულებებით. საუკეთესო ისტორიკოსი ისაა, რომელიც ყველაზე ახლოსაა დოკუმენტებთან, რომელიც წერს და ფიქრობს მხოლოდ მათი მიხედვით. გაბედულ დასკვნებს შეცნობრებასთან საერთო არაფერი აქვთ“ (მ. დილი. ბიზანტიური ისტორიის ძირითადი პრობლემები. 1947, გვ. 174. ავტორის მოყვას ევროპული ფეოდალიზმის დიდი ისტორიკოსის ფიქსტელ დე კულანეს სიტყვები).

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობაზე არსებობს მრავალი შეხედულება, პიპოთეზა და ვარიანტი, მაგრამ შეცნიერულ აზრს არ შეუძლია პიპოთეზის რეკლამირება, თუმცა თვითონ პიპოთეზის დამყვანი არაიეს აუკრძალავს. საქმე ეგება მხოლოდ ყოველგვარი პრეზუმპციის გამოყვანას ფაქტობრივ ჩვენებათაგან.

როგორი ფაქტობრივი, ტექსტობრივი ჩვენებანი არსებობენ ამჟამად?

უწინაეს ყოველისა ესაა პოემის პროლოგში და ეპილოგში დაცული ცნობები. პოემის შესავალში პოეტი თვითონ ასახელებს თავის გვარს, ზედწოდებას თუ თანამდებობას. აი სათანადო ტაბელები:

7, მ: დავექ, რუსთველმან გავლემან, მისთვის გულ-ღახეაჲ-სობილი და მ. 1: მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი.

ეპილოგში, რომელიც ზოგიერთი სტროფის გამოკლებით უშეკვლია ინტერპოლატორს ეკუთვნის, ნათქვამია (მთელი რიგი ხელნაწერები ამ წაიკითხვას მზარს უძერს):

წერე ვინმე მესხი შელექსე მე რუსთველისად ამისა

ე. ი. პოემის გამგრძელებელმა ძირითადი ტექსტის თავდაპირველ ეპილოგში (სადაც, უშეკვლია, რუსთველს ეკუთვნის) მაც. სტროფი, რომელიც იწყება სიტყვებით „ქართველთა

ღმრთისა დავეთისს...“ შეიტანა რამდენიმე ხანა, მათ შორის პირველი, რომელსაც „ქართველთა“ „სოფლიდან გარდახდომის“ (გარდაცემულობის) ემბემის აღწერას შეიცავს. სწორედ ამ ინტერპოლატორს, „ვინმე მესხს“ ეკუთვნის ზემოთ მოტანილი ტაბე. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ რუსთაველის ეპიგონია, ჰმაძვას მას („...რუსთველისად ამისა“). მთელი პოემა თავდება იმავე ინტერპოლატორის სტროფით:

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა, აბღლეშისა შავთელსა, ლექსი მას უქია რომელსა, დილარგეთ სარგის თმოგველსა, მას ენა დაუწრომელსა და ტარიელ მისსა რუსთველსა. მისთვის ცრემლმწველ შრობელსა (1669).

თავი რომ დავანებოთ ამ ხანის მხატვრულ უმწიბროს (ოთხტავში აუტანელ ტავთოლოგებთან გვეყვას საქმე: „ექია-უქეს“, „მის-მას“, „მის-სა-მისთვის“ და ა. შ.), იგი მიიწე საინტერესოა იმ მხრივ, რომ მასში ნათლადაა ნათქვამი რუსთაველზე, როგორც მეორე პირზე და ტარიელის ამბავის ანუ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორზე. ამასთან. სტროფში იმ გარემოებაზედაცაა მითითებული, რომ რუსთაველი მოსე ხონელის, შავთელისა და სარგის თმოგველის ეპოქას ანუ თამარის მეფობის ხანას ეკუთვნის, ე. ი. მოტანილი სტროფის უშეკვლეს ავტორს ჩინებულად მოგხსენებოდა თუ რომელი ეპოქისათვის მიეკუთვნება „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედელი: ესაა ეპოქა ქართული პატრონ-უმობის ინსტიტუტისა.

ქართველთა ღმრთისა დავეთის, ვის მზე მსახურებს სარგებლად, ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად, ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად, ორგულთა მათთა დამწველად, ერთველთა გამახარებლად!

ამ სტროფის მესამე ტაბეში, როგორც მ. ჯანაშვილმა შენიშნა პირველად. გვაქვს ზეა „თამარ“, ე. ი. სტროფში მოხსენებულია დავით სოსლანი და თამარი. ზეა „თამარ“ არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება წაითვალოს შემთხვევითად. ცნობილია თუ როგორ ახლოსაა ასეთი ხერხის (და სხვა სტილიური ხერხების) გამოყენების მხრივ რუსთაველი ქართულ მუხობებებთან (იხ. Н. Март. Др. русы. оаи-пацим... შტრ. ჩვენი „რუსთაველის პოეტიკის საკითხები“ 1932). მაც. შავთელთან გვაქვს ასეთი ზეა (ომნიმის ჩარჩოებში): „და ვით ისა და? ვა ეთი სადა? ეს ტაბეი ანალოგებია რუსთაველის... ზართა მარებლისა“

ამდენად ინტერპოლაციური რუსთაველის პირველი ძეგლი ბიოგრაფია.

რაც შეეხება სახელს „შოთა“, ცნობილია, რომ იგი მომდინარეობს თეიმურაზ პირველის (1589—1663) „იოსებ — ზილიხანიანიდან“. ამ პოემის პროლოგში თეიმურაზი გვჩვენებს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს და სხვათაშორის აღნიშნავს:

7,2: ესენი შოთა რუსთაველმან შეამკო  
 არსთა მკობითა.  
 თვით მინდობილმან სამპრძენსა, მერე თამარის ხმოზითა.

არსებთანად თეიმურაზის შემდეგ მოხდა რუსთაველის სახელად შოთას დაინოვნება ქართულ ლიტერატურაში. უნდა ვაიზოიაროთ საერთოდ გავრცელებული შეხედულება, რომ თეიმურაზ I, რომლისთვისაც რუსთაველა უმადლეს ესთეტიკურ მებრს წარმოადგენდა, რაიმე ფაქტობრივ ზეგნებაზე დაურდნობით უწოდებდა რუსთაველს „შოთას“. მეფე-მგოსნის განცხადება არ უნდა იყოს მის მებრ თვითნებურად ვაიზოიარო რამ — თანამედროვეებისათვის დასაუკვეებელ ცნობას თეიმურაზი, რასაკვირველია, კატეგორიული განცხადების სახით ვერ შეიტანდა თავის პოემაში: მართლაც — არც ერთს მის თანამედროვეს (მათ შორის არანად მეფეს, თეიმურაზის ბიოგრაფს) რაიმე უნდობლობა თეიმურაზის ცნობისადმი არ გამოუცხადებია. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ გენიალური პოემის ავტორს მართლაც შოთა ერქვა. შეიძლება მომავალში ეს ცნობა ფაქტობრივად დადასტურდეს.

რაც შეეხება პოემის დაწერის თარიღს — აგრეთვე თვით ნაწარმოების ზეგნების საფუძველზე — ერთი რამ უცდობელია: რადგან მასში მოხსენებულია თამარის მეუღლე დავით სოსლანი (პროლოგსა და ეპილოგის უტყუარ სტროფებში) და ისიც, როგორც ცოცხალი პირი პოემის შექმნა (თავდაპირველად ვარიანტისა მანც) არ შეიძლება ვასცილდეს 1207 წელს, დავითის გარდაცვალების თარიღს. ზოგიერთი დამატებითი, ისტორიული რეალებების მოშველიებას (მაგ. პოემაში ბიზანტიის არ დასაბელებას). რომელიც ამ დროს მართლაც

1 ბიზანტიის იმპერიაში, როგორც მთლიანად და ცენტრალიზებულმა სახელმწიფომ, 1/2 საუკუნეზე მეტი ხნით შესწყვიტა არსებობა 1204 წელს, ქვაროსანთა მებრ კონსტანტინოპოლის აღებისა და მისი გაპარცევის შედეგად. ბიზანტია ქვეყანადება მთელ რიგ მხარეებად, რომელთაც დამოუკიდებელი გაშვებულნი მართავდნენ. ამ პროცესს ზღვარი დაეკო მხოლოდ მებრალ პალეოლოგის კეისრობისას (1261—1272). ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ვეფხისტყაოსნის ხორჯში რეალურ სახელმწიფოდ იხსენ

აღარ წარმოადგენდა მთლიან იმპერიას ქვაროსანთა ომების შედეგად დასრულებულია გაამაროს პოემის აღმოცენების შემდეგ უცვლელია. მაგრამ ამგვარი ისტორიული ცნობების უზვად დამოწმება შეიძლება დაუსრულებული ვესკლბის უღრან ტყეში შეგვიყვანოს და მსყურობა ისევ მოსწყვიტოს ტექსტს, რაც აზგუმენტაციას რეალურ საფუძველს გამოაცილის.

დამაყვრებელი უნდა იყოს აგრეთვე შოთა რუსთაველისა და ცნობილი „შოთა მებრტრულეთხუცისის“ იდენტიფიკაცია (ე. მებრტრული). მაგრამ წერტილი ამ უნდა დაისვას: სანამ დამატებითი, ფაქტობრივი ანუ ტექსტობრივი ზეგნება არ მოგვეპოვება, ამ საკითხზე ვრცელად მსყურობა მეცნიერული სიზუსტის პრეტენზიით უქმნება უცდობელი ზეგნებისაში ვადეა (მხედველობაში გვაქვს რუსთაველის ვრცელი ბიოგრაფიის აღდგენის ცდა ზემოთ აღნიშნული და მანც ყრფეობით პირობითად მისაღები იდენტიფიკაციის საფუძველზე).

რუსთაველოლოგიდან უნდა ვანიდგენოს ყოველგვარი *circulus vitiosus*, როცა დასაბუთებისას მოტანილია არგუმენტი, რომელიც თავის მხრივ მოთხოვნა დასაბუთებას.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ. უკვე ზემოთ ვთქვით, რომ რუსთაველისაგან განსხვავებით, დანტეს ბიოგრაფია კარგადაა ცნობილი და იგი დიდად გვეხმარება „კომედიის“ შინაარსის მთელი რიგი ადგილების გავგების მხრით. მაშასადამე, დანტეზე არ ითქმის იგივე, რაც პოეზიოსის ან რუსთაველისა და მათი ქმნილებების შესახებ შეიძლება ითქვას. მაგრამ უნდა ვავითვალისწინოთ ის ვარემოებაიც, რომ „ღვთაებრივი კომედიის“ არაა გამოკონებულნი ფაბრიკის შემცველი რაინდულ-რამანტიული ეპოსის რიგებში, იგი მისტიკური ხასიათის ავტობიოგრაფიული შინაარსის პოემაა და სტრუქტურული თვალსაზრისით

ნიება, ზოლი ამ უკანასკნელმა კი თავისი არსებობა შესწყვიტა XIII საუკუნის 20-იან წლებში (ამ ქვეყნის უკანასკნელი მეფე-მეგვიდობე ჩელაღდანი ლახორში იყო გაქცეული. იხ. Н. К. Синха, А. Ч. Банерджи, История Индии. Пер. с английского. ИЛ. М., 1954, стр. 150). რუსთაველს, რასაკვირველია, თანამედროვეებისათვის ვასაგები ისტორიული პროცესები ჰქონდა გათვალისწინებული. მაგრამ ვეფხისტყაოსანი არაა ისტორიული ეპოსი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ამიტომ ისტორიული რეალებები მასში მებრუებულია და მათი გამოკონება დიდი სიფრთხილით უნდა მოხდეს. ეს სიფრთხილე ზოგიერთ რუსთაველოლოგურ შტულებში, სამწუხაროდ, ნაკლებად ჩანს.

გრანდიოზულ პოეტურ აღსარებას წარმოადგენს.

იქვე დავძენთ:

„კომედიის“ იტალიური ტერცინები მოტანილია ჩვენი მეგობრის ბაჩანა ბრეგეაძის დამატებით. მასვე ვუთენის ამ ტერცინების ქართული პროზული, ზუსტი თარგმანები. სანეროდ, წინამდებარე ნაშრომის დამზადებაში მისგან დიდად დავალებული ვართ. რასთვისაც გულთოდ მადლობას მოვახსენებ.

### დანბო და ფსევდო-ფიონისა არაბიკაგალი

დანტეს (1265—1321) ბიოგრაფებს ჩვეულებრივ უყვართ უდიდესი ფლორენციელის შესახებ შემდეგი ერთ-ერთი ანეკდოტური ცნობის მოტანა:

„ვერონაში მას ასეთი რამ შეემთხვა: ერთხელ, როცა შორს ვავრცელდა დიდება მისი ნაწარმოებისა, სახელდობრ „კომედიის“ იმ ნაწილისა, რომელსაც მან „ჯოჯობეთი“ უწოდა, იგი მიდიოდა ქალაქის ალაყის ვასწარივ, სადაც რამდენიმე ქალი იჯდა: ერთმა მოთვანმა ჩემდ თქვა მგარამ ისე, რომ დანტესა და მის მშლებლებს შეეძლოთ გაეგონათ: „შეხებულს ადამიანი, რომელიც ჯოჯობეთში ჩადის, სურვილისამებრ იქიდან ბრუნდება და მოაქვს ცნობები იმათზე, ვინც იქ არიან“. ამაზე მეორემ მიაპიტურად მიუთხრო: „პო, რასაკვირვებია, მართლს ამბობ. დამე, როგორი შეტრუსული ხელები წვერი აქვს, როგორი შავგერმანია. ეს, რა თქმა უნდა ჯოჯობეთის აღმურისა და კვამლისგანაა“. დანტე მიხვდა, რომ ეს სიტყვები ქალების უბრალო რწმენის გამოხატულება იყო, გაეღიმა და მასზე ასეთი შეხედულების გამოგახარებულმა თავისი გზა განაგრძო!.

ეს ცნობა დაეცოდა აქვს ჯიოვანი ბოკაჩოს (1313—1375) თავის *Vita di Dante*-ში, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1477 წ. ვენეციაში (Paget Toynbee, *Dante Alighieri. London [1924]. Six Edition, გვ. 229*). გამოყენებულნი აქვს პოეტის ერთგრი ბიოგრაფი, ცნობილი დანტოლოგ გ. სკარტაციონი (Г. Скартаццини, *Dante. СПб, 1905, გვ. 121-132*). ქვემოთ ყველაზე მოკლე — სკარტაციონი და ბეერ სხვას. ვრცელი ამონაწერები ბოკაჩოს *Vita*-დან ნახე Toynbee-სთან (*Op.cit.*, 176-147-157; მასთანვე — საერთოდ ანეკდოტები დანტეს შესახებ, კერძოდ პეტრარკას მიერ ჩაწერილი, გვ. 176-177; შდრ. Francesco Petrarca, *Dichtung und Prosa, 1968, 447-44*: „Über Dante“). დანტეზე არსებული ზღვა ლიტერატურადან პირველი წყაროების მიმოხილვა იხ. Toynbee-სთან (*Op. cit.*, 229-233: „Appendix“) და სკარტაციონის წიგნში. დანტეს პორტრეტე-

თუ ამ ვალმოცემას ანეკდოტის ხასიათი აქვს, სამაგიეროდ სრულად რეალურად ვერც დალოცი, ჩაწერილი გოეთეს მდინეზ-ხეტი: 1824 წლის 24 დეკემბერს. გოეთე ათეაღიერებდა უცნობი ოსტატის მიერ შესრულებულ ძველ შედალიონს, რომელზედაც დანტეს პროფილი იყო ასახული და ასე ახასიათებდა „ღვთაებრივი კომედიის“ იტორის გარეგნობას: „ესაა მხრებში მოხარული მოხუცი, გოლმეული, დამკნარი და ჩამოვებული სახის ნაკლებით, გვეგონებათ ეს-ესაა ჯოჯობეთიდან დაბრუნებულაო“ (ეკერ-მანი, საუბრები გოეთესთან). ორი დღის შემდეგ ვიამარული ბრტენი დანტეს უწოდებდა ნატურას, რომლის დამახასიათებელ თვისებას, მისი ახრით, „ყოველისმოწყველი ნიჭიერება“ შეადგენდა (იქვე).

მართლაც, თუ გენიოსის ერთ-ერთ თვისებას დამჯერებლისათვის რეალურობისა და სველპტურული სიხადის მინიჭება შეადგენს, დანტე ალიგიერი უკლაზე მეტად იყო დამკვიდრებული ამ თვისებით. მსოფლიო პოეზიაში მას ბადელი არ მოეპოვება ამ მხრივ.

დანტეს „ალაპარკო ათი შენჭი საუკუნე“, მისი გრანდიოზული ქმნილება სასწაულებრივი სინთეზია შუა საუკუნეთა ცოდნის, სიბრძნისა, სამყაროზე წარმოდგენებისა და კაცობრიობის მომავალი იდეალების წინასწარი განკვერტისა. ფრ. ენგელსს ვუთენის კლასიკური დახასიათება ამ საკვირველი ისტორიული ფენომენისა: „...ფეოდალურ შუა საუკუნეთა დასასრული და თანამედროვე კაპიტალისტური ხანის დასაწყისი აღნიშნულია კოლსალური ფიგურით. ეს იტალიელი დანტეა, რომელიც ერთსა და იმავე დროს არის შუა საუკუნეების უკანასკნელი პრტიტი და ახალი დროის პირველი პოეტი“.

• • •

ჭერ მოკლე დანტეს უკვადვი ქმნილების შინაარსის გამო.

„კომედია“ („ლა კომმედია“), რომელსაც შემდეგ უწოდა „ღვთაებრივი კომედია“ („ლა დივიინა კომმედია“) და რაც მის უმაღლეს მხატვრულ თვისებებზე და იმავე დროს მის ღრმა ხალხურობაზე მიუთითებდა (დამწერილია ხალხურ იტალიურზე) ვეება პანორამა პოეტის ზმანებისა, სიზმრის სახით გამოხატული — პოეტის სულის მოგზაურობისა საიქიოში, რომელიც კათოლიკური ესქატოლოგიის მიხედვით სამი ნაწილისაგან შედგება. ესენია: „ჯოჯობეთი“ („ინფერნო“),

ბისა და სველპტურულ გამოსახულებათა შესახებ დასახ. შრომების გარდა ნ. სპეციალურად В. З. Подлинные портреты Данте. «Исторический Вестник». СПб, 1895, т. XXII, стр. 180—189.

განსაწმენდელი ანუ „სალბინებელი“ (პერ-  
ვატორიო\*) და „სამოხე“ („პარადიზო“). თვი-  
თული ნაწილი 33 სიმღერისაგან („ანტო“)   
 შედგება. „ჯოჯობეთს“ წინ ერთის კიდევ ერთი   
 სიმღერა, ამიტომ „კომედია“ 100 სიმღერას შე-  
 იცავს (რიცებს 3-ს დანტეს პოემაში საერაული   
 მნიშვნელობა აქვს და ლეოთების საშუაზე მი-  
 თითობს).

პირველ ნაწილში („ჯოჯობეთი“) სამუდამოდ   
 დაღუპულთა (დასწოლთა) სულეობა მოთავსებუ-  
 ლ, მეორეში — ცოდვათა მომნაინებელნი და   
 გაწმენდისათვის გამწადებულნი, მესამეში —   
 ნეტარნი. ამასთან, „კომედია“ კოსმოსურ მას-  
 შტაბის სასიყვარულო ჰიმნია ბეატრიჩესადმი,   
 რომელიც დანტეს თავდაფიყვებით უყვარდა   
 სურმობიდანვე, ადრე ვარდაცვლილა და სამოთ-  
 ხეში იმყოფება.

დანტეს კოსმოლოგიური წარმოდგენით, რო-  
 მელიც ბტოლომაიოსის სისტემას ეყარება და   
 რაც პოეტის ყველა თანამედროვესათვის საუ-  
 ნებით ვსაუბრებ იყო (ბურკჰარდტი), საწყაროს   
 ცენტრში მოთავსებულია უჭრავი პლანეტა   
 დედამიწა, რომლის ირგვლივ განლაგებულია   
 შვიდი მნათობი (პლანეტა) და კიდევ სამი   
 ზეციური სფერო. პოემა იწყება იმით, რომ   
 დანტეს დედამიწაზე თავისი ცხოვრების შეუ-  
 გულ გზაზე შემოღამებია, ვ. ი. როცა პოეტა   
 35 წლის იყო. ეს ასაკი მის 1300 წელს შე-  
 ვსრულდა. (სასაკი დადგენის თვალსაზრისით   
 ი. მისი Convivio ანუ „ნადიმო“ IV, 23,1.   
 შტრ. სკარტაცინი, 136). როცა დანტეს გამო-  
 ედოდა, გამოენიისას დაინახა, რომ მას გზა   
 ანკორდა უსიერ ტევრში (ალეგორიულად იტუ-  
 ლისხებება ამ ქვეყანად აღმართის ცხოვრება,   
 აღსავსე ცოდვებით და ა. შ.). პოეტტი ციციობს   
 თავი დააღწიოს მას და მიადწიოს ცისკრის სიხ-  
 ვებით განათებული მადლობის ძირს. მაგრამ   
 ამ შემოყვრება დანტეს სამი მხეტი — პან-  
 ტონა (ბაბარა), ლომი და ძე მგელი, რომლებიც   
 მას გზას უღობავენ მადლობისაკენ. იმედდაკარ-  
 გულ დანტე კვლავ უსიერ ტევრში იხვეს.   
 სწორედ ამ დროს გამოეცხადება მას სათავე-  
 ნებელი მასწავლებლის, ოქტივიანე-აგუსტინის   
 ვოქის დიდი რომაელი პოეტის ვერგილიუსის   
 ღანდი, რომელსაც ბეატრიჩე მოუხვედრს გზა-  
 ადგენილს. ვერგილიუსი ამხნევეს დანტეს   
 ბეატრიჩეს სახელით და ისიც სიხარულით მი-  
 ჰეუება გზისგამწვევს („ჯოჯ.“ II, 136). მით   
 უნდა გაიარონ ვერ ჯოჯობეთი, ვერე სალბინე-  
 ბელი, რომლის ზევით დანტეს უფრო ღირსეუ-  
 ლის სული (იგულისხმება ბეატრიჩე) გაუძღვე-

ბა მიწიერ სამოთხისაკენ, სადაც ვერგილიუსს   
 არ შეუძლია შესვლა ვითარცა წარმართი.   
 ვერგილიუსი ჯოჯობეთის პირველი წიხი   
 (ლიპიდან) გამოდის დანტეს საშველად. იწყება   
 მიწისქვეშ მოთავსებულ, ძაბრისებური ფორ-  
 მის, 9 ვარსიანი და ვერღმეულებანი უფსერ-  
 ლის მსგავსი ჯოჯობეთი ჩახვლა. მისი შესავალი   
 კარები ღიაა და მას არაფერი იცავს, ინფეროსს   
 აქვს თავზარდამცემი წარწერა: „ამ შემოსულმა   
 გარდიწყვიტის ყველა იმედი!“

დანტე და ვერგილიუსი ვაიციანი ჯოჯობეთის   
 9 ვარსს პირველ ვარსში (ლიპში), სადაც   
 უნებლოე ეოდელინი იმყოფებან, ისინი ხედ-  
 ბიან ანტიკური ხანის უდიდეს პოეტებს, ფი-  
 ლოსოფოსებსა და მეცნიერებს („ჯოჯ.“ IV),   
 რომელნიც თავის წრეში მიიღებენ დანტეს.   
 ნამდელიც ჯოჯობეთი არსებობდა იწყება მეორე   
 ვარსიდან („ჯოჯ.“ V), რომლის შესავალით   
 დგას მინოსი (იქვე, V, 16-18). იგი სასტიკი   
 მსჯავრმდებელია და თავისი კედის ქნევით მი-  
 უჩენს ცოდვილთ (მრუშებს) ადგილს ჯოჯობეთ-  
 ში. დანარჩენი ვარსების ჯერღმეულებში სხვა-  
 დსხვა ცოდვილნი იტარებიან. დანტეს ფანტა-  
 ზია განწესაზღვრელია მათი სეტყბურული გა-  
 მოსახების თვალსაზრისით. II—VII ვარსებში   
 იმყოფებიან ღორმეულები და მფლანგეულები,   
 განდგომილნი (ერეტკოსები), ათეისტები და   
 მატერიალისტები (მაგ. ვანთქმული ეპიკურე   
 და სხვ.). მეთხველს თვალწინ ვაიციანი წარ-  
 სულისა და პოეტის ეპოქის მრავალი მოღვაწე,   
 პოლიტიკოსები, დესპოტები და ტრანკები (მაგ.   
 ატილა და სხვ.), დანტეს პარტიული მეტოქე-  
 ნი — ვიპტონიები, მოპალადნი და სოლოპი-  
 ტები და ა. შ. მერვე ვარსის პირველ მღვიმეში   
 იტარებიან მადუნებელნი და მიპანკლები,   
 მეორეში — პირფერნი და ევზორენი, მესამე-  
 ში — სიმონის მიმდევარნი და თვითონ რომის   
 პაპი ბონიფაციუს მერვე, რომელიც პოეტის   
 შექმნისას ვერ კიდევ ციცხალი იყო; მეოთხე-  
 ში — გრძნეულნი და სხვ. V—X სიმეიმებში —   
 სახელმწიფო დამნაშავენი, ფარისეველნი, ქურ-  
 დები, ლეთისმგობელნი, მექათამებე, ბორო-  
 ტი და აკლბი მოთათბირენი (ქვა მაგ. ოდისე-  
 სი), განხეთქილებისა და ვათიშის ხელოვანნი,   
 მამაჟი, პრეფანალელი კრებადურთ ბერტრან   
 დე ბონი, რომელსაც ცალ ზელში საკუთარი   
 თავი უყვარდა და ა. შ.

ჯოჯობეთის მეცხრე ვარსში („ჯოჯ.“ XXXIV),   
 რომელიც ოთხ ვერღმეულად იყოფა, ისებიან   
 მოლაღბენი (ნათესავთა, საშობლბისა სტუ-  
 მართა და მფარველთა გამცემნი). დანტეს   
 ღალატი მიიჩნია ყველაზე უდი-

1 დანტეს „ნადიმო“ ქვემოთ ყველაგან მა-  
 თათებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით:   
 Dante Alighieri, *Maime произведения*,   
 M., 1968. ქვემოთ მოკლედ: „ოპერა შინორა“,   
 წყნის მკობრე, ლათინური სათაურის მიხედვით.

1 შტრ. რუსთაველი:   
 „კაცი ერთ და მოლაღბე ხამს ღანბრითა   
 დასაქრულად“ და   
 „ვეგობ კაცსა აუგინას, ცრუსა და ღალ-  
 ტიანას“.

ღეს და ანაშაჟულად. მაგ. მეოთხე მღვიმეში, ლიუციფერი თავის სამ ხახაში ღეშავს კაცობრიობისათვის ცნობილ სამ შთავარ შოღალატს — ქრისტეს შოღალატე იუდა ისკარიოტისა და იუდას კისრის მკვლელებს — ბრუტუსსა და კასიუსს. მეცხრე ვარსივე აქვს მოთხრობილი დანტეს შემადრწინებელი სცენა უგოლნოსი, რომელიც ზრავს არქეიპისკოპოსის რეჩერის თავის ქალას (მას დაღატი ტუფილურბრალოდ დატყამებია უგოლნოსათვის) და ჰყვება იმავე თუ რკვი ამბოხა რეჩერიმ ციხეში შიშითილი იგი შვილესითოთ.

ჯოჯხეთის მეცხრე ვარსის დატოვება დანტესა და ვერგილიუსს უხდებთ დედამიწის ორ ნახევარსფეროს შორის გახილულ ლიუციფერის ტანზე გავლით (ეს ანგელოზი დმერტოს ჯოჯხეთში ჩამოუვდია წინააღმდეგობის გაწევის გამო და დემონად გადაუქცეოა იგი). დანტე და ვერგილიუსი გამოდიან სხვა ჰემისფეროზე, ისევე ზედავენ ვარსკვლავებს და მიემართებიან განსაწმენდელისაგან („სალხინებლისაგან“). ისინი აღწევენ განსაწმენდელის მთის ძირს, სადაც იმყოფებიან სულები, რომელთაც ქრს კიდევ ვერ მოუნანიებიათ შეცოდებანი. სალხინებლის კარებს სღარავობს „ქინე მოზუეი“, ანუ კატონ ურტყელი, რომის რესპუბლიკის დამცველი (95—46 ძ. წ.) და დანტეს ურჩევს განიბანოს ჯოჯხეთის მჭვარტლისაგან ზღვის ტალღებში, თანაც გზას უჩვენებს განწმენდის მთისაგან, რომელიც სალხინებლის შესავალია. (აქვეა დანტეს მეგობარი მუსიკოსი კახელა). ორ პოეტს უახლოვდება ბომალი, რომელსაც წარსულის ბევრი მოღვაწე ხედება. ყვაობიდან ხეობაში დამის გათევის შემდეგ დანტე ხედავს, რომ წმინდან ლუჩიას იგი სალხინებლის კარებთან მიუყვანია, აქ დგას ანგელოზი ვერცხლისა და ოქროს გასაღებებით. ამოწვდილი ხმლით იგი შეადგურ აწერს დანტეს შეტზნე ასო P-ს (P=ყოფა), შვიდი ცოდვის ნიშანი, რომელიც სალხინებელის შვიდ ვარსში უნდა ჩამოიწმინდოს მან (ე. ი. შვიდი ცოდვისაგან განიკურნოს)¹. ყოველი ვარსის ვადლისას ანგელოზი წლის დანტეს შეტზნე თითო P-ს.

შვიდი ვარსის გავლის შემდეგ დანტე ადის ზევით, განსაწმენდლის (სალხინებლის) მწვერ-

ვალზე, რომელიც მიწიერ სამოთხეს წარმოადგენს. დანტე და ვერგილიუსი უხედავებიან ხეივანში, რომელიც ბრუტუსის ვაწვერვალა და წმინდა წყაროთი ირწყვება. დანტეს ზეციური ეტლით გამოცხადება თითონ ბეატრიჩეს სული (განსახიერება ღვთაებრივი სობრანია) და დანტის შეტყუებისა, რომლის დახმარებით დანტე ვაილის ცეცხლის ზღუდეს და მიწიერ სამოთხეში მოხვდება. ვერგილიუსი სტოვებს დანტეს.

მიწიერ სამოთხეში ერთი სათავიდან გამოდის ორი მდინარე ლთა და ვენერო. ცოტრი ქალწულის მატოლას (ღვთაებრივი სათოების განსახიერება) რჩევით დანტე განიბანება ჯერ ლთაში, მერმე ვენერეში. ბეატრიჩე და დანტე, გაწმენდილი შვიდი ცოდვისა და საერთოდ ყოველგვარი ბიწიერებისაგან, გამართებიან ზეციურ სამოთხის საკეცად.

ზეციური სამოთხე იმავე ბტოლომაიოსის აბტოროსოვილი სისტემის მიხედვით ათი ცისაგან ანუ სფეროსაგან შედგება. პირველი შვიდი სფერო პლანეტებისა და ისინი დედამიწის ირგვლივ არიან განლაგებულნი. ესენია (დედამიწისაგან დაშორების მიხედვით): მთავარე, მერკურე, ვენერა, მზე, მარსი, იუპიტერი და სატურნი. დანტე ამ სფეროთა შთელს პარამონას ვეზიტავს, ეს პლანეტები ნეტარ სულთა სამყოფელს წარმოადგენენ. დანტე და ბეატრიჩე ელვისებური სისწრაფით მიემართებიან ერთი სფეროდან მეორეზე. პირველ სფეროში, მთავარეზე, ისინი ზედავენ ნეტარ სულთ, რომელთაც ფიცი და ურღვევით (იერარქიზმის პრინციპი აქაც დაედოა). მეორე სფეროში, მერკურზე იმყოფებიან ნეტარნი, რომელნიც დედამიწაზე ამკვეყნიურ დიდებას ესწრაფებოდნენ (მაგ. იმპერატორი იუსტინიანე და სხვები); მესამე სფეროში, ვენერაზე, იმყოფებიან ისინი, ვინც ოდესღაც მიწიერი სიყვარულით იყვნენ შეპყრობილნი (მაგ. უნკოების მეფე კარლ მარტელი და სხვები); მეოთხე ციხე ანუ მარად ბრწყინავ მზეზე დანტე სხვათაშორის უდიდეს თეოლოგთა შორის ზედავს — სოლომონ ბრძენს, თომა აქვინელს, ნეტარი ავგუსტინეს, ხოლო აღებრტლიდას და პეტრე რომარადიელის გვერდით — დიონისე არეოპაიტელს (რაც ჩვენი თემის თეოლასტრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია) და სხვებს; მეხუთე სფეროში, მარსზე, იმათ სულებია, ვინც უფალს ემსახურებოდნენ ნარალით ხელში; მეექვსე ციხე, იუპიტრზე ნეტარნი იმპერატორები იმყოფებიან; მეშვიდე სფეროში, სატურნზე, მარადიულ ქვრებაში გადასული წმინდა ნეტარნი არიან.

შეიღწნათობთა შემდეგ იწყება მე რვე ციხე ანუ უძრავ ვარსკვლავთა სფერო. დანტე აქ ხედავს იესო ქრისტეს, განაკებულსა და მოციქულებით ვარშემობრტყულს. ღვთის ძის ნათების ქვრება დანტესთვის უმბიშესი და

1 ადამიანის შვიდი მთავარი ცოდვის ცნება მომდინარეობს ახალი აღთქმიდან. იხ. მათე, XVIII, 21: „მაშინ მოუქდა მას პეტრე და პეტრე: უფალო რაოდენ გზის შემცდოს მამამ ჩემმან, და მიუტეო მას? ეიღარ შედ გზისამდღეა?“. აგრეთვე: ლუკა, XVII, 4: „დაღათუ შედ გზის დღესა შინა შეგცოდოს და შედ გზის მოაქციოს და გრქვას შენ: შევიანებ, მიუტეე მას“. აღსანიშნავია რომ რუსთველისათვისაც კარავად ცნობილია ახალი აღთქმის ეს ცნება (შდრ. კ. ეკველიძე, ქართ. ლიტ: ისტორია, 1941, ტ. II, გვ. 201 და ამ შრომის ბოლო).

ეტიანელია ბედნიერების თვალსაზრისით. ამ  
 ეპოქაზე დანტე რწმენის საკითხებში გამოკლას აბა-  
 რებს მოკიდულ პეტრეს, ევანგელისტ იოანეს —  
 ღმერთისადმი სიყვარულში, ზოლო წმინდა ია-  
 კობს — იმედში და ა. შ. დანტე წარმოსთქვამს  
 ტირადებს რომის პაპის (ბონიფაციუს VIII)  
 დასატირებად; აქვე ისმენს იგა აღამის ნაამბობს  
 ათვის პირველ შეკრებულზე და სხვ. დანტე და  
 პეტრე იმე ვაგმართებან. მეცხრე ანუ ზოლოს  
 ცისაქენ, რომელიც პირველადი მოძრაო-  
 ბის სხვეროა, სადაც ბეატრიჩის მომხიბვ-  
 ელობა და სილამაზე უფრო და უფრო  
 აქალოვებს დანტეს. ამ ისინი ხედავენ  
 ანგელოსთა ტრიადულ სკელას (რო-  
 გორც ქვემოთ სპეციალურად აღვნიშნავთ —  
 ეს სჯლა მთლიანად დიონისე არეოპაგელის იერ-  
 არქიულ სისტემაზე დაფუძნებული). დანტე და  
 ბეატრიჩე აღწევენ შეათე, უკანასკნელ ცას ანუ  
 უფლისა და ყველა ნეტართა სამყიდრებელს —  
 თვითონ ეპირიუმს, სადაც ბეატრიჩის სილამა-  
 ზე იგავმოუწვედომელი ხდება და რომლის სიტყ-  
 ვებით გამოხატვა დანტეს არ შეუძლია. ბეატ-  
 რი სიტყვებს დანტეს და ჯდება ნეტართა წრე-  
 ში. პოეტის მრჩეველი კი ამ მომენტადან „მო-  
 ხუცი“ ანუ „ღვთისმეტყველი“, მისტიკოსი პერ-  
 ნარდ კლერვისელი ხდება (ისევე, როგორც  
 მატრიდა მიწიერ სამოთხეში). დანტე აღწევს  
 უკანასკნელ ზღვარს ყოფნისა. ბერნარდი უთი-  
 თვის მას ცათა დედოფალ ქალწულ მარიამზე,  
 რომლის ირველიც სხედან ბიბლიური ქალები  
 — სარა, რებეკა, ივლითი და რუთი; დანტე  
 ხედავს აგრეთვე ადამს, მოსე სულმდებულს,  
 შიავარ ანგელოზ ვაბრიელს, პეტრე მოციქულს,  
 იოანეს და მთელ რიგ წმინდანთ. დანტე იძირება  
 და ნისლით შებურთელ „გამოთვთქმელ“  
 ნათელის“ ანუ ღვთაების შუქის მისტიკური  
 ექსტაზით გამსჭვალულ კურატაში, რომლის  
 გამოსათქმელად პეტრის სიტყვები უძღურა  
 („სამოთხე“, XXXIII, 82-84. 121-123 და სხვ.)  
 და რაბაც (ნათელმა) ღამის არ დაბრმავა იგი.  
 დანტე, ყველაფერი მიწიერის და-  
 თმობის შემდეგ აღწევს ამ ღვთა-  
 ებრიც ნათელთან შიახლოვებას,  
 რაც მისთვის უდიდესი ნეტარე-  
 ბის მიწვევალს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ „კომედიის“ ამ ფინალურ  
 ტერცინებში ფსევდო-დიონისე არეოპაგელის  
 „თეოზისის“ (ადამიანის „ვამრთობის“, ღმერთ-  
 თან „მისგავსების“ ანუ ღვთაების ნათელთან  
 თანახმობის) იდეა, რომელიც უდიდეს  
 ბიზანტიელ თეოლოგ-მისტიკოსს განვითარებუ-  
 ლი აქვს ტრაქტატში „მისტიკური თეოლოგია“  
 („სიიღმელოდ ღმრთმეტყველებისათვის“), ვა-

თოლიე-მისტიკოსის დანტეს პოემაში პოეტურ-  
 რი ზმანების სახით არის მიღწეული. დიონისე  
 არეოპაგელის მიხედვით „...ვამრთობის მის-  
 ღმრთისა მიმართ, რაოდენ დასტეგნულ მის-  
 მსგავსება და ერთობა“ („სიყვარულითა  
 მღვდელ-მთარობისათვის“, თავი ა. 5 3.  
 „შრომები“, გვ. 158).

საერთოდ ეპირიუმში დანტე ღვთაების (სა-  
 მების) შუქის კურატით ეზიარება თვითონ  
 ღმერთს (ღვ სანეტისი წერს: «...эмширей-  
 лицезрение бога, сливние с божествен-  
 ным, где умирится желание». сб. Исто-  
 рия итальянской литературы. М., 1963,  
 т. 1, стр. 287).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გადავი-  
 ვართ იმ საკითხებზე, რომელნიც ზენი გამო-  
 კლავის უშუალო თემის შეადგენს. ამ ექსკუ-  
 რსმა ნათელი უნდა ვახდლოს დანტეს პოემის  
 დამოკიდებულება დიონისე არეოპაგელზე ბევრ  
 სხვა კონკრეტულ პასაჟებში. არც დანტეს ქმნი-  
 ლების თუნდაც ზოგადი განხილვა, არც პეტრის  
 ბიოგრაფიის საკითხები ჩვენი ნარკვევის ფარგ-  
 ლებში არ შემოღის, ასეთი მიზანი დანტეს გა-  
 მრინული სპეციალისტების ვრცელ შრომებ-

დიონისეს ზეგაელენას დანტეზე ამ კონტექსტში  
 აღნიშნავს, მაგალითად, კარლ ფოსლერაც  
 (Karl Vossler. Die Göttliche Komödie. Heidel-  
 berg 1907, I Band, I Teil. p. 39-91; „Diony-  
 sius Arcopagita“)

კ. ფოსლერს მოუყავს ციტატა დიონისე არეოპა-  
 გელის „მისტიკური თეოლოგიიდან“ ი. პეტრის  
 წიგნის მიხედვით (დიონისეს ტრაქტატს იგი არ  
 ასახელებს) იმაზე, რომ „ღმერთთ უხილავია  
 სინათლის სოხვისაგან“ და რომ ეს „ნათელი  
 დაფარული და შებურთილია“. აღნიშნული აქვს  
 ისიც, რომ „სამოთხის ნათელმოსილ რეგიონებ-  
 ში ...დანტე გამოხატვის საშუალებებს შებრძო-  
 ლებია და აღამიანის სიტყვის უძღვრებას  
 შრავალგზის გავეიბულს“ (გვ. 89). ფოსლერი  
 აღიარებს, რომ „უდავოა, რომ დანტემ დიონი-  
 სეს ბუნდოვანი და გადაჯარბებული ეგზალტირ-  
 რომა ვაწმინდა და გაასუფთავა (?) თავისი მტიკო-  
 რე რწმენისა და პლასტიკური სიკვალით და იქვე  
 დასაქნს სრულიად უსაფუძვლო, თითქო  
 „ეს აღმოსავლური მისტიკა“ დანტესთვის „ნაყ-  
 ლებად ვახდა სახელმძღვანელო“ (91). სამწუხა-  
 როდ, კ. ფოსლერის ნაშრომის ეს პატარა თავი  
 საკითხის ღრმა ცოდნით არ ბრწყინავს. შესანიშ-  
 ნავი ლინგვისტისათვის ისიც არაა ცნობილი,  
 რომ დანტე „პეგო ფონ სტ. ვიტორი“-ს კომენ-  
 ტარების მიხედვით კი არ იცნობდა დიონისე  
 არეოპაგელის თხზულებებს (გვ. 91, შენიშვნა).  
 არამედ სივანგებოდ ჰქონდა შესწავლილი ყვე-  
 ლა ტრაქტატი და ეპისტოლე ბიზანტიელი თეო-  
 ლოგისა (ფოსლერის შრომის ვაცნობა გავეიად-  
 ვილა თთარ წინორთამ, რისთვისაც მად-  
 ლობას მოვასებნებ.

1 ბიბლიიდან მომდინარე ამ იდეის შესახებ  
 ჩვენ ვწერთ ნარკვევში „რუსთაველის მხატვ-  
 რულ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ზო-  
 გიერთი საკითხი“ („ციცკარი“, 1970, № 7).

შიაც არაა ბოლომდე მიღწეული. დანტე იმდენად დიდი მასშტაბის შემოქმედია, რომ მისი განთქმული პოემის ყოველმხრივი (მისი პარადპირი და ალგორითული მხარის) წვდომა — შეიძლება აღემატებოდეს ყოველ ჩვეულებრივ ადამიანურ შესაძლებლობათა ფარგლებს.

\* \* \*

„სამოთხის“ მეათე კანტოში, რომელიც გვიხატავს დანტესა და ბეატრიჩეს ყოფნას მეოთხე ცაზე (შეზე), ისინი ხედავენ ღვთისმეტყველთა აქინელს, რომელიც პოეტს უჩვენებს და უხსნათებს იქვე მყოფ თეოლოგებსა და ბრძენთ. XII საუკუნის ღვთისმეტყველ ლომბარდიელისა და ბიბლიური სკოლონ ბრძენის შემდეგ იგი უთითებს „ს ი ნ ა თ ლ ი ს შ უ ქ ზ“, რომელშიც დანტე ღვთისე არეობაგელს გელისხმობს. აი ეს ტერცინა:

**Apresso vedi il lume di quel cero  
Che, giuso in carne, piu addentro vide  
L'angelica natura e il ministero (Parad,  
X, 115-117).**

[მის] მახლობლად შენ შეხედავ იმ სინათლის შუქს, რომელიც, დაბლა [მიწაზე] ხორც-შესხმულ, ყველაზე ღრმად ჩასწვდა ანგელოსთა ბუნებას და შათ მსახურებას.

აქვე მოგვყავს ქართული ურიტოთი თარგმანი იგივე ტერცინა:

115. „შემდგომად ამის, აღმათ, ხედავ შუქს მოგლვარეს  
„ენიცა ბუნება ანგელოსთა ზესთა-ზენური  
ყველაზე უკეთ შეიწვავდა და განგვიპარტა.<sup>1</sup>  
შდრ. რუსული რითმიანი თარგმანი.<sup>2</sup>“

115. За ним ты видишь светоча  
горенье,  
Который, во плоти, провидеть мог  
Природу ангелов и их служенье.

სათანადო კომენტარში (გვ. 645) თქმულია: **«Светоч — Дионисий Ареопагит (I в.), первый афинский епископ, которому в средние века приписывалось сочинение «О небесной иерархии»».**

კომენტარი სრული არაა.

დანტეს ყველა სერაობული კომენტატორის (მაგ. XIX ს-ში — ბიანკო, სკარტაცინი და სხვ.) მიხედვით მოტანილ ტერცინაში იგულისხმება ფსევდო-ღვთისე არეობაკელი, ავტორი ბერძნულად დაწერილი განთქმული თეოლოგიური

ტრაქტატებისა და ეპისტოლეებისა. კომპლიის<sup>3</sup> სხვა ადგილას ეს დღევანდელი პარადპირია დასახელებული (მაგ. ქვემოთ). საერთოდ ვმსჯობს რაიმე დავა არ გამოუწვევია. დანტეს კობად აუთენიკია ცნობილი ღვთისმეტყველისა და მისტიკოსის მოძღვრება „ანგელოსთა ბუნების“ შესახებ, რაც ღვთისეს ჩამოყალიბებული აქვს ბერძნულად დაწერილ ტრაქტატში „ზეციური იერარქიის შესახებ“, რომლის ლათინური სათაურია **«De caelesti hierarchia»** (ეფრემ მცირის თარგმანით „ზეცათა მღვდელთმთავრობისათვის“). კონკრეტულად ამას ცხადყოფს დანტეს ზიანება ანგელოსებისა, ვადმოცემული „სამოთხის“ IX, XXVIII და XXIX კანტოთა ტერცინებში, რომელთაც ჩვენი თემის მიხედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ.

IX სიმღერაში დანტე იმყოფება მესამე ცაზე, ვენერაზე. აქედან ხედავს, რომ ღმრთის სამკვიდრებელიდან ანუ ემპირიადან (ემპირიუმ) ღვთაება უნათებს მას „ს ა რ კ ე თ ა“ ანუ ანგელოსთა (ეგრძელ „ს ა ე დ ა რ თ ა“) საშუალებით:

1. ესენია (მოგვიყავს მხოლოდ თანამედროვე ქართული, ეფრემ მცირისეული ძველი ქართული და ლათინური სახელწოდებანი):

1 „ღვთაებრივი სახელების შესახებ“, საღმრთოთა სახელთათვის“. (**«De divinis nominibus»**).

2 „ზეციური იერარქიის შესახებ“. „ზეცათა მღვდელთმთავრობისათვის“, **«De caelesti hierarchia»**.

3 „საეკლესიო იერარქიის შესახებ“, „საეკლესიოსისა მღვდელთმთავრობისათვის“, **«De ecclesiastica hierarchia»**.

4. „მისტიკური თეოლოგიის შესახებ“, „სათედროლ ღმრთის-მეტყველებისათვის“ **«De mystica theologia»**. ეპისტოლეები: 1, 2, 3 და IV — გაოზ ბერს, 5-ე — დორეთეს მსახურს, VI — წინდა სობატრეს, VI-ე პოლიკარზე ეპისკოპოსს, VIII — დემოფილე ბერს, IX — ეპისკოპოს ტიტეს, X — იოანე თეოლოგს (იხ. პეტრე იბერიელი. ფსევდო-ღვთისე არეობაკელი. შ რ თ მ ე ბ ი. გამოცემა და გამოკვლევა დანტის ს. ენქაშვილმა. თბ., 1961, გვ. 10159. ქვემოთ ყველგან მოკლედ: „შრომები“). ფსევდო-ღვთისე არეობაკელის მისტაგური თეოლოგია დახასიათება იხ. ჩვენი ნარკვევი<sup>4</sup>, რუსთაველის მხატვრულ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ზოგიერთი საფიქსიო<sup>5</sup> („ესიკარი“, 1970, № 7).

ფსევდო-ღვთისე არეობაკელის ბერძნულად დაწერილი ნაწერების ხელმისაწვდომი გამოცემა, პარალელური ლათინური თარგმანებით, იხ. შ ი ნ ი ს „პარტოლოგია ვრეკამი“ (ტ. II, მკვსიმე ჯონფსონის კომენტარები იხ. იმავე გამოცემის ტ. IV).

<sup>1</sup> დანტე ალაკიერი. ღვთაებრივი კომედია. კ. გამსახურდიას და კ. ჭიქინაძის თარგმანი. თბ., 1941.

<sup>2</sup> Данте. Божественная комедия. Пер. М. Лозинского, 1967. (არსებობს რამდენიმე გამოცემა). ვებრლები ნარკვევებია იხ. გამოცემის მიხედვით.

**Su sono specchi (voi dicete Troni)  
Onde refulge a noi Dio giudicante.  
Si che questi parlar ne pajon buoni  
(Parad., IX, 61-63).**

[მალა ემირებაში არიან სარკენი (თქვენ მათ უწოდებთ სარკენი), საიდანაც ჩვენ გვინათებს მსაჯული ღმერთი; ასე რომ ჩემი სიტყვები სარწმუნონი ხდებათ მისით (=მის მიერ).]

შტრ. ქართული ურთომო თარგმანი:

61. „უფლის ვარშემო დაღმწელია სარკენი ღიღნი  
„სადაც მრისხანე სახე მისი საცნურ ხდება,  
„მე მახედნივებს განცხადებას აქ  
ნუხბარის“.

„საუღარნი“ აქ გამოტოვებულა.  
რუსული რითმინანი:

**61. Вверху есть зеркала (для вас—  
Престолы),  
Откуда блещет нам судящий бог:  
И эти наши истинны глаголы».**

სარკეებზე. როგორც ღვთაების შექმის ამრეკლავ ანგელოსებზე დანტე ლაბარაკობს „სამოთხის“ XXIX სიმღერაში:

**Vedi l'eccelso omai e la larghezza  
De, heterno valor, poscia che tanti  
Speculi fatti s'ha, in che si spezza.  
Uno momendo in sé, come davanti  
(Parad. XXIX, 142-145).**

[იხილე სიღიაღე და სიუხვე მარადიულო ძალმორტყმულებისა, მისი, ვინც შექმნა აზღნი სარკენი, რომლებშიაც [არეკილი] იმსხურევა, მაგრამ მაინც რჩება ისე, ვით უწინა]. ქართული ურთომო ტერცინა:

142. „აჲ შეიციანი ძლიერება მისი მარადი,  
„ვისაც წინ უღვას უსოდენნი ერცელნი  
სარკენი  
„სადაც მრავალგზის შექმის მისის სხანს  
ათინათი.

145. „თუმც თავით იგი რჩება მარად  
ვანუყოფელი

შტრ. რუსული თარგმანი:

142. Суди же, коль пространно вознесен  
Предвечный, если столько зеркал  
Себе он создал, где дробится он.  
145. Единый сам в себе, как изначала.

„სარკენი“ საერთო სახელწოდებაა ანგელოსებისა, მათ შორის ზვიის პირველი ტრიონის ბოლო დასის „საუღარებიანი“ (Troni, Престолы), რომელნიც უშუალოდ ღმერთთან იღებენ შექმს და მას ვიდასცემენ უფრო ქვემო, მეორე ტრიონის ანგელოსებს, ხოლო ეს უკანასკნელნი სულ ბოლო, შესამე ტრიონის ანგელოსებს, რომელნიც მას (შექმ) ჰქონენ მთლიანად სამყაროს, ამასთან საუღარნი, იგივე ანგელოსნი, ტენერას ცის მამობრავებელი წმინდა სუბსტანციები („ინტელექტები“) არიან.

„სარკეების“ განმარტებას არაერთგზის გვხვდებით ღიონისე არეოპაგელთან, ვერძოდ ტრაქტატი „ზეციური იერარქიის შესახებ“ (De caelesti hierarchia). ვეტრე მცირის თარგმანში ერთ-ერთი განმარტება ასეთია:


„... და საღმრთოაა მისი შეენიერებისა მიმართ მიუღრგველად უკვე ხედავს (ანგელოსთა იერარქია, ა. გ.), ხოლო რაოდენ უძლავს, ეგოდონ ხოლო დაისახვის და თვისა მას მწუხობრსა ღმრთის მგალობელთასა ქანდაკებად საღმრთოდ, სრულ ჰყოფს სარკედ საწადელ სახილველად და შეუშწინებულად შემწუნარებულად მარაგანდღვსა ნათელთ-დასაბამისა ღმერთ-მთავრობისასა (ე. ი. იერარქიისა, ა. გ.) და მისგან ვიმოქროთელიარეთა მათგან ბრწყინებულათა თვთა სიწმინდით აღმომცხებულად და კვლად მასვე შემდგომთაცა მათთა მიმართ მსგავსად ღმერთ-მთავრობითთა შუქლის-ღვბათა უშუტრელობით გამოამბრწყინებულად“ (იხ. „ზეცათა მღვდელ-მთავრობისათჳს“, თავი ვთუ რაა არს მღვდელ-მთავრობაჲ ანუ რაა არს სასუედელო მღვდელ-მთავრობისაჲ“. „შრომები“, გვ. 110-111).

თანამედროვე მეთიხელისათვის რომ უფრო ნათელი გახდეს მოტანილი ადგილის შინაარსი, აქვე მოვტარებო რუსულ თარგმანს:

«...и постоянно взирая на Божественную его красоту, она по возможности отпечатлевает в себе образ Его, и своих причастников творит Божественными подобиями, являющими и чистейшими зеркалами, приемлющими в себя лучи первоначального и Богоначального света так, что, исполняясь священным сиянием, им сообщаемым, они сами наконец, сообразно с Божественным установлением, обильно сообщают оное низшим себя». (Святого Дионисия Ареопагита О небесной иерархии, пер. с греческого, М., 1843, стр. 15, глава III. Что есть Иерархия и какая цель Иерархии? § 2, стр. 15).

ანგელოსებზე, როგორც ღმრთის სარკეებზე, ღიონისე წერს აგრეთვე ტრაქტატი „საღმრთოთა სახელთათჳს“ („De divinis nominibus“). აი ერთი პასაჟი:

„ვინაჲცა ხატი ღმრთისაჲ არს ანგელოზი, ვიმომცხადებელი უხილვისა მის ნათლისაჲ, სარკედ სრული ბრწყინვალე. შეუმორღვეველი, უბრწყნელი, უბორო და, ჭერ-არს თუ თქმემად, მიმოთვალვით ყოველსავე მის მშენიერებისა სახიერების სამისა და ღმრთისა სახისაჲ, რომელსა შეუტრეველად გამოამბრწყინებებს თავსა შორის თვისა (ერთარ-რამე იგი არსს სახიერებთა) შეუვალთა შინა ღმრთისათა“ („საღმრთოთა სახელთათჳს“, თავი დ., § 22: „შრომები“, გვ. 50).  
შტრ. რუსული თარგმანი:



«Таким образом ангел — это икона Бога, являющая неяркий свет, чистое зеркало, прозрачайшее, нетронутое, незапятнанное, безупречное, воспринимающее, если позволено так выразиться, всю совершенную красоту благовидной богообразности, и, поскольку это возможно, в самом себе причисто возносящее благодать неприступного безмолвия» (იხ. პსედო — Дионисий Ареопагит. О божественных именах. Перевод Игумена Геннадия (Эйхаловича). Буенос Айрес. 1957, гл. I, § 1, стр. 65).

მასწავლებელმა დაიწყო მოძღვრებით, ანგელოზები ანუ „ღმრთის ხატები“, როგორც სარკენი, არეკლავს ღვთაების შუქს. თვითონ დანტე თავის IX წერილში კარდინალებისადმი ლაპარაკობს ანგელოზებზე, როგორც სარკეებზე და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ზეციურ არსთა ამგვარი ბუნების გაგების მხრივ იგი დიონისე არეოპაგელზე და მოკიდებულია:

«...низшие воспринимают свет как бы от солнца и, подобно зеркалу, отражают свыше лучи на тех, что ниже их. Об этом, сдается, ясно говорит Дионисий<sup>28</sup>, когда рассуждает о небесной иерархии» („ოპერა მინორა“, 391).

ამ ადგილის გამო რუსული გამოცემის კომენტარში (№ 28) აღნიშნულია:

«Дионисий — Псевдо-Дионисий Ареопагит, неоплатонистический писатель, по всей вероятности ученик Прокла (V в.), автор сочинении «О небесных именах» (?) и «О небесной иерархии». Имел большое влияние на мысль средневековья, а также и Возрождения. Данте цитирует его несколько раз, в том числе в «Рае» (X, 115)» („ოპერა მინორა“ 633)<sup>1</sup>.

კომენტარში შევდგომა დამატებულია: დიონისე „ზეციურ იერარქიაში“ ანგელოზთა პირველ ტრიადას ამოლოვებენ, ამ ტრიადაში მესამე ადგილი უჭირავთ (იხ. „ზეცათა მღვდელთ-მოთაერთობისათჳს“, თავი გ, „სერაფიმთათჳს და ქერობინთა და საყდართა და პირველისათჳს მათისა მღვდელთ-მოთაერთობისათჳს, „პრომები“ გვ. 118; შტრ. რუსულ თარგმანში:

«О небесной иерархии», глава VII. «О Серафимах, Херувимах и Престолах и о первой их иерархии» (стр. 25). დანტესთან საყდართა უწოდება Troni (იხ. ზემოთ ტერცინა IX, 61). სწორედ ეს საყდართი პირველი ტრიადის სტვა ანგელოზებთან ერთად პირველად არეკლავს ღმრთისაგან მომდინარე ნათელს.

აღსანიშნავია, რომ პირველ მოციქულთაზე საყდართი პირველად მოხსენებული დანტენ ანგელოზებს შორის:

თავისთავად, ასეთი ციკლური კომპოზიკია მეტად ნოვატორულია. მაგრამ მთელი რაკლის ნოვატორული გამსკვალელობა, უპირველეს ყოვლისა, მის ღრმა მხატვრულ ხილეთთან და შინაარსობრივ კონცეფციოში მდგომარეობს. რუსთველის მთელი მონოლოგი გააზრებელია არა მარტო დღევანდელიდან დანახული ისტორიის, თანამედროვეობასთან მისი მოახლოების ასპექტით, არამედ, უმთავრესად, როგორც მორეულ წარსულში განცდილი უსაზღვრო წუხილიც მომავლისათვის. ეს აერთებს ციკლის გვირის პიროვნულ თუ საზოგადოებრივ განცდებერთ მთლიან დაღდისად. ამიტომ ძვრის ასე აქტუალურად მისი ყოველი „ხმა“ — მონოლოგი. ავილოთ ერთი მათგანი — „ხმა კატაშონთან“

„ხმა“ პირველ ორ სტროფში მოცემულია პიროვნების ყველაზე მეტად მახლობელი, მისი სულის ყველაზე უკეთ გამოხატველი ფენოქმენის — ეროვნული ენის მნიშვნელობისა და მასთან განუყოფლობის იდეის ეგზალტირებულ აღქმა. შემდგომ ზღვება ენის უცვდავების ურყველ რწმენის გაცხადება, რადგან იგი წარმოსახული ყოველზე ადამიანების შეცნობის, ყოველზე ეროვნულის გამოვლენების უპირველეს საშუალებადაც და იმ სასწაულადაც, ერის არსებობას რომ განაპირობებს:

დაეცეს, იქნებ, სიმაგოე ყველა,  
მიოსრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,  
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,  
დააკედეს აზრი ნაპოვნის პოვნას,  
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატუდეს მები,  
ყოველ მეგლს, იქნებ, დაეღას ფეხი,  
მხოლოდ შენ, უქმნობს.

შენ, ხატად ქცეულს,  
ჩა დრო, ჩა დასცემს  
შენს უკვდავ სხეულს?  
.....  
შენ ერთს,

შენ ვერ ვთმობ  
სამარის პირთან.

ამგვარად არის აქ შემცნელებული ენის იდეალი როგორც ცალკეული ეროვნული ეროვნულის — პიროვნების, ასევე მთლიანი ეროვნული ორგანიზმის — ხალხის არსებობისათვის.

ენაზე ბევრი რამ შექმნილა კლასიკურ თუ თანამედროვე ლირიკაში. მაგრამ ამ უკვდავმა თემამ სრულებით ნოვატორული გააზრება და გადწყვეტა პოეია ირაკლი აბაშიძის პალესტინერ ციკლში. ეს არის რუსთველის ფიქრებისა და გრძნობების ერთგვარად ლოვეურ-ანდერძ-

ლი იმგვარი ნიუანსით გაეცხადება, რომ ისინი ახლებურ ინტერპრეტაციას იღებენ თანამედროვეობის აქტუალური ეროვნული პრობლემების შექმნა. სწორედ „პალესტინა, პალესტინაში“ ელინდება მკვეთრად დაფიქრება-გაანზრების. ინტელექტუალები სიღრმის ძიების ტენდენციას, რომელზეც ლაპარაკი იყო ზევით. და საინტერესო ის არის, რომ ამ მხრივ შემდგომ განვითარებას იღებს თვით რუსთველური ტრადიცია მოვლენების დრამა ფილოსოფიური გაანზრებისა. ასეთად არის აქ წარმოდგენილი პოეტური რკალის გმირი თავის ვარდისაგვან თუ ადამიანურ თავისუფლებაზე, რწმენისა და მიზნის არსზე თუ განაწამებ სამშობლოს ბედზე, ტრავმულ სიყვარულზე თუ თამარის სიდიადეზე, ამოებებასა თუ უკვდავებაზე დაფიქრებელი.

სინტერესოა შემდგომც: რა კუთხესა და ასპექტსაც არ უნდა შეიცავდეს და კუთვნილებას კატეგორიითა როგორი ძიებაც არ უნდა იყოს ეს დაფიქრება, იგი მიიწვ ერთ მთავარ ფოკუსშია გაერთიანებული — ეს არის შფოთვა და მოუხვეწრობა სამშობლოს ბედზე, მის მომავალზე:

მხოლოდ მას მარადს  
 ღმერთს ევედრებ  
 სამარის ვარად  
 ჩვენს მართალ მამულს,  
 მის კლდეთა დგმას,  
 მის წყალთა ღენას;

ეს ლოცვა ჩემი  
 ათას წლებში  
 ფარვიდეს ფარად  
 მის უკვდავ მთა-ბარს,  
 უკვდავ შაქსს,  
 მის უკვდავ ენას.

აქაც ნოვატორულად არის მოახლოებული რუსთველი ჩვენს თანამედროვეობასთან.

ა. ანაზისის ციკლი, ისევე როგორც ბევრი თანამედროვე კართველი პოეტის ლირიკაში, მოახლოება სიღრმისა და სიკმაღლის სინთეზი რაც სხვა კომპონენტებთან მთლიანობაში, მათი ნოვატორული ხასიათის ერთ-ერთი გამაჩირობებელი თვისებაა.

ყოველი დრო, ყოველი ახალი ეპოქა აყენებს თავის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები მხატვრული აზროვნების უფლა ვანრში პოულობის გამოხატულებას როგორც შინაარსის, ასევე ფორმის მხრივაც. ამ საგანზე არსებულ ცალმხრივ მოსაზრებებს, როცა ნოვატორობა ან ტრადიცია ვანხილულია ერთ შემთხვევაში მხოლოდ შინაარსის, ხოლო მეორე შემთხვევაში მხოლოდ ფორმის კუთვნილება-თავისებურებად, გადაჭრითი უკუაღმებს ლიტერატურის, პოეზიის მიელი

უღიდეგი ისტორიული გამოცდილება, მისი განვითარების საერთო ტენდენციები.

ყოველი ახალი პროგრესული მხატვრული აზროვნებისა უნდა ვეისმოდეს, როგორც კაცობრიობის ინტელექტუალური განვითარების ახალი საფეხური და არა ამ განვითარების დსაწყისი. სავსებით ბუნებრივად ასეა ეს მხატვრული ფორმის დარგშიც. ზომა, რიტმი, სახე ლირიკაში — ყოველივე ეს მისი მხატვრული ფორმის ელემენტებია. და ლირიკის შესაძლებლობანი მავსინალურად ვლინდება იმ შემთხვევაში, როცა ამ ელემენტთა შეთანწყობით მიღწეულია სიტყვითა და სახით კუთვნილი სულიერი მდგომარეობის ხილვა, როგორც ახალი ესთეტიკურ-ფსიქოლოგიური აღმოჩენა.

ახალი ფორმა, უმთავრესად, ახალი შინაარსობრივად მოთხოვნების შედეგია. ახალი ფორმის ძიება ობიექტურად ჭერ კიდევ ახალი შინაარსის ძიებიდანვე იწყება, თუმცა, როგორც წესი, მისი მატერიალზაცია — ობიექტურ სინამდვილედ ქება — უფრო მოკვიანებით ხორციელდება.

ლ. ტოლსტოი ხანგამით მიუთითებდა ახალი ფორმის ძიების აუცილებლობაზე ყველა დიდი შემოქმედებისათვის: „...ფიქრობ, ყველა დიდი მხატვრმა უნდა შექმნას საკუთარი ფორმა. მხატვრულ ნაწარმოებთა შინაარსი ზომ დაუსრულებლად სხვადასხვაგვარია; ასეთივე უნდა იყოს მათი ფორმაც“.

აზრი ლირიკულ ლექსში ის საწყისია, რომელსაც ერთგვარი დომინანტობა ეკუთვნის. ისიც მართებულად არის აღნიშნული, რომ ფორმა უნდა უზრუნველყოფდეს აზრის რაც შეიძლება შესრულით გასახსნი. მაგრამ ეს ღებულება არ ნიშნავს ფორმის რაღაც დაქვემდებარების ფუნქციურ არსს. შინაარსი — ეს ხომ ამეტყველებული და გამსკვალელი ფორმა!

თავისთავად ცხადია, როცა ვლაპარაკობთ ახალი მოვლენების აბსტრუქტურ შეცნობაზე ლიტერატურის მიერ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ეპოქის ახალი მხატვრული აზროვნება, მისი ნოვატორობა როგორც მოვლენათა და ფაქტთა შერჩევის, მათი იდეური გაანზრების, ასევე მხატვრული ათვისების ახალ საშუალებათა გამოინახვის ერთობლად პროცესის სფეროში.

ყველაფერი, რასაც წედება შემოქმედის გონება და თვლი — ყველა მოვლენა, ფაქტი, მთელი ობიექტური სინამდვილე, ჩვენს ვარშეში არსებული საწყარო, თუ ჩვენი შინაგანი სულიერი ცხოვრება, მისი რთული და მერად ინდივიდუალური განცდებით — ყოველივე ეს მოითხოვს სათითო-ემოციურსა და აქტიურ-შემეცნობით პოეტურ წედობას, რომლის დროსაც პოეტური აზრი აღწევს როგორც ჭერ შეცნობლის თუ ქვეყნიობების აღმოჩენა-გამოყარვებსა, ასევე უკვე შეცნობილის ახალ თვისებათა და ნიუანსთა აღქმას.

თავის ამ უღიდეგს მისიას მით უფრო უკეთ

ასრულებს პოეტი, რაც უკეთეს ფორმას მონახავს ადამიანის სულის მდგომარეობის საკეთილეს ახალ აღმოჩენათა გამოსახატავად.

ამიტომ უოველი ახალი, საერთო ნოვატორული ტენდენციის, მთელი მიმართულების შიგნით, უკვე ცალკეულ მხატვართა შემოქმედების სახით, განუწყვეტლივ გრძელდება ახლის ძიების, ნოვატორული მიგნებებისა და გამოვლენათა მართალია, საერთო პრინციპზე დამყარებული, მაგრამ მაინც ინდივიდუალური პროცესი. იგი უდიდესი პოეტურ-ექსპერიმენტული ძიებაა და მას ექვემდებარება ლექსის ყველა კომპონენტი, მისი რიტმული ელემენტობა თუ რითმული გაწყობა, შინაგანი ექსპერამენტული დამუშავება თუ მუსიკალური ინსტრუმენტაცია.

მაგრამ, ისევე და ისევე, მთელ ამ მრავალმხრივსა და პოეტური შიდაწივის მეტად რთულ პროცესს განაპირობებს არა თეოთეზიანი, არამედ აზრის, შინაარსის პოეტური გამოხატვის უკეთესი ფორმის ძიების აუცილებლობა.

გავიხსენოთ ალექსანდრე ბლუკის შესანიშნავი აზრი: „პოეტი პარამონის ძეა და მას განუთვნილო აქვს რომელიღაც როლი მსოფლიო კულტურაში, სამი საქმე ევალება მას: პირველი — გაათავისუფლოს ბევრები მათი მოუწყვრავებელი სტიქიისაგან; მეორე — პარამონიულად შეაწყოს ეს ბევრები, ფორმა მისცეს მათ; მესამე — გარე სამყაროში შეიტანოს ეს პარამონია“.

და ამ ერთხელ კიდევ უნდა დავებრუნდეთ შინაარსისა და ფორმის ერთიანობის საკითხს თუნდაც იმიტომ, რომ თანამედროვე ინტელექტუალური ტენდენციის ყოვლად გაგებამ საფუძველი მისცა ამ ორი ურთიერთგანამპირობებელი ელემენტის — სუბსტანციისა და ფორმის არა მარტო დაპირისპირების, გათიშვის (ეს აღარც ხომ ელიზდებოდა), არამედ მათი გაიგივების, გაუსახურების თეორიას. თუ ზოგიერთთა სიუბილენტი პოეზიის შინაარსი ანუ ადამიანთა აზრები და გრძნობები, ბუნების მოვლენები და ა. შ. უცვლელი მოვლენაა, მუდმივი კატეგორიაა და ცვლილება განიცდის მხოლოდ ფორმა — ენობრივი საშუალებები, მეტრი, რიტმი, კომპოზიციები და ა. შ.“ და მხოლოდ ამით განსხვავდებიან პოეტები ერთმანეთისაგან (ჯორჯ სტენმანოვი). სხვებს მიაჩნიათ, რომ ფორმა და შინაარსი იდენტური მოვლენებია (ბრედლი).

მაშასადამე, ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს შინაარსის სრულ უგულვებელყოფასთან ნოვატორისათვის, ხოლო მეორე შემთხვევაში ფორმისა და შინაარსის ფუნქციების აღრეცხვასთან, ურთიერთ გატყვევასთან, მათი შინაგანი თავისებურებების უგულვებელყოფასთან, ერთიანობისა და იგივეობის ცნებათა არა შემთხვევითს გაიგივებასთან.

როდესაც თვითნაღრმავების, ქვეცნობიერის ძიებისა და ამოცნობის ტენდენციის გამაზივებლად ელპარაკობთ, ეს იმას ნიშნავს, რომ პო-

ეტის მიერ შექმნილი სახე — ლირიკული ბუნება იგი თუ ეპიკური — მოითხოვს ტრადიციულ ბურ შინაარსობრივ გამსუბუქლებს — რიტმისა და რითმის, ტრაბის, ზომის და ა. შ. — თავისებურ, ორიგინალურ გამოყენებასა და ამტყვევებას. სხვა საქმეა, რა ზომით გამოვლინდება ესა თუ ის მხარე ყველა ამ კომპონენტთა შეხამებაში, მაგრამ ამა თუ იმ ზომით გამოვლენილი სიხლის ელემენტები აუცილებლად შეიძლება დაიმუხროს ნოვატორული მოვლენის უოველ შემთხვევაში.

ნოვატორობა მრავალმხრივად, მრავალი სხვადასხვა ასპექტით ვლინდება. ლიტერატურაში, ხელოვნებაში იგი გამოვლინდება ხოლმე ახალი საზოგადოებრივი იდეებთან, ახალი ესთეტიკური მორალის, ისტორიული თუ თანამედროვე მოვლენების ახალი კუთხით ხილვის, ახალი არქიტექტონიკისა და სიუჟეტური გაზარების, მხატვრულ-პოეტური ფორმების განახლება-შეცვლის, თავისებურ-ორიგინალური ენობრივი-სტრუქტურის სახით და ა. შ.

მაგრამ პოეზიის, მთელი ლიტერატურის ისტორია აღსატურებს, რომ უოველივე ეს თითქმის არც ერთ მნიშვნელოვან შემოქმედებითს მეთოდში სრულყოფით არ გამოვლინდა ერთდროულად. ახალი ლიტერატურული სკოლები და მათი მამამთავრები (მნიშვნელოვანად თვით დეკადენტურ-ფორმალისტური სკოლებიც კი!) ბევრ რამეში ენათესავებოდნენ ძველ ტრადიციებს, ხოლო სხორ შემთხვევაში მზამხარეულად იღებდნენ ყვეც ისტორიულად შემოწვევებულ ნორმებს, ყველაზე მეტად ეს მხატვრული ფორმის დარგში იგრძნობა. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი უდიდესი ნოვატორი პოეტის შემოქმედება, როგორც მიაკოვსკი იყო.

ბევრი თქმულია და დაწერილია მისი პოეზიის ახალ, რევოლუციურ შინაარსზე, მის ახალ ესთეტიკურ იდეალებზე. მისი ლექსის ახალ ფორმაცზე, მაგრამ მიაკოვსკის შემოქმედებაში მრავალი რამ იყო ტრადიციული. ამ შემოქმედების ძალა მისი არა მხოლოდ ნოვატორული ხასიათი, არამედ არსებული პოეზიის, უპირატესად კირსული კლასიკური პოეზიის მდიდარი ტრადიციების გამოყენებაც. უკანასკნელი წლების სპეკულაციური-სპეკულაციურობაში, ჩვენი აზრით, მართებულად იყო მითითებული, რომ ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედებაში ვამჩნევთ როგორც მნიშვნელოვანობის კავშირს XVIII საუკუნის ოდურ პოეზიასთან, ასევე ნეკრასოვის უღვივლებული პაოლისსაც, სატირის ელემენტების შერწყმასაც ლირიზმთან, „ისკრული“ კალამბურულ რითმსაც და ა. შ. (ნ. სტეპანოვი).

პოეტური ფორმის დარგში ნოვატორობისა და ტრადიციების ურთიერთობის, ნოვატორული მისის, კერძოდ ქართულ კლასიკურ პოეზიას-

თან საყუთარი პოეტური ფორმის დამოკიდებულების წინგებულ გაზრებას გვაძლევს გალაკტიონ ტაბიძე თავის მოკლე ჩანაწერებში:

„1. რისთვისაა, რომ ბარათაშვილის (ისე როგორც ვრ. თაბლაღის) რითმები არ მისდევნენ რუსთაველის ხასს — ნამდვილ რითმას ქართულა შეხედვებით, შეუღარებელი მუსიკალური რითმებით?“

2. ხომ არ არის აქ ერთგვარი გველენა ანტონ კათალკოვის „პოეტისა“?

3. ხომ არ იკვლისხმება ის ვარგზობება, რომ ბესკვა მტრისმეტად ვაჩხატა რითმა, ისე როგორც ალ. კვიციანი. შეიძლება აქ რითმამ დაქარაჯა რუსთაველის სიმბავილე და მომამბერებელი ვახდა?

4. ერთი სიტყვით, ჩვენ ფაქტთან გვაქვს სექსე. ბარათაშვილის მიერ უარყოფილია რითმის ისე გაგება, როგორც ესმოდა რუსთაველს. ბარათაშვილი ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ შინაგან რიტმს.

აქ ბარათაშვილი შორდება საესებით რუსთაველს. ორი მერანია: მერანი ავთანდილას. მე-რანი ბარათაშვილის. ისინი სხვადასხვაანი არიან. საჭირო იყო მათა შეერთება.

5. და ეს მოვხვებრ მე. ჩემი მერანი შეთავსებაა ამ ორი სხვადასხვაობის: რუსთაველის რითმის დაცვა, ბარათაშვილის რიტმის გამოყენება, აზრის გაღრმავება, აი — „ღურჯა ცხენები“.

ფორმის სფეროშიც ნამდვილი ნოვატორობა იმით არის ნიშნულეც და თვალაწინაო მოვლენაც, რომ იგი თანდათან მკვიდრდება და მომავლისათვის გამოსაყენებელი ტრადიციულის ფუნქციას იძენს.

ამდე დროს, ფორმის გატრადიციულებას საკმოდ დიდი დრო სჭირდება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ახალი ფორმის ან ფორმის ახლებური ელემენტების კანონიერი დამკვიდრება და ახა მიზნაძველობითი პარალელიზება (როგორც ცნობილია, ასეთი მიზნაძველება სწრაფად გამოუჩნდება ვალაკტიონ ტაბიძესაც და ევალდამერ მთავაძესაც). ეს არის სტილის ნოვატორობა. მისი ძიება თქმვა განუწყველია იფიქრ-თემატიკური ძიებისაგან, მაგრამ იგი მაინც ვაცილებით რთული და ხანგრძლივი პროცესია.

ვერც ერთი ნამდვილი შემოქმედი გვერდს ვერ აუღლია ვერსიაფიციის ტრადიციულ-ფორმებს თუნდაც მარტო იმ მიზეზის გამო, რომ ეს, უბრალოდ რომ ვთქვათ, შეუძლებელია. მაგრამ დიდი პოეტა, ყოველი კემწარჩიტი შემოქმედი იმითაც გამოირჩევა ხოლმე, რომ ტრადიციულ ფორმაში მას შეაქვს თავისი წვლილი და ეს წვლილი ხშირად გამოხატულია ან მხოლოდ ახალი პოეტური ნიუანსირებითა, არამედ მთელი პოეტური სისტემითაც. ლექსში, პოეზიის ნიმუშებში ბუნებრივად ვლინდება ახ-

ალი მასალაც და ახალი ფორმაც, ძველი მასალა და ძველი ფორმაც. მაგრამ ეს ყველაფერი ერთნაირად მოწინაველობა ძველს, ახლებით უკვე რომელიმე ტრადიციის ასევე უბრალო განმეორება. ყოველ ნამდვილ ნიჭიერად დაწერილ ნაწარმოებში თვალაწინაო მისი ახალი შინაგანი თვისება თუ გარეგნული საშოსელი. ყოველი მნიშვნელოვანი პოეტური ნაწარმოები ვადავიშლის ახალ სამყაროს. მაგრამ ეს სამყარო არ შეიძლება ახსოვდებოდეს ახალი, მანამდე არსებულისაგან სრულებით იზოლირებული იყოს. უპირველეს ყოვლისა, საქმე გვაქვს ახლებური ხილვის ფაქტთან, ვთქვათ, ცხოვრების პროცესის ახალ გააზრებასთან. სწორედ ასეთი ახლებური ხილვა წარმოადგენს მწერლის შემოქმედების ხასიათის გამაბირობებელ ფაქტორს და წარმართავს მის რიტატიონას, ფორმის ახალი ელემენტების ძიებას.

ამ ეწყნის ერთმანეთს პოეტის შემოქმედებაში ეპოქის სიხლის ხილვა და მისი განხატოვნების ფორმის ახალი ელემენტების ძიება-გამოკვლევა.

ორიგინალობა და ნოვატორობა, ნოვატორობის ორიგინალობა თანამედროვე ლირიკაში მრავალგვარად ვლინდება. მაგრამ, მისი პრაქტიკული ხორცშესხმა პოეტური ენის სტრუქტურათა ორიგინალური ორგანიზაციით ხორციელდება.

ჩვენ ხომ უკვე აღვნიშნავდით, რომ ერთ ლირიკოს პოეტს მეორისაგან შეიძლება განასხვავებდეს, გამოარჩევედეს თემებიც და მოტივებიც, საზოგადოებრივი ყოფისა და ამ საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობის გააზრების ასპექტიც, პიროვნების შინაგანი განცდების, მოვლენებისა და ფაქტებზე მისი რეაგირების თავისებური პოეტური ხილვაც. ესე იგი, რეალურ სამყაროსთან პრაქტიკულ მიმართებაში გამოხატული მთელი მისი ესთეტიკური მარწამსი, იდეალა. ეს აქცილებულია ნოვატორობისათვის, მაგრამ ნოვატორობა არანაკლებ ცხოველყოფელ გამოკვლენას პოელობს ვერსიაფიკატორული პრინციპების დარღვევს, პოეტური სტრუქტურის განვითარება-დახვეწის თვალსაზრისით. და სწორედ აქ ველავნდება შემოქმედის უნარი, გამოკვლევის ენის სტიქიის ახალი შესაძლებლობანი.

„პოეტა — ეს, უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული ადლის მქონე, დიდი შინაგანი ვამსკვალებლობის, ფართო მსოფლგაგების ადამიანი, თავისი მაღალი კულტურული დონითა და ნიჭიერებით, იგი ცდილობს თავისი განწყობილებები ვადასდოს მის ირგველ მყოფ ადამიანებს და ამისათვის იყენებს ენის მთელ შესაძლებელ და ფერწერითის ძალას“ (ა. ლენინარსკი).

როგორი მრავალმხრივობითაც არ უნდა ვა-

მოიყენოს ენის მთელი ლექსიკური სიმდიდრე ამა თუ იმ გენიოსმა პოეტმა, იგი მაინც ამოუწერადი წყაროა. მისი ეს ამოუწერადი ხასიათი ახალი ძალით იწყებს გამოვლენას უოველი ახალი პოეტური ტალანტის გამოჩენისას. ზოლო ყოველ ასეთ ახალ გამოვლენაში იგრძნობა სიტყვის მრავალმხანური, მრავალმნიშვნელობითი ძალის ძიება და აღმოჩენა. ამგვარად, ენა ყოველი ნიჭიერი შემოქმედისათვის პოეტური აზრის ახლებური ფორმირებისა და ორიგინალურ მხატვრულ სახეთა ძერწვის მარადღეობურ წყაროა. იგი აზრის თუ სიტყვის შიშლითა როდია: უშუალო შინაარსობრივ ქსოვილში ზის, როგორც მისი განუყოფელი ერთეული.

ნოვატორი პოეტი უოველით აღმოაჩენს და ამტკიცებებს ზოლზე ენის ახალ სტიქიას, რითაც ორიგინალურ, მხოლოდ თავისთვის დამახასიათებელ სტილს შექმნის. მხატვრული ინდივიდუალობა შეიცავს როგორც საკუთარი მოტივების გამოვლენას, თემათა ორიგინალურ გააზრებას, სახეთა საკუთარი გაღრმობის შექმნას, ასევე საკუთარი ლექსიკაღრები პრინციპების გამომუშავებას. პოეზიის საყოველთაო ხასიათს, მის ბუნებას, რომ რაც შეიძლება აღამიანთა ფართო მასებისათვის იყოს გასაგები, განაპირობებს ენას, სიტყვათა მთელი სიმდიდრის გამოყენება. ამის საფუძველზე ზდება ინდივიდუალური სტილის გამომუშავება.

ჭარბულ თანამედროვე ლირიკაში ამის ბევრი მაგალითი მოგვეპოვება. მკვეთრად გამოვლენილი სტილით თავისებურებანი მკაცრი ბეჭდად აზრს ვალაქტიონ ტაბიძისა თუ სიმონ ჩიჭოვანის, იოსებ გრიშაშვილისა თუ გიორგი ლუონიძის, პოლო იაშვილისა თუ ტიციან ტაბიძის, ირაკლი აბაშიძისა თუ ანა კალანდარის, გრიგოლ აბაშიძისა თუ ლალო შათაიანის, მუჭრან მამგვაიანისა თუ თათარ. კვიციანისა და ბევრი სხვა თანამედროვე პოეტის ლირიკას.

ყოველი ჰუმანიტი ნიჭი თავის საკუთარ სტილს მიაგნებს ზოლზე, როგორც აზროვნების, ასევე ენის ამოუწერად მარაგში. ა. ჰუციანის მებრად ორიგინალურად თქვა თავის ღრობზე: «გონება ისევე ამოუწერადია ცნებათა ზამოყალიბებაში, როგორც ენა — სიტყვათა შეხამებაში. ყველა სიტყვა მოაქმნება ლექსიკონში, მაგრამ წიგნები, რომლებიც განუწყვეტლივ გამოდის, ლექსიკონის განმეორება როდია. ცალკე აღებული, უკონტექსტო აზრი არაფერს არ წარმოადგენს. აზრთა შეხამება კი შეიძლება უსასრულოდ მრავალფეროვანი იყოს».

პოეტურ აზრს აუკლებს, სახეს ჰქმნის, გამოვლილებას აღძრავს სიტყვათა შეხამება, რომელიც შემოქმედებაში არ შეიძლება ემთხვეოდეს ენის მხამხარეული ნორმების შექანიერ გამოყენებას. ყოველი ახალი სახე სიტყვათა ახალი შეხამების შედეგია და მხატვრის

ორიგინალური ნიჭი ამ შეხამების ნოვატორულ ფორმასა და სტრუქტურაში ვლინდება.

ცალკე აღებული სიტყვა, თავისი სიტყვითი ტიული არსით. მრავალმხანოვანი, მრავალმნიშვნელოვანი ელემენტია. მაგრამ მთლიან პოეტურ აზრობრებ ქსოვილში მოქცეული, იგი იშორებს განუწერებელ ცნების სამოსელს და კონკრეტული მხატვრული ორგანიზმის განუყოფელ ნაწილად იქცევა. თავის ახალ კონტექსტურ-აზრობრივ დატვირთვასა და ვარყვეულ შემეფიქრობის ფუნქციას იძენს. რაც უფრო მეტად იხევეება და მეტ ზედტ გამსწვლადლობას ღებულობს სიტყვა, მით უფრო მეტია მისი გამომსახველობითი და ხუმროქმედებითი ძალა. შემოქმედების პროცესში მან ენდა მიღწიოს ზედტ შესატყვისობით გამოყენებას და მისთვის აუცილებელ ადგილას ენდა ჩაქდეს, რომ აზრობრივად უფრო ღრმა იყოს. რაც უფრო დაწერულად, სხარტად გამოხატავს იგი აზრს, რაც უფრო მეტად ექვემდებარება და აგენს კიდევ აზრის ლოგიკურ განვითარებას, ზადმავების უფრო მეტ შესაძლებლობას ჰქმნის და პოეტური სტრუქტურის მეტი ინდივიდუალუზაციის საშუალებას იძლევა.

პოეტურ აზროვნებაში სიტყვის ასეთი როლი და ნოვატორული გამოყენებითი შესაძლებლობანი, ფორმის განუწყვეტელი ძიების პროცესი ჰქონდა მხედველობაში ელადიმერ შაიკოვსკის, როცა ამბობდა: «სიტყვათა დაწმუშავების ზევეები და გამოყენების ხერხები დაქრულდება ინდივიდუალურია და მრავალი წლის ყოველდღიური მუშაობის შედეგად იქმნება».

ამდენად, ვარყვეული აზრით, ინდივიდუალური პოეტური შემოქმედება შეიძლება თავის იმანენტურ კანონებს ექვემდებარებოდეს; მასში ცნობიერდებოდეს ტალანტის ინდივიდუალური, აქამდე შეუცნობელი და გაუხსნელი პოტენცია, რადგან ჰუმანიტი შემოქმედების ნაყოფი — ეს არის აღამიანის გონების არა მარტო უკიდურესი დამაბვის შედეგი, არამედ აქამდე უცნობის ძიების, მიგნებისა და გაშკარაების რთული პროცესი, ამ გონების შემოხობლური ფუნქციის აქტიუზაცია.

ხელოვნება მედამ ლირიკულიაო, ამბობს ბენედეტო კროჩე. და ხელოვნების ამ თქვევტ ლირიკულ ხასიათში როგორცაე გამოვლენილია მისი მუღმიევი, ე. ი. ტრადიციული, და განუწყვეტლვ ცვალებადი, ე. ი. ნოვატორული, ბუნება. მისი ეს ხასიათი — მუღმიევი ნოვატორული განახლება თუ მარადიულ ტრადიციად გარდაქმნა — მალაბატოვანი ლირიკული სახით წარმოვლდენია გ. ტაბიძის, რომ ეთქვაამ: პოეზია ვავორნებს იმ ევზოტიკურ ყვავილს, რომელიც იფეთქებს მიწის გულიდან და ვამლისთანავე მარადისობაში ფანტავს თავის სურნელებასო.

## ლექსის „აღსდგე გმირთ-გმირო“-ს შესახებ

1821 წელს, პეტერბურგში დაიბეჭდა გოღერძი ფირალიშვილის წიგნი „საზოგადო მღვიმისა“. არ ვაპირებთ ამ წიგნის შესახებ მსჯელობას. ეს ნაშრომი იმდენად არის დღეს საყურადღებო, რამდენადაც მის ზოგიერთ ცალკე ნაქვერბულთა ცნობილი ლექსი „აღსდგე გმირთ-გმირო“...

გოღერძი ფირალიშვილის წიგნის — „საზოგადო მღვიმისა“ წინასიტყვაობაში თითქმის ყველაფერზეა ლაპარაკი. იქ დაწერილებათ არის ჩამოთვლილი და აღწესებული წიგნის შინაარსი, მაგრამ არაფერია ნათქვამი ლექსის „აღსდგე გმირთ-გმირო“-ს შესახებ. თუმცა სარჩევში შეტანილია ეს ლექსი, მაგრამ ავტორი არ უწერია. 148 გვერდის შემდეგ წიგნში ჩაყვრებულია და გადაკეცილი ერთი ფართო ფურცელი, რომლის ორივე — 149 და 150 გვერდებზე მოთავსებულია ლექსი „აღსდგე გმირთ-გმირო“ (ფურცელი ჩაყვრებულია ექვთიმე ჭერ 150 გვერდია, მეორე — 149) ასეთი სათაურით:

„თუშო, ფშავთა და ზეგურთავან, გლოვა  
სანატრელთა და ღვთისადმი განსვენებულთა  
საქართველოს მეღის ირაკლი მეორისა:“

„თქმული მათებრ ლექსად, ნადგორნი სოვე-  
ტნივსა და კავალრისა გოღერძი ფირალიშვი-  
ლისა“.

ლექსი შედგება 12 სტროფისაგან (დაწერილი  
რუსთველური 16 შარცელაანი შიარით):

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ლექსი გოღერძი ფირალიშვილის წიგნის „საზოგადო მღვიმისა“ ყველა ცალკე არ არის. საქართველოში ამ წიგნის სულ ოთხი ცალია, სადაც ეს ლექსია მოთავსებული, დანარჩენ ცალებში ეს ლექსი არ არის. ზოგიერთ მკვლევარს იგონა, რომ აღნიშნული ლექსი სხვა ცალებში ხელმწიფდებოდა იმდენად მთავრად, რომ არის ამოკრილი. სინამდვი-

ლეში დაკვირვება გვიჩვენებს, რომ გ. ფირალიშვილის წიგნის იმ ცალებში, სადაც ეს ლექსი არ არის, არც ყოფილა არასოდეს, არც არავის ამოუტრია და არც ამოუღია.

გოღერძი ფირალიშვილის წიგნის — „საზოგადო მღვიმისა“ 149-ე და 150-ე გვერდები დაბეჭდვის დროს გამოტოვებულია. 148-ე გვერდს 151-ე გვერდი მოსდევს. ის ფურცელი, სადაც ზემოაღნიშნული ლექსია ჩართული, წიგნის ცენზურის ნებართვისა და გასაფრთხილებლად გამოსვლის შერვა ჩაყვრებულია.

ამ არაჩვეულებრივი და იშვიათი გამოჩაყვლის მიზეზი მართო ცენზურისათვის გვერდის ავლა არ უნდა იყოს.

ლექსი „აღსდგე გმირთ-გმირო“, არც ფორმით და არც შინაარსით არავითარ კავშირში არ არის გოღერძი ფირალიშვილის წიგნთან — „საზოგადო მღვიმისა“. იგი ჩაყვრებულია ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ, შეიძლება გოღერძი ფირალიშვილის სიყვდილის შემდეგაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ლექსის გვერდი სარჩევში მოთავსებულია და წიგნში კი არ არის (წიგნი გამოვიდა 1821 წელს, გ. ფირალიშვილი კი გარდაიცვალა 1823 წელს). ეს ლექსი თავისი შინაარსით და დანიშნულებით საბრძოლო მოწოდებაა. პროკლამაციაა, დაწყებული პირველი სტროქიდან უკანასკნელ სიტყვამდე. ლექსი გამსწვავებულია დიდი პატრიოტული შემართებით. მეფე ერეკლეს გლოვაში საქართველის დამოუკლებლობის დაკარგვა ნაგულისხმევი. შეიძლება ითქვას, რომ ეს ლექსი იყო პირველი სიგნალი 1832 წლის შეთქმულებისა და ერთ-ერთი პირველი ნიმუში ქართული რომანტიზმისა. ლექსი „აღსდგე გმირთ-გმირო“ საბრძოლო პრორამა იყო იმათ, ვინც პირდაპირ თუ არა პირდაპირ, ამჟამად თუ ფარულად, სიტყვით თუ

საქმით იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

მართალია, ლექსი „აღსდგე გმირთ-გმირთ“, გოდერძი ფირალიშვილის წიგნის რამდენიმე ცალკე ნააქვრებს და ზედ წიგნის ავტორის გვარად მიიწერეს, მაგრამ, სინამდვილეში, ამ ლექსის ერთი ფურცლის უკან ერეკულ მეორეს შთამომავალნი და მასთან დაახლოებული პირები იღვწენ იოანე ბატონიშვილის მეთაურობით.

გაეცვით ამ ლექსის ბედსა და თავგადასავალს, შეიძლება უფრო ნათელი გახდეს წამოყენებული მოსახრება.

სერგი გორგაძე 1927 წელს („ქართული მწერლობა“ 1927 წ. № 2 გვ. 84-86) წერს: — „ხალხური სიტყვიერების ნაწარმოებია თუ არა ლექსი „აღსდგე გმირთ-გმირთ“ — წერდა.

როგორც მეიბრძვლს მოეხსენება, ეს ლექსი ატარებს სათაურს „გლოვა ერკლე მეფისა თუ შთა, ფაშა და ხევსურთაგან“ (ხაზი ჩვენია გ. კ.) და მართლაც დიდძალ მოვლევინებს აღნიშნულ ქართველ მთელთა ენისა და ზნე-ჩვეულებების არქაეულობას. პრაფ. დ. ჩუბინაშვილის ჟურნალში (1863 წ. გვ. 76), ეს ლექსი ავტორის მოუხსენიებლადაა დამეჭვდილი: ზოგურობა ზელნაშერშიც იგი ურეტოროდაა მოთავსებული (მაგ. უოფ. წ. კ. საზ. ფონდში ხელნაწერი № 6 (S), შეად. ე. თაყაიშვილის „Описание“ ст. 70-75) და ამის გამო და განსაუკუთრებით კი იმის გამო, რომ ლექსში მრავლად მოიპოვება ხალხური სტილის მამულაუნებელი ელემენტები, ეს ლექსი მიღებული იყო ხალხურ ნაწარმოებად (ამ აზრს ჩვენც ვიზიარებდით და სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ ლექსს ადვილი დაეუბნეთ ხალხური პოეზიის ნიმუშების ჩვენს გამოცემაში (იხ. „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“, ავტორთა 1921 წელს გამოცემულ ხალხურ პოეზიაშიც). მაგრამ იყო ერთი გარემოება, რომელიც იწვევდა ეჭვს ამ ლექსის ხალხრობის მიმართ. სახელდობრ მისი ტექნიკა წმინდა მწიგნობრულია, ოთხოთხ ტაქტიანი ხანები და ყოველ მეოთხე ტაქტის წინ „და“ კავშირი (ჩვენს გამოცემაში ეს უკანასკნელი თავისებურება „და“ კავშირი დაყდული არ არის, როგორც საზოგადოდ, ჩვენს ქრესტიანთაში) რაც ხალხურში არსად არა გვხვდება. მიუხედავად ამისა, ვიღრე ხელთ წერლობითი სახეთი არა ვუქონდა, მწელი იყო ტრადიციული აზრის უარყოფა. დამტყუება იმ აზრისა, რომ ეს ლექსი ხალხური ნაწარმოები არ არის.

დღეს ეს ხელთა გვაქვს როგორც წერლობითი, ისე ბეჭდვითი მოწმობა, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ დასახელებული ლექსი ხალხური შემოქმედების ნაყოფი არ არის და არც ერეკულ მეფის გარდაცვალების ხანას ეუთყვის, და-

წერილია თითქმის ოცი წლის შემდეგ ერკლეს გარდაცვალებიდან და ეუთყვის ცნობილი ქართველის მწიგნობრის „ნაღვრონი“ „წვედნი კისა“ და კავალერის გოდერძი ფირალიშვილის კალამს.

ეს საუბრადღებო ცნობა მოთავსებულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მეცუემის ხელნაწერში (H № 2562). მას ასეთი სათაური აქვს — „თუშთა-ფაშათა და ხევსურთაგან გლოვა სანატრელისა და ლთოსაღში ვანსევენებულისა საქართველოს მეფის ირაკლი მეორისა“, თქმული მათებრ ლექსად ნაღვრონი სოვეტნიყის გოდერძი ფირალიშვილისა. სანკტებეტრბურღსა წელსა ჩუბ (1817 წ.). ამევე სათაურს უცვლელად იმეორებს მეორე ხელნაწერიც იმავე მეცუემისა — № 1280.

ამას გარდა, არსებობს იმავე გოდერძი ფირალიშვილის მიერ შედგანილი და გამოცემული 1821 წლის წიგნი „სახოგადო მღვიწხობა“, რომელშიაც ეს ლექსი მოთავსებულია 149-150 გვერდზე ავტორის ჩვენებით. ამგვარად, საბოლოოდ უარყოფილ უნდა იქნას როგორც ხალხრობა ამ ლექსისა, ისე იმ მკვლევართა აზრი, რომელნიც ამ ლექსს სალომონ ლეონიძეს მიუწერენ (მაგ. აღ. ხაზანაშვილი). ს. გორგაძის ამ წერილის გამო იყო, რომ 1928 წელს ქართული სიტყვიერების მწერლობის ანთოლოგიის 11 ტომში აღნიშნული ლექსი შეტანილ იქნა როგორც გოდერძი ფირალიშვილის ნაწარმოები. ამის შემდეგ ეს მოსახრება ვაიხიარეს: პრაფ. აღ. ბარამიძემ, პრაფ. ტრეფ. რუხაძემ, პრაფ. მ. ჩიქოვანმა და სხვებმა.

დ. ჩუბინაშვილი, რომელსაც თვით ს. გორგაძეც ახსენებს, როგორც ცნობილი პეტრბურგში მოღვაწეობდა, იქ დაბეჭდა მან 1863 წელს ქართული მწერლობის ქრესტიანთა, სადაც მოთავსა ლექსი „აღსდგე გმირთ-გმირთ“ და არ მიუთითა, რომ იგი გოდერძი ფირალიშვილისაა. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ დ. ჩუბინაშვილს არ სცოდნოდა გ. ფირალიშვილის წიგნი მოთავსებული ლექსის „აღსდგე გმირთ-გმირთს“ არსებობა. ასევე მწელი დასაყრტებელია, რომ აღქსანდრე ხაზანაშვილს არ სცოდნოდა დასახელებული წიგნის და მასში მოთავსებული ამ ლექსის არსებობა, ასევე ე. თაყაიშვილი „ოპისანიეში“ („Описание“ ტ. 1. წ. 1-4 გვ. 7) ურეტროდ იხსენიებს ამ ლექსს. 1898 წელს გამოცემულ კირიონისა და გ. ყიფშიფის სიტყვიერების თეორიის სახელმძღვანელო წიგნი „აღსდგე გმირთ-გმირთს“ პირდაპირ აქვს მიწერილი რომ იგი ხალხურია. აგრეთვე მწელი დასაყრტებელია, რომ გოდერძი ფირალიშვილის წიგნი და მასში მოთავსებული აღნიშნული ლექსი არ სცოდნოდეთ კირიონისა და გ. ყიფშიფეს. ვარდა ამისა, ჩვენ სხვა წყაროც შეგვიძლია დავასახელოთ, საიდანაც ჩანს, რომ ს. გორგაძეზე აღრე ცნობა-

ლი ყოფილა გ. ფირალიშვილის წიგნი და მასში მოთავსებული ლექსი „აღსდევ გმირთ-გმირო“. ფერნალ „თეატრში“ 1885 წლის № 1 წერილში — „ცნობები ქართულ თეატრზე“ — ზ. ტვიჩინაძე ეხება ამ ლექსს და მისი ავტორობის საკითხს.

უფრო ადრე კი, 1877 წელს ზაქარია ტვიჩინაძემ გამოსცა პატარა წიგნაკი სათაურით — „გლოვა ირავლი მეორისა თქმული სოლომან მსაყელისაგან“. ამ წიგნში სოლომან ლეონიძის მიერ ვრცელ მეორის გარდაცვალების დროს წარმოხვედრულ ცნობილ სიტუაციასთან ერთად მოთავსებულია ლექსი „აღსდევ გმირთ-გმირო“ ე. ი. ამ ლექსის ავტორად სოლომან ლეონიძეს გამოცხადებული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზ. ტვიჩინაძის მიერ დაბეჭდილი ლექსის ტექსტი ზუსტად იმეორებს გ. ფირალიშვილის წიგნში მოთავსებულ ლექსის ტექსტს.

1895 წელს ზ. ტვიჩინაძემ ხელნაწერის სახით საცენზურო კომიტეტში წარადგინა გამოსაცემად წიგნი „მსაყელი სოლომან ლეონიძე“. ხელნაწერის რედაქციის 115 გვერდი უკავია აქ დაწერილთა არის აღწერილი სოლომან მსაყელის ცხოვრება და მოღვაწეობა (ცენზურამ ნება არ მისცა ამ წიგნის დაბეჭდვისა და აღარც უკან დაუბრუნებია ავტორისათვის, ეს ხელნაწერი საცენზურო კომიტეტში დარჩა). აქაც ლექსის „აღსდევ გმირთ-გმირო“ ავტორად სოლომან ლეონიძეს წარმოადგენილი.

1892 წლის „ივერიის“ 203 ნომერში (25 IX) დიმიტრი მიხანელი ხალხურად წარმოგვადგენს ამ ლექსს. 1893 წელს ე. გუნიას მიერ შედგენილ „საქართველოს კალენდარში“ ლექსი „აღსდევ გმირთ-გმირო“ შეტანილია როგორც ხალხური ნაწარმოები.

1894 წელს ფერნალ „მოამბეში“ (№ 6) ეს ლექსი დასახელებულია როგორც ხალხური შემოქმედების ნიმუში. 1895 წელს ცალკე გამოვიდა ეს ლექსი და აქაც უატორიოა. ე. ი. ხალხურადაა წარმოდგენილი.

1898 წელს ვრცელ II-ის გარდაცვალების ასი წლისთავთან დაკავშირებით ლექსი „აღსდევ გმირთ-გმირო“ დაბეჭდილია როგორც ხალხური შემოქმედების ნიმუში.

„ლექსანდრე ხაბანაშვილი თავის „ოჩერკში“ (1895 წ. გვ. 59) ლექსს — „აღსდევ გმირთ-გმირო“-ს ხალხური შემოქმედების ნიმუშად მიიჩნევს.

1913 წელს ზაქარია ტვიჩინაძე წიგნში „ნ. ზ. დომობრიძე და ქართული სტამბა“ — 1627-1913 წ. გვ. 37) თითქოს უცნაურ, მაგრამ მაინც საინტერესო ცნობას გვაწვდის ამ ლექსის ავტორობის თაობაზე. ზ. ტვიჩინაძე ფილადელფოს კენჭაძეს მიაწერს ლექსს „აღსდევ გმირთ-გმირო“-ს. იგი წერს: „იშვიათი ბერია (ფ. კენჭაძე გ. კ.) ქართველ ერში, რუსეთშიც იყო ნაშუაფი, სხვაგვარადა ბატონიშვილების კარზე. იყო

დიდი გულშემატკივარი საქართველოს სამეფონისა, ს. დომანიშვილის უმთავრეს მდივანად ეს ითვლებოდა 1832 წელს, ქართველად ითვლებოდა ამისი ლექსისა „აღსდევ გმირთ-გმირო ნუ გიანავს“. ამას გარდა სხვა ლექსებიც ჰქონდა. **ფსევდონიმი გ. ფირალიძე ჰქონდა** (ზახი ჩვენია გ. კ.) ზვენი კი შეცდომით ვოდერპის ფირალეს მიაწერეთ. ეს შეცდომა არის. დღეის შემდეგ ეს ლექსი ფილადელფოს კენჭაძის საკუთრებად უნდა იქნას ცნობილი.“

1919 წელს ზ. ტვიჩინაძემ კვლავ გაიმეორა თავისი ეს შეხედულება (იხ. ფერნ. „თეატრი და ცხოვრება“ 1919 წ. № 6), ხოლო 1922 წელს გაზ. „ტრიბუნაში“ (№ 194, 19-IV) უფრო ვრცელად არის წარმოდგენილი ამ საკითხებზე მსჯელობა. ზ. ტვიჩინაძე დასძენს, რომ ფილადელფოს კენჭაძემ ვოდერპის ფირალიძეს მისცა ეს ლექსი დასახელებად. ფირალიძე შეპირდა დაგიბეჭდავო და ნამდვილად კი თავისი სახელით დაბეჭდავო.

შეიძლება ზ. ტვიჩინაძეს არ დაეთანხმო, ტენდენციური ან დაუსაბუთებელი უწოდო მის მოსახსენებს, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ს. ვორგაძემდე კარგად ყოფილა ცნობილი ვოდერპის ფირალიშვილის წიგნისა და მასში მოთავსებული ლექსის „აღსდევ გმირთ-გმირო“ ისტორიაც. ზ. ტვიჩინაძე წყაროებს არ ასახელებს, მაგრამ „როგორც ჩანს, საერთოდ ყოფილა გავრცელებული აზრი, რომ ლექსი „აღსდევ გმირთ-გმირო“ ვოდერპის ფირალიშვილს არ ეკუთვნის. ამ ტრადიციულ გადმოცემას და ზ. ტვიჩინაძის ასეთ დაყენებით განცხადებებს უპირველად ჰქონდა გარკვეული საფუძველი.

ს. ვორგაძე, გარდა გ. ფირალიშვილის წიგნისა („სახოვადო მდივნობა“) ხელნაწერებსაც იმეორებს და ასევე უტყუარ დოკუმენტებად იღებს ამ ხელნაწერებს.

ხელნაწერი, რომელსაც ს. ვორგაძე ასახელებს და იმეორებს, ზაქარია ტვიჩინაძის ნაქონია (S:6) საერთოდ კი არცერთი ხელნაწერი ავტოგრაფი არ არის, თითქმის ყველა ვადაწერილია იგივე გ. ფირალიშვილის დასახელებულ წიგნში მოთავსებული ლექსიდან. პირველ ხელნაწერზე, რომელსაც ს. ვორგაძე ასახელებს H 7562 და ათარიღებს 1817 წლით, ეს თარიღი — 1817 წელი — ვადაწერის მიერვეა ვადაშლილი. ისე, რომ, ამ ხელნაწერს თარიღი არა აქვს, თუ ვადაშლილს ურადღებებს არ მივუკვეთო, და ვიტყვი, რომ ეს ხელნაწერი დაწერილი ან ვადაწერილია 1817 წელს. მაშინ სხვა ვადაშლილი სიტყვებიც უნდა აღუადგინოთ. სადაც სწერია გლოვა სოლომან ლეონიძისა. მაშინ გამოდის, რომ მეფე ერეკლეს გლოვა დაწერილი ყოფილა 1817 წელს სოლომან ლეონიძის მიერ.

ვოდერპის ფირალიშვილის გვარი და სახელი, როგორც ლექსის ავტორისა, აწერია მხოლოდ

ორ ხელნაწერს. №1280. 1240 ხელნაწერზე იგივე მელნით გადაშლილია ვაღერძი ფირალოვი. რაც შეეხება სტროფების დამაკავშირებელ „და“-ს, რაც ს. გორგაძეს მიანიხნა შვიგნობრობლობის უტყუარ ნიშნად, კავშირი „და“ გვხვდება მხოლოდ ორ ხელნაწერში A:1249 და 1S:6-ში, რაც ვაღერძის მიერ არც გაკეთებულ რადგანაც თვით გ. ფირალიშვილის წიგნში არაერთი „და“ კავშირი არ არსებობს.

ამრიგად, ხელნაწერები ლექსისა — „აღსდგე გმირთ-გმირთსა“ — ბურს ვერაფერს ამბობს გ. ფირალიშვილის სასარგებლოდ. პირიქით, ისინი უფრო ექვს ბაღებს, რომ ავტორი გ. ფირალიშვილი არ არის. ასევე, ლექსის გარეგნული ამოცანობრილი ნიშნებიც ვაღერძის მიერ არის მიტმასებული.

ს. გორგაძემ ზემოთ დსახელებულ წერილში კატეგორიულად უარყო ლექსის „აღსდგე გმირთ-გმირთს“ ხალხურობა, იგი ლიტერატურულ ნაწარმოებად აღიარა. ეს მოსახრება ს. გორგაძის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკრიტიკოდ იქნა ვაზიარებული.

თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე ლექსი „აღსდგე გმირთ-გმირთს“ დიდად იყო პოპულარული. ხალხის ქმნილებად ითვლებოდა. რეკლამისადაც, იგი ერთგული კიშნის როლსაც ასრულებდა. ბარში მომღერალთა გუნდები, ხალხ მთაში ცალკე შემსრულებლები მღეროდნენ მას, როგორც პერსონალ საგალობელს.

ლექსი „აღსდგე გმირთ-გმირთს“ და მასზე შექმნილი სიმღერა დღედა იყო პოპულარული არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, რის დასადასტურებლად მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება.

პირველ წერილობით ცნობას ამ ლექსის „ხალხურობის შესახებ (ჭყერყარობით) ვვაწვდის 1853 წლის ვანუთი“ „Завкавказский вестник“ (26. XI, № 48, 1853 г.).

1853-56 წლების რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებით (1853 წლის ნოემბერში) თბილისში ჩამოსვლა თემებისა და ხევსურების სახალხო მღილიცა. კარესპანდენტი აღწერს მათს გმირბასა და მამაცობას, განსაუბრებით შეთე გულუხაობის შესახებ აღნიშნავს, რომ მარტო მას, ერთს არ ეყოფა ოცი მოწინააღმდეგეო, ამ რაზმს გმირი წინაპრები ჰყავდა, და არც ესენი შეარცხებენ მამა-მამათა სახელსო.

...До сих пор хранить в памяти славныя предания былого времени, когда земляки его сражались в рядах грузинских царей за их независимость. Он все еще помнить песню, сложенную предками его на кончышу Царя Ираклия, передаваемую с тех пор из рода к роду, дышащую патриотизмом в безпредельно любовию к царственному похиному. Песня эта и теперь нередко оглашает ущелья и горы Хевсуретии.

«Встань Герой-Героев» («აღსდგე გმირთ-

გმირთსა) не спи; Ты не привык к дождю сну. Вот слышишь голоса врагов и доблрых Твоих безмолвие, встань и истребля нас на них... Так начинается эта наша героическая песня».

„აღსდგე გმირთ-გმირთს“ პოპულარობის შესახებ ვაზეთი „დროება“ 1877 № 46 წერდა: „ირაკლის გლოვის ლექსი (ლამარაკია „აღსდგე გმირთ გმირთს“ შესახებ, გ. კ.) კი ბევრი იყო ამ ზეგნში. ვინ არ იყოს მავალითად, ჩვენში შემდეგი პირველი სტრიქონი ამ ლექსისა „აღსდგე გმირთ-გმირთს ნუ გძინავს, მტერთა ისინი ხმანია“ და სხვა .

ერთკელ მეორის შესახებ ხალხმა მრავალი ლექსი შექმნა. მგარამ „აღსდგე გმირთ-გმირთს“ განსაუბრებელი ადგილი დაიკავა, პოპულარული იყო. შესაძლებელია ასეთი პოპულარობა ხალხის მიერ შექმნილ ლექსებს ერგოს და წმინდა ლიტერატურული ნაწარმოებებიც ვახალხურდეს. დავიწყებას მიეცეს ავტორი. მგარამ იქ, ამ შემთხვევაში, ერთი კითხვა იმადება. გოდერძის ფირალიშვილი როგორც მწერალი, შემოქმედი თითქმის არსად არავის მიერ არ იხსენიებოდა არასდროს, ვაიღა საუკუნე და ზოგიერთმა მიხნად დაისახა საუკუნის შეუღობის გამაწრობა ე. წ. სიმაროლის აღდგენა.

საქართველოში გ. ფირალიშვილის წიგნი გავრცელებული რომ არ ყოფილა და ძალზე ცოტას სყოდნია ამ წიგნში ლექსის „აღსდგე გმირთ-გმირთს“ არსებობა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ თვით შვიგნობარ კაცს, მფლკვანას, ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეს — სურგო გორგაძესაც ეო არასდროს 1927 წლამდე არც გ. ფირალიშვილის წიგნისა და არც მასში მოთავსებული ლექსის „აღსდგე გმირთ-გმირთს“ ამბავი. ს. გორგაძისათვის დავით კარიკაშვილს მიუთითებია ამ წიგნში ლექსის არსებობაზე.

ასეთ შემთხვევაში შეიძლება თუ არა ემიწელოთ, წიგნის საშუალებით ამ ლექსის გავრცელებაზე? ცხადია, ასეთ პირობებში ეს ლექსი ძალზე საეჭვოა, რომ გ. ფირალიშვილის წიგნის საშუალებით გავრცელებულიყო, ასე დიდი პოპულარობა მოეპოვებინა.

პირველად 1885 წელს ზაქარია ჭიჭინაძემ ასენა გოდერძის ფირალიშვილის წიგნი და მასში მოთავსებული ლექსი. აღუქმანდრე ხახანაშვილი არაერთგზის მიუთითებს, რომ ლექსი „აღსდგე გმირთ-გმირთს“ ხალხურია (როგორც ცნობილია, 90-იან წლებში აღ. ხახანაშვილი თვით იყო თემთში ხალხური ზეპირსიტყვიერების შესაკრებად და ეთნოგრაფიული მასალების შესასწავლად).

აღ. ხახანაშვილი წერს: „თუზ-ფაზე ხევსურეთში ჩაწერილია ღვთით განსვენებულის მფლსა... აღსდგე გმირთ-გმირთ... და სხვა, იქვე მოყვანილია ტექსტი, ლექსისა „აღსდგე გმირთ-გმირთს“ (აღ. ხახანაშვილი. ქართ. სიტყვ. ისტ. 1913 წ. გვ. 53-55). უფრო ადრე აღუქმანდრე

ხახანაშვილი (1901 წელს) თავის ნარკვევებში ლექსს „აღსდევ გმირთ-გმირთ“ სოლომონ ლეონიძეს ავითარებდა. აქვე ამ წიგნში (გვ. 350) გოდერძი ფირალიშვილის შესახებ წერს:

«Один из первых учебников для изучения русского и грузинского языков, составил в 1803 года Годердзи Пиралов, тифлиссский купец, переселившийся в Россию, где занял место переводчика в иностранной Коллегии». როგორც ჩანს, ალ. ხახანაშვილს კარგად სცოდნია გ. ფირალიშვილის ბიოგრაფიაც და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი საქმიანობაც, მაგრამ არასდროს არსად არ აღვნიშნავს მისი რამე ურთიერთობა ან ავტორობა დასახვლებულ ლექსთან.

ალ. ყაზბეგი განსაკუთრებით ყოფილა დანტრესებული ლექსით — „აღსდევ გმირთ-გმირთ“. მთაში ცნობილი მთქმელისა და ფანდერის დამყვრელის, ღინჭა ზედულისაგან ჩაუწერია კიდევ ამ ლექსის ერთ-ერთი ვარიანტი (ამ ვარიანტში, რომელიც ალ. ყაზბეგს ჩაუწერია, ზეთი სტროფია. სულ ეს ლექსი 12 სტროფია).

ალ. ყაზბეგი წერს: „მთიელი სახალხო ლექსს“ ზოგი გოდერძი ფირალიშვილს მიაწერს, მაგრამ ეს აზრი შემიღებია უნდ იყოოს, რადგანაც მას სხვადასხვა ვარიანტით ვხვდებით“.

ალ. ყაზბეგს გოდერძი ფირალიშვილის ლექსიც ჰქონია გადაწერილი (ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტომი II, 1948 წ. გვ. 517. ს. უბანეიშვილის შენიშვნები).

აქედან ერთხელ ვიდევ დასტურდება, რომ ალ. ყაზბეგსაც კარგად სცოდნია გოდერძი ფირალიშვილის აღნიშნული ლექსის ავტორად გ. ფირალიშვილის დასახვლება, მაგრამ მთაში გაგონილა და ჩაწერილი ვარიანტების საფუძველზე დასკვნის, რომ ეს ლექსი ხალხურია, გოდერძი ფირალიშვილს არ უნდა ეკუთვნოდეს.

როგორც ჩანს, ხევიში ალ. ყაზბეგს ღინჭა ზედულისაგან ჩაუწერია „აღსდევ გმირთ-გმირთ“ ზეთი თექვსმეტმარცვლიანი სტროფი. იმაღლება ერთხევი: საიდან შეეძლო ღინჭა ზედულს და მისთანებს მთაში შეესრულათ და ფანდერზე დაემდებინათ ლექსი „აღსდევ გმირთ-გმირთ“?

მთის ორწიხებში გოდერძი ფირალიშვილის წიგნის საშუალებით ამ ლექსის გავრცელება ძალზე საუკეთაო. რადგანაც, როგორც ზეითაოც იყო აღნიშნული, გოდერძი ფირალიშვილის წიგნი და მასში მოთავსებული ლექსი მხოლოდ ერთხელ მწიგნობართათვის იყო ცნობილი და ზედმისაწვდომი. ხალხმა შექმნა ეს ლექსი, ხალხი ეწერდა მის პოპულარობიას, უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყვი, რომ ხალხიდან გავიდა ლიტერატურაში ეს ლექსი და არა პირიქით, რის შესახებაც ჩვენ ქვემოთ ვიდევ გვეჩვენებ მსჯელობა.

შევე ერთხელს სახელოვანი ცხოვრებისა და საბრძოლო თავგადასავლის შესახებ ხალხმა მრავალი ლექსი-სიმღერა შექმნა, მრავალმხრივად მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი ხალხურ ზემიარსიტყვიერებაში. შევე ერთხელ სიკოცხლშივე ლეგენდარული ვახდა. ხალხის საყვარელ გმირად იქცა. ამიტომ არის, რომ მასზე შეთხზული ხალხური შემოქმედების ნიშნუშრის დასახვლებაც კი, სიმრავლის გამო, ვაძველდებოდა. ცხადია, ასეთი პიროვნების სიკვიდის ხალხის დიდი გლოვა და წუხილი უნდა მოჰყოლოდა. ხალხურ შემოქმედებასაც თავისი სიტყვა უნდა ეთქვა, თავისებურად დავტერებინა გმირი შევე და, ცხადია, ასეც მოხდა.

ვარდა ალ. ყაზბეგის მიერ ჩაწერილი ტექსტისა, ჩვენ შევეიღია კიდევ დავასახელოთ თქუთში ივანე გომელაურის მიერ 1892 წელს ჩაწერილი ამ ლექსის ვარიანტი და ლიტერატურულ მუხებშიმ არსებული ხელნაწერი (№ 20073-6 დნ 200,6).

ფირალიშვიტრესო ცნობას ვაწვედის რაზეველ ერისთავი ხალხის მიერ შევე ერთხელს დავტერების თათაზე ლექს „უცნაურ მუქიანურს“ შენიშვნაში.

წარსულ საუვერში თვლავს ყოფილა ერთი მოხუტებული მუქიანურე. ეს თრმე არასდროს არ ვრეოდა საზნადარებში, თავისიანების ვირსა და ლხინში კი მიუპატეებლად მივიღოდა, სამგლოვიაროს იგლოვდა მოთქმით და ვიანურის დავკურ, საღუნეს იღუნენდა, სუეებსაც აღუნენდა.

შევე ერთხელ რომ ვარდაიკვალა, მივიდა თრმე ეს უცნაური მუქიანურე, ეტბოს შორი ახლო წამოქდა, დაიწყო მწარის სიტყვების გლოვა და ზედ ქიანურე აყუოლა ხამუშ-ხამუშ და იქ მოუფირი აატროს (რ. ერისთავი, თხზულებანი, 1935 წ. გვ. 218).

თი სად უნდა ვეებოთ ლექსის „აღსდევ გმირთ-გმირთ“ საწყისები. მისი შემქმნელ-შემთხვეულები ქიანურზე თუ ფანდერზე დამამღერებელნი და ხალხში ვამავრცელებელნი უნდა იყუნენ. ხალხის გულიდან არის ამოსული. ამ ლექსის თვითველი სიტყვა, თვითველი სტრიქონი. ამ ლექსს წინ უძღვის ქართული ხალხური სამგლოვიარო (დავტერების) პოეზია და მის საფუძველზეა იგი შექმნილი.

რაცღე ვაკვეთილი მოსაზრებით ჩაკერებული ვერცელო, მიწერალი ვევირი კი არ უნდა იყოს ვაღამუწვეტრი, არამედ ნაწარმოების ფორმა და შინაარსი. ვინა შეიძლება ლექსი „აღსდევ გმირთ-გმირთ“ შექმნილიყო პეტერბურგში საავარეო საქმედა კოლეგიის ჩინოფივის კაბანეკტში? იმ ჩინოფივისა, რომელიც თავის დროზე კტიტურ მონაწილეობას იღებდა ერეკელს წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში? (იხ. ე. თაყაიშვილი „Описание“, ტ. III. წ. 1-4, გვ. 7) ვიფორებოთ, რომ გოდერძი ფირალიშვილის ლიტერატურული საქმიანობა და საზოგადოებრივი საქმიანობა ერთხელს დასახვლებულ ლექსთან ურთიერთობაშია.

დოებრივი მოღვაწეობა არაფრით არ შეესაბამება ამ ლექსის ფორმასა და შინაარსს, იდეურ-პოლიტიკურ მიზანწრაფვას.

**იოანე ბატონიშვილი, კატრე ლარაძე და ლექსი „აღსდებ გმირთ-გმირო“**

იოანე ბატონიშვილს (1777—1839) დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა ჰქონდა მოხეყილი ქართველ ემიგრანტთა შორის, როგორც მეფის ძესა და დიდგვაროვანს, როგორც ფრიად ვანათლებულ პიროვნებას. მას ყველანი დიდ ანგარიშს უწყებდნენ და რჩევისათვის მიმართავდნენ. შემოხვევითი არ იყო, რომ ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე „კალმასობის“ აღმოჩენის დროს აღფრთოვანებით წერდა, რომ იოანე ბატონიშვილი არის ჩვენი ჰომეროსი, ჩვენი დანტე, ჩვენი შექსპირიო. ისიც ცნობილია, რომ მისი თავმდაბლობის გამო თითქმის სადღიოდ იყო გამხდარი „კალმასობის“ ავტორობის საკითხი — ზოგიერთი იოანე ხელაშვილს მიაწერდა ამ ნაწარმოებს, იმ შოტიკით, „კალმასობაში“ ყველაფერი ვაჭირულ პერთან არის დავაშირებულიო. იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ იოანე ხელაშვილს აღაპირაევებს და ეს გახდა წყარო იმისა, რომ ეს ნაწარმოები მისთვის მიეუთვნებინათ, რომ არ აღმოჩენილიყო თვით იოანე ხელაშვილის წერილი, თავის მებთან ვაჭირში მიწერილი, სადაც „კალმასობის“ დამწერად იოანე ბატონიშვილს ასახელებს, ეს დავა და ეკვები ვინ იცის რთემდე გავრძელებულიყო. აქედან ნათლად ჩანს იოანე ბატონიშვილის მოკრძალება და თავმდაბლობა. აგრეთვე ისიც, რომ, თუ „კალმასობაში“ იოანე ბერს მიაწერა ყველაფერი და ის აღაპირაეა, მას ათქმევინა თვისი სათქმელი, ასეთივე მოვლენა რატომ უნდა იყოს? გამორიცხული ლექსის „აღსდებ გმირთ-გმიროს“ მიმართ? ეს იმ დროს, როდესაც გოდერძი ფირალიშვილი, მართალია, მეფის სამსახურში იყო, სავარაუდო საქმეთა კოლეგიაში მუშაობდა, მაგრამ ლიტერატურულ საქმიანობაში ყოველთვის რჩევა-დარიგებინათვის იოანე ბატონიშვილს მიმართავდა, მისი ნებართვის მიუღებლად არა თუ ორიგინალურ თხზულებას, ნათარგმნადაც კი არ გაუშვებდა დასაბეჭდად, ხალხში გასავრცელებლად.

თუ კი ძროხის უვაილის აცრის წიგნი თარგმ-

ნა და იოანე ბატონიშვილის ჩატრეველად ვერ გახდება მისი დაბეჭდვა, ნებართვა და რჩევა მას თხოვა. ვინა შეიძლება იქნებოდა ლექსი „აღსდებ გმირთ-გმირო“ დაებეჭდა თავის წიგნში ისე, რომ ამის შესახებ იოანე ბატონიშვილს არაფერი სცოდნოდა? ცხადია არა. პირიქით, როგორც ზეითაც იყო აღნიშნული, ლექსი „აღსდებ გმირთ-გმირო“ იოანე ბატონიშვილის დავალებით უნდა იყოს დაბეჭდილი ცალკე ფურცელზე და ჩატრებული გოდერძი ფირალიშვილის წიგნის რამდენიმე ცალში, საქართველოში გასავრცელებლად. არც ის უნდა იყოს საეჭვო, რომ გოდერძი ფირალიშვილის წიგნში ჩატრებული ლექსი — „აღსდებ გმირთ-გმირო“ — ხალხური ლექსის მიხედვით არის დამწერილი. მას მისი სამგლოვიარო პოეზიის (დატირების) უშუალო ბეჭედი ახსი. ამ ნაწარმოების ხალხური ლექსი უძვეეს საფუძვლად. მაგრამ ვის მიერ უნდა იყოს შეთხზული ან ხალხურიდან გადაყვანილი?

ცნობილია, რომ მრავალ თხზულებათა გამლექსავი, საყოველთაოდ აღიარებული პოეტ პეტრე ლარაძე, რომელიც თეიმურაზ ბატონიშვილს გააყვია პეტერბურგში, ინტენსიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა ემიგრაციაში, ახლო იდგა თეიმურაზთან და სხვა ბატონიშვილებთანაც. მას სამეფო კარის მკონასადაც უწოდებდნენ და ყოველთვის რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის აღნიშვნისათვის ლექსის დამწერას ივალბებდნენ. პ. ლარაძე ფრიად პოპულარული ყოფილა საქართველოშიც. იგი ხშირად ჩამოდიოდა რუსეთიდან სამშობლოში.

ეჭვითვე თაყაიშვილი პეტრე ლარაძის შესახებ წერს: „პეტრე ლარაძე თითქოს სასახლის მოლექსე ყოფილა პეტერბურგში გადასახლებული პაგარტიონებისათვის. როდესაც დასპირდებოდათ შეუყვეთავდნენ პეტრეს ლექსის დაწერას, როგორც ბატონიშვილები, ისე იქ მყოფი ქართველები“ (გაბ. „ივერია“, 1899 წ. № 13, 20. D). გარდა ეს თაყაიშვილის შემოთქმულისა, პ. ლარაძის სასახლის პოეტობის შესახებ, თვით პ. ლარაძე ერთ-ერთ წერილში (Q—105—73) შემდეგსა წერს:

„ბატონიშვილმა დავით და იოანემ ილაქი გამოწყვიტეს მხეპაბუჯ მდივანბეჯს აშგვარი იამბიკოები მისწერეთ და მიესწერეთ“.

როდესაც გოდერძი ფირალიშვილის წიგნი და მასში მოთავსებული ლექსი „აღსდებ

გმირთ-გმირთ“ გამოქვეყნდა (1821 წ.), დაახლოებით იმავე პერიოდში გალექსილი პეტრე ლარაძის მიერ „საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი“.

ამ ორი ნაწარმოების მსგავსების შესახებ კი მოსე ჭანაშვილი წერდა: „ქართლის ცხოვრებაში“, რომ მოთხრობილია გლოვა თამარ დედოფლისა, იგი დიდის ხელოვნებით და ცოტა ერცლად გალექსილია ზენი ავქსონის (ავტორი) მიერ. გლოვობენ რიგ-რიგად და მოთქმით ჟერ ქართველნი, შერე იმერ-მეგრელნი-გურულნი-ფხაზნი, შემდეგ სამცხე სათაბაგონი, შერე კახელნი და ბოლოს თუშ-ფშავ-ხევისურნი-მთიელნი.

საკვირველი ის არის, რომ ამ უქანასწელთა გლოვა ძლიერ ჰგავს მათ მიერ მოთქმით ტირილს ერეკლე მეორის კუმბოს წინ.

პეტრე ლარაძის მიერ „გალექსილ ქართლის ცხოვრებასა“ და ლექს „აღსდევ გმირთ-გმირთს“ შორის საბალოვე და მსგავსება ნათელი და ზღაშესახებია. ამ ორი ლექსისა მარტო ცალკეული ფრაზები და სტროქონები კი არ ვფარდება ერთმანეთს, არამედ იდეურ-შინაარსობრივი მონაცემებითაც ისინი ერთ უაღბნა ჩამოსხმულნი.

შეიძლება თუ არა, რომ პეტრე ლარაძეს, საჭევწოდ განთქმულ პოეტს მივბანა იმ კაცი-სათვის, რომელიც არსად არ ყოფილა ცნობილი და აღიარებული როგორც პოეტი, როგორც შემოქმედნი?

გ. ფირალიშვილზე ლაპარაკობენ როგორც პოეტზე, მაგრამ სინამდვილეში მას არავითარი პოეტური ნაწარმოები არა აქვს (გარდა ორიოდ უსუსური ე. წ. სახუმარო სტროფისა). „ვეფხისტყაოსანი“ გადაუეთებია ტრაველიად, მაგრამ არავინ არ იცის რას წარმოადგენდა ან როგორი მხატვრული ღირსებისა იყო მისი გადაეთებული ტრაველია. როგორც პროფ. ტრიფონ რუხაძე წერს, გ. ფირალიშვილის მიერ გადაეთებული „ვეფხისტყაოსანი“ დატყუანებით და დაბეჭდვის ნება არ მიუციათ, რადგანაც ძალზე სუსტი ყოფილა, როგორც დრამატურგიული ნაწარმოები.

უკვლავ მკვლევარი. მათ შორის ისინიც კი, ვინც ლექსის „აღსდევ გმირთ-გმირთს“ ავტორად გოდერძი ფირალიშვილს აცხადებს. აღიარებს, რომ ეს ლექსი ხალხური შემოქმედების სტილისტური ნიშნების შემკველია. გოდერძი ფირალიშვილის ცხოვრება და შემოქმედება არავითარ კავშირში არ უკავშირდება ზალხური შემოქმედებასთან. მას თავისივე ცხოვრებასა და სამსახურებრივი საქმიანობის გამო არ შეეძლო რაიმე სახალოვე ჰქონოდა ქართულ ზემოსიტყვიერებასთან, ქართული ხალხური შემოქმედება მისთვის უცხო, შეუცნობელი იყო. ამ მხრივ სრულად საწინააღმდეგო მოვლენას ვხვდებით, როდესაც პეტრე ლარაძის შემოქმედებასთან გვაქვს საქმე.

ამ დავასახელებთ პეტრე ლარაძის რამდენიმე ლექსის სათურს, რომელიც ერთგვარად ეხმაურება „აღსდევ გმირთ-გმირთს“ სათურს.

3. ლარაძის ლექსების კრებულში (H:2130) გვხვდება „გოდება პატრონსა ზედა თეიმურაზად“.

„მისგანვე გოდება შირით“

„თქმული შიორე გოდება ანანოტება“

„მოთქმით ტირილი არსენ ფელიანოვისა.“

პეტრე ლარაძის პატრიოტული სულისკვეთება, იდეური შრწამსი, მისი შემოქმედება, ყერძოდ მისი გალექსილი ქართლის ცხოვრება ახლათ ლექს „აღსდევ გმირთ-გმირთსთან“.

საიდან და როგორ განადა ამ ლექსზე გ. ფირალიშვილის გვარი, ანდა მის წიგნში რატომ ჩაყერგეს იგი, ამის თაობაზე ჟურნერობით მხოლოდ მოსაზრების გამოთქმა შეიძლება. ამ გამოყენებული ლიტერატურის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ლექსი „აღსდევ გმირთ-გმირთს“ არის მოწოდება-პროვოკაცია. საბრძოლო პროგრამა, სამხადისი 1832 წლის შეთქმულებასათვის. სავარაუდოა, რომ ხალხური ლექსი ბატონიშვილებმა პეტრე ლარაძეს გადააყეთებინეს ლიტერატურულ ყოიდაზე და გოდერძი ფირალიშვილის წიგნისა და მისი ავტორის სახელით მოისურვეს ამ ლექსის პოპულარიზაცია, რადგანაც წიგნებს ამ დროს გოდერძი ბეჭდავდა და ამავე დროს ფრიად სანდო კაცად იყო მიჩნეული, ეს ლექსი ისეა ცალკე ფერცელზე დაბეჭდილი, იმ ფორმით, რომ იგი უწიგნოდაც უნდა გავრცელებულიყო ხალხში. ამ ფერცლებისა და წიგნის გავრცელება (სადაც ეს ლექსი იყო ჩაყერებული) დაიწყო გოდერძი ფირალიშვილის სიყვდილის შემდეგ და, ცხადია, მისი გვარიც ამ ლექსზე გ. ფირალიშვილის სიყვდილის შემდეგ უნდა იყოს მიწერილი, რათა ხელისუფლების მიერ ლექსის დაკავების შემთხვე-

ვაში აეცდინათ რეპრესიები. ე. ი. 1832 წლის შეთქმულებამ და მისმა გამომცლავებამ ჩამოაფარა ფარდა იმ საიდუმლოებსაც, რომელიც ლექსის „აღსდევ გმირთ-გმირთ“ ირგვლივ შეიქმნა და თუ შეთქმულებამდე საიდუმლოდ ინახავდნენ, თუ ვინ იყო ლექსის ნამდვილი ავტორი, მით უმეტეს 1832 წლის შეთქმულების გამომცლავების შემდეგ უფრო საშიში გახდა ავტორის ვინაობის გაშვლა. ბატონიშვილებმა, 1832 წლის შეთქმულების მეთაურებმა, პეტრე

ლარაძემ და სხვებმა სიმატეში წაიტანეს ეს საიდუმლო. თუმცა, ეკვით აველაშვილმა, რომ გოდერძი ფირალიშვილს არ ეუფუნებოდა ლექსი „აღსდევ გმირთ-გმირთ“ (ეხადია, არც სოლომონ ლეონიძესა და არც ფილ. კეკელიძეს ეუფუნების ეს ლექსი), მაგრამ ვერც ნამდვილ ავტორს ასახელებდნენ, ამიტომ იყო, რომ ამ ლექსს ხალხურ ნაწარმოებად სთვლიდნენ და ეს ასეც უნდა დარჩეს, დარჩეს ისე, როგორც მე-19 საუკუნის მოღვაწეებს სწამდათ, რადგან ისინი უფრო ახლო იდგნენ სიმართლესთან.



# უხველრები გამორჩენილ ალაშიანებთან

1

ქართული პოეზიის მშვენიერა გ. ლეონიძე უაღრესად კოლორიტული ფიგურა იყო. მისი შემოქმედების გასაღები, მისი ემოციური სამყაროს შექმნის საშუალება, საშობლოს ცნებაში იყოს თავს პოეტის წარმოდგენა სიყვარულზე.

გ. ლეონიძის ძარღვიანი ლექსებით მომავალ თაობებს შეუძლიათ ნათელი წარმოდგენა იქონიონ ჩვენს დიად ეპოქაზე, საბჭოთა ადამიანების გმირულ ცხოვრებაზე. ამას თვით პოეტიც ვრანობდა:

მწყურია განა მართლა დიდება?  
სიტყვა ვით სუნთქვა, ისე შვირდება,  
მწყურია განა მართლა სახელი?  
არა, — მომავლის გამოქაზილი!

აღმართე ლექსში ქართული დროა  
და ხალხს მივეცი საგალობელი,  
ვიცი, ყოველთვის და ყოველ დრო-ყამს,  
მას ეყოლება თანამგრძობელი.

აი როგორ გამოიქვა ვიარაგი ლეონიძემ და ნათლად გაამყნო თავისი მიზნები და მისწრაფებები.

ლექსი, რომელსაც აქვს მკაფიო იდეური შინაარსი, ცხოვრობს ჭეშმარიტებით, ცოცხალი სახეებით გამოხატავს თავისი ხალხის გრძობას, ფიქრებს, სურვილებს, განწყობილებებს, შრომასა და ზნეობრივ თვისებებს, ერის სულიერი კულტურის მთლიანი ჭაჭვის ერთ-ერთი მთავარი რგოლია. გ. ლეონიძის ლექსი სწორედ ჩვენი სულიერი კულტურის ისეთი შენაშენია, რომელიც ქართველი ხალხის იდეალებს ნათელი მერმისისაყენ წარმართავს და თავისი პოეტური გუნებით მეტაფორის ხალხის ყველაზე საინტერესოცნებებს.

გ. ლეონიძე იყო მშვიდობის დაცვის საბჭოთა

კომიტეტის წევრი. მგოსანმა ამ კომიტეტის სახელით, 1958 წელს ბუქარესტში გააყეთა მოხსენება ქართულ-რუმინული კულტურული ურთიერთობის საკითხებზე, მანვე ანთიმოზ ივერიელის იუბილეზე ბუქარესტში წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ რუმინულ საზოგადოებრიობაზე. პოეტ ა. შენგელიას ცნობით, რომელიც შემდეგ იმყოფებოდა რუმინეთში, გ. ლეონიძის ეს სიტყვა საუფველად დაედო რუმინულ სასკოლო სახელმძღვანელოში ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის ამსახველ მასალას.

გ. ლეონიძე გულისხმიერი, სანიმუშო მეგობარი და ამზანაგი იყო. მასთან საუბრის დროს ბევრს ახალს გაიგებდით და ბევრ რამეზედაც დაფიქრდებოდით. მას ბევრი გულითადი მეგობარი ჰყავდა მოსკოვში, კიევში, შინსკში, ბაქოში, ერევანში და ჩვენი დიდი ქვეყნის სხვა მრავალ ქალაქში. მისი ყველაზე დიდი მეგობარი ნ. ტიხონოვი იყო. გ. ლეონიძემ ნ. ტიხონოვს, ვინც ქართული პოეზია რუს მკითხველთა ფართო საზოგადოებრიობისათვის ხელმისაწვდომი გახადა, მთელი საქართველო შემოატარა. ნ. ტიხონოვმა უდიდესი გულწრფელობით უმღერა საქართველოს და მის ხალხს. „ჩვენ ქართველი პოეტები, — ამბობდა ხოლმე გ. ლეონიძე, — მუდამ ვალში ვიწნებით ამ რუს ავთანდილთან“. მართლაც, ნ. ტიხონოვმა, ხალხთა „სიყვარულის ჯვაროსანმა“ იმდენი რამ გააყეთა ჩვენი კულტურისათვის, რომ ძნელია მისი ღირსეულად შეფასება.

„კაცი თუ კაცია, რა სწელისაც უნდა იყოს“, — ევა ფშველას ეს აფორიზმი საოკრად მოსწონდა გ. ლეონიძეს, ხშირად იმეორებდა მას. ევა-ფშველას პოეზია, — ხშირად უთქვამს გ. ლეონიძეს, — მთლად გრძობა და სულა, მასში მშვენიერი აზრი თუ ჩანაფიქრი გამოხა-

ტული უნივერსიტეტი. ამიტომაც იგი უმნიშვნელოვანეს საგანძურად დარჩება უკუნიხი უკუნიხად. პირდაპირ მე უკუნიხის იმ აზრისა ვიყავი და ვარ, თუ ნაწარმოებში ხალხის ცხოვრება, აღმზარდების ფიქრები, გრძნობები, მისწრაფებები და სურვილები სწორად და მართლად არის გადმოცემული. და თუ, რაც მთავარია, ის ნაწარმოებები შეთანხვებს ანიჭებენ ესთეტიკურ სიამოვნებას, მაშინ დიდიხატზე ლაპარაკი ზედმეტია, საჭმე რომელიმე კუთხურ კოლოკავში კი არ არის, არამედ ნაწარმოებში მისი ბუნებრივი სიკაცობა მოთავსი. აი, სწორად ამის მიაღწია ვეფხვი-გაგაღდა თვის პოეტებში, ეგნატე ნინო-შვილია მოთხრობებსა და რომანებში.

გ. ლეონიძე უაღრესად მგრძობიარე აღმზარდი იყო. ამაში ბევრჯერ დაერწმუნებულვარ.

1958 წელს თურნალ „ციცკისი“ მუშეიდ ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი გ. ლეონიძის პოეზიაზე. კარგა ხნის შემდეგ მწერალთა კავშირში შეხვედა და მანინე ჩემს წერილზე ჩამოიკვდო საუბარი. აი რა მოთხრო მან: „ჩემს შემოქმედებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი პოეზია „სამგორის“ უჭირავს. კრტიკა კი სულში, მის შესახებ არაფერს ამბობს. ის მხოლოდ გიორგი ჭიბლაძეს არ ეხებაო“. საერთოდ, პოეტი ყოველთვის სიყვარულითა და დიდი სიბოძით ლაპარაკობდა ამ შესანიშნავი მეცნიერისა და კრიტიკოსის შესახებ, მაშინვე მიუხედავად, რომ საყვარელი მეც შეხებოდა, რადგან ჩემს წერილში პოეტი „სამგორის“ სხვათა შორის არის ნახსენები.

გ. ლეონიძე თანამედროვე კრიტიკის შესახებ კარგი აზრისა იყო. მთელი არსებით უყვარდა გ. ნატროშვილი, აღტაცებული იყო მისი ნიჭით. შრომისმომყვარობით. „უკვიანი ეკავი, ამასთან არაჩვეულებრივი აღმზარდი“. ხშირად უთქვამს გ. ლეონიძეს, გ. ნატროშვილზე. დიდად აფასებდა მგოსანი ერგშია ქარელიშვილს, სჯეროდა და სწამდა მისი. „პატრიონების ვანსახორებაო“ — ამბობდა ხოლმე ლეონიძე ქარელიშვილზე. აქებდა, ერუდიკოსა და გემოვნებას უწონებდა გიორგი მარგველაშვილს. გ. ლეონიძე, საერთოდ, განსაკუთრებული ყურადღებით იღებებდა თვალს ახალგაზრდა კრიტიკოსებს და მათზე დიდ იმედებს ამყარებდა.

გ. ლეონიძე დიდბუნებოვანი და უაღრესად საზოგადოებრივი აღმზარდი იყო. იგი პიროვნებას აფასებდა თავისი ცხოვრების შინაარსით და არა გარეგნობით. უყვარდა უბრალო და მართალი აღმზარდი, ღრმად განიცდიდა მოძებვის წარმატებას ან მარცხს. საოცრად ეჭაერებოდა უმაღლერი, გულდრძო, პატრიოტყვარე კაცო, სძულდა, ვინც გულგრილად უყურებდა მოყვანის ზედს.

გ. ლეონიძე დიდი მოქალაქე იყო, არასოდეს დაჰყოფებდა უპრეტენზიო, ჩემი, უთანამედრო პოეტის გიორგი ლევაგას საფლავზე წარმოთქმული მისი სიტყვა: „შენი სიკაცობა არ იყო უმინო და უსარგებლო, სიყვდილი საოცრად

ადრე მოგვრია, ამაში ჩვენც მივიტოვეს ბრალო, ვერ მოვარეო, სთანადო ყურადღება ვერ მრეკტყით შენ არ ეკუთვნოდი მათ რეკტყინე, ვინც ამბობს: პიროვნის დმერებებს ვესაუბრებით და მათ უემდერთო. ნათლად წერდი, სათქმელს, აზრს, გრძნობას ვასაგები ენით გამოთქვამდი. ალლი და მოყრმალეული აღმზარდი იყავი და ამით კიდევ უფრო მეტად დაგწყვიტე გული. დასანანი შენი სიყვდილი. ნუგვად „მუხა“ და გვიტოვე ესოდენ მყოფიოდ რომ მეტყველებს შენს ტემშირტ პოეტურ ნიჭზე. ის მეტრე წელილიც კი, რაც შენ მეტრეანე ქართული საპოეტო პოეზიის საგანძურში, უფლებას გვაძლევს ვთქვათ: გიორგი ლევაგა კეთილშობილი პოეტი იყო და მისი სსოვნა მუდამ დიუეიწყარი იქნება. ურჩი პოეტის საფლავზე დიდი პოეტის სიტყვამ საოცრად აგვადლევა, მწუხარება და ტყვილები გავგიორკევა.

გიორგი ლეონიძეს არაჩვეულებრივად უყვარდა ჩვენი ნიჭიერი, შრომისმოყვარე, საზრიანი და წესიერი ახალგაზრდები, უფრთხილდებოდა, ეფერებოდა, ეალერსებოდა მათ, განსაკუთრებულად ზრუნავდა მათზე. მან საოცრად განიცადა ჰაბუცი პოეტის ეახტანგ ნადარევილის გარდაცვალება. კარგად მახსოვს გ. ლეონიძის მიერ უდროოდ გარდაცვლილი პოეტის დაყრმალუვისას წარმოთქმული სიტყვა. ყველაზე იტრანელი უსამართლობა ამ ლამზ და მშვენიერ სამყაროში, — ამბობდა იგი, — სიყვდილია. და როცა წავიციოთხე სიყვდილზე ამხედრებული, ერის საამყყო პოეტის ლექსი მიძღენილი ვახტანგ ნადარევილისსადმი, მასში გამოხატული უხარმზარბი სევა და ჩემთვის უტყბო არ იყო. იგი ხშირად ლაპარაკობდა ამ შესანიშნავი და დიდი მომავლის პოეტის უბედობაზე.

სად ირზეოდა ის ზე ბორტოტი რომ შეგმიზადა ეტბოს ფიკარი? რატომ ძირხივე არ მოსტყდა ტოტი და არ დაემხო დასამიწარი. ნეტავ რად უნდა სიყვდილად პოეტი, ვინა სიყვდილი მღერის ან

გალბოს?  
 ცრემლიან სიტყვით შენთან  
 მოვედი  
 ჩანგო მსხერეულო, დლო  
 ჩამქრალო!

ასე ღრმად განიცადა გ. ლეონიძემ ახალგაზრდა პოეტის სამუდამო გაყრა წუთისოფელთან. გიორგი ლეონიძეს სხვისი ბედნიერება საყუთარ ბედნიერებად მიანდა, მეგობრის ტყვილი საყუთარ ტყვილად — ეს მისი ხასიათის მუდმივი თვისება იყო. ამიტომ იყო იგი დიდი პოეტი და აღმზარდი.

ი. გრიშაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს ბავშვებისათვის

განკეთონილ ნაწარმოებებს. ეს შემთხვევითი როლია, არაერთხელ მომისმენია მისგან, რომ ეინც თავისი ქვეყნის ზღაღინდელ დღეზე ფიჭრობს, მან სერიოზული უტრადლება უნდა მიაქციოს ნორჩი თაობის ზნობრივ აღზრდასო. სწორედ ამით აიხსნება, რომ დიდებული ლირიკოსი და მკვლევარი შესანიშნავი საბავშვო მწერალიც იყო.

ი. გოგებაშვილის აზრით, საბავშვო ლიტერატურა სამ წგუნად უნდა იყოს დაყოფილი: 4—7, 7—10 და 10—13 წლამდე. რაც 12-13 წლის ბავშვს გამოადგება, ის, რასაკვირველია, 6—9 წლის ბავშვისათვის გამოუსადეგარია. ამიტომ ი. გრიშაშვილის გაუმარტულად მიჩინა საბავშვო ლექსების თუ მოთხრობების კრებულებში ასაკობრივი პრინციპის დარღვევა. ხშირია შემთხვევა, როცა წიგნს აწერია: „საბავშვო ლექსები“, „საბავშვო მოთხრობები“ შიგ კი შეაქვთ ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც არ შეეფერება ბავშვის ფსიქიკასო. ი. გრიშაშვილი გადაჭრით მოითხოვდა წიგნზე აღნიშნული ყოფილიყო. თუ რომელი ასაკის ბავშვისათვის არის იგი გათვალისწინებული. ამით ბავშვს სწორ ვერს მთვებო.

საბავშვო მხატვრული ლიტერატურა დიდი მწერლობის ორგანული ნაწილია. მაგრამ მას მაინც აქვს თავისი სპეციფიკა. ზოგიერთის აზრით, საბავშვო ლიტერატურის თავისებურება სინამდვილის ბავშვებისათვის ვასაგებად წარმოსახვა. ი. გრიშაშვილს საბავშვო ლიტერატურის დამახასიათებელ თავისებურებად მართო ეს არ მიჩნდა. ურთულესი მოვლენების ვასაგებად წარმოდგენა ხელოვნების ყველა ეანრს მოეთხოვებაო.

ბავშვს თავისი საკუთარი ფიქრები, საგნის საკუთარი ხედვა და ცხოვრების ზეგარჩონის საკუთარი მანერა აქვს. ამიტომ ნაწარმოები, რომელშიც გადაჭარბებულია არის წარმოდგენილი ბავშვის შეგარჩონისა და ხედვის უნარი, ყალბია. ამგვარი თხზულება ზემოქმედებას ვერ მოახდენს პატარა მკითხველის სულიერ ჩამოყალიბებაზე. ბავშვს ნაწარმოები სასახურს მხოლოდ მაშინ ვაუწყებს, როცა იგი შექმნილია ბავშვის ცხოვრების მიხედვით და დამრიგებლობით. ცნებებით კი არა, არამედ მისი ასაკისათვის დამაერებელი მხატვრული სახეებით და სიტუაციებით აჩვენებს მას კარგ გარჩონებს, ქცევებს. — ასე ესმოდა საბავშვო ლიტერატურის თავისებურება ი. გრიშაშვილს.

ი. გრიშაშვილი დიდ უტრადლებას აქცევდა სათავადასავლო ეანრს. მას ხშირად უთქვამს, რომ ლიტერატურის არც ერთი დარგის მხატვრულ ნაწარმოებს არ შეუძლია ისეთი ეფექტური ზემოქმედება მოახდინოს ახალგაზრდის სულიერ განვითარებაზე, საკუთარი ძალისაღმირწმუნის განმტკიცებაზე, ნებისყოფის გამომუშა-

ვებაზე, როგორც ეს შეუძლია საკუთების და თავანჯარა სათავადასავლო ნაწარმოებებისათვის. რითი არის გამოწვეული ამქმნისისქარტენსკიდი პოპულარობა, ი. გრიშაშვილის ეს ჩინებულად აქვს ახსნილი წერილში — „სათავადასავლო მოთხრობებისათვის“. ამავე წერილში ნათლად ჩანს, თუ რადენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ნაწარმოების იდეურ მხარეს.

ი. გრიშაშვილი მტკიცედ მოითხოვდა ეროვნულ სათავადასავლო ნაწარმოებთა ბიბლიოთეკის შექმნას. ჩვენი ხალხის მდიდარი ცხოვრება და ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ზუნება, — ამბობდა ხოლმე იგი, ამის სრულ შესაძლებლობას იძლევაო. სახალხო პოეტი დიდად აფასებდა სურგო კლდიაშვილის ღვაწლს ამ ეანრში. პროზის ამ დიდოსტატს საოცრად ეებრება ეკრძო და საზოგადოებრივი ყოფილი სურათების ცოცხლად ხატვაო, მისი ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია კონფლიქტების სიმდიდრე და დინამიზმობა; მწერლის სათავადასავლო მოთხრობებიც სწორედ ამ მხრივ გამოირჩევიანო.

საუტრადლება ი. გრიშაშვილის აზრი სათარგმნ ლიტერატურაზე. კარგი თარგმანების გვერდით ხშირად გვხვდება უხეირო თარგმანებო, — ვულისტკივილით აღნიშნავდა ხოლმე იგი მან მწერალთა კავშირის წინაშეც კი დაეანვა საკითხი, რათა ბოლო მოღებოდა უმსგავსოებას თარგმნის საქმეში: აი, წინ მიწევია ეს ამოდენა ნათარგმნი ლიტერატურა და ეფიქრობ ამ ეანრგონით რომელ პროცინციამი ლამაზაკობენ? რა აისს ეს. ქართული მწერლობის ვამახარავებო, თუ რა ღვისი წყრომია ჩვესს თავზე? ასე შეეცრად გაილაშქრა ი. გრიშაშვილმა უხეირო მთარგმნელების წინააღმდეგ.

ი. გრიშაშვილი საოცრად მართალი და გულახდილი კაცი იყო, კარგის დამფასებელი, ცუდის სასტიკი გამოცხველი.

1962 წლის 18 სექტემბერს ი. გრიშაშვილს ბუკინისტურ მღაზიში შეხვედი. მისი თხოვნით ბინაზე ვაუყვი, თავისი მეორე ტომი მისახსოვრა. პოეტის მაგიდიდან შექსპირის მეოთხე ტომი ავიღე და გადავფერცლე. როცა ავტოგრაფი მოათავა, მომიბრუნდა და მოთხრა: ქართული შექსპირიანა არც თუ ისე ლაიბია, მაგრამ ვიგი ვაჩნილამქმ და ვახტანგ კლიჭქმ კოლეუტრო გაამდიდრეს ეროვნული შექსპირიანას საგანძურით, მათი თარგმანები ჩემზე დიდ და სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებსო, სუბრიდან ამჯარად ჩანდა, რომ ი. გრიშაშვილი ვახტანგ კლიჭქსა და ვიგი ვაჩნილამქს დიდ პატივსა სცემდა, აფასებდა მათს ღვაწლსა და შრომას ჩვენი კულტურის საკეთილდღეოდ.

იმ დღეს ჩემი უტრადლება მიქცია მეორე წიგნშიც. ეს ვახლდათ ვერმანელი ხალხური ლიტერატურის ბრწყინვალე ძეგლი „მოდლობერგერათა თავადასავლო“ („ნავადლო“, 1960 წ.).

აი, რა მოხრა მან ამ წიგნის შესახებ: „ეხატანტ ქოჩორაქმე კარგი საქმე გააკეთა, „შოლდნიერ-გერთა თავჯადასავალი რომ თარგმნაო, ამ წიგ-ნის ზოგიერთი თავი განსაკუთრებით მომწონ-სო“ და დასახელა რამდენიმე მათგანი: „რო-გორ წაიქდა შოლდელი მამასახლისი აბანოში“, „როგორ უყიდა მამასახლისმა თავის ცილს ახალი ქურჭი“. „როგორ წაიქდა მამასახლისის ცილი თავისი ახალი ქურჭით ეკლესიაში“.

დ. გრიშაშვილთან 1939 წლიდან ვიყავი დახ-ლოებული და ზემოთს განსაზღვბი იყო, თუ რა-ტემი მოსწონდა მას წიგნის ეს ნაწილი ასე სა-ვანებოდ. ამ თავებში სასაუკლოდ გამოიყოფება ახალდაწინაურებული შოლდელი მამასახლისი, შესანიშნავად არის მხილებული ფილისტერული შეზღუდულობა. განდიდების მანიით შეპყრო-ბილი ადამიანები. ხოლო გრიშაშვილს საოცრად ექაჩებოდა ასეთი ადამიანები და მას სიხარულს ვერობდა, წიგნში ასე კარგად რომ არიან ისინი მხილებულნი. იმ დღეს ზემოთის კიდევ ერთ-ხელ ნათელი ვახდა, რომ დ. გრიშაშვილი დიდი ერთუდიციის, დიდად განათლებული ადამიანი იყო. სამწუხაროდ, ისიც ეივარქენი, რომ პოეტუ უკვე განგატეხილი იყო. სამი წლის შემდეგ დ. გრიშაშვილი გარდაიცვალა.

3

ორმოციოდე წლის წინათ გაზეთ „კომუნის-ტის“ რედაქციამ ეურნალისტების ერთი ჯგუფი მივავლინა აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც იმ ხანად მიმდინარეობდა სამხედრო შენაერთე-ბის ტაქტიკური მეცადინეობა. ჩვენი ამოცანა იყო ამ მეცადინეობის მსვლელობის გაშუქება. ამჟებ მიზნით იქ ჩამოვიდნენ ამიერკავკასიის დეპუტათა სააგენტოს მუშაკი ა. ანდლეროვი და „ახალგაზრდა კომუნისტრად“ — ალიო ადამია. მგორე დღეს ყველას ქარსიკაცის ფორმა გვეცეა.

მაღე დამთავრდა ჩვენი მისიაც. მატარებლით თბილისისაკენ გამოვიმგზავრეთ, როგორც კი ვა-გონში შევდგა, თვალი მოვკარი ჩემი სკოლის მეგობრის მამას, დეაწლმოსილ პედაგოგს რადღენ გამსახურდას (იგი რეკოლუციამდგ მასწავლებ-ლოდა ძველი სენაყის სკოლაში, სადაც აღიზარ-დნენ გამოჩენილი მეცნიერები არნოლდ ჩიქო-ბავა, სიმონ ჯანაშია, ვარალა თოფურია, პეტრე ქავთარაძე, იოსებ ბედავა, ელადიმერ ნებრაქი-ძე, მწერალი კონსტანტინე გამსახურდია). მაშინ-ვე მასთან მივედი. ხელი გადამხვია, თავის კუ-პეში წაიხეცა და ჩემი თავი წარუდგინა დეო ქიაჩელსა და ალექსანდრე აბაშელს: ვთ-ყობთ ჩემი თორნიცს (თ. გამსახურდია ამჟამად, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტია) მე-გობარია, ახალგაზრდა ეურნალისტი. მეტე მე მომიბატუნდა და მიიხრა: შენ აღბათ ორივეს იცნობო. რა თქმა უნდა, ვიცნობდი, მაგრამ მხო-ლოდ შორიდან და ახლა, როცა ისინი პირადად

გავიცანი, თავს ბედნიერად ვთვლიდი. მეც მათ-თან მივთავსდი.

აბაშელმა ქიაჩელს სთხოვა განეტყობინა თავისი თავჯადასავლის მოყოლა. დეომ თხოვნა შეუს-რულა: დავაწვიე თუ არა თავი ქუთაისის ციხეს, თქვა მან, ჩემმა რადენმა (ქიაჩელმა ხელი გა-დახვია რადენს გამსახურდას) და სხვა ამხანა-გებმა მიშოვეს საიმედო პასპორტი და გამამგ-ზავრეს (1907 წ. ე. გ.) მოსკოვში. რამდენიმე ხნის შემდეგ მოსკოვიდან წავედი ეენევაში, სა-დაც კარგა ხანს დავყავი. მოსკოვისა და ეენევის პერიოდს ჩემთვის დავიწყარია, იქ შევხვდი ის-ეთ დიდ ადამიანებს, რომლებმაც ჩემზე წარუშ-ლელი შთაბეჭდილება მოახდინეს, ვხა გამიან-თეს, შქონდა რომანტიკული გატაცებებიც, რაც თქვენ ახლა ყველაზე მეტად ვაინტერესებთ...

ყველანი სულგანაბელი ვესმენდიო. საოცრად ვუღე დამწუხდა, როცა კონდუქტორმა გიორწყა, მოეშაადეთ, შემდეგი სადგური თბილისიაო.

გავიდა დრო, 1939 წელს რუსთაველის პროს-პექტზე აღიო ადამიას შევხვდი; მთხოვა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტისათვის“ წერილი დამე-წერა დეო ქიაჩელის „გვაღბი ბევგევა“. სიაშო-ვნებით დავთანხმდი. სამწუხაროდ, წერილში რო-მანის ერთ-ერთი პერსონაჟის გვაბი დამახინჩე-ბულად დაიბეჭდა, რაც დიდად სწყენოდა ქია-ჩელს და ადამიასათვის ეთხოვა წერილის ავტორი გამაქციაო. ეს დღეც დადგა, როგორც კი ლოკმ შეპომხვდა, მაშინვე მიცნო და მიიხრა: „ახ, ეს შენ ხარ, რადენის შვილობილი? მამ მიპატე-ბია ჩემი ვიძრის გვარის დამახინჩება“. საყუ-არე მწერალს მოვუბოდიშე, თუმცა ამ შეცდო-მამი პირადად მე ბრალი არ მიმიძღვოდა. ამის შემდეგ ქიაჩელს დავუახლოვდი, ზნორად ვხვდე-ბოდი. იგი ძალზე შორიდებულ ადამიანი იყო, თავს უხეჩხულად გრამობდა, როცა საქებაარ სიტყვას ისმენდა, ან წერილს წაიკითხავდა ხოლ-მე თავისი ნაწარმოების შესახებ.

ერთხელ დეო ქიაჩელს დაბადების დღის აღ-სანიშნავად ფილარმონიის ბალში მწერალთა ერთმა ჯგუფმა ბანკეტი გაუშარათა. ფაქტიურად ეს იყო ლიტერატურული საღამო, სადაც ფარ-თოდ აღინიშნა ქიაჩელის დამსახურება მშობლი-ური ლიტერატურის განვითარების საქმეში. შეხვედრის მონაწილენი ახასიათებდნენ მას, როგორც მასწავლებელს, მეგობარს და უფროს ამხანაგს, ამბობდნენ, რომ მისი ცხოვრება ლამა-ზია, ნათელია, მომიბეღელოც არის და მშვენი-ერიც, მისი მოღვაწეობა კი — სანამუშაო.

დეო ქიაჩელი საოცრად დელადა, როცა ის-მენდა მეგობარი მწერლების გულბოლი სიტყ-ვეებს. არ შემოდიოთ ვაღმოიკეთე მისი ბაეშეური სიხარული, ცრემლებს ვერ იკავებდა, როცა ავი-შალენით, ამ შეხვედრის ინიციატორმა ალექსან-დრე გომიაშვილმა შეინიშნა: დეო ქიაჩელის დი-დი ხნის მეგობარი ვარ და ასე მოლხენილი კარ-გახანია არ მინახავსო.

ლეო ქიაჩელიის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე გამოქვეყნდა „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოსცა ჩემი მონოგრაფიული ხასიათის ნარკვევი — „ლეო ქიაჩელი“, გამოცემის დირექტორს რევაზ მარგიას წიგნის პირველი ეგზემპლარი ქიაჩელისათვის შინ გავუგზავნა. ასე რომ, როცა მე და ალექო შენგელია ვესტუმრებთ, მწერალს ბროშურა უკვე წაითხული ჰქონდა. ყველაფერი რიგზეა მასში, — თქვა, — მაგრამ ერთი პატარა საყვედური მაინც უნდა გითხრა, არაფერს ამბობ „დათხაზუ“, ხოლო ეს მოთხრობა ძალიან მიყვარსო. მადლობელი ვარ ამირან ვახუცაძისის, ცალკე წიგნად გამოსცა იგი და ასე მასიათქვანო.

მალე წაიხვედით, რადგან ლეოს დაღლილობა შევტყუებო.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი სტუმრობა განუყოფელ მწერალთან, რომლის სახელს არასოდეს დავიწყებებს ჩვენი ხალხი.

4.

1952 წლის ზაფხულში ნინო ნაკაშიძე, ქვიშხეთის მწერალთა შემოქმედებით სახლში ისვენებდა. ისვენებდა კი? დღე ისე არ გავიდოდა, პირნერთა პანკაში სიტყობა არ მიეწილა. თუ სადმე მიწვეული არ იყო, ქვიშხეთი ბავშვები ხომ მასთან იყვნენ. ეხვეოდნენ, ეაღერებოდნენ საყვარელ დეიდა ნინოს, თანაც ათას რამეს ეკითხებოდნენ. მწერალი ისეთი გატაცებით ესაუბრებოდა თავის ნორან მკითხველებს, რომ ჩვენ, დიდებიც სულგანაბლნი ვუსმენდით მას.

აქ მინდა ვაეხსენო იმ ზაფხულს ქვიშხეთში გამართული ნინო ნაკაშიძის ერთ-ერთი ლიტერატურული საღამო. მასში მონაწილეობას იღებდნენ მიხეილ შრეველიშვილი, ნიკა აგიაშვილი, ალექო შენგელია და ამ სტრუქტურების ავტორი. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მიხეილ შრეველიშვილმა. აი რაც გამახსენდა ამ სიტყვიდან: „ნინო ნაკაშიძის სახელთან დაკავშირებულია ქართული საბავშვო მწერლობის ისტორია მე-20 საუკუნის შიგლი პირველი ნახევრის მანძილზე. ნინო ნაკაშიძის ლიტერატურული მოღვაწეობა ლექსით იწყება. მის პირველ პოეტურ ნაწარმოებს, „კვალში“ რომ დაიბეჭდა 1902 წელს, „იმედო“ ეწოდება. მაგრამ შემდეგ იგი აქვეყნებს მძაფრ სოციალურ კონტრასტებზე აგებულ მოთხრობების მთელ სერიას. ამ მოთხრობებში ნათლად არის ასახული ცხოვრების სიდუხჭირე და იმდროისათვის დამახასიათებელი უკუღმართობა... შეიკვალა დრო, მწერლის თემატიკაშიც არსებითი ცვლილება მოხდა. თუ წინათ იგი მუქ საღებავებს მიმართავდა, ახლა მისთვის ეს საღებავები უცხოა... ნინო ნაკაშიძე მომოკდებოდა წელზე მტრია უანგაროდ ემსახურება ქართულ საბავშვო ლიტერატურას, დღია მისი ღვა-

წლი მომავალი თაობის ეთიკურტ მკვლევარებში რი აღზრდის საქმეში“. შემდეგ მწერალი წამოიჭრა ლზე გამბორა მსოფიან მწერალს. თეატრებში ანბა ნინო ნაკაშიძემ მას შეუბღუ აკოცა. დამსწრეებმა მსურველთა ოცაიეთი გამოხატეს თავიანთი აღფრთოვანება..

ალექო შენგელიას სოხოვეს ლექსი წაეითხა. მაგრამ მან არჩია მოკლე სიტყვით მიეშართა საყვარელ მწერლისათვის. „როგორც ცნობილია, ბავშვობიდანვე შეუყარბებული ნაწარმოები საბარის კარამდე საყვარელ ნაწარმოებად რჩება, — თქვა მან, — ჩემს სულს დღესაც ათრთოლებს და აფრთიქებს დღემ შეგარელის მე პატარა ქართული ვაჟ“. ვიორბე ჰელოდიდელის „მოგონება“ („მასხოვის პირველად ასრულებულიში“), ნიკო ლომოურის „ყინვა და პატარა მოწვევა“... ნინო ნაკაშიძის „საწყალი ლეანი“ დიდი ხნის წინათ წაეითხებ, მაგრამ მისი შინაარსი დღესაც კარგად მახსოვს. პატარა ლევანის უბედობას, სულიერ ტანჯვას დღემდე ღრმად განვიცდი და მისი ხედვებისათობა გულს მიელავს. მხატვრული ნაწარმოების ღირსება და ძალა სწორედ ეს არის“.

პიონერებისა და მასწავლებლების მისალმებოთა შემდეგ ნინო ნაკაშიძემ დამსწრე საზოგადოებას გულთბილი შეხვედრისათვის მადლობა მოახსენა და თაღის სიტყვაში აღნიშნა:

„ბავშვის აღზრდაში მთავარია მშობელი, დედა-უფითარებს ბავშვის ზნეობრივ ინსტრუქტს. ოთხი წლის ასაკიდან ლექსი უზარმაზარ ადგილს იჭერს ბავშვის აღზრდის პროცესში. ამ ადგილს თანდათანობით ავსებს მოთხრობა. ერთი სიტყვით, საბავშვო მხატვრული ლიტერატურა ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს ბავშვის ხასიათის ჩამოყალიბებაში. ეს გარემოება კი დიდ პასუხისმგებლობას გვაყენებს ჩვენ, ვინც ბავშვებზე და ბავშვებისათვის ვწერთ. ბავშვის ხედვა და შეგარმნობი მტკაღ თვისებურია. აქ მხედველობაში მავს ასაკი...“.

შემდეგ მან ბავშვებს მიმართა: უნდა წაეითხოთ მოლოდ და მხოლოდ ისეთი წიგნი, რომელიც თქვენს ასაკს შეეფერება, ნუ დაარღვევთ ამ წესს, თორბე ნაბრბეად მოხუცდებით, თავისებურად, მომზობლავად გაიღმა მწერალმა, — უზომოდ უნდა გიყვარდეთ სამშობლო, შრომა, ბუნება, მეგობრები. თქვენ ჩვენი საიმედო მომავალი ხართ“.

ნ. ნაკაშიძემ ამ საღამოზე ბევრი რამ საუკულისხმო თქვა. ყველანი ყურადღებით ვისმენდით მის უაღრესად შინაარსიან სიტყვას.

ბილისში ნინო ნაკაშიძის ხშირი სტუმარი ვიყავი, მისი საღებრის საგანი ყოველთვის საბავშვო ლიტერატურა იყო. საოცრად უზაროდა, როცა რომელიმე პოეტის კარგ საბავშვო ლექსს წაეითხავდა ან ეურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ საბავშვო მოთხრობა მოეწონებოდა განსაკუთრებით აინტერესებდა ზღაპარი, ამ

ქანს დიდ ურადლებას აქცევდა. სწამდა მხოლოდ რეალისტური ზღაპარი. მას ზემოთის არაერთხელ უთქვამს: „ზღაპარმა ბავშვი კი არ უნდა შეაშინოს, არამედ ხელი უნდა შეუწყო საღი ფანტაზიის გაღრმავებაში. ცოდნის შეგენაში, განვითარებაში პირიპირისაა გაფართოებაში. ისეთი ზღაპრის წინააღმდეგი ვარ, რომელიც მოკლებულია ცხოვრების სიმართლეს, მეცნიერულ კვლევებშია.“

წინა ნაკაშიძის ზღაპრები მაღალმატერული ლირსებებით გამოირჩევიან, ისინი ქმედით გავლენას ახდენენ ნორმალურ ადამიანებზე. ლიტერატურული ზღაპრის განვითარებაში მას წამდებლად დიდი დამსახურება მიუძღვის.

მწერალი ქალი თანამოკალმეებისაგან ფსიქოლოგიისა და პედაგოგიის საფუძვლად ცოდნის მოითხოვდა. რამდენადღე განათლებულია შენობა, — ამბობდა იგი, — იმდენად დახვეწილია მისი გემოვნება.

წ. ნაკაშიძე მოხიბლული იყო ი. გრიშაშვილის ამდრებული საბავშვო ლექსებით. მელოდიურობა საბავშვო ლექსების წარმატების აუცილებელი პირობაა, ამბობდა ხოლმე წინა. იგი დიდად აფასებდა ანა ხახტაშვილს. მისი სახით, ხშირად უთქვამს მას, — ქართულ საბავშვო პროზას ბრწყინვალე ოსტატი ჰყავსო. და მართლაც, ანა ხახტაშვილის მოთხრობები შესანიშნავი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ კლარობით და ბატონაა ქართული ენა.

წ. ნაკაშიძე მაღლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული ამირან ვახტანგის მიმართ. თუ საშუალება მომეცა დამემთავრებინა ჩემი მოგონებანი საბავშვო ქუჩაზე „ნაკადლის“ ირვულად და ცალკე წიგნად გამომეცა იგი, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ კეთილშობილ და საოცრად გულსხმიერ ადამიანსო — მოთხრა მან. მართლაც, ამირან ვახტანგის, რომელიც იმ ხანად საბავშვო გამომცემლობის დირექტორი იყო, წინა ნაკაშიძეს ყოველმხრივ უწყობდა ხელს შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებაში.

5.

1944 წლის შემოდგომის დამდეგს საქართველოს სსრ სახალხო კომისარია საბჭოს დასახლების სამმართველომ კარლო კალაძე, ვიქტორ გაბესკირია, ერეკლე ქარელიშვილი და მე მესხეთში მიგვევლინა ლიტერატურული საღამოების ჩასატარებლად. იქ თითქმის ერთი თვე დავიყავით. ამ ხნის განმავლობაში უფრო მჭიდროდ და მეგობრულად დავუახლოვდი ვიქტორ ვახტანგისად.

ვ. ვახტანგის მომართობა, დიქცია, საერთოდ, ქცევა იმდენად თავისებური იყო, რომ ვინც მას ახლოს არ იცნობდა, მანერტულად მოეჩვენებოდა. სინამდვილეში კი იგი ძალზე სადა, სათ-

ნო ადამიანი იყო. მისი მოქმედება, საერთო შვეიდი ტონი, მიმიკა, თვით მისი მწიგნობარობა იყო და არა პოეზია. მისი უაღრესი მწიგნობარობა პულბოვად პოეტის მუდმივი თვისება გახლდათ.

ვიქტორ ვახტანგისა, ეს უაღრესად პუნქტუალური ადამიანი, — როგორც ხშირად უთქვამს მის გულითად მეგობარს, პოეტ ბონდო ეშვილავს, — ვერ იტანდა უხეშობას, წერტილმანობას. საზოგადოებისაგან გაქცევის, არაქანსალი ქცევების გამოვლინებას, ეს თვისებები ბუნებრივად გადასულია მის პოეზიაში, ესოდენ ღრმად რომ გამოხატავს ჩვენი დროის დიად იდეებს და პატრიოტულ სულისკვეთებას. ზედმეტი არ იქნება იქვე გაიხსენოთ მისი თვალსაზრისი პოეზიის არსზე: „ამ ბოლო წლებში, მოთხრა მან ვარდ-ცვლებამდე ერთი თვით ადრე, — ქართული ლიტერატურაში მოვიდა ახალი თაობა. რომელმაც თან მოიტანა საკუთარი ფიქრები და სიხარული, საკუთარი თემები და ჰმა. ეს, რასაკვირველია, უაღრესად სასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ მუდამ უნდა ვაზრდოდეს, რომ მარტო ნიჭიერება არ იქნება წარმატების ვადაშეწყვეტი პირობა — საჭიროა ცხოვრების ღრმა ცოდნა, ხალხის ინტერესებით სუნთქვა.“

ვერავითარი ტექნიციზმი, ფორმის ორიენტილობა საქმეს ვერ უშველის. ცალკეული სუსტი ნაწარმოებები დიდ შფერულბსაც მოეპოვებათ, მხატვრულად მდარე ლექსი თუ მოთხრობა შეიძლება ახალგაზრდა ავტორებსაც ჰქონდეთ. აქ საგანგაშო არაფერია, მათ ხომ გამოცდილება აქლიათ. უფროსი თაობის შფერულებს წმინდა ეალი ჩვენი ნიჭიერ ახალგაზრდობას დაეხმაროს დახლებუნებაში, გაუზიარონ გამოცდილება. სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება. თითქმის არაფერი იწერება ოსტატობის, ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხებზე, მხატვრული სტილის თაობაზე. საჭიროა კი ამ თემებზე ვესაუბროთ ახალგაზრდა მწერლებს.“

ვიქტორ ვახტანგისა დიდ ინტერესს ამკლავებდა თეთრი ლექსის მიმართ. თუ ვერ კიდევ ორი-სამი წლის წინათ, — მოთხრა მან 1963 წლის მიწერულში, — ვაისმოდა იმის დამამტკიცებელი ხმები, რომ თეთრი ლექსი ვერ გვშენება ქართულ ლექსთა წყობის ტრადიციას, ახლა უკვე მივეჩვიეთ მას. ხოლო პოეტ გიორგი შატერაშვილის „ზაფხულის დამის ქრონიკა“ სვესებით გააბათილა ადრინდელი მტკიცებანი, მასში მკაფიოდ გამოვლინდა თეთრი ლექსის პოტენციალი. მე ეტვი შეშვებარა, ეს ნათქვამი ისე ხომ არ უნდა გავიგოთ. თითქოს თანამედროვე პოეზია თეთრი ლექსის გზით უნდა წავიდეს, თითქოს ლექსის კლასიკური ფორმა მოძველებული იყოს-შეთქი. პირიქით, — მიხასუხა მან, — კლასიკური ფორმა თანამედროვე პოეზიის ძირითად ფორმად რჩება, მაგრამ თეთრი ლექსის საერთოდ უარყოფაც არ მიმანინა მართებულად. შექსპირის ი.

მანაბლსეულმა თარგმანებმა, რომელსაც ქართული ენის არც პლასტიკურობა და არც სიღბო აქვია, დაამტკიცეს, რომ თეთრი ლექსი ქართულ პოეტურ მეტყველებისათვის უცხო არ არის. აქვე გაიხსენა ი. გრიშაშვილის ნათქვამი: „როცა მანაბლის თარგმანებს ვკითხვლობთ, ისეთი შთაბეჭდილება გვჩნება, თითქოს ქართულად მოლაპარაკე შექსპირი იდგეს ჩვენს წინაშე“.

ვიქტორ გაბესკირიას ღრმად სწამდა, რომ გალაციონ ტაბიჭემ კიდევ ერთხელ, ყველაზე ლაკონურად დაამტკიცა ცნობილი ჰუმბარტეზა, რომ სიყვარული არის სამყაროს მამოძრავებელი და მაცოცხლებელი ძალა, რომ სიყვარული აძიულებს ბუნებას აყვავდეს, ფერები ააციმციმოს, იმდეროს მომზიბელელად:

უსიყვარულოდ  
შე არ სუფევს ცის კაზარაზე,  
სიო არ დაქრის, ტყე არ კრთება  
სასიხარულოდ...  
უსიყვარულოდ არ არსებობს  
არც სიღამაზე,  
არც ფაქდავება არ არსებობს  
უსიყვარულოდ.

დიდი პოეტის ამ სტრიქონებს საოცარი პათოსით წარმოსთქვამდა ვ. გაბესკირია.

ცნობილია რომ ვიქტორ გაბესკირიას შემოქმედება მარტო ლირიკით არ განისაზღვრება. იგი წერდა პოემებს, პიესებსა და კრიტიკულ წერილებს, რომლებიც უფრო ნათლად პვეენ მას, როგორც საზოგადოების ადამიანს და დაწვეწვილი გემოვნების შემოქმედს. მისჯან არაერთხელ მსმენია: ვისაც კი კალმისთვის მოგვიკიდია ხელი, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მოქალაქეობას მოყლებული მწერლის ნიჭი მაინცდამაინც პატივისცემას არ იმსახურებს, ხალხს ყოველთვის ის ხიზლავდა და ატყვევებდა, როცა მხატვარში დიდ მოქალაქეს შეიცნობდა. მწერლის მოქალაქეობის დასადგენად, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რას ქადაგებს მწერალი თავის შემოქმედებაში, როგორი მორალის ავამიანებს ეტრფის, რა ახარებს და რა უქლავს გულს.

ვიქტორ გაბესკირიას ახარებდა ჩვენი ცხოვრების წინსვლა და გმირული გამარჯვებები შრომისა და ბრძოლაში, გულს უქლავდა ზოგიერთთა პატივმოყვარეობა და ეგოიზმი, უსაქმურობა და სათაყლო საქმენი. იგი ეტრფოდა ევთილი ნების ადამიანებს: და მთელი არსებით უმღეროდა ხალხთა ამობას — ამ უმწინდესსა და ჰუმბარტ გრძნობას. რამდენადღაც ღრმა პირონებაში ეს გრძნობა, იმდენად დიდა მისი ადამიანური ღირსებაო, — ამბობდა ხოლმე იგი. ვიქტორ გაბესკირია იყო უაღრესად კეთილ-

შობილი, უზომოდ მოყრბალეული პიროვნება, ამ უაღრესად ემოციური ადამიანის მინმა ფაროთ ვინებრივი პირიზონტის მწერლის მდგა.

მეამაყება, რომ მოსე გოგიბერიძის სტუდენტო ვიყავი. იმ დროს ჩვენი პროფესორთა შორის იგი ყველაზე ახალგაზრდა იყო, მაგრამ სტუდენტებში საოცრად დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა. ეს უდიდესი ერუდიციის ადამიანი ამავე დროს იშუათად გულისხმეირი და კეთილი პიროვნება იყო. მასაც უყვარდა სტუდენტები და ყველას მზრუნველობით ეკიდებოდა. ამიტომაც მთელი შეგნებით პატივს ეცემოდა და მუდამ სხარულით ეეგებებოდათ მას.

მოსე გოგიბერიძის აუდიტორია ყოველთვის საესე იყო. მას რაღაც ყველასაგან განსხვავებული სითბო ჰქონდა, აუდიტორიაში შემოსვლისთანავე თითოეულთან ცოცხალ კონტაქტს აყარებდა, ლექციას რომ გათავებდა, სტუდენტებში გაერეოდა და ახლობლურად ემასლათებოდა, ყველა სტუდენტის სახელი იყოდა და თითქოს თანატოლივით მიმართავდა. მაგრამ ჩვენ ისეთი დიდი პატივისცემით ვიყავით მისდამი გამსქვალული, რომ რამდენადაც უფრო აბლო მოდიოდა ჩვენთან და გვიმინაურდებოდა, იმდენად მტერი მოწიწებით ვეპურობოდით, გვაყვარდა და მორიდებულნი ვიყავით. ყოველი მისი ლექცია ჩვენი ხანგრძლივი საუბრის თემა იყო, რადგან მოხიბლული ვიყავით ასალი ფაქტებითა და თამაში აზრებით.

ეს დიდი მასწავლებელი თავისი სასაუბრო კოლოთიე ვეხიზლავდა. დიდად განსწავლული, ფართო ეერობული განათლების ადამიანი გვაოცებდა თავისი გურული აქცენტით. ეს მისი პიროვნების უაღრესად დამახასიათებელი შტრიხი იყო, გერული კოლოს ვარემე, შეუძლებელია მისი გახსენება.

სტუდენტებს ასე გვიყვარდა მოსე გოგიბერიძე, რომ მუდამ ეცდილობდით რითიმე გამოგვეხატა მისდამი ჩვენი ეს დამოკიდებულება და აი, მეც მომეცა ერთი ასეთი შემთხვევა. იმ ხანად გამოქვეყნდა მოსე გოგიბერიძის დიდი ერუდიციით, საგნის ღრმა ცოდნით დაწერილი მონუმენტური ნაშრომი „ლუნიჩი როგორც ფილოსოფოსი“. მე, ვლადიმერ მგალობლიშვილთან ერთად, ამ ნაშრომზე დაეწერე საკმაოდ ვრცელი სტატია და მივიტანე ეურნალ „ახალგაზრდა ბოლშევიკში“. მაშინ აღნიშნული ეურნალის რედაქტორის მოადგილე იყო ერემია ქარელიშვილი. მან წერილი უმაღლე წაიკითხა, ჩვენს თვალწინ გამაზდა დასაბეჭდად და სტამბაში გავგზავნა. გულის ფანცქალით ველოდით ეურნალის მორიგი ნომრის გამოსვლას, ველავ-

დით, არავის ვუმხედლოთ, განსაკუთრებით პროფესორს ვერძალეოდით, დამნაშავესავეთ ვერიდებოდით, არ ვიცოდით, როგორ შეხედებოდა ჩვენს თამბაქოსს, საყვედურს ვვეტყუოდა თუ კმაყოფილი დარჩებოდა.

ეურნალი გამოვიდა (1930 წ. № 4). ვიხილეთ ჩვენი პირველი დაბეჭდილი წერილი და ძალიან გაგვიხარდა, მაგრამ ახლა პროფესორის აზრს ველოდით. წერილს ინიციალებს ვაწერდით, მაგრამ მოსე გოგიბერიძეს ვაგვკო, რომ სტატიის ავტორები მისი სტუდენტები იყვნენ და იმ, როცა ლემკიაზე მოვიდა და ზელში ეურნალი „ახალ-ვაზრდა ბოლშევიკი“ დავეხატეთ, შევეცბით, თვალბში ვვინდოდა ამოგვეკითხა, უხაროდა რამე თუ სწყინდა მან ლემკია ჩვეულებრივად დაიწყობოლოს, როცა ლემკია დამთავრა, ჩვეულებრივად სტუდენტებში ვაერია, ჩვენ მოგვიხმო, გულითადად გამოგვესაუბრა, კმაყოფილება გამოთქვა, რომ ასეთ დაინტერესებას ვინჩენდით მის შრომაში აღძრული საკითხებისადმი. დავეარივა, ზოგი რამ ავეიხსნა, განგვიმარტა და

წაგვათამაშა, რომ კალმისათვის ზელი აღძრ შეგვეშეა, თანაც დასძინა: თვეენ დიდნამ ზელში ერთ ხანაში ცხოვრობთ, უნდა ჭამარბოთ მისი დიდი ამაგი, რასაც პარტია და მთავრობა თვეენ-დამი, ახალვაზრდებისადმი იხენსო. აქვე მინდა ვავიხსენო უნივერსიტეტში გამართული ერთ-ერთი დისკუტრი, სადაც მოსე გოგიბერიძემ თქვა: „საბჭოთა ზელისუფლება მშრომელი მასების ზელისუფლებაა და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მთავარი მონაპოვარი ისაა, რომ უბრალო ადამიანების შვილები მასიურად მოდიან შეცნიერებაში, ზელოვნებაში, ლიტერატურაში. სულ მალე არსებითად შეიცვლება ჩვენი ინტელიგენციის სოციალური სახე. ეს არის ერთი ვველაზე სასიხარულო მოვლენა სხვა სასიხარულო მოვლენათა შორის“.

მოსე გოგიბერიძე მთელი არსებით ნამდვილად თანაშედროვე ადამიანი იყო, მან ჩვენი თაობის სტუდენტების ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დტყოა.

მ. ლეონიძე

## სურათი გაქარბიება

ქვე კიდევ ბავშვობისას, მოწინავეობის პირველ წლებში, როდესაც მთავარ როლებს ასრულებდა დრამატული წრის დადგმებში, იგი აინციფრებდა მაყურებელს სცენური თამაშის მთლიანი განცდით, შესასრულებელი როლის ხალისიანი ვატაციებით, ბავშვური გრძნობების აფეთქებით კი აბა, სცენური ამოცანის სწორი გაგებით (ყოველ შემთხვევაში მახვილი ინტუიციით).

იმთავითვე შეღავნებულია მისი ნიჭის მრავალფეროვნება. იგი კარგად გრძნობდა დრამასაც და კომედიასაც. ამასთანავე, მისთვის სულაერთი იყო, რაც უნდა ეთამაშნა, ოღონდ კი ეთამაშნა, ოღონდ დაეკმაყოფილებინა სცენაზე გამოჩენის მწვავე მოთხოვნილება (შესაძლოა — მისწრაფება, რათა ყოფილიყო სხვა, ეცხოვრა სხვად). იგი ინტუიციით ეხმარებოდა სცენური მოქმედების სიხესა და ენარს, ძალზე მგრძნობიერი იყო და აღაფრთოვანებდა მგრძნობიარეებს პიესა „კოტეხ დანაშაულში“ ამაღლებული როლის შესრულებით. ეს იყო როლი დარბივ ოქახიდან გამოსული ბიჭისა, რომელიც მპარავს ფულს თავის ღედას, რათა ვადაარჩინოს ღარიბი მოსწავლე, რომელსაც უფულობის გამო სასწავლებლიდან გარიცხვა მოეღოს. ქურდობა მცირეწლოვან მოსამსახურე ვოლონას დააბრალეს, და ჩვენმა გმირმა ველარ გაძლო მორალურ ტანჯვას — აღიარა დანაშაული, რითაც ააცრემლა სცენური მშობლებიც და აღეღებელი მაყურებლებიც.

შეგრამ, როგორ ხარხარებდა მაყურებელთა დარბაზში, როდესაც სურგო ზაქარიაძე ასეთივე ვატაციებით ასახიერებდა უხეირო ვიმანახისტს „ვადაჭირლ მუხამს“, შეტადრე მამინ, როცა ძლივსძლივობით ახერხებდა ლექსის ბოლომდე

კითხვას, ყოველთვის ავიწყლებოდა რა ერთსა და იმავე ადგილზე.

რომანტიკული სიზმამციით იყო აღსული მისი გმირი — მეფის ვაჟი, პოპულარულ ზღაპარ „სინათლში“, — პირობის თანახმად რომ წილად ხედა თვით სატანას, მაგრამ გაბედულად დაამსხვრია მიედღრის ყოველგვარი მზაკერობა და თინი, რათა ბოლოს და ბოლოს სამონელო საფრთხისაგან გადაეარჩინა თავისი მშობლები და საყვარელი სამშობლო. სწორედ აქ, ამ დადგმაში, შეხედა სერგო ზაქარიაძე უმანგი მხეიძეს, მომავალ დიდ მსახიობს, შემდგომში თავის უფროს შეგობარსა და მჭარველს...

ეს მრავალფეროვნება, ისე როგორც გულმოდგინება მუშაობაში, შემსრულებლობაში, ბავშვობის წლებიდანვე ხდება სერგო ზაქარიაძის არტისტული ბუნების თვისება. ზერეულ თვალის გადავლებიასა შეიძლება მოკვეჩენის, რომ მსახიობს არ ძალუძს მიხედეს თავის იმბლუას, განსაზღვროს საყუთარი მიმართულება ზელოვნებაში, რომ იგი ან ქვეყმაცდება და იბნევა ხასიათის სისუსტის გამო, ანდა აღწევს წარმატებას — რაღაც უნდა დაუქდეს, რაც არ უნდა მოხდეს. ასეც ხდება... მაგრამ აქ ჩვენ საქმე გვექონდა ნამდვილი ნიჭის მრავალბანიანობასთან, რომელსაც ემატებოდა თავისი საქმიოტ ქეშმარიტი ვატაცება ცოლვა გამხელილი სჯობს: ახალგაზრდობაში მისთვის არც ის იყო უცხო, რასაც დიდებისმოყვარელობა და თავმომწონეობა ჰქვია, ყოველთვის ამაჩიოტ რომ არ ყოფილიყო თეატრისაღში თეადედებული ერთვულება, ზელოვნების სწორედ იკელტი, რომელმაც ათქმევიანა დიდ მსახიობს ვაქრამ ფადუზიანს: „თეატრი რომ არ ყოფილიყო, მე მას გამოვიფონებდიო!...“

და ისიც თამაშობდა: დრამას, კომედიას, ტრაგედიას, ვოდევილს, ყველაფერს, რაც მოესურვებოდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, რასაც შეხედებოდა, უფრო ზუსტად — რასაც აძლევდნენ, ვინაიდან, თუმცა უდავოდ ნიჟერი იყო, თუმცა სცენური წარმატებაც ხვდა წილად, მაინც მისი სცენური კარიერა დიდხანს ვერ წარიმართა მატერიალ და იოლად: ორჯერ მოუხდა თეატრიდან წასვლა... ჯერ ორი წლით, შემდეგ კი მთელი ვექსი წლით. მაგრამ, როდესაც აძლევდნენ სათამაშოს, იგი ასრულებდა რომანტიკულ ტიპებს, კომიკურ ჭიბილას, ტრაგიკულ ურიელ აქოსტას, დრამატულად გრატესკულ ფრიდრიხ II-ს, კომედიურ რიზაფრატას ან ჰიგენის, მგზნებარე პარტიზან ალექს მამედოვს და საბჭოთა ხელისუფლების მოპულეს, შხამიან თინიბეგს, რაიკომის მდივანს, გიორგი ჭაფარიძეს, და რომანტიკულ კარისკაცს, რუი ბლასს.

შე არ ვაბიარებ სერგოს ბიოგრაფიის დაწვრილებით გადმოცემას. მისი აღრუელი ცხოვრების ეპიზოდები მხოლოდ იმის სათლესტრაციოდ დამჭირდა, რომ თანდაყოლილი ბუნებრივი ნიჭიერების გამო მას შეეძლო ადვილად და დაუფიქრებლად ეხეტიალა. ასე ვთქვათ, „დაქანებული სიბრტყეებზე“. დღეს სერგო ზაქარიაძემ აღდგინა ზენიტის მადლია, უბრალო დიდებისა კი არა, — მისი სახელი საქვეყნოდ არის განთქმული. მასთან დაკავშირებულია მთელი მსოფლიოს მრავალმილიონიანი კინოჩაყურებლის სულერი მიღწერება. სწორედ მან, სერგომ, მოახდინა ესთეტიკური საოცრება, რაც მიუღწეველია მრავალი მსახიობისათვის, შექმნა მხატვრული სახე, რომელიც მიიღო ყველამ, როგორც ნამდვილი, უტრუარი. ცხოვრებიდან აღებული და ყველამ ატოვნილი.

შე არ ვაქარბებ ამას უცელობლად ადასტურებს ხელოვნების პროფესიონალითა და მოყვარულთა სტატიები, მრავალი გამომხატრება და, უმთავრესად, მყურებელთა უამრავი წარჩობი, რომლებიც წლების განმავლობაში მოდიოდა პლანეტის ყველა კუთხიდან. ამ ბარათების ლეიტმოტივი — და აქ ეს უმთავრესია! — არის სერგო ზაქარიძის მიერ შექმნილი გმირის თვისებების განათვისა და ამეღლელებელი შეცნობა. „ეს ხომ მამანგია!“ — წერენ ქართული ვლების, ჭარისკაცისა და ჭარისკაცის მამის შესახებ — გერმანელები, ფრანგები, იტალიელები, პოლანდელები, ინგლისელები და, რასაკვირველია, სოციალისტური ქვეყნების ადამიანებიც. სამამული ომის საბრძოლო დღეებზე გატაცებით საუბრის დროს სახელგანთქმულმა მშეღარათივარმა, ერთ-ერთმა მათგანმა, რომლის ჭარბმაც იერიშით აიღეს ბერლინი, მამართა სერგოს: „თქვენ ხომ ვახსოვთ, სერგო ილექსანდრეს ძე, როგორ შევიჭერთ ფრიდრიხშტრასენზე და

თქვენ, ბოლოს და ბოლოს, შესცვლით შეღლის პონა. ვაი, რომ უკვე გვიან გაქვრენსული“ — არა, ამხანაგო გენერალი, უკვე ვერცხვრენსული ღრეს ძე ზაქარიძე არასოდეს შესვლა ბერლინში, არც ჭარისკაცი ყოფილა როდესმე, არც ჭარისკაცის მამა... მაგრამ ის, რომ მისმა გმირმა გიორგი მახარაშვილმა მოგვანებოთ და მხოლოდ ეკრანზე აიღო ბერლინი (როგორც თქვენ „გახსოვთ“, ის თქვენს გვერდით იბრათა და პიტლერული დედაქალაქის აღების დროს) და სწორედ ის მახარაშვილი რომ იყო, როგორც თქვენ „გგონიათ“, და არა სხვა, არამედ თქვენს გვერდით მღვარი სერგო ზაქარიძე, აი, ეს არის ხელოვნების იშვიათი საოცრება, და ეს საოცრება არც ისე ადვილად მოიძოქმედა თავად სასწავლომქმედმა!


იგი არ ნახულობს თავის ფილმებს, რადგან ტრაგიკულად განიცდის, რომ აღარაფრის გადაკეთება აღარ შეიძლება, რომ ვერ დაიბრუნებს იმ შესაძლებლობას, რაც თავად ვეღარ შეძლო, ვერ მოასწრო, ანდა სხვებმა არ მისცეს ამის საშუალება. მაგრამ იქ, სადაც შეიძლება გადაკეთება — სცენაზე — რევანშს იღებს ყოველგვარი დიუმთავრებლის ასანზღატრებლად.

იგი რამადავს არ კითხულობს, უგზღუბელუყოს მათ, რადგანაც იცის, რომ ასე უფრო ადვილია „ხელახლა შემოწმება“ პიესისა, როდესაც ორმხრივ კონტრაოლს ეწვევა ასახული ცხოვრების პოზიციიდან და გამომსახველი ხელოვნების პოზიციიდან. მას პკონია, რომ რეპლიკებში დამატარებს პართი ცხოვრება ლამაზაკობს, რამარკებში კი — სცენური ვარაუდი. ოლონდ, რაც შეეხება თვით რეპლიკებს, — ცხოვრებისგან შემოწმებული პოზიციიდან (ისევე, სხვათაშორის, როგორც კოლხისა, სიტუაცია, კონფლიქტი), იგი ავტოკრისაგან, რეჟისორისაგან, პარტიორებისაგან მოათხოვს მხატვრულ სიმართლეს, მამასადამე, მრავალჯის გადაკეთებას.

კარგია თუ ცუდი ეს? კარგია იმიტომ, რომ ამდაგვარი სიმკაცრე, უპირველესად, თავისთავად იმეორებული მომთხოვნელობა, ყოველთვის წარმოშობს კვშიარტებას და იყრობს მწვერვალეს.

ცუდია, როდესაც მწვერვალეს მიღწევისას, იგი უნან იტოვებს თავის პარტიორებს და ტალანტის ძალით, შეუპოვარ ძიებაში, ფერებისა და დეტალების სიუზვით, თავისი სახის პიქტოროფირებით, არღვევს მთლიანობის პარმონიას. ასეთი რამეც ხდებოდა... ის მარტო ვატაცებულ კი არ არის, უსაზღვროდ წარმტაცია, და მხოლოდ და მხოლოდ მყურებელისათვის კი არა, არამედ იმათთვისაც, ვის გვერდითაც მუშაობს.

სოლიდტრმა და მტყიეე რეჟისორმა კი — ვ. პეტროვმა „ფელდმარშალ კეტრხოზე“ მუშაობისას, იმდენჯერ გადილო ზაქარიძე,



რომელიც მგზნებარედ თამაშობდა ბეგრატონს, რომ სურათი გმირისა და სათაურის გამოცვლის საშინორობის წინაშე დადგა. ფილმის „არ დაიდარდოს“ გადაღებისას, ზაქარიაძის ბოზოქარმა ფანტაზიამ ისე გაშალა სიყენა, სადაც მისი ლევაინი აწყობს საკუთარ „ქელუსს“, რომ რევინოს დანდილის ძალის დატანება მოთვდა, რათა ჩაეჭრო შემსრულებლის აღტყინება, და ბევრი რამ შეემციკრებინა — გადაღებისას და შემდეგ მონტაჟის დროს.

მაგრამ ფანტაზია, წარმოსახვა, პალიტრა, როგორც თავად ნიჭი, რომლის წყალობითაც ყველა შემოსწენებული თვისება არსებობს, შეიძლება გამოიფიტოს. აქაც ისე ხდება, როგორც ელექტროგამომთქვამ მანქანაში: თუ არაფერს ჩასდებ შივ, ევრაფერსაც ვერ მიიღობ. რას ვანიცდის ზაქარიაძის ნიჭი, როგორ პროგრამას ისახავს იგი თავისთვის და რისკენ არის მიმართული მისი „გადაწყვეტილება“? აქ არ არის ერთმნიშვნელოანი პასუხი. და მინც, შევეცდები, ვაგებდავ, და ერთადერთად პასუხს ვაეცემ ამ შეზღუდვას. მაგრამ ვერ შეიძლება ვთხოვ დავუჭიდეს ასეთ ანტირომის: როგორ, რატომ, რანაირად განისაზღვრა ღრმად და მკვეთრად ეროვნული ტიპი ქართველი კომპოზიტორისა და როგორ გახდა იგი ნამდვილად უსაზღვროდ ინტერნაციონალური — ნაცინობი, ცნობილი, მშობლიური და ახლომდებარე მამა, სხვადასხვა ეროვნების ადამიანებისა, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ხომ ტყუილ-უბრალოდ არ ამბობენ ვიორჯი მახარაშვილზე: „ასეთი თვისებები ჰქონდა ჩემს მამასაც“, და კატეგორიულადაც კი გაიძახიან: „ეს ხომ მიმანეშია!“

ზაქარიაძის ნიჭი არ ღაუტლურებულა, პირიქით, ყოველდღე, ყოველ როლიმ ივსებოდა ისე, როგორც საქართველოს ზურგში მზით ივსება ყურბენი. იმიტომ, რომ მას ასაზღოვებდა ხალხური სული, ეროვნული თვითშეგნება, თვისებები ქართველი ადამიანისა. ეს მარტოოდენ ფრანგები, ან სოციოლოგის ხარკი კი არ ვაძლეოთ, არამედ უმაღლესი ინსტიტუტის ტემპირებდა.

ზაქარიაძეს აქვს შესანიშნავი უნარი ეთხურო კოლორიტის გადმოცემისა და გმირის სახესაც ამ მხრივ კოლორიტულად წარმოგვიდგენს. მსგავსად პროფესორ ჰიგინისა ბერნარდ შოუს პიესა „ნიკამალიონში“, მას შეუძლია შეიცნოს კულაქლისა და სოფლის მტკვალელება დილნეტებშიაც კი. და არც შემთხვევითი იყო მის მიერ ჰიგინის ასე გატაცებით და შესანიშნავად შესრულება. მას, როგორც არავის, შეუძლო უსატყუოდ ერწმუნა გმირის შესაძლებლობა, აქცენტოდა და რიტმით განესაზღვრა ადამიანის ეთნოგრაფიული და სოციალური ეთენილება. მაგრამ ჰიგინის შეუძლო უბრალოდ განვეითარებინა თავისი იშვიათი შესაძლებლობა, ზაქარიაძემ თავად მოიარა მშობლიური მხარის

მთა და ბარი, იგი უბრალოდ გამეღული ზაქარიაძის არ იყო მის თანამემამულეთსა და უბრალოდ ტეხდა მათთან პერს, სეამდ წყაროს ანთქა წყალსა და მრავალი დღე გაუტარებია სტუმართმოყვარე სახლებში, კრფდა კალმეტრ-ნებთან ერთად ყურბენს, ჩაობს.

საქართველოს ყოველი კოსტის ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულებების, ხასიათის შესწავლით ზაქარიაძე ასშავად უბრუნებდა ზალს იმას, რასაც სესხულობდა მისგან თავისი ზელოვნებისათვის. ქართველი ხასიათის შექმნისას იგი უბრალო ქართველს რადი თამაშობს. მკვეთრად გამოსახული ეროვნული მსახიობისათვის რა არის იმაზე ადვილი, რომ გამოხატოს თავისი ეროვნების ადამიანი! უფრო ძნელია აჩვენო შენი ხალხის შვილი, რადგან ხალხი მრავალსახოვანია, და თუ სწორია, რომ ეროვნული ხასიათი არის გარემოცული ცხოვრებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებათა შედეგი, შენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა სოციალური სისტემის პირობებში, თვით ეს ეროვნული ხასიათი სხვადასხვაგვარად გამოხატება. სახელდობრ, გამოსახვის ეს სხვადასხვაობა ეხმარება მხატვარს გადმოსცეს ადამიანის ხასიათის, თვისების საშუალებათა მთელი ვეოგრაფია, ეთნოგრაფია, სოციოლოგია, იდეოლოგია და მორალი ეპოქისა, შემოქმედებითად, ესოტოყურად რეალიზება მოახდინოს ადამიანის შეცნობისა, რომელიც, მარქსის აზრით, სინამდვილეში საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთობლიობაა.

ამგვარად, ზაქარიაძე თამაშობს არა უბრაოდ ქართველს, არამედ ფშრედ იმ ხეცსურს იმერულს ან ქართულს, გურულს, კახელს. ამ განსხვავებებს იგი მაშინაც აშეღავნებს და აეთიარებს, როდესაც თავად ნაწარმოები შოთიხოს სხვის ტომობრივ თვისებათა გამოხატვას. ეთქვამა, თორღვასათვის ფილმში „უკანასკნელი კეარონსები“, რომლის მოქმედებებში მთიან ხეცსურეთში, ანდა სიმონასათვის (ფილმი „დაიკო“), რომელიც ცხოვრობს გურიაში. ზაქარიაძის თორღვა, მთიელი კაცი, იყო თავშეკავებული, სიტყვაპირი, სულ მხად იყო პოეზების დასაძლევა და სამიშ მტრტქესით ან მზეტთან შესახვედრად. სიმონი კი—ქარივით ღაღი, მომღერალი და უდარდელი, ყველა ადამიანური ვრძნობებით მცხოვრები კაცი. თორღვა და სიმონა სხვადასხვაგვარად აშეღავნებდნენ სოციატლისა და სოტელელის ზოგადსაკაცობრივი ეშოკიებს, არა მარტო იმისათვის, რომ ისინი ცხოვრობდნენ სხვადასხვაგვარ ბუნებრივ პირობებში, არამედ იმისათვის, რომ ისინი ეთნოგრობდნენ სხვადასხვა სოციალურ სახელმწიფოში ძლიერად მკლავებოდა წარსული დროის ძნელადმისაღწომ მთაში, ვიდრე ბარში, სადაც მტკიცედ იქდა ადგილობრივი თავადი და მეფის მოხელე.

ბევრი რამ, რისი გაყებებაც შესძლო ამ ხრივი

ზაქარიამემ თავის პირველ და, მიუხედავად ამისა, შინც საუკეთესო კინემატოგრაფიულ როლებში, იყო ნაკარნახევი მისი გმირების ყოფი-ცხოვრების ეროვნული თავისებურებით, გარემოებით, რომელთა უგუნდობა და შეუძლებელი ვახლდათ. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ მსახიობს ეს თვისებები პიესიდან ან სცენარიდან კი არ უნდა გავგო, არამედ — იმისათვის, რომ შედამ მზად ყოფილიყო, — საკუთარი ცხოვრებით უნდა აღქვა ზალხის სული, შეეცნო ზალხის ცხოვრება მისი მრავალფეროვნებით.

მაგრამ სხვა როლებშიც, სადაც გარკვეულად და მკვეთრად არ შეინიშნება ტომობრივი სხვაობა, ზაქარიამე ყოველთვის გატრობდა ეთაშიკონა ზოგადი ტიპი ქართველისა. მას მხოლოდ მრავალხანაობისათვისაა სწრაფა არ აქმედებდა. ეს თვისება ნასესხები ჰქონდა შესანიშნავი ქართველი სცენის ოსტატის ვასო აბაშიძისაგან, რომელიც ფართოდ იყენებდა „დიალექტობებს“ ხასიათის ინტონაციურ წყობაში. სახესა და რიტმში. ზაქარიამე დრამა არის დარწმუნებული იმაში, რომ ზალხური სული სრულყოფილად შელენდება ეროვნული ხასიათის უნიკალურ სახეებში. ამასთანავე — რაც უფალზე მთავარია — აღამიანის შინაგანი სამყარო-ხასიათის ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია, იმის გამო რომ, იზრდება მათი გამოშახელობის ერთობა სოციალისტურად გაერთიანებულ ეროვნებებში, უფრო სრულად გამოისახება — ზოგადად და ცალკეულად — მხოლოდ აღამიანის ეროვნული თვისებებით. ფსიქიკა კი, მთელი თავისი აღამიანური მოქმედების სიწინდით, იქცევა, როგორც ეს შემდეგში გამოიხატება, ზაქარიამის შემოქმედების ცენტრად და სფეროდ.

ამისათვის ზაქარიამის აფექტური მუხიერება, რომელიც ეროვნული ცხოვრებიდან აღიქვამს უმარე თვისებებს, იდუმალად „ანაწილებს“ მათ იმისათვის, რათა საჭირო მომენტში „გასცეს“ არა უზარაოდ დეტალის, მერცხველების, ფესტის, რიტმის, პლასტიკის სახით, არამედ კონკრეტულად „დამუშავებულ“ დეტალის სახით — თვისობრივ-ეროვნული ნიშნებით და მასთან სულიერ-ფსიქოლოგიურ ასპექტში.

ზაქარიამე, საერთოდ, გულისხმობდა ეკილება ცხოვრებას და ხარბად აყვარდება ყოფიის დეტალს. მას უყვარს აღამიანთა „თვალთვალა“. მაგრამ მის მუხიერებაში, როგორც წესი, ყალიბდება უფრო არსებითი, ეროვნულ-დამახასიათებელი.

ოცდამიან წლებში ზაქარიამე სიღნაღში შეხვდა ერთ კახელ გლეხს, რომელმაც განაცხადებდა — იგი არამეცხველბრივი იყო თავისი თვისებებით: უჩვეულოდ ჩაფიქრებული, თითქმის გამოართული ვარე სამყაროსაგან, ამოვარდნილი ყველაფრიდან, რაც იმ წუთში აღარ

ეხებოდა მთავარს, აუცილებელს. ეს გლეხი შედგარად მიიწვედა დასახულს რეჟისორს მისი ნიშნისაგან; ვარეგულად მკაცრად მუშაობდა მდუმარე, მაგრამ აღსაყვ ევლუციოლობით, რაც უზილავი მახეობა აყვინებდა მის საშეაროსა და აღამიანებთან.

ახალგაზრდა მსახიობმა თითქმის სრულიად დაიწყო ეს გლეხი, დაიწყო ისიც კი, რამაც უცაბედად მიიპრო ყურადღება — მისი მძიმე, მაგრამ ბავჯა სიარული, მისი სხეულის ენერგიული მოძრაობა. მაგრამ, სახელდობრ, ამ სიარულში, ამ რიტმში იფეთქა ოცდამიან წლის შემდეგ, როდესაც იმადგობდა ვიორჯი მსახარაშვილი, და თან წამოსწია დამახასიათებელი თვისებები ამ სიარულსა და რიტმის მგლობელისა. და სიღნაღელი გლეხი, რამდენიმე ათწლეულში გამაღდრებული შემოქმედებით მუხიერებაში აღბეჭდილი ათასი სხვა კახელი კოლმეურნის თვისებებით და, რასაკვირველია, სხვა ათასობით აღამიანთა ნიშანთვისებით, გამოიძრა ვიორჯი მსახარაშვილად.

როდესაც ზაქარიამე თამაშობდა მახეტის როლს ე. ჩხეიძის „ვიორჯი საყაფეში“, იგი აყალიბებდა მახეტის ნიშანთვისებებს „ზოგადად“, მისი აზრებისა და გრძობათა მოქმედიველ დიალექტიკას, წუთიერად აფეთქებულ გატაკებას და სიმამგრეს. მაგრამ არ გამოიყვებდა მეოცნებობას „საერთოდ“ ქართველის ეროვნული დამახასიათებელი თვისებებით, ამ ნიშნებს ათეყვებდა თავისი ლაღ ტემპერამენტით, მაღალი ხმით, ლაღი მიმოხერბით, ზამბარსავით მომართული იყო სან საყვავად, ხან საბრძოლველად. მაგრამ როგორც მარგანეც ფოლადის დნობისას, მსახიობიც ასე უმამებდა, მახეტის მამტრულ პლანს ეპოქის სულიდან აღბეჭდილი წინდა ქართლურ თვისებებს. რასაკვირველია, მწელი იყო აღბეჭდილი იმისა, თუ როგორ მოძრაობდა, ლამაზობდა, იბრძოდა, ოცნებობდა ან უყვარდა ახალგაზრდა ქართლულ მახეტს მე-17 საუკუნის მაქნაზე, მაგრამ ეს არ აყენებდა უხერხულ მდგომარეობაში შემსრულებელს. მან ყარგად იყოდა ის ადგილი ვიორჯის რაიონში, სადაც ოდესღაც მღებარეობდა თავადი ორბელიანის სახლყარი. — პიესის მოქმედების ცენტრი. იგი ახლოს იცნობდა მახეტს მრავალ შიამიანად, თანამედროვე ქართლულს, რომელიც დაწინაურდენენ ისტორიული პროგრესითა და მალე დაწინაურდენენ სამკოთა ეპოქის დროს, მაგრამ უმწიკვლოდ შეინარჩუნეს თავიანთი წინპრების საუყვარეო ტრადიციები: მათ შორის ბევრი რამ ყოფილწლის სტილისტიკაში.

მახეტა იყო შეილი მებრძოლი ზალხისა, რომელიც გამუდმებით ცვლიდა გუთანს ხმაზე, ამიტომაც ყოველთვის მზად იყო მარტოოდენ მიწის სახნავად კი არა, მის დასაცავადაც. აქედანა გამაოყარი პლასტიკურობა, მიზანსწრა-

ფულ მოქმედებაში და ხასიათის მკვეთარ ცვა-  
ლებადობაში. მსუბუქი, სრიალისმავარი სი-  
რული, როცა მზადაა გადასახტომად, ანდა  
საყვეაოდ, ცეცხლოვანი გამოხედვა ბრძოლის  
დროს და აღსრინი ელვარება თვალებისა სა-  
ყვარელი არსების დანახვისას, რომანტიული,  
შეფერადებული წყრილა ინტონაცია, მთლიან  
მოძარაული მსგავსად ლაზიდან გასაფრენი  
ისრისა, — ასე წარმოგვიდგებოდა ბახტუა  
სცენაზე პირველგამოჩენისთანავე.

როგორ ფარიაკობდა იგი თავადის ვაჟთან!  
ზურგადან ივრძნობოდა, თუ როგორ განიცდი-  
და იგი თავადის ვაჟის დის, მზევინარის შვი-  
თვალების დაფინებულ მხერას! ისე ფარიაკო-  
ბდა, რომ ეროხელ „შეტაკებმა“ ქარცეცხლში,  
ხმლის წვერი წარეკეთა და ის წყრილით გა-  
ფრინდა მსუფრებელთა დარბაზში და სავაძ-  
ლის საზურგეს ჩაებტო. საბედნიეროდ, იმ სა-  
ღამოს სავაძელზე არაინ იქდა. როგორ  
ებრძოდა თურქების ხროვას, რომლებიც თავს  
დაესხნენ საქართველოს და შეიჭრნენ ორბე-  
ლიანის კამბიდაში. ივრძნობდა და ხოცავდა  
მოწინააღმდეგეს, თან ვიგანტური ნახტომებით  
უახლოვდებოდა ტერასებს, სადაც მტერი უკვე  
გარს შემორტყმოდა მზევინარს, მიმოგანტა-  
ვდა ყველას და საყვარელ ახსებას აიტაცებდა  
ხელში, თან ბრძოლით გადაიქოლვებდა უხარ-  
მხარ სცენას, შეგარდებოდა კელისებში, სა-  
დაც ყოველთვის მოშადებელი იყო რამდენი-  
მე კაცი, რომ ჩაქროთ ეს გამშავებული  
სრბოლა, რათა მსახიობები არ შეხებებოდ-  
ნენ კელისებს კედელს.

ახალგაზრდობაში, როცა გერ კიდევ არ ვა-  
ჩნდა ოსტატობა, როდესაც სურდა მოსწონებო-  
დათ, ხოლო შემოქმედებითი სახრუნავით ვერ  
კიდევ არ იყო დატვირთული, იგი დროდა-  
დრო რჩებოდა საყვარელი ტემპერამენტისა და  
ეროვნული ხასიათის ტყვეობაში, როგორც ეს  
წარმოვადგინათ ძველ ქართული თეატრის  
უფროს მსახიობებს. მაგრამ ახლა გასული იყო  
სცენაზე მუშაობის თორმეტი წელი. უკვე ვა-  
წილი ჰქონდა დიდი რყეისორის კრებ მარ-  
ჯანიშვილის უნაკლური სკოლა, რომელშიც  
დაუკვირბა ქართული თეატრი ოქტობრის  
რევოლუციის იდეალებს. ამ სკოლაში ზაქარია-  
ძემ მიიქცია მარჯანიშვილის ყურადღება, მიი-  
ლა კუშიარიტად შემოქმედებითი წრითა, შე-  
იძინა არა მარტო წვეუები, არამედ აღიჭურვა  
დისკობალითა და მიმოსხივრებით, ისწავლა  
ესთეტიკურად აზროვნება და ყოველთვის ანი-  
გარიშს უწყევდა შინაარსს, ხასიათის იდეას.

ბახტუას თამაშისას, იგი, რასაკვირველია,  
გატაცებული იყო ახალგაზრდა, ლამაზი, შეყვ-  
არებული ქაბუჯის გამოსახვით, მათ უმეტეს,  
პირადი სპორტული ფორმა ნებას აძლევდა  
უსახდეროდ დაუფლებოდა როლის „სხეულს“  
„სამ ბლენში“ ტიხელის როლისათვის, ზაქა-  
რიაძემ ერთ კვირაში ისწავლა ადგილიდან

უკლებს საღრის გაკეთება და რამდენიმე კა-  
ზე გადახტომა, მაგრამ „ფიზიკის“ გარდა უფ-  
მატაცებული იყო სხვა რამითაც. ენ-სხვა რამე-  
ცი იყო როლის „სული“ — ბახტუას მგზნებარე,  
ცხოველყოფილი პარტიოტიზმი, სამშობლოს-  
დმი მისი უანგარო სიყვარული, გულის აღმგზ-  
ნები აღტაცება ეროვნული სულის წინაშე. და  
აქ უკვე შეიძლება არა ერთი, არამედ სამი  
ძახილის ნიშნის გამოყენება. როგორ — ჰყუ-  
ბოდა ბახტუა, უფრო სწორად, სიტყვებით  
როგორ გვიხატავდა ქართველებისა და  
თურქების ბრძოლას, რომელშიც მიიყვანა  
ეროვი სააკადე გამარჯვებამდე!!! ბრძოლების  
მოწმეში დაიწყო თხრობა, თანდათან ებმებოდა  
ბრძოლაში, როგორც მონაწილე, ბახტუა თით-  
ქოს „გარდაისახებოდა“ თავად ვიოტივი სა-  
აკადე, გეგზნებოდათ, რომ ეს უკვე აღარ  
იყო ბახტუა, არამედ სააკადე, უქანასწერი  
მტრის განადგურების შემდეგ, მიწაში ატკობ-  
და ხმაულს, გადატუნდა და ძლიერი ხმით წა-  
მოიძახებდა: ასე გადატუნდეს ყველა ვინც ვი-  
ბელაეს ჩვენ საქართველოზე თავდასხმას. გი-  
ნა მოაქვს მისთვის უბედურება, ვინც უმზა-  
დებს დაღუპვას ქართველი ხალხის წმინდა  
სამშობლოს!

შემდგომში ზაქარიაძე თამაშობდა ვიოტივი  
საკაიძის როლს, კარგადაც თამაშობდა, მთა-  
მბეჭდავად, ქმნიდა ეროვნული გმირის ძლიერ  
ფიგურას. მაგრამ გულახდილად უნდა ითქვას  
(შესაძლოა, ასეთი იყოს პირველი შთაბეჭდი-  
ლების ძალა), პირადად მე მისი სააკადე არ  
მომეჩენდა უფრო ღიად, ვიდრე ბახტუას მო-  
თხრობით ვიცნობდი.

მხოლოდ ორი წლის შემდეგ, ზაქარიაძე ხა-  
ტაეს ბესიკის სახეს ლ. გოთუას „მეფე ერეკ-  
ლეში“. თითქმის ბუერი იყო საერთო მათ ხასია-  
თებში: ბახტუასათვის ბესიკიც ქართველი იყო,  
ახალგაზრდა, ცოცხალი, გატაცებული, შეფე-  
რებული, თავდავიწყებამდე სამშობლოს მო-  
ყვარული, შხად იყო ყოველგვარი მსხვერპლი  
გაელო მისთვის. მაგრამ ცენზი, რანგი, სოცი-  
ლური მდგომარეობა და პოლიტიკური შესა-  
ძლებლობები ბესიკის სრულად სხვაგვარი  
ჰქონდა. ამისათვის ქართული ეროვნული თვი-  
სებები ამ ფიგურაში იღებდა სრულად სხვა-  
გვარ გამოსახულებას გონების ძალით, ადრე  
მოწიფებული სიბრძნის წყალობით, რასაც ვა-  
ლებდა პოლიტიკოსისა და დიპლომატის მდგო-  
მარეობა. იყო თავშეკავებული, გადღობიდა  
სხვაგვარ ხარისხში, მაგრამ არ ჰკარგავდა  
თავის ექსპრესულობას, ეროვნულ ტემპერა-  
მენტს, ეროვნულ ტემპსა და რიტმს... რო-  
გორც პოეტ-რომანტიკოსი, ბესიკი იყო  
ცეცხლოვანი, მიზანწრაფული, როგორც შე-  
ყვარებული—მგზნებარე, როგორც პოლიტიკოსი  
და დიპლომატი-მოღვაწე, აღსავსე იყო  
ბრძნული ღირსებით, მისი მგზნებარე ტემპ-  
რამენტს თავს იჩენდა მხოლოდ აღმოსავლეთის

ქვეყნებისაყენ ორიენტაციის მქონე პოლიტიკურ მოღვაწეებთან შეჯახებისას.

ბუნებრივია, რომ ბუსივის როლში, რომელიც ზაქარიაძის ერთ-ერთი საუკეთესო როლი იყო, მსახიობი არ ყოფილა ნაქტელი და გამოთქმული ცხოვრებისეული სინამდვილიდან და ხასიათის მრავალფეროვანი ნიშანთვისებები ორგანულად შედუღებულნი იყვნენ და შეერთების დროს კმნიდნენ თითქოსდა ჯაჭვურ რეაქციას.

უნდა ითქვას, რომ ორ წელიწადში, რომელიც აწორებდა ბესიკს ბახტასაგან, მოხდა გვიანტური ნახტომები ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში და, მასწავლებელმა, — ზაქარიაძის მოქალაქეობრივი შეგნებაში, სინამდვილისადმი მის ურთიერთდამოკიდებულებაში, ცხოვრებისეულ მოვლენათა შეფასებაში. ზაქარიაძის მოქალაქეობრიობა, მისი საზოგადოებრივი შეგნება და თანამონაწილეობა სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის ცხოვრებაში, ყოველთვის იყო სოციალურად და პოლიტიკურად აქტიური. მაგრამ ბახტას შექმნის პერიოდში თვით პატრიოტიზმის გრძობა თითქოსდა გამოუყენებლად ცხოვრობდა მსახიობში.

თუმცა რომანტიკული ოცდაათიანი წლები, პირველი ხეთქულის საერთო აღმავლობა, აღინიშნებოდა ვადაშვიტვი გამარჯვებით ინდუსტრიალიზაციისა და კოლმპტივიზაციის საქმეში, მეცნიერებისა და კულტურის საერთაშორისო არენაზე საბჭოთა ქვეყნის გამოხვლით, რაც დღენადავ იწვევდა საბჭოთა აღმანიშნის პატრიოტულ სიამაყეს, — მაგრამ მოულოდნელი ომის ტრავმადამ, დროებითი დამარცხების სიმწარემ, შემდგომში კვ გამარჯვების აღფრთოვანებამ წარმოშეა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, კონკრეტული გრძობა პატრიოტიზმისა, სოციალური და ეროვნული თვითშეგნების აფეთქება, პოლიტიკური აღმავლობა. ბესიკ ვადაშვილის სახე, როგორც საქართველოს პატრიოტისა და რუსეთთან შეერთების მომხრისა, თუმცა თითქმის ორი ასეული წლით იყო დამოკიდებული ჩვენი დღემდამდე ამსთანავე, თეატრში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი თანამედროვის — პატრიოტის სახე, ზაქარიაძისთვის მიანი ვახდა შემოქმედებითი დღის მთავარ ფაქტორად.

თუ ჩამოვხედა ვანახტორადა მსახიობი აღმანიშნის როლის „საერთო იდენტა“, მისი უფაქცივის თავისებურებას ეროვნული ხასიათის ნაჩოქებში, შეიძლება ვეცნახა სულ სხვა სახის შექმნისას. ომის წლებში ზაქარიაძემ შექმნა შაიმიან ბარათაშვილის საყურადღებო სახე ფილმ „გეორგი საყაქვიში“, რომელიც თბილისის კინოსტუდიაში დადგა რეჟისორმა მიხეილ ჭიურელმა ა. ანტონოვსკისა და ბ. ჩოჩიას. სცენარის მიხედვით, თავილი შაიმიან ბარათაშვილი თავისებური პატრიოტია: იგი ეტებს საქართველოსათვის სიცივის, მაგრამ არა

როდის იყო ეს ასე? — ამაზე ავტორი უვლან ზემოაღნიშნულ გამოთქმას იმეორებს: „გარკვეული დროის მონაკეთში“ და მას ახლავს „საბუთი“: ეს ასეა გადმოცემით, თქმულებითი ნამდვილად კი სრულიად გურკვეველია ეს გარკვეული (1) დრო, ავტორი ხან უმჯეღებს, ხან ახალ ვითარებებზე ლაპარაკობს. თ. ოჩიაურის ერთხელაც არ მიუთითებს, თუნდაც დაახლოებით, როდის? ისტორიის საკითხებზე ასეთ ზოგად, უთარილო განცხადებებს არაერთარი ფასი არა აქვს. მაგრამ, სამწუხაროდ, რაკი ავტორი ასე იქცევა, ჩვენც მასზე მსჯელობა გვიხდება.

არც ჩვენ უარეყოფთ, რომ დროთა ვითარებაში ზოგჯერ იცვლება ტომთა დასახლების გეოგრაფია და მოსახლეობის შემადგენლობა, მაგრამ ძირითად ვითარებაზე უნდა ვიმსჯელოთ და არა ცალკეულ შემთხვევებზე. თ. ოჩიაური კი კავკასიის მთავარი ქედის მთელ ჩრდილო მთიანეთს ხომ ნახებს — ბაც-ჭისტი-ჩაჩნებს — აუთუნებს და ჩვენ აღარც სამხრეთ მთიანეთს ვეიტოვებს. „ჩრდილო-კავკასიელი ტომები, აცხადებს თ. ოჩიაური... ცხოვრობდნენ ჩვენს მთაში (პირაქეთთა ც-

1 გ. ჩიტაია, ისტ. ინსტ. შრომები, ტ. 1. 1955, გვ. 395—396. თ. ოჩიაურის წიგნში (გვ. 100), შეცდომით ორგზის კავკასურების მაგიერ კავკასურები აქვს დასტამბული. ხაზი ჩვენია, ი. მ.

1 თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. „მეცნიერება“, თბ., 1967.

ი. შ.) ქართველ მთიელებთან ერთად" (გვ. 79, ხაზი ჩვენია. ი. შ.).

და ასე შერეული მოსახლეობა იყო, თურმე, ზემო ეთნოლიდან მოყოლებული კავკასიის სერვის გადასახლეობაზე. თურმე, ქართველ-საბჭო-ქართველ-ჩაჩან-დიდოთა კონგლომერატი იყო დასახლებული მთელი პირაქეთი ხევსურეთი და ფშავის დიდი ნაწილი. თურმე, ეს ბაბილონის ვოლოდი დიდხანს აგრე არსებობდა!

საბუთი? თ. ოჩიაურის სერიოზულად აცხადებს: საბუთია პირაქეთ ხევსურების თქმულებები დევებზე. „გადმოცემა იქმნებოდა ცხოვრებაში რეალურად მომხდარ ამბავზე“ (გვ. 130). თ. ოჩიაურის „დებულებით“, როცა ფშავ-ხევსურთა თქმულებებში ლაპარაკია დევებზე, იგი „შეეხებება არა ზღაპრულ დევებს, არამედ რეალურად არსებულ ხალხს...“ (გვ. 36), ჩვენ ვეზობოდ ჩრდილო კავკასიულ ტომებს (გვ. 79) — ნახური მოდგმის ხალხს — ქისტებს და ჩინებს (გვ. 133). ქაიჯე ქართველი ტომების მიერ ნახებისადმი შერქმეული სახელი ყოფილა (გვ. 135—136)! „ვეფხისტყაოსნის“ ქაიჯეთი შერქმეული სახელიაო (გვ. 93) და ა. შ.

თ. ოჩიაური ვაძუწევს: ჩვენ ჯერ კიდევ 1954 წელს შევეხეთ „ქართო ვინაობის საკითხს... გამოთქვამილით მოსაზრებას, რომ ქაიჯეთთა დებულება ნავთლისსხმევი უნდა ყოფილიყო მოსახლდარი ჩრდ. კავკასიის ბინადარი ხალხი“ (გვ. 87).

ავტორი ასეთ დიდ საკითხებზეც კი ცალმხრივად აღებული თქმულებებით მოყოფილდებოდა; თუნდაც „ვეფხისტყაოსნის“ ქაიჯეზე არსებულ ზ. ავალმედიის, იუსტ. აბულაძის, კ. კეკელიძის, შ. ნუცუბიძის, და სხვათა სპეციალურ ნაშრომებს არ ასახელებს და ამავე დროს ჯერ დევებისა (გვ. 94—97) და შემდეგ ქაიჯების (94—97) საკითხებზე მხოლოდ შ. ჩიჯავაძის ეკამათებას...

ხევსურები დევებს ქისტებს უწოდებენ და ქაიჯებს — სხვა ვეზობლებსო, თ. ოჩიაური გულუბრყვილად ეყარნობა თ. გვიანთი დროის: თურქეთის ქართველები თურქებს ედღიანებს უწოდებენო (გვ. 81). სინამდვილეში კი ეს ვაძუებობაზეა აყვებული; ის ქართველები თურქებს არა ავსულებად ჩათვლის გამო, არამედ ბალღდომიანი შარტლის გამო უწოდებენ ედღიანებს.

არც ის გამოდგება საბუთად, რომ პირიქითა ხევსურებს და პირაქეთა ხევსურებს ზოგიერთი გამსხვავებული მითოლოგიური წარმოდგენა აქვთ (იხ. ქვემოთ) და არც ის, რომ პირაქეთა ხევსურები იქითის ხევსურებად არ თვლიანო. მაგ., ზუგდიდელები სენაკელებს ნამდვილ მებრელებად არ თვლიან, ასევე ხულოელები ქობულეთლებს ავარლებს არ უწოდებენ, სუ-

რბელები ბარის გურულებზე ამბობენ: ნამდვილი გურულები არ არიანო, მებრე ამბობენ: მებრეებზე დაყრდნობა და სერიოზული მსჯელობა არ შეიძლება. მებრელები, ავარლები, გურულები და ასევე ხევსურები ერთიანი ისტორიული ტომები არიან და არა ორ-ორი.

თ. ოჩიაურის მიერ ზემოხსენებულ სახელთა შერქმეულობა ფიქტია და მასზე აგებული მთელი კონცეფცია უაღბლია.

დაბოლო კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტს დავასახელებთ. სახელდობრ, თუშ-ფშავ-ხევსურებში და მთხვევებში ძველთაგანვე იყოღნენ ვეზობლების ტომობრივი სახელები: წოვა (ბაცხ) — ქისტი და ჩინანი (ძურძუკი). მათთვის სხვა სახელის შერქმევა (ბაცხ-ქისტი—დები, ძურძუკი ანუ ჩინანი—ქაიჯი) აღარ დასწირადებოდა.

თ. ოჩიაურის დებულებით, ფშავ-ხევსურულ თქმულებებში რომ დევ-ყრბთა და ქაიჯების წინააღმდეგა ბრძოლა (და განა მხოლოდ ამ თქმულებებში?!), ასეთი გადმოცემებითა არ გვხვდება კავკასიონის ქედს გადამა მდებარე, — პირიქით ხევსურეთში (არხოტისა და შატლი-მდომავების ხეობებში“). და თურმე, ეს „დასატურებს ხალხში შემონახულ ცნობებს (!) სხენებულ მხარეში თავდაპირველად არაქართველი (!) მოსახლეობის არსებობის შესახებ“ (გვ. 131, ხაზი ჩვენია. ი. შ.)!

სინამდვილეში კი პირიქით ხევსურებსაც სრულიად ისეთივე წარმოდგენა აქვთ. დევებსა, ქაიჯებსა, ეშმაკებსა და სხვა ზღაპრულ ავსულებზე, როგორც პირაქეთ ხევსურებს (და სავართოდ — ქართველებს). ამათი და იმათი დევებიც ორთვე ზღაპრული სახეები არიან და არა რეალურად არსებული ხალხი — ქისტები, გინდ ჩინები, ემფორებთ, დევების კონკრეტულ ხალხებად გამოცხადება თ. ოჩიაურის მიერაა გამოგონილი.

მაშ, რად დასჭირდა თ. ოჩიაურს ერთი ჩვენი ტომის — ხევსურების გაორება და ქართული მითოლოგიადან ხევსურული მითოლოგიის მოწყობა? ყალბი პიპოთუნის ვასამართლებლად. ამიტომვე აუარა მან გვერდი იმ ლიტერატურას, რომელიც ქართული მითოლოგიის შესახებ არსებობს.

ჯერ იყო და, სოციოლოგები და ეთნოგრაფები ხევსურებში პირველყოფილი აღმშენის ცხოვრების გადმონამოებს ხედავდნენ; შემდეგ „მოგზაურები ხევსურეთს ეტანებოდნენ, როგორც ევზოტიკურ სანახობას და აქ ეტებდნენ ჯვაროსანთა წინაპრებს“, ახლა თ. ოჩიაური აქ საქისტოს ხედავს!

მისი დასკვნითი დებულება ასეთია: „ამ გვარად, დევნების საცხოვრისად მიზნად ხევესურეთის მონასხლერე ფშავეისა და გუდამაყარის მონასხლერე ზოლი, როშკის ხეობა, ფშავეის არაგვის სათავეები, შუაფხო-შადაროს კარი და იგრის ხეობის მთიანი ჩრდილოეთი ნაწილი“ (გვ. 23, ხაზი ჩვენი, ვ. შ.).

თერმე, არა მხოლოდ ქისტ-ჩანებით, არამედ „თუშთა ზოვი სოფელი დიდოვით იყო დასახლებული“ (მდრ. ქვემოთ).

კიდევ მეტ ვაიცხვას იწვევს ის ფაქტი, რომ თ. ოჩიაური ისტორიულ წყაროდ თვლის ლიქოელი 80 წლის ქალის ნანა ბახაჯაურის ნათქვამს: „დიდ დიდოეთს თუშეთს ევაძბათ“ (გვ. 60).

მხოუდის იმავე ნათქვამიდან თ. ოჩიაური ასეთ გაუმართლებელ დასკვნებას აკეთებს: „როგორც ვხედავთ, მთხრობელი თუშეთში დიდ დიდოეთს გულისხმობს და ლაშქრობეშიც, რომლებშიც თუშთა წინააღმდეგ იყო მოწყობილი, ხალხის მიერ (!) მიხნეულია, როგორც დილოთა დასახლებულად გამოხნელი“ (იქვე).

იმ ზოგადი მონასრებით, რომ თქმულება უსაფუძვლოდ არ იქმნებათ, თ. ოჩიაური ვერ ერთ ვარაუდს გვთავაზობს: — პირიქით ხევესურეთში ხევესურები პირაქეთიდან გადასახლდნენო ან ნაწილობრივ ქისტები გაქართულდნენო და შემდეგ ავტორი ერთ ვარაუდს შეირგებს უმეტესს: „ხევესურთა თუშეთში დასახლებას ევარადობათ“ (გვ. 63), „ხევესურელი წარმოშობის ზატთა სიმრავლე თუშეთში ხევესურთა მართრი და ერთდროული ჩასახლების შედეგი უნდა იყოს“ (გვ. 63, 64). ევარადობათ, რომ ზატო თუშეთში კი არ ლაშქრობდნენ ხევესურები, არამედ მათი „ლაშქრობა მოწყობილი იყო სწორედ დილოთა წინააღმდეგ“, დიდოები თუშეთის მეზობლად ცხოვრობენ, მათ შორის დავა მიწებზე „გვიან ხანამდე ვრძელდებოდა“ (გვ. 65). და ისევ ახალი ვარაუდი: „თუ კი ხევესურნი მართრიც დილოთა დასალაშქრავდ მოგზაურობდნენ კარატასა და ხაშმატის ვჯარის დროშებით, ვამორიცხული არ არის თუში მონასხლეობის მათთან ერთად ლაშქრობის ფაქტიც“ (გვ. 66).

არა მარტო ედიაცის თქმით, ზებირგადმოცემით, არამედ, თერმე, საღვთო წიგნებშიც ეს წერია! (გვ. 36).

ავტორი საუბროდაც კი არ თვლის, თუ კი ასეთი წიგნები არსებობს, დასახელოს ეს საღვთო ტექსტები იმის ვასამართლებლად, რომ თუშეთში ვერ წარმართი და შემდეგ მაჰმადიანი დიდოებიც ქრისტიან თუშეთთან ერთად სახლდებოდნენ! ოჩიაური ასახელებს „საბუთს“ მონასხლეობის აღრევის (!) მიღრეკილება მონასხლერე რაიონებში მუდამ (!) არსებობდათ.

აქვე ავტორი იწველებს თ. უფრეგაიძის ნაშრომს (გვ. 75), იმავე ტერიტორიაზე ნახუარი ტოპონიმებიც გვხვდებათ.

ვერ ერთი, ვინ დამტკიცია, რომ სწორედ ეს მეორე — ნახურის მსგავსი სახელები არიან უფრო ძველნი, ვიდრე ქართული? და, მეორეც, ქართული წარმოშობის სახელებს კიდევ მეტს ვხვდებით არა მარტო ხევესურების უახლოესი მეზობელი ქისტების, არამედ უფრო შორს მცხოვრები ჩანების, დაღესტნელების, კერძოდ დიდოებისა და ახლანდელი ოსების ტერიტორიებზე და სხვა მეზობელი ხალხების შეტყვევებაშიც (განსაკუთრებით საჭმელ-სასმელის, ტანსაცმლის, სუფრეულ-აარაღისა და კულტურის ცნებების აღმნიშვნელ ტერმინებს).

დიდი კავკასიოლოგი — აკად. ივ. შუმბინიანი ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ე. წ. ყოზანის კულტურა „ქართული (კალხური) წარმოშობისაა“... ქართველი არქეოლოგიც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჩვენი ზარი და მთა არქეოლოგურადაც ერთიანია.

თ. ოჩიაური ზნირად ლაზარაკობს აგრეთვე ხევესურეთიდან რიგი სოფლებისა და რამდენიმე გვარის აურასა (გვ. 14, 15 და სხვ.) და გადასახლებაზე. სინამდვილეში კი ხევესურები სრულიადაც არ არიან ასეთი მოხეტიალენი. რაფიელ ერისთავმა ხევესურის აზრი ამ საკითხზე ასე სხარტად გამოთქვა:

„არ ვავცელი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა...“

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ეთნოგრაფი თ. ოჩიაური ზახხის ფსიქოლოგიას არ აფეთთარ ანგარიშს არ უწევს ისევე, როგორც არ უწევს ანგარიშს იმ წარმოდგენას, რომ ავი სულელითონს — რქინასა და მახვილს — ვერც კი ეკარებიან. თ. ოჩიაური კი მთი ასეთა მწარმოებლად და მფლობელადაც აცხადებს!...

თერმე, ქართველი მთიელებისათვის დამახასიათებელი თავისი ცუტრება ყოფილი ახლების მიწა-წყლის შიტაცება!

იმის ვასამართლებლად, თ. ოჩიაური ასახელებს „ქართლის ცხოვრებას“ და ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიას“. ასეთ შიტაცებლობაზე მათში არაფერია ნათქვამი, მაგრამ თ. ოჩიაურს შეეძლო იქ მოეხაზა აზრი ფხოველთა (ფხავესურთა) შესახებ, რომ ესენი კავკასიის ქედის საშრეთ მხარეს ცხოვრობდნენ და ბაბუ-დურძეები (ანუ ძურძეები—ქისტ-ჩანები) იმავე ქედის ჩრდილოეთ მხარეზე სახლობდნენო.

ასეთ მინიშნებით ვხვდებით „ქართლის ცხოვრებას“ და ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიასშიც“, რაც არ გამოპარვიათ ნ. შარს, ივ. ჯავახიშვილს, ე. თაყაიშვილს, ს. ჯანაშიას, ვ. მელიქიშვილს, ნ. იაკოვლევს, ზოგ ოსს

მკვლევარსა და სხვებს. მაგრამ არც ანეთი ცნობის მიღება შეიძლება საკითხის სპეციალური შესწავლისა და ტექსტის შინაგანი და გარეგანი კრიტიკის გარეშე. სწორედ ამის გამოა, რომ პროფ. ს. შაკალათია თვითონაც სარგებლობს ვახუშტის წიგნით: „თუშენი და დიდონი არიან წიგნი ლეკოსისა“, ოღონდ იგი იქვე შენიშნავს: ავახუშტის ამ მოსაზრების უკომენტაროდ გაზიარება ძნელია“ (ვახუშტის ციტ. წიგნი, 1941 წ. გვ. 103; ს. შაკალათია. თუშეთი, თბილისი, 1933, გვ. 15).

თ. ოჩიაური იმ აქმედებით, ისტორიულ ნაშრომებით და ავტორებით არ სარგებლობს, რომელთა მიხედვითაც ცენტრალური კავკასიის ჩრდილოეთი მთიანეთი და ქვემო ზეგნები ქართველებით (სვანებით, მოხვევებით, ზევისურებით, თუშებით) იყო დასახლებული; ცალმხრივად იყენებს გ. მელიქიშვილის აზრს, და არ ეყრდნობა იმისავე დებულებას, რომ „ისტორიულად, უძველესი დროიდან მოყოლებული და დასტურებულია ჩრდილო ტომების სამხრეთისაკენ გადასახადების მუდმივად მიმდინარე პრაქტიკა“, ე. ი. კავკასიის „ქედის ჩრდილო კალაუბზე მცხოვრები ბაქტურ-ქისტური და დაღესტნური ჯგუფის ტომები“, შეიძლება, ასევე შემოიკრიბნენ ზეწმით“.

საკითხის ასე დაყენება ისტორიულად უფრო სწორია და ლოგიკური იქნებოდა.

თ. ოჩიაურის პიოთრეითი (1969 წ.) „ბუნებრივი და პოლიტიკური (!) საზღვარი ქართველ მთიელებსა და მათ ჩრდილო მეზობლებს შორის კავკასიის დიდ ქედზე გადის“.

ასეთი პოლიტიკური საზღვარი კი არც ძველად, და შემდეგ, რბრდესაც ჩრდილოეთი საქართველოში შემოდიოდა, არც უფრო გვიან, როცა ორივე მხარე რუსეთის იმპერიაში შედიოდა და, მით უფრო ახლა, არ არსებობს.

ცნობილია საქართველოს (ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას, აგრეთვე „საქართველოს სსრ ატლასი“), ქისტეთის, ჩინეთისა და ოსეთის ისტორიული და თანამედროვე რუკები ცალ-ცალკე. არც ერთ მათგანზე ასეთი რამ არაა ასახული. იქითა ზევისურები, სადაც კი იხსენიებიან, ხვეულგან იქითა მხარეს სახლობენ.

მაშასადამე, თ. ოჩიაურის ეს განცხადებაც უსაფუძვლოა. ჩვენ წარმოვთვლივთ მიჯვარისა დაეამკროთ რომელიმე ხალხი და ვთქვათ, მაგა ქისტებს ან ჩანებს თავიანთი კარგი წარსული და კულტურა არა აქვთო. მაგრამ ქართველ მთიელებსაც ჰქონდათ და აქვთ თავიანთი კულ-

ტურა. თ. ოჩიაური არაა მართალი, როდესაც ისე სახავს ისტორიულ ვითარებას (თუნდაც ვაღმოცემის მიხედვითი რომ წმინდის), რომ დევები (ანუ ქისტები) ვინდ ქაყები (ჩანები) „მეურნეობისა და ხელისნობის სხვადასხვა დარგებს მისდევდნენ; სახელდობრ, მონადარეობას, მიწათმოქმედებას, მკვლელობას, მეცხვარეობას“ (გვ. 25). ქართველ მთიელებზე კი ერთბაშად არ ამბობს მსგავს რაიმეს, პირიქით, აცხადებს, რომ ისინი მოშლილ ამოწყდებოდნენ, დევებს რომ სახენცილისათვის სპიროს ნივთები არ მიეცათო (იხ. ქვემოთ) და სამეურნეო საქმიანობებში ქისტების პრიორიტეტად აცხადებს!

თ. ოჩიაური ცალმხრივად ასახავს ორი მეზობელი ტომის ისტორიულ ურთიერთობას. მას ზედაურები ქაზნებად და იმვე დროს შტაყებლებად დაუსახავს (იხ. ქვემოთ). ამ ორ ტომს შორის ისტორიულად იყო მეგობრობა — საერთო შტრახთან გავრთიანებული ძალეებით ბრძოლა და შტრობაც, ურთიერთ თავდასხმები (განსაკუთრებით — XVII-XIII სუკუნეებში).

თ. ოჩიაური სურათს ასეთ მრულე სარკეში წარმოგვიდგენს: „დევები ძირითადად საზნაუბრის იარაღებს ჭედდნ თურმე. ვაღმოცემების მიხედვით, იმ დროს ფშავ-ზევისურეთში მკვდელი არ უყოფილა (!). ამიტომ მათ ნახელავს დიდი მოთხოვნილება ჰქონია. დევნი სხენებულ საქმიანობას მისდევდნენ ისეთი წარმატებით, რომ როგორც უკვე აღნიშნეთ, მათ სახენელით დამუშავებულ უანა ერთ დეარზე ორ თავთავს იბამდა. ზევისურ თუ ფშაველ შემკვეთლებს ისინი (!) თუშეთი თავიანთი ნაწარმით ამარაგებდნენ, მაგრამ გარკვეული პირობის დაცვის შემთხვევაში. ეს პირობა შემდეგში გამოიხატებოდა: შამკაცო მათ სამკველას ვერ გაეკარებოდა, შეკვეთა ქალს უნდა მიეტანა“ (გვ. 28).

გავრმელებამი ვეთხებლობთ: „ზოგადრი ვარიანტი მიხედვით, ისინი (ევნ? მ. შ.) ამათ ერთგვარად იცავდნენ თავს კონკრეტულისაგან; შამკაცებს შეეძლოთ მათი ხელისის შესწავლა, რაც საქმიანობაში ზარალს მოუტანდა. ქალებთან ურთიერთობის (sic!) დროს კი ეს საფრთხე (ე. ი. შ.) მოხსნილი იყო“ (გვ. 28).

ფშავ-ზევისურეთის მკვიდრთათვის და კერძოდ ზევისურთათვის, — წერს თ. ოჩიაური, — სპილენძი და მისგან დამზადებული ქურქულიარალი ძვირად ფასობდა და იგი ძირითადად შემოტანის ობიექტს წარმოადგენდა“ (გვ. 31).

ამედანვე ჩანს, რომ თ. ოჩიაური ქისტ-ჩანებს ძალიან ცივილიზებულ ტომებად სახავს. მათ მეზობელ ქართველ მთიელებს კი ჩამორჩენილებად და პირველთაგან დამოკიდებულად აცხადებს. ეს კი ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება.

! Г. Меликишвили, К истории древней Грузии, гв. 295; თ. ოჩიაური, გვ. 78, ხაზი ჩვენია, ი. შ.

თ. ოჩიაურის მრავალჯისი განცხადებით.

მთის ამ ქართულმა ტომებმა, თურმე, ლითონის დამუშავება რომ არ იცოდნენ, ქისტ-ჩანებები კი ამისი ჩინებული მოხელეები იყვნენ (გვ. 23, 28, 29, 131—132) და ისინი „თავის ხელობის დაცვის მიზნით“ უცხო საყვებს არ უშვებდნენ თავიანთ სოფლებში, ქართველი მთიელები იძულებულნი იყვნენ, რომ „მეტაღურვ ქაჯებთან (ქისტ-ჩანებთან) თავიანთი ქალები, გავაზავნათ“. ეს ქალები დევნილნი (ქისტ-ჩანებთან) დადიოდნენ, — მათ „ღვევები უმიჯნურდებოდნენ“ და მათთან სწორფრობდნენ“ (28). თურმე, „ფშაველები და ხევსურები დამოკიდებული ჩანან ღვევებზე; თუ ღვევები რკინის იარაღს არ გაუქუცდავენ, ისინი შიმშილით ამოწყდებიან“ (გვ. 29. ხანი ჩვენია, ი. მ.).

ქისტ-ჩანები გზადაც კი არ ატარებდნენ, თურმე, ქართველ მთიელებს, მათ ღვევები ესზომოდნენ თავს და შეურაცხყოფდნენ, აუბატურებდნენ ქალ-რძალს, „ხევსურნი თავისი ნებით (!) გზავენიდნენ ქალებს დევებთან (!), ოღონდ მათ სახენიელისათვის საჭირო რკინის ნაწილები გაუქუცდათ“ (გვ. 38, ხანი ჩვენია, ი. მ.).

ეს უსაფუძვლო განცხადებაჲ მით უფრო არ არის მოსაშენი, რომ აქაც ლაბარაია არა ფშავ-ხევსურთა შორეულ წინაბრებზე — ფხოველებზე (თუმცა ესეც დაუშვებელია), არამედ უშეაღწეველ ფშავ-ხევსურებზე, უმთავრესად — ხევსურებზე.

და ეს იმ დროს, როდესაც ცნობილია, ხევსურთა მამაცობა და ქალის ნაშუსის რანდული დაცვა. საქვეყნოდ აღიარებულია, რომ „ქართველ ტომებს მართო თავიანთების არ უკეთებით მადნეულის ტურქელი და იარაღი, არამედ, ისინი მსოფლიოს ამარაგებდნენ ამით“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 24).

თუ ქართველ მთიელებს ლითონი არ გაჩნდათ, რაღა-ნენი და საშიში ვხვით მიდიოდნენ მთას გადაღმა; გადმომლიდანეც, თავიანთი ძმეზისაგან ვერ წაიღეს!?

თ. ონიანის იმ რეალური, ეთნოგრაფიული ფაქტისათვის მიანიც ვაგწია ანგარიში, რომ მთიელებს შორის ქაჯების პერანგება, ქაჯ-ქაჯუნები ხევსურებს აქეთ და არა მათ გადაღმა მგზობლებს, დამწებასაც სხვებზე უკეთ ატარებდნენ და გამოთქმაც არსებობს: ხევსურულ ხმალსავით ქრისო, ტომნიში ფოლადაურის ხეობა და ვეარი ფოლადაური ჩვენში გვხვდება; ცხეარი ქისტებს ჰყავთ და არა მათ მგზობულ თუმებში ცხეარი და ყველი თუმურთა ცნობილი და არა იმდენად თუმთა მგზობლებისა და სხვა!

ახლა ეკითხოთ: როგორ მოხდა, რომ მკვი-

დრნი ბინადარნი — დევები, თავიანთი სოფლები რომ ჰქონდათ (გვ. 23) და „მესაქონლეობით“ და მიწათმოქმედებითაც განთქმულნი, „საქვეყნო“ იგინივე „ფიზიკურადაც ძალზე ძლიერნი ყოფილან“ და „ჩავრადდნენ ფშავ-ხევსურთა წინაბრებს“ (გვ. 21), შემდეგ როგორ დამარცხდნენ. და მათ ნამოსახლარზე ხევსურები დასახლდნენ!

თ. ონიანისავე სიტყვებით, იხსარსა და კობალას ამოუწყვეტია დევები (ქისტები), მათი ტერიტორიაც დაუპყრიათ და „ხილული დევები უხილავ არსებებდა იქნენ და სამუდამოდ მობატრავს ოდესღაც მათი კეთილი ტერიტორია“ (გვ. 21).

კი მაგრამ, ავტორი რომ ამტკიცებს: დევები ქისტები იყვნენო, ქისტები ხომ არსებობდნენ და თავიანთი ტერიტორიაც ხომ აქეთ! მაშ. ეს ხალხი არც უხილავ არსებებად ქმეულა და არც გამქრალა.

ავტორს ხევსურები თქმულებისა და საერთოდ ფოლკლორის მიხედვით, როგორც ვთქვით, გაბნებად გამოჰყავს და ისინი, თითქოს ურავლებოდნენ კიდევ თავიანთ ხვედრს.

ამ შინაარსის „თქმულებებს“ ავტორი იმდენად ცალმხრივად იყენებს, რომ საწინააღმდეგო მასალასა და კერძოდ ფოლკლორულ ლექსებს არც კი იხსენიებს. ვითარება კი სხვაგვარია.

ავიღოთ მხოლოდ ა. შანიძის წიგნი „ხევსურული პოეზია“ (თბ., 1931).

ხოვას მინდის ლექსში (ეიტ. წიგნი, გვ. 58 № 146) ვითხულობთ: „თორმეტი მოკლა მინდამა... თუმც ვართი მინდი მოკლესო“.

არბოტზე ქისტების ლაშქრობის ლექსში თქმულია: „უმიწავს ბევრი ქისტები, ბევრ რა შეყრავს ჩარია“ (გვ. 53).

არშასა და სსოზე გამაჩრებელი ხევსურები უკან ბრუნდებიან; ხალხურ ლექსში ეკითხულობთ:

„ბარაქალ, ქვესურთ შეილებო! წინათაც ვგრე ჰქნინაო“ (გვ. 69 № 170), ე. ი. წინათაც ხევსურები იმარჯვებდნენო.

ხევსური ამბობს:

„ქისტნი ჩავიგდით ქელადა, ნულარ ვახედავ ჩრდილსაო...“ (გვ. 81 № 195) ე. ი. ჩრდილოეთს, ქისტეთს ვეღარ ვახედავო.

სწორედ ხევსური იცხადებს:

„ქისტების გამოქვეყნულა ქუდიც ნუ მხურავ თავზედა“ (იქვე, გვ. 80 № 194) და სხვა ათობლებლი.

ფშაველებზე აღარაფერს ვამბობთ, ვინაიდან ვაჟა-ფშაველას მთელი პოეზია თ. ონიანის მტკიცების წინააღმდეგ და ჩვენი შირის სასარგებლოდ მტყუთვლებს.

ფოლკლორში ხალხი იმარჯვებს

და მოძალადეები მარცხებიან. ამ იდეას უნდა ჩასუღებოდა თ. ოჩიაური და არა მოგონილს, საინალიზმდევოს.

თ. ოჩიაური ნ. შარისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ ქართულ ლეთაგებულ აღიარებულ ინტორსა და დალს (დაალს) ქისტურ ლეთაგებულს უწოდებს (გვ. 133—134). ვაჟა-ფშაველას მიერ ფშავთა გმირებად მიჩნეულ სულასა და ურდღელას (შდრ. სულქალმახი — ამირანის მამა) კი სხვებად სახავს. ოჩი-დალში, ოჩი, — აშბობს თ. ოჩიაური, — ქართული ვაცია და დალა ქისტური ლეთაგებო.

ლინგვისტურად უნდა უწოდებოდეს ესეც ვაჟაშარულს და სხვა.

არც იმის გამართლება შეიძლება, რომ თ. ოჩიაური მეზობელ ხალხებს ავი სულების სახელებს არქმევს, მათ წინაპრებს დევებად და ქაჯებად სახავს!

თ. ოჩიაურის დასახელებული წიგნი რაც სხვა შეცდომებსაც შეიცავს. ვფიქრობთ, რომ ავტორმა ყოველივე ეს მომავალ მუშაობაში უნდა გაითვალისწინოს.

0. შინაილიძე.

### საინტერესო საგაჟვხო მოთხრობები

ვიღრე სულხან ქეთელაურის მოთხრობებამ წიგნზე შევჩერდეთ, ვინაა ოჩიოდე სიტყვა ვთქვათ იმ ამოცანებზე, იმ საპირბორბოთო საკითხებზე, საბავშვო მწერლობას წინაშე რომ დგას.

რა დასაშადავია, რომ ომისშემდგომ წლებში ჩვენს საბავშვო ლიტერატურაში, განსაკუთრებით სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთათვის განკუთვნილ ნაწარმოებებში, ეპიკურული იყო შტამბი, ლექსები და მოთხრობები ერთმანეთს ჰვადდა. იშვიათად თუ გამოჩნდებოდა ხოლმე ღირსეული საბავშვო მოთხრობა ან ლექსი, ჩვენი ცნობილი საბავშვო მწერლებს ხელით დაწერილი.

საბავშვო ლიტერატურას რატომაც გულით არ ეკიდებოდნენ სწორედ ის მწერლები, ვისაც შეეძლო თავისი კალმით დიდი წვლილი შეეტანა საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში.

ასეთი ტენდენცია დიდხანს ვრძელდებოდა, მაგრამ ამ ბოლო წლებში მშრალი ვალები დიდაქტიკა ხატოვანმა აზროვნებამ და შედეგებითი ღირებულების მქონე ნაწარმოებებმა შეცვლა. ამ თანხის სერაიოზულად მოკიდდეს ხელი ბელეტრისტებმა და შედეგად მალე გამოჩნდა.

ბოლო წლებში მეტად კარგი და საინტერესო საბავშვო მოთხრობები გამოაქვეყნეს რ. ინანიშვილმა, თ. იოსელიანმა, მ. ელიაშვილმა, დ. ჯავახიშვილმა, კ. კობერძემ. ყურნალ „დილაში“ ხშირად ქვეყნდება გ. პაპუაშვილის საინტერესო მოთხრობები.

უნდა ითქვას რომ რ. ინანიშვილის მოთხრობების წიგნი „ბიბო“, თავისი მხატვრული დი-

რებულებით, დიდი შენაძენია ქართული საბავშვო პროზისა.

ამ ბოლო დროს გახშირდა დისკუსიები საბავშვო ლიტერატურის პრობლემების ირგვლივ. ამ დისკუსიებზე მთელი სიმწვავეით დგას საკითხები: ბავშვის აღზრდაზე, მისი ხასიათის ჩამოყალიბებაზე, იმაზე, თუ რაგორი უნდა იყოს თანამედროვე ნორმი გმირი, რა უნდა იყოს მისი იდეალი, დავაა ნორმი გმირის ხასიათზე, თხრობის სტილზე. ეს იმის ნიშანია, რომ თანამედროვე ცხოვრებამ უდიდესი მნიშვნელობა მიაჩნა ბავშვის წესიერად აღზრდის პრობლემების მოგვარებას და ამ დიდი მისიის შესრულებაში ყველაზე მნიშვნელოვან დახმარებას საბავშვო მწერლობიდან მოელოს.

ხუთიოდე წლის წინათ „დილაში“ გამოქვეყნდა პატარა მოთხრობა სამი წლის ბავშვზე, რომელიც თურმე კარგი გოგოა, მაგრამ ძუნწია. ეს გოგო, სახელად ეკა, თანატოლებს თოქინაზე ხელ არ აკარებინებს, ჩემიაო, ერთხელ თვითონ ეკა სტუმრად წაიყვანეს. იქ საქანელა დაინახა ეკამ და, ზაქლომა რომ მომსურება, მოულოდნელად პატარა ნათელი გამოჩნდა, ეკას უთხრა ჩემიაო, და თვითონ ჩაქდა.

„ახა ჩემზე, — გაითქვა თურმე ეკამ, — რათ ვიყავი ასეთი ძუნწი?

და ვადაწყვიტა ამის შემდეგ ძუნწი აღარ ყოფილიყო. არა ვგონია, რომ სამი წლის ბავშვს ასეთი ანალიზის გაკეთება შეეძლოს. ეს მხოლოდ და მხოლოდ ავტორის ნებასურველი დაყრნობილი დასკვნაა. ამ ნაწარმოებზე, ღმერთთა მოწამე, ეკა ვერაფერს გაუგებს, ხოლო იქნის შეიდი წლის ბავშვს მხატვრულად ვერ დაეკმაყოფილებს. მაშ ვიღასთვის იწერება ასეთი მოთხრობები? საბავშვო მოთხრობას, რომელი ასაკისთვისაც არ უნდა იყოს იგი დაწერილი, არ უნდა დაეყარა თხრობის სილამუ-

სულხან ქეთელაური, „სტე ტირიდა“, „ნაქა-დული“, 1969.

და ხატოვანება, ლექსიერტი სიმღიდრე. მართა-  
ლა, ბავშვი შინაარსზე ამბვილეს ყურადღე-  
ბას, მაგრამ შინაგანად მას მიიწე უმეზღვრება  
მხატვრულად სრულყოფილი ენის შეგარნების  
უნარი. შშალი დიდაქტიკა ვერასოდეს ვერ აღ-  
წევს მიზანს. ასე რომ იყოს, შშინ ნაწარმოების  
მხატვრულობა რაღა საჭირო იქნებოდა. მხ-  
სენდება ანტონ ჩეხოვის ერთი მოთხრობა.  
მოთხრობის გმირი — ექვსი წლის სეროიკა  
მამას სივარტეებს პპარავს და ეწვევა. რა აღარ  
იღონა მამამ, როგორ არ დააჩვივა, მაგრამ ვერ  
მოაშლევინა ეს ზნე. ბოლოს ისევ ის ცხოველ-  
ყოფილი ფანტაზიისა და მხატვრული სიტ-  
ყვის ძალა გამიყენა. მან შეთხზა ზღაპარი  
პატარა ლამაზ უფლისწულზე, მეტად კარგი  
ბიჭი რომ იყო, მაგრამ ნადრეკედ რომ მოყ-  
ვდა. სეროიკა გულსყურით უსმენდა მამას  
და ბოლოს პკითბა, რით მოყვდოა. თამაშქოს  
წყით, უპასუხა მამამ. სეროიკამ ცოტახნის ფი-  
ქრის შემდგე სეველიანად წარმოსთქვა, თამბა-  
ქოს აღარასოდეს გავეკარებოთ.

ამ მოთხრობით დიდმა შწერალმა დაასკენა,  
რომ შშრალი დიდაქტიკა ვერავითარ ზეგავლენ-  
ას ვერ მოახდენს ბავშვის ხასიათზე.

ზშრალ კამათობენ, როგორი ხასიათის მოთ-  
ხრობებია საჭირო ბავშვებისთვის.

ბავშვებისათვის საჭიროა ისეთი მოთ-  
ხრობა, რომელსაც იქნება შემეცნებითი ღირე-  
ბელება, მოთხრობა, რომელიც ბავშვს გადაუ-  
შლის საინტერესო საწყაროს, მოთხრობა, სა-  
დაც ასახული იქნება შრომა, მოთხრობა, სა-  
დაც გამოყვეთილი იქნება ესა თუ ის ხასიათი,  
და ბოლოს, მოთხრობა, რომელიც ბავშვს ეს-  
თეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს. ამასთან,  
ეტიკულებელი მძალი იყოს ნაწარმოების მხა-  
ტვრული ღონე.

ბავშვის საწყარო რთული და საინტერეს-  
სია იგი სულ სხვაგვარი თვალთ უყურებს ცხო-  
ვრებას, სავნებს. მას წარმოდგენის საიუარი  
უნარი აქვს. ყველა გართობა მისთვის სერიოზ-  
ული საქმიანობაა, „ომობანა“ ნამდვილი ომი,  
ხოლო „მოფრობანა“ — ნამდვილი მოფრობა.  
რა თქმა უნდა, ჩვენი საბავშვო შწერლობის  
დაუცბროთმელი ვალია ბავშვს ასწავლოს აღამი-  
ანის სიყვარული, სიმაბოლის თქმა, სამარ-  
თილიანობა, პირდაპირობა, ეს ის მეცნიერებება,  
რომელსაც არსად არ ასწავლიან.

სულან ჭეთელაური რამდენიმე წლის წინათ  
გამოვიდა ლიტერატურულ ასპარეზზე. შარშან  
კი წიგნის ბაზარზე გამოჩნდა მისი საბავშვო  
მოთხრობები, „უღრანი ტყის საიდუმლო“, რო-  
მელიც, ჩემი აზრით, ერთ-ერთი შწვენიერი სა-  
გულისტმო საბავშვო წიგნია.

და ამ ახლახანს მას მოჰყვა მეორე, უმცროსი  
სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის გათვალისწი-  
ნებული მოთხრობების წიგნი „ტყე ტროლა“.

ამ წიგნის ერთი დიდი ღირსება ის გახლავთ,

რომ შწერალმა კარგად იცის, რაზეც უნდა, მა-  
რგად იცის ბუნების საწყარო, მისი სრულყოფილი  
მოთხრობები ძარღვიანი, ლექსიერტად შდრ-  
რი ქართული არის დაწერილი.

წიგნის პირველი მოთხრობა გახლავთ „გიგის  
მეგობრები“. ამ მოთხრობის გმირი გიგი ერთი  
შობტილუე ბიჭია, შოგა სკოლადან, აღდებს  
რუხინის შურდულს და დაბინდებამდე დასდევს  
ზედურებს. და ამ ერთ დღეს საფუტკრებს გა-  
დაეყარა. ფუტკრებმა ბზულით აუფრინ-ჩაუ-  
ფრინეს, წიდი შინ, გაყვეთილები ისწავლო.  
გიგამ ფუტკარის ზელი ატქნა და მიიღო კიდეც  
შწარე ნესტარი. აქედან იწყება გიგისთვის ფუ-  
ტკრების საინტერესო, უცნობ საწყაროში შეს-  
ვლა. შწერალი საქმის ცოდნით, დაწერილობით  
აცნობს ბავშვებს ფუტკრების ჩვევებსა და აღბას  
და ამავე დროს, ფუტკრის მავალითობა, გამოს-  
წორების გზას ადგება მოთხრობის გმირი. იგი  
დაუმეგობრდება ველურ ფუტკრებს, მიუჩენა  
ბინას და ისინიც უფსახებუნ შრომის, ბეჭითად  
უფროვებენ თაფლს.

მოთხრობა, შემეცნებითი ღირებულებით, მხა-  
ტვრულობით უსათუოდ საყურადღებოა, მაგ-  
რამ ზოგა რამ შინაც სადავოა. ზემი აზრით,  
მოთხრობა თითქმის შეიწიკა ავტორის მიზანმა  
(ბავშვებისათვის რომ გაეცნო ფუტკრების  
საწყარო), ხოლო მეორე მიზანი, რომ შწერალს  
ენებებინა, თუ როგორ იქცა უპარყოფითი გმი-  
რი დადებითად, ოდენავ გაფერკმართადა.

„უფედო ირემი“ — ასე ჰქვია ერთ-ერთ ლე-  
გენდა-მოთხრობას. შწერალი ძალზე საინ-  
ტერესოდ ჰყვება ზარბაცი, მედღებავლიე, ნე-  
ბიერა ირისს ამბავს, სიზარმაცემ უყუდოდ  
რომ დაარჩინა და ამ ლეგენდას თავისებურად  
ამართლებს. მოთხრობის დასკენა ასეთია: „ასე  
იცის, ბავშვებო, სიზარმაცემ. კაცმა სახელოდ  
არ უნდა გადადოს დღეს ვასაყებთელი საქმე,  
თორემ ბოლოს ირემივით იწანება“.

უდავოდ საინტერესო მოთხრობაა „მოხარბე-  
ბული დიასახლისი“. ეს არის ამბავი ორი ხარ-  
ბი მეთავისე ბივისა, უნებურად ორმომი თხი-  
ლის გროვას რომ წააწყდნენ. შწერალს ოსტა-  
ტურად გამოუყენებია ციყვის ჩვევა. ეს გახდა  
მიზეზი, რომ ბიჭების ხასიათი და ურთიერთდა-  
მოკიდებულება კარგად და ბორომდე გამ-  
ელანებუელიყო, რომ მათ შორის წარმოშობი-  
ლიყო კომფლიქტი. მართლაც და უცნაურია,  
სად უნდა წასულიყო თხილი, ვის უნდა წა-  
ელო და უეცრად, აღბათ ყველა ბავშვის გა-  
საკვირებლად, ისდებია საიდუმლოების ფარდა.  
ამ შწერალმა ერთი გასროლით ორი კურდღელი  
მოკლა: ციყვის ამბავი გამოიყენა სიუჟეტის  
ხერხად და ამავე დროს ბავშვებს გააცნო ბუ-  
ნების საწყაროს, მისი შეილის — ციყვის აღა-  
წესი, რაც ბევრმა მოზარდილმაც არ იცის და  
რასაც არანაკლები ინტერესით გაფენო ბავშვი.  
ეს მოთხრობა უდავოდ საინტერესოა და კარ-  
ვადაც არის დაწერილი. მისი კთობებას აშკა-

რად ვრძნობთ, მწერალმა რა ზედმიწევნით იცის ტყე, ის ვარგეო რომელზეც წერს თითქოს თქვენც ვესმით ფოთლების შრიალი, ვრძნობთ ტყის ნოტიო სურნელს და ქაბა სოკოების თავისებურ სუნს, ხედავთ, როგორ ფართობდებიან ბიჭები კენელისა და ზღმარტლის ტანდაბალ ხეებზე და უნებურად იღვიძებენ თქვენში რაღაც ტყობლი მოგონება იშინა, რაც წლების იქით დაინთქა.

ამ მოთხრობაში ზოგიერთი დიალოგი, სამწუხაროდ, პარადაღ მე გაუმართლებელი, არაბუნებრივი და დამატებული მერყეუნება. მაგალითად, მეტყველის დიალოგი.

— აი თქვე მოხუხებებო! — დაუტყველა ნაკომ, — ვინ გასწავლა ჩხუბი? დამაბედო, მოვალ თქვენს მასწავლებელთან და ყველაფერს ვუტყვი“.

და მეორე დიალოგი:

— აბა, არ მომატუოთ, თორემ აქვე ახლოს ვიქნები და ყველაფერს გავიგებ, — უთხრა ნიკომ, ცული ისევ მხარზე გაიღო და ტყეს შეერია“.

რატომღაც მერყეუნება, რომ ეს დიალოგები იტორის ნებასურვილიდან გამომდინარეობს და არა იმ კაცის ბუნებიდან, რომელიც აღწერილ სიტუაციაშია მოქცეული. თუ არ ვცდები, სულხან ქეთელური კარგი მოთხრობების ავტორია, ღიბი ყურადღებით უნდა მოეკიდოს დიალოგს და აღამიანის ხასიაოს.

აზრანის, კარგად დაწერილი მოთხრობა — იგავია „ღვია“. თავის თანამომკვებინდან, თვით ცხოვრებიდან, თავის კერიდან გაქცეული, გაუმარტავებული ღვია ყინვამ და ქარიშხალში დააქწო, გაანადგურა.

იგი იმიტომ იყო კარგი, რომ თავის თანამომკვები ეღვინ გვერდით. გაუნაპირდა, იუკადრისა ისინი და მყისვე გადაუტყდა ის სიკეთის წყარო, თავის თანამომკვების ფესვებიდან და სხეტულიდან რომ მოსდევდა. მოთხრობა შესანიშნავად იკითხება. მაგრამ ამ წიგნში მხატვრულობით, ხასიათის ხატვით, ბუნებრივობით მაინც გამოირჩევა „მეცხვარე გიგლა“. თავიდანვე მაინც უნდა შევედგავო ავტორის ერთ საკითხზე, ლაკონურობაზე. ვერ გავიგე ავტორს ამ მოთხრობის პირველი თავი რათ უნდოდა, ზოგიერთი ადგილის მოკლედ დაწერაც შეიძლებოდა.

მაგრამ, ასეა თუ ისე, ზემოთ აღნიშნული მოთხრობა უდავოდ კარგი და ერთ-ერთი გამოსარჩევა წიგნში. შესანიშნავად, დამაწყებლად ჰყვება ამბავს, მწერალი. გვერათ, რომ

ბატკანის მართლა ფეხები ჰქონდა მომტყველები და პაპამ უმკურნალა. გვერათ, რა რაღაცეა მართლაც ოცნებობს მეცხვარეობაზე, უფრო მეტიც: ის უკვე მეცხვარეა თავისი წარმოდგენით. ძაღლი, ხალაფური, ერთი, მაგრამ მაინც ცხვარი, იალაღი და პაპის ძველი მეცხვარის ნათქვამი სიტყვები, გიგლა რომ იშვიათებს, მეშინია ან მგელმა არ მომტაცოს, ან ქურდმა, ან ავორებულმა ქვამ არ დაიტანოს ქვეშ. ცხვარს ხომ ბევრი მტერი ჰყავს, ხომ ასე თქვა პაპამო.

სულხან ქეთელურის მოთხრობების მეტ ნაწილს ღიბი შემეცნებოთი ღირებულება აქვს და მარტო ბავშვის ინტერესს როდი აძლიერებს. ერთხელ კიდევ უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ მწერალი ბუნების შეილია, ხალხიდან, ბუნებიდან მოდის და თან მოაქვს იმ ხალხში გამქდავებული საიდუმლო „ექიმბაში ძერა“, „ყრუ-მუნჯი დათვი“ სწორედ ასეთი მოთხრობები გახლავთ. აღამიანმა თავისა დავვირვეებით იცის, რომ ისევე, როგორც აღამიანებში, მხეტებშიც არის ყრუ-მუნჯი, ბრმა, ხალხის (უფრო სწორად, ცალკეული აღამიანების) ეს დავვირვება არსად სწერია, არცერთ მეცნიერებაში. არსად წერია, რომ ძერა გველის ქამისას თან დაყოლებს ხოლმე გამკურნებელ წამალს ყვითელქაშორა ზონიტას. ამ საიდუმლოს მხოლოდ აღამიანმა მიაგნო და საიდუმლოდ შეინახა.


„უტრკვეიტას სიზმარი“ ფრიად აქტუალური და მართალი მოთხრობაა, ცხოვრებიდან აღებული. მართალია, ის ცხოველებზეა დაწერილი, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ სადილო ამბავი უფროა, ვიდრე საბავშვო, თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. საკითხავია, ავტორმა კერძოდ თავგადასავალი სიზმარზე რათ გადიტანა?

ასეთივე მოთხრობაა „ყვავი ყვანლა“. კარგად, ოსტატურად დაუწერია ავტორის მოთხრობის ბოლო. მეცხვარა, მატყუარა, ყანა, სიკვდილის მავიერ, გალით დაისაჯა.

საკარბოროტო საკითხებზეა დაწერილი აგრეთვე მოთხრობა „ტყე ტირილა“.

ჩემი აზრით, სულხან ქეთელურის „ტყე ტირილა“ შემეცნებოთი და მხატვრული ღირებულებით ისეთი წიგნია, რომელსაც მარტო ბავშვი კი არა, მოზრდილნიც სიამოვნებით წაიკითხავენ.

ქველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები



ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ძეგლების მეცნიერული გამოცემა, რაც ყველა არსებული და ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ხელნაწერის მონაცემებზე იქნებოდა დამყარებული, ქართველ ფილოლოგთა სანუკუარი იყენება იყო. მართალია, ცალკეულ მწერლობათა და სპეციალისტთა მიერ ერთი და იმავე ძეგლი როდესაც გამოშვებული და დასტამბულ, მაგრამ კორპუსის უქონლობა უკვედ ფეხისნაბიჯზე იკრძაობოდა და იკრძაობდა.

ამ რამდენიმე წლის წინათ კ. კვეციანის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა, აწ განსვენებული პრფ. ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით, წამოიწყო ქართული აგიოგრაფიული ძეგლების აკადემიური გამოცემა. პირველი ტომი, რომელშიც თავმოყრილია V-X ს.ს. თხზულებანი, გამოქვეყნდა 1964 წელს; მეორე ტომი, რომელშიც XI-XIII ს.ს. ნაწარმოებებია გაერთიანებული, გამოვიდა 1967 წელს. ამჟამად შეთხველმა საზოგადოებამ მიიღო მეოთხე ტომი, რომელიც ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ე. გაბიაშვილმა მოამზადა. (შესაძებ ტომი სტამბაშია და მალე იბეჭდვს დღის სინათლეს).

ქართული აგიოგრაფიული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე მე-18 საუკუნის მიწურულამდე ინტენსიურად ითარგმნებოდა იმდროინდელი ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, ამავე დროს, იწერებოდა ეროვნულ წმინდა-მოღვაწეთა წამება-ცხოვრებანი. სწორედ ამიტომ მნიშვნელობა ქართული აგიოგრაფიული მწერლობისა ბიზანტიური ლიტერატურის მრავალი კარდინალური საკითხის შესწავლა-გარკვევაში დიდია.

ქართული ეროვნულ მოღვაწეთა კვლევის დაწესება, მათი საქმიანობის წარმოჩინება და წერილობით აღწერასა პატრიოტული სულიკვეთების ზრდის შესაბამისად ხდებოდა. ქართულობის დაცვა, რომელიც ძველად ქრისტიანობის დაცვასთან იყო გათვითებული და გაღაწენული, უცხო თესვის მოშობაზე დამყარობდებთან ბრძოლაში უხდებოდათ ჩვენს წინაპრებს. ამიტომ მათი მოღვაწეობის შეფასება იმთავითვე ხდებოდა არა მარტო სარწმუნოებრივი დანატიზმის მოზიციებთან, არამედ ეროვნული დამოუკიდებლობის, თავისუფლების დრმა სიყვარულით.

„აგიოგრაფიული ძეგლები“, წიგნი IV, ხვინაქართული რედაქციები (XI-XVIII ს.ს.), გამოსცემდა მოამზადა და გამოკლდევა დაურთო ე. გაბიაშვილმა, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1968 წ.

სწორედ ამ ძირითადმა ფაქტორმა განსაზღვრა ქართული აგიოგრაფიის სახე და მთავარი მიმართულება ამიტომ არის, რომ ქართული აგიოგრაფიული მწერლობისათვის დამახასიათებელია დრმა სოციალურ-პოლიტიკური შინაარსი, ამიტომ არის მისი მნიშვნელობა ეგზომ დღეა ჩვენი ხალხის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლაში.

ქართული აგიოგრაფია XI საუკუნემდე ჩვენი მწიგნობრობის ძირითადი და წამყვანი დარგი იყო, ხოლო მომდევნო საუკუნეებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი. აგიოგრაფიული ძეგლების პირველ ტომში დასტამბულია 14 თხზულება, რომლებიც V-XI ს.ს. თარიღდება, მეორე ტომში კი გამოქვეყნებულია XI-XV ს.ს. 5 ნაწარმოები. სულ აკადემიურად გამოცემული გვაქვს 19 ძეგლი ორიგინალური ქართული აგიოგრაფიისა. მათი ემზარკუნობა თარგმნილია ევროპულ ენებზე, და მსოფლიო აგიოგრაფიის კვლევის ობიექტივშია მოქცეული. დღეს უკვე წარმოდგენილია ბიზანტიური მწერლობის ისეთი ცენტრის ისტორიის შესწავლა, როგორც იყო ათონის მონასტერი, ქართული მისაღებისა და, კერძოდ, ექვთიმე და გიორგი ათონელების ცხოვრებათა გარეშე, ათონის შემოქმედებითი კერა ერთნაირად დიდ როლს თამაშობს როგორც ქართული, ასევე ბიზანტიური ლიტერატურის განვითარების საქმეში.

ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული თხზულებების თავმოყრა და სპეციალური ანთოლოგია-კრებულების შედგენა ჩვენში მე-17 საუკუნიდან მიწურულიდან იწყება. განნდა ე. წ. აგიოგრაფიული კრებულები, რომელთა შემდგენლები (დომენტი ბაგრატიონი, ბესარიონ ორბელინი და სხვ.) მეტიმად ეძებდნენ, ჩხრეკდნენ სხვადასხვა ხელნაწერებს და თავს უყროდნენ ორიგინალური მწერლობის ნიმუშებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არა ერთი და იმავე თხზულება სწორედ მათი წყალობით გადაურჩა დაკარგვას.

საუკუნეზოა წიგნში შედის ე. წ. სვინაქსარული საკითხავები, რომლებიც XI-XVIII საუკუნეებით თარიღდება. წინა ორი ტომისაგან განსხვავებით, აღნიშნულ წიგნში მარტო ტექსტები კი არ არის გამოქვეყნებული, არამედ ყოველ ტექსტს საფუძვლიანი ფილოლოგიური-ისტორიული გამოკლდევაც ახლავს.

სვინაქსარი სასულიერო მწერლობაში მეტად ცნობილი და დიდი მნიშვნელობის მქონე წიგნია. ადრეულ პერიოდში იგი არეგულირებდა და მიმართულებას აძლევდა მთელ საქალისო ცხოვრებას. ამიტომ, საესებოდ ვასაგებია ის აღფრთოვანებული შეფასება, რომელიც გიორგი მცირემ — გიორგი მთაწმინდე-

ლის ცხოვრების აღმწერმა — გამოთქვა დიდი სენიანების გიორგისეული თარგმანის გამო: „ერთი ბრძენიან ზუროთმოძღვარმან, პირველად კეთილი საფუძველი დადგა, იწყო რაჲ შენებად ღმრთისა ეკლესიასა, რამეთუ, პირველ ყოველისა, სწავსაბი თარგმნა, რამეთუ ესე არს საფუძველი ეკლესიათა, რომლისა თვნიერს შეუძლებელ არს წარმართება ეკლესიისაჲ, რამეთუ რომელნა ეკლესიასა სწავსარსი არა ჰქონდის, დადაცა თუ ყოველნი წიგნნი ჰქონდინ, თაფლსა ჰმს, ზოლო სიტყობებასა სასადა ვერა სენობს“.

ქართულ მწერლობაში სენიანების ორი თარგმანი არსებობს, ე. წ. მეორე სენიანსარი და დიდი სენიანსარი. პირველი ექვთიმე ათონელში, თარგმნა, ზოლო მეორე ე. წ. დიდი სენიანსარი — მისმა სახელეოვანმა მემკვიდრემ გიორგიმ.

სენიანსარი გარკვეული დანიშნულების ლიტურგიული ხასიათის წიგნია. მასში, საეკლესიო კალენდრის მიხედვით, თავმოყრილია ყველა წმინდანზე მოკლე სხარტად დაწერილი საეთხიზო ბიოგრაფია, ლაქონიურობას საფუძვლად ის უდევს. რომ სენიანსარული საეთხიზო განუთქმნილია ღვთის მსახურებისათვის. მიღებული წესის მიხედვით, იგი იკითხებოდა წირვის დროს, ლიტურგიული კანონის შექმნამდე გალობის შემდეგ. ამიტომ ტექსტი ადვილად მონასტრის, მხატვრობად გამართული უნდა ყოფილიყო, რომ ზემოქმედება მოეხდინა მორწმუნეებზე. მსოფლიო აგიოგრაფიულ მწერლობაში სენიანსარულ საეთხიზებს დიდი ინტერესით იყულებენ და, ძალიან სწორად, სენიანსარება მეცნიერებისათვის სრულიად ახალ ფაქტებს და მოვლენებს ფენს შექმნა გარდასულ ეპოქათა ისტორიიდან.

ქართული სენიანსარული ცხოვრება-წამებანი მონოგრაფიულად დღემდე არავის შეუსწავლია. მით უმეტეს, სენიანსარულ საეთხიზთა მეცნიერულ პუბლიკაციაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამ დიდი ხარჭების ამოცხვენის პირველი გაბედული ცდა არის ე. გაბიძაშვილის 28 თამახიანი წიგნი.

სარეცენზიო წიგნში მოპოვრილი მრავალი ახალი დებულება და მოსაზრება, რომლებიც ჩვენს მეცნიერებაში სათანადო ადგილს დაიკვრს, ყველა მათი განხილვა და ცალკე-ცალკე აღნუსხვა შეუძლებელიც არის და არც არის საპირო. ჩვენ მხოლოდ ორ საეთხიზს შევხებებით და მის ფონზე ვაჩვენებთ ავტორის წყლის, რაც მან ქართული სენიანსარულ ლიტურჯის შესწავლაში შეიტანა. ეს საეთხიზებია: ა) ექვთიმე მთაწმინდელის სენიანსარული ცხოვრება და ბ) XVIII საუკუნის სენიანსარება.

როგორც კი ქართულმა ეკლესიამ ფეხი მოიკიდა და საეკლესიო ეროვნული ინტერესები

გაუნდა, იმთავითვე დაიწყო საეკლესიო კალენდარში საეკლესიო წმინდანების შეტანა. ეს კი თავისთავად გულსამზობდა, რომ შეთხუთხის საეკლესიო იყო სათანადო ლიტურჯიული მასალის (საგალობლები, საეკლესიოები — ბიბლური წიგნებიდან და სენიანსარი) გაწეობა-გამართვა. მაშინ, როდესაც სენიანსარული ცხოვრების შექმნის ტრადიცია არ არსებობდა, საეთხიზის შეგებობას ე. წ. მოკლე ცხოვრება-წამებანი ასრულებდა. XI საუკუნიდან კი, როდესაც ქართულად თარგმნა სენიანსარი, გაჩნდა პირველი ნიმუშები ქართული სენიანსარებისა. 1028 წ. გარდაიცვალა ათონის ლიტურჯიული სკოლის ფუძემდებელი ექვთიმე მთაწმინდელი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ერთად აღწერა გიორგი მთაწმინდელმა: „ცხოვრებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესა და ეფთემესა და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქეობისა მთისსა (გამოკვეთნებულად ძეგლებს მერე ტომში), ამ ძეგლის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიაში უველსათვის კარგად ცნობილია. იგი გამოწვლილვით არის შესწავლილი სპეციალისტების მიერ. ათონის ქართველთა მონასტრის მშობამ და საერთოდ, ქართულმა ეკლესიამ ექვთიმე მთაწმინდელის სენიანსარული ეკლესიაში 13 მაისის, დიწერა საგანგებო საგალობელი და სენიანსარული ცხოვრება. სპეციალისტების მიერ გარკვეულია, რომ პირველი საგალობელი ექვთიმეზე მასლი ზაგარის ძეს ეკუთვნის, მაგრამ სენიანსარული ცხოვრების შექმნის დროსა და ავტორზე ლიტურჯიულად გარკვეულია არ სუფუვდა. თითქმის აღიარებული და გაცნობილებული იყო აკად. კ. კეკელიძის ვაყარით გამოთქმული მოსაზრება, რომ ექვთიმეს სენიანსარული ცხოვრება გიორგი მთაწმინდელს უნდა ეკუთვნოდეს და შედგენილი უნდა იყოს იოანესა და ექვთიმეს ვრცელი ცხოვრების საფუძველზე. უნდა ვიფიქროთ, რომ მეცნიერმა ეს მოსაზრება ტრადიციის საერთო გაყენებით გამოთქვა, რადგანაც ამ დებულების დამადასტურებელი არც ერთი არგუმენტი არ წარმოუდგენია არც ერთ თავის ნაშრომში.

სარეცენზიო წიგნის ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან პირველმა შეისწავლა ექვთიმეს სენიანსარული ცხოვრება ფართო ასპექტით, პირველმა შეაღწა ყველა არსებულ წყაროს ექვთიმეს სენიანსარულ ცხოვრება და დასკვნაც შესაფერისი მიიღო. ე. გაბიძაშვილმა უძველესად დაამტკიცა, რომ: ა) „დიდი სენიანსარი“, რომელიც გიორგი მთაწმინდელის ლიტურჯიული შემოქმედების პირველი პროდუქციაა, შეიცავს ექვთიმეს სენიანსარულ ცხოვრებას; ბ) სენიანსარული ცხოვრების ავტორი არ შეიძლება იყოს გიორგი მთაწმინდელი; გ) მამასადამე, სენიანსარული

ცხოვრების ვითარება ვრცელ ცხოვრებაზე დამოკიდებულა არ დღესატრდა; დ) პირი-  
ქით, ვაიკეა, რომ გიორგი მთაწმინდელი და  
მისი თხოვრება თვით იყენებს ერთ-ერთ ძი-  
რითად წყაროდ ექვთიმეს სეინაქსარელი ცხო-  
ვრებას, რომელიც ექვთიმეს გარდაცვალების-  
თანავეა შექმნილი და გავრცელებული.

ავტორის ეს დამკვირვებელი მთელი არსებული  
მასალის გულდასმით შესწავლა-შედარებაზეა  
დამყარებული და სავსებით ახალია ქართულ  
ფილოლოგიაში.

გიორგი მთაწმინდელის კალამს არ ეკუთვნის  
ექვთიმე ათონელის სეინაქსარელი ცხოვრება,  
პირიქით, იგი ერთ-ერთ წყაროდ იყენებს მას.  
საშუალო შუიძლება იყოს ავტორი ექვთიმეს  
სეინაქსარელი ცხოვრებისა? ე. ვაბაშვილმა  
წამოაყენა შეტად საინტერესო და, ჩვენი აზ-  
რით, სავსებით სწორი და მისაღები მოსაზრე-  
ბა რომ ექვთიმე ათონელის სეინაქსარელი  
ცხოვრება უნდა გუუთვნოდეს ბასილ ბაგრა-  
ტის ძეს, რომელმაც დაწერა საგალობლები ექვ-  
თიმეზე მისი გარდაცვალების უმაღლეს. ამ პი-  
რობაში არაფერია მოულოდნელი. ალბათ,  
ბასილ ბაგრატის ძეს დაეავალა მთელი ლიტერ-  
ატული კანონის — განკვების შექმნა და მან-  
და დაწერა საგალობლები რაც უმაღლეს  
დასტურდება სხვა მონაცემებით და, ერთობა  
— სეინაქსარიც. ამ უკანასკნელის სასარგებ-  
ლოდ ლაპარაკობს ის დიდი სიახლოვე და ურ-  
თიერთდამოკიდებულება, რაც არსებობს, ერ-  
თი მხრივ, საგალობელსა და, მეორე მხრივ,  
სეინაქსარის შორის. ექვთიმე ათონელის სეინა-  
ქსარელი ცხოვრება გავრცელდა, მოქალაქე-  
ობრივი უფლება მოიპოვა ლიტერატურულ ლა-  
ტერატურაში. საგალობლები კი — არ გავრ-  
ცელებულა. საქმე ის არის, რომ გიორგი მთა-  
წმინდელმა, როდესაც „თვენი“ — საგალობ-  
ლებსი კრებულში — თარგმნა ქართულად, და-  
წერა ექვთიმეზე ახალი საგალობელი, რომელ-  
მაც ხშირებიდან გამოდევნა ბასილ ბაგრატის  
ძის პიში. ამას ხელი შეუწყო გიორგი მთა-  
წმინდელის დიდმა ავტორიტეტმა (მსგავსი მან-  
კალითები ქართული მწერლობის ისტორიაში  
ცნობილია).

XVI საუკუნიდან მოყოლებული, საქარ-  
თლოს პოლიტიკური მდგომარეობა არ იყო  
ხელსაყრელი. ქვეყანა დაიშალა ცალკეულ სა-  
მეფოებად და სამთავროებად, შინაური აშ-  
ლილობა და ურთიერთ შეღიჯი ხელს აძლევ-  
და გარეზე მტერს. თანდათან იშლებოდა ერო-  
ვნული აპარატი, ფეოდალური კლასის წარ-  
მომადგენელთა შორის შესამჩნევად მოძიერ-  
და მამამადიანობა. სახლოვანი ისტორიკოსის  
ეახტონის სიტყვით, „შემოხდა უმეტეს პირვე-  
ლის ქვეყა და ხენი ყიზილბაშთა და დაუ-  
ბევედნენ ქართულთა“.

მდგომარეობის გამოსწორებისათვის ბრძო-

ლის ერთ-ერთ საშუალებად მწერლობა იქნა  
მიჩნეული. განსაკუთრებით გაშუქდა ერთგვი  
ავიოგრაფიამ და პიმონგრაფიამ, რომელთა მი-  
რითად ტენდენცია პატრიოტიზმი იყო. საგულე-  
სიო მწერლობის ხელმძღვანელობა და მდგომარე-  
ობა იქისრა დავით გარეჯის ლიტერატურულ-  
მა სკოლამ, სადაც იყვნენ ავიოგრაფიულ-პიმონ-  
გრაფიული კრებულების შედგენა. ქართულმა  
ველსიამ ახალი პოზიციებიდან იყო „წმინ-  
დანთა“ საქმიანობის შეფასება. მის აღარ აქმა-  
ყოფილებდა ფაქტების მშრალი, სქემატიკი გად-  
მოცემა. იგი მოითხოვდა ეროვნული თვალსაზ-  
რისით განსაზღვრულიყო ყოველი „წმინდანის“  
როლი და ღვაწლი. ჩამოყალიბდა ერთგვარი თე-  
ორიული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით  
მხოლოდ საყოფიარო წმინდანს შეეძლოა შეე-  
წიოს ქვეყანას. ეს თვალსაზრისი ასე გად-  
მოსცა გრიგოლ დიდობრძე: „ქებით სავა-  
ლობელსა და დღესასწაულსა შეუძნალებთ კე-  
თილად მძლეა და უყოლად სანატრელსა და-  
დოფალსა (ქეთევანს). ეგვეითარევი სასუიდე-  
ლი მოვილოთ მის მიერ, ვითარცა სხუთთა მარ-  
და უფროს სადცა იღუაფოს ჩუანთეს და  
ქვეყანათა თესთათეს, რამე თუ ვართ მკვიდ-  
რნი სამეფოთა მისთანი და მსახურულნი ძე-  
თა მისთანი“. ეს პრინციპი წითელი ზოლივი-  
თა გატარებულ XVII-XVIII საუკ. ქართველ  
ავიოგრაფ მწერლებს შორის.

ძირითადად ამის გამო, ხელახლად ვადაი-  
ნიჩა მთელი ავიოგრაფიული და ლიტერატურ-  
ული მწერლობის ძეგლები და XVII-XVIII სა-  
უკუნეებში თითქმის ყველა ქართველ მოწამე-  
ზე ხელახლა დაიწერა სეინაქსარელი ცხოვრე-  
ბა, საგალობლები და, ზოგ შემთხვევაში,  
ვრცელი თხოვრებებიც კი. მართალია, ყველა  
ტექსტი გარეჯის უღბანოში არ დაწერილა და  
ყველა სამეშაო აქ არ შესრულებულა, მაგრამ  
ძირითადი ტენდენციები, საერთო სულის-  
კეთება გარეჯში პოულობს სათავეს.

საჩუქენზიო წიგნის ავტორის დამსაბურება  
ის არის, რომ მან მართებულად შეათვა XVIII  
საუკუნის ქართული საეკლესიო მწერლობის  
აღორძინების საფუძველზე, განვითარების  
ტენდენციები და მოგვცა მეცნიერულად სწო-  
რი საერთო სურათი ამ პერიოდის სეინაქსა-  
რელი ეანის განვითარებისა.

ქართული ლიტერატურული მწერლობის ისტო-  
რიაში XVIII საუკუნისათვის „სადღესასწაუ-  
ლოების“ რამდენიმე რედაქციას გამოყოფენ.  
ე. წ. ტრაპიციულს, რომელიც XI საუკ. მო-  
ყოლებული იზარებოდა. ბესარიონ კათალი-  
კოსის, დომენტი კათალიკოსის, ანტონ პარე-  
ული კათალიკოსის და სხვა რედაქციებს. ამე-  
მად ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია 1718  
წლის ხელნაწერი A—425, რომლის ჩამოყა-  
ლიბება დომენტი კათალიკოსის მიეწერება.

А—425-ის შემდგენლებს, ხანგრძლივი ძიებისა და მუშაობის შედეგად, ამოუტრეფიათ საკითხები როგორც ტრადიციული, ე. წ. ქართული „სადღესასწაულოებიდან“, ისე პროლოგაჟინანქსარებიდან, აგიოგრაფიული კრებულებიდან და, ზოგ შემთხვევაში, სპეციალურად კი შეუდგენიათ, დაუწერიათ საჭირო მასალა. ამის გამო А—425-ში ქართული ელემენტი საგრძობითა, მასში თითქმის ყველა ქართული წმინდანია შესული. ასევე ქარბად არის ქართული ელემენტი მეორე, ამავე პერიოდის ხელნაწერში, რომელიც ეჭვითვე ბარათაშვილის სახელს ეუკავშირდება (А—111). ეს ორი ხელნაწერია ერთსა და იმავე კოლექტივში კეთდებოდა თითქმის ერთდროულად, ამიტომ მათში ბევრია საერთო და სხვაობაც. А—425-ის შემდგენლები საეკლესიო ცხოვრებაში მომხდარ ვარდაცხას ანგარიშს უწევენ და აგრძელებენ ახალ კურსს. А—111-ის კი ძველს, ტრადიციულს პოზიციას იცავს, პირველში ქარბად ჩანს რუსული ტიპიკონის ელემენტი, მაშინ როდესაც მეორე მისგან თავს იკავებს.

ე. გაბიძაშვილმა მოგვცა ვერცელი და ამომწურავი დახასიათება იმ ქართული ელემენტებისა, რომლებიც ამ ორ ხელნაწერში არის მოყვანილი. ამ ხელნაწერებზე დაყრდნობით მან მრავალი საკითხი ახლებურად გააშუქა.

ლუარსაბის, ქეთევანის, 1659 წლის კახეთის აქანუების გმირების, ანტონ მარტყოფელის, იასე წილენლის, იოსებ ალავერდელის, დავით გარეჯელის, დოდო გარეჯელის, ახალი მოწამის შიოს, დავით აღმაშენებლის, პეტრე ქაჩაველის, შუშანიკ დედოფლის, ევსტათე მცხეთელის და სხვა მრავალი მოღვაწის ახალი სვინაქსარული ცხოვრება-წამებანი ძირითადად დასახელებულ (რამდენიმე დაუასახელებელ) ხელნაწერების შესწავლის შედეგად გამოვლინდა და გახდა ცნობილი. ყველა მათთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი სარეცენზიო წიგნში ვერცელად და ამომწურავად არის განხილული.

სარეცენზიო წიგნის დიდი ღირსება ისიც არის, რომ აქ პირველად ქვეყნდება ქართული სვინაქსარები არსებული ნუსხების საფუძველზე. ავტორს მრავალი შესწორება შეაქვს ძველად გამოქვეყნებულ ტექსტებში და თანამედროვე ტექსტოლოგიის მოთხოვნებით მართავს და აქვეყნებს ამ ტექსტებს.

ე. გაბიძაშვილის წიგნი კარგი შენაძენია ჩვენი მეცნიერებისათვის, თუმცა რამდენიმე საყამათო დებულება შიგ მინც არის.

**მიხეილ ქაპთარია.**

## რედაქციის სავანე

ჩვენი ქრონალის მერვე ნომერში გამოქვეყნებულ თამარ კუკავას წერილში (გვ. 133-137) განხილულია ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილი ასეტურ-მისტიკური შინაარსის პოპილტიკური თხზულება „სწავლანი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ეფრემისნი, მიწერილი იოანეს მიმართ მონაზონისა და მამასახლისისა“ (A 468).

„სწავლანი“, წერილის ავტორის აზრით, შეთხზულია ეფრემ მცირის მიერ და წარმოადგენს ორიგინალურ ტრაქტატს, რაც უხეში ფაქტობრივი შეცდომაა. თხზულება „სწავლანი“, რომელსაც თ. კუკავა ეფრემ მცირეს მიაწერს, სინამდვილეში ეკუთვნის მეოთხე საუკუნის გამოჩენილ საეკლესიო მწერალსა და ორატორს ეფრემ ასურს. ეს ძველი თარგმნილია ბერძნულიდან ეფთიმე ათონელის მიერ X საუკუნეში.

ფან 80 კპპ.

8 37/93  
ИНДЕКС

76128

საქართველოს  
საბჭოთავო კავშირი

**«М Н А Т О Б И»**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**